

კვირის პალიტრა



ადამიანის
ჩონჩხი
მთვარეზე

N14(43) 5/IV. - 11/IV.2001. ფასი 60 თ.

1168
2001



რატომ დაემსგავსნენ „პასუანსელები“ კიბორჩხალებს

პოლივუდის
6 საიდუმლო



მთავარი თემა: ლეიპტოზი იკურნება

გვ.28 ნინელი ჭანკვეტაძე:

**ზაზა ინსტიტუტში გავიხსანი,
ბატონი მიშას სტუდენტები არ
თხოვდებოდნენ და სასურველი
იყო, მსახიობების არ გათხოვილიყვნენ.
მაგრამ სხვანაირად არ გამოდიოდა...**



ბინათურა

მესია ოსია? 3

ბუნებრივი თემა

- მსოფლიოში უკვე ათასზე მეტი ასეთი ბაღანერბა განხორციელდა 4
- ამ პრობლემაზე ქართული მეცნიერი ჯერ კიდევ 40 წლის წინ მუშაობდა 7

საქვე

EASTERN-PROMOTION – ნახტომი წყლიდან – მოუბიძგნეს 8

ტესტი

ერთგული მკითხველი 10.

პერსონა

ქართლოს ღარიბაშვილი: „ჩემმა სიმპათიურმა მეგობარმა ქალმა მითხრა – სანამ ერთმანეთი გვიყვარს, ღავსილდეთო...“ 11

სახალხო

საბაქოს აბსოლუტური ავტონომია უნდა ჰქონდეს 14

კოლორიტი

„ჯინო“ 16

კრიტიკა

- „ორი კანის მკვლელობას გენოლის ბარეშე თავზე არ ავიღებდი“ 19
- წერილი რედაქციას 21

აღაზიანი

„გტიროლით, მაგრამ მაინც ბელნიერები ვიყავით!“ 22

ანტიფარეზი

ინფორმაციულ-შეხვედრებით კოლაჟი გონა ღვალის უბის წიგნაკიდან 24

იუმორი

ჩვენებური მულაეები იმერულად 24

პლასტა

„ფუფუნება და განებივრება კინალამ ღაღუჯა“ 26

სასარგებლო აზრები

აფორიზმების ენციკლოპედია 27

მსახიობი

ნიქელი ჭანკვეტაძე: „ჩემს „პირად ცხოვრებაზე“ ბილეთები არ იყიდება!“ 28

ფსიქოლოგიური თემა

შეამოწმეთ თქვენი მექანიკური მახსოვრობის მოცულობა 31

მსოფლიოში უკვე ათასზე მეტი ასეთი ბაღანერბა განხორციელდა



ლეიკომის სასწაულმოქმედი წამალი ყოველთვის ყოფილა მუანთა ხელში! საუბარია სისხლზე, რომელიც რჩება პლაცენტაში (მომყოლში), მშობიარობის შემდეგ, თუმცა, პემატოლოგების მეთოდმა საზოგადოებაში სულ სხვაგვარი დავა გამოიწვია...

4


„ჯინო“

ქეფი მიყვარს. ეგ არის, სიმთვრალეში, ჩემს „ღობას“ რომ მივიღებ, სუფრიდან ვიპარები. ერთხელ სახლიდან გავიპარე – საკუთარი სახლიდან. გავედი გარეთ, გაქსი გავაჩერე და ჩემი მისამართი ვუთხარი. ისიც მაგარი „შავი“ იყო: ერთი-ორი წრე დაარტყა და ისევ სახლთან მიმიყვანა.



16

სიმპათიურმა მეგობარმა ქალმა მითხრა...



– მეგობრები მეუბნებიან, „გრუსიკი“ არ უნდა ვეხსენებინათ. შემთხვევით წამომცდა... ეს ფრაზა სხვა კონტექსტში ვიხმარე – ჩვენ ყველაფრის შემოწმება შეგვიძლია-მეთქი და ჩემმა ნათქვამმა სხვა მიმართულება მიიღო. მერე რაღაც ორიენტაციამე გაკეთდა აქცენტი, მაგრამ ხომ იცით... ვისაც რა სტკივა...

11

„ორი კანის მკვლელობას გენოლის ბარეშე თავზე არ ავიღებდი“

მას არაადამიანური სახე ჰქონდა. დავინახე, რომ წამოდგომის მომენტში დაბლიდან რაღაც საგანი აიღო. იმწამს რა მოხდა, არ შემხედავს, მხოლოდ მახსოვს, რომ წივილ-კივილი გაისმა. ლომამეს დავეუბახე – ბურა-მეთქი, მაგრამ მას ჩემს ძახილზე რეაქცია არ ჰქონდა, გამოსტყერებული იყო...



19

სამყარო

იღუპალებით მოსული მკაცრონი 32

დღესასწაულები:

- ხარებობა 34
- ბგობა 34

წმიდანები

ქართველთათვის მოღვაწე, ლეკთა და ოსთა განმანათლებელი 35

მოგზაურის დღიურები

ირლანდია მუღვივი ბაგაფსულის, გლავრებისა და უამრავი დღესასწაულის ქვეყანა 37

სკოტის ლაგუნები

შეხვედრის ქართველი კარუზო 41

სრულიად საიდუმლო

კოსმოსური კამიკაპეები ანუ იღუპალი ჩონჩხი მთვარის გელაპირზე 44

ასიუზები

ნიკო მუსხელიშვილი – „საპატიო მიღისილი“ 46

რომანი

ბესიკ კეკელიძე. შეუწყალბელი შეწყალბა (ბაგრძელება) 48

ავტო

52

პარსკვლავები

თინეიჯერთა კერაი სტაქიანი მსახიობი 54

შეაოწმეთ თქვენი ყოფა

ტესტი ერუდისიანზე 55

ფარდის მიღვა

ჰოლივუდის ექვსი საიდუმლო 56

ზღაპარ-ქალაქი

ღისნეილენდი – ახლენილი ოცნება 58

სანწორი

61

ჰოროსკოპი

კვირის (9-15 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტანჯი

თქვენი მისწრაფების სფერო 63

კალიფორსკოპი

ჩრდილ-ჩრდილი ამბავი 64

შეხვედრის ქართველი კარუზო



მამამისი სიამაყეგარეული გაკვირვებით ეკითხებოდა ცოლს: „ქალო, სად ისწავლა ბიჭმა ამფერო თამაში?!“ შემდეგ „მოლბა“ სოლომონ პაიჭაძე, მაგრამ ბორისმა მებღვაურობა არჩია და „ბუცები კედელზე ჩამოკიდა“, თუმცა ეს მეგაფორა უადგილოა, რადგან პაიჭაძეს ბუცები ჯერ თვალითაც არ ენახა...

41

EASTERN-PROMOTION
ნახტობი წელიდან – შოუბიზნესში

– ქულიო „კაი ძველი ბიჭია“, ხუთჯერ იყო დაპატიმრებული, მე, სანთებელა „დამაწერა“. ისე მოეწონა, ჩამაცივდა – ჩემსაში გამიცვალეო. ჰოდა, მეც გავცვალე „ფირმა“ სანთებელა, რაღაც ოცენტიან ხარახურაში. მერე მითხრა, ხომ მაგარი სანთებელა მოგვეციო. კი, გმადლობ-მეთქი.



8

იღუპალი ჩონჩხი
მთვარის გელაპირზე



ლოქტორმა კანგ მარ კანგმა, პეკინში გამართულ პრესკონფერენციაზე უნიკალური ფოტომასალა წარმოადგინა. სურათებზე ასახული იყო ადამიანის შიშველი ფეხის ანაბეჭდები, რომელიც მთვარის გელაპირზეა გადაღებული. მოგვიანებით მან გამოამბეურა ფოტო, რომელზეც ადამიანის ჩონჩხია აღბეჭდილი.

44

შეიწყნარდებილი შეიწყნარდეს

– ეს ქალები ბოზები არიან, ისინი კი – რომელიმე ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლები...

– „კაროჩე“, ძალები, – გააწყვეტინა მურამ.

– ეგრეა, ეცობა ვიღაცა „გაწეწეს“ და ახლა „გულაობენ“, თორემ მაგათ ხელფასი თვეობით არ აუღიათ.



48

ბარეკანაზა: ბიორგი შორშოლიანის კოლაჟი


საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“ გამომდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით ბაზმით „კვირის კალიტრის“ დამატება

შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-5 32
შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ“

მესია მსია?



გასულ ოთხშაბათს ფეხბურთი იყო? – თვალი უკეთესს რას დაინახავს!

ტრიბუნებიდან ლანძღვა-გინება და წყევლა-კრულვა ისმოდა? – ყური უკეთესს რას გაიგონებს!

ჩვენმა ბიჭებმა ჯიგრიანად ითამაშეს? – გული მეტად რით გაიხარებს!

და რაც მთავარია: მწვრთნელთა ტანდემმა სტრატეგიისა და ტაქტიკის ცოდნა გამოავლინა? – იმის დედა ვატირე!

უყვართ ქართველებს ფეხბურთი, უყვართ და ესმით კიდეც და „შეეკითხე თუ გინდა!“, ესმით ამ დიდებული თამაშის არა მხოლოდ ანა-ბანა, არამედ უწვრილესი დეტალებიც კი.

და კიდევ ერთი, უდავოდ დიდი ღირსება ქართული ხასიათისა – დაუშრეტელი, უზომო (ე.ი. უაზრო) და გამოუსწორებელი (ე.ი. არაფერი რომ არ ეშველება) ოპტიმიზმი.

ახლა „გაგაერთიანოთ“ ეს „ოპტიმიზმი“ და „ფეხბურთის ცოდნა“ და მშვენიერ შედეგს მივიღებთ: იმის მაგივრად, რომ ვილანძღ-ვიფურთხოთ ან თავები ჩაეჭინდროთ რუმინელებთან ორბურთიანი სხვაობით დამარცხების გამო, პირიქით – ამაში „პროგრესის რაციონალური მარცვალი“

უნდა დავინახოთ. მართლაც: რამდენიმე წლის წინ, იმ დროს, რომელსაც პესიმისტები და კრიტიკომანები მისტირიან, რუმინელებთან 0:5 წაგავეთ, ახლა კი – 0:2. ეს იმას ნიშნავს, რომ ხუთიოდე წლის შემდეგ იქნებ ფრესაც გამოვკრათ ხელი, ხოლო XXII საუკუნეში, თუკი ქინქლამე და ქემოკლიძე კარგ ფორმაში იქნებიან, იქნებ მოვიგოთ კიდეც.

მაგრამ, ამ შემთხვევაში, მხოლოდ დრო არ არის „მკურნალი“. რადაცის შეცვლა მაინც აუცილებელია და როგორც ამ დღეებში „გაჟონილი“ ინფორმაციები მოწმობს, ჩვენი ფეხბურთის მესვეურებმა უკვე გადადგეს პირველი სერიოზული ნაბიჯი ამ მიმართულებით. საქმე ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელს ეხება – საქართველოს მდიდარი ისტორიის მანძილზე ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც თითქოს გარდაუვალი კატასტროფის წინაშე იყო ქვეყანა, მაგრამ ყოველთვის გამოჩნდებოდა ხოლმე ღვთით მოვლენილი გადამრჩენი – კაცი-მესია და საქართველოც ფენიქსისამებრ აღდგებოდა ხოლმე.

მას შემდეგ, რაც ქართველებმა ფეხბურთის თამაში დაიწყეს – იგი ეროვნული თვითგამოხატვის ყველაზე მთავარ საშუალებად მიიჩნიეს, ჯერ კიდევ „გაგანია



კომუნისტების ეპოქაში“. ამიტომ ხშირად, როდესაც თბილისის „დინამოს“ (ფაქტობრივად საქართველოს ნაკრებს) უჭირდა ხოლმე, მხსნელს ეძებდა და პოულობდა კიდეც: კაჩალიანი, იაკუშინი, სოლოვიოვი, ზონინი, სევიდოვი... ერთი სიტყვით, მესია იმის მესიაა, რომ ზეციდან თუ არა, სხვა ქვეყნიდან მაინც უნდა მოგვევლინოს და ეს პრაქტიკა დამოუკიდებელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამაც ღირსეულად განაგრძო – ბოსკამპი ჩამოიყვანა!

აბა, ის იყო თუ იყო: ყვიროდა, მაგრამ რას ყვიროდა – შიშის ზარს სცემდა ფეხბურთელებსაც და მაყურებლებსაც. სამაგიეროდ, საქმე გამოსწორდა: ბერძნებთან თბილისში მხოლოდ 1:2 წაგავეთ, ლატვიასთან კი – ფრეს მივალწვიეთ. მაგრამ მესია მესიად და, ფეოლა რომ ფეოლაა – იმასაც კი არ ვაპატიებთ ეროვნულ

შეურაცხყოფას: ბოსკამპმა, ხინკალი და ხაჭაპური არ მომეწონა, ჰამბურგერები მირჩვენიაო! ჰოდა, ააბარგეს კიდეც თავის ჰამბურგერების ქვეყანაში. ისე, ჩვენი ცოდვით ვერავენ გაიხარა: ბოსკამპიც, რომელიც აქ „ანდერლესტის“ გამჩემპიონებელის რანგში ჩამოვიდა, უკან დაბრუნებული ასევე ჩემპიონ „გენკს“ ჩაუდგა სათავეში და... უმაღლესი ლიგიდან გააგდო!

ჰო, ისევ დღევანდელ დღეს და ზემოთ ნახსენებ „გაჟონილ“ ინფორმაციას დაუბრუნდეთ: ცხადია, არა აქვს მნიშვნელობა მესია რუსი იქნება, პოლანდიელი, მოზამბიკელი თუ ოსი, მაგრამ ისეთი რამე მოიგონეს, რომ მართლაც საკუთარ თავს გადააჭარბეს უსაზღვრო ფანტაზიის უნარის გამოვლენაში.

ცხადია, ოპონენტებიც გამომინდებიან და იტყვიან: მურთაზ ხ.-ს, რევაზ ძ.-ს და დავით ყ.-ს მაინც აჯობებსო, მაგრამ ვალერა გაზაევი?! ნამეტანია!!!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნაკრებს რომ კიდევ ერთხელ დაუცდეს ფეხი, ვერც გულშემატკივრები და ვერც ჟურნალისტები ვერ მოითმენენ – ჩვეულებისამებრ გამოლანძღავენ, და მეტი რა უნდათ პროვოკატორებს – ძლივს ჩამქრალი (დიდებულად ჩამქრალი) ეროვნებათმორისი კონფლიქტის კერა კვლავ გაღვივდება.

P.S. გაზაევის შემდეგ, როდესაც მისი ხელმძღვანელობით ლიტვასთან წაგავებთ თბილისში, ხორენ ოგანესიანის „ჯერი“ ყოფილა, შემდეგ – ალექსანდრე მამელოვის, იმის მერე კი, თუ აღარაფერი გვეშველა – ალბათ ვლადისლავ არძინბას უხმობენ...

პროპოკატორი

თამარ მამასაშვილი

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებულმა ცნობამ — „ლეიკოზი იკურნება“, საკვებით ბუნებრივი ვნებათაღელვა გამოიწვია ამ სენით განაშენიანებული ავადმყოფთა და მათ გულშემოტიკივართა შორის. რედაქციაში ბევრმა დაგვირეკა და უფრო ფრცვლი ინფორმაციის მოწოდება გვთხოვა, რაც ისედაც დაგეგმილი გვექონდა.

სპეციალისტები მწვავე ლეიკოზს კიბოს მეხუთე სტადიას უწოდებენ. ზოგჯერ იყენებენ სხვა გამოთქმასაც — მოციურკულირე მეტასტაზი. იმის გაგება, თუ რას ნიშნავს ეს, ძნელი არ არის: გენეტიკურად შეცვლილი თეთრი უჯრედები — ლეიკოციტები, სისხლის ნაკადით გადადის მთელ ორგანიზმში, აღწევს ორგანოებში, ქსოვილებში და აზიანებს მას. სულ ცოტა ხნის წინ მედიკოსები დაავადებას ებრძოდნენ მხოლოდ ორი მეთოდით: ქიმიოთერაპიითა და ძვლის ტვინის გადანერგვით. ორივე ეს მეთოდი მძიმე გართულებებს იწვევს, საჭიროებს პაციენტის ხანგრძლივ ყოფნას კლინიკაში, მოითხოვს მისგან დიდ გამძლეობას და, ამასთან, წარმატების გარანტიასაც არ იძლევა.

მომავლენიანი სენის პანაცეა მეცნიერებმა მხოლოდ XX საუკუნის დასასრულს აღმოაჩინეს. გამოიკვია, რომ ლეიკოზის სასწაულმოქმედი წამალი ყოველთვის ყოფილა მენათა ხელში! საუბარია სისხლზე, რომელიც რჩება პლაცენტაში (მომყოლში), ბავშვის დაბადების შემდეგ. თუ ამ სისხლს გადავუსხამთ ავადმყოფს, მისი ორგანიზმი რამდენიმე თვეში სრულიად გაიწმინდება შეცვლილი ლეიკოციტებისაგან. საპროცედუროში გატარებული ნახევარი საათი და — საჭირო აღარ არის საავადმყოფოში დანოლაცკი! თუმცა, ჰემატოლოგების მიერ მოწოდებულმა მეთოდმა საზოგადოებრიობაში სულ სხვაგვარი დავა გამოიწვია. საკითხი შემდეგნაირად დგას: „ეთიკურია თუ არა გამოჯანმრთელება ახალშობილი ბავშვის მეშვეობით?..“ მაგრამ ამის შესახებ — ცოტა მოგვიანებით. ახლა კი, რამდენიმე ისტორიული მაგალითი.

მსოფლიოში უკვე ათასზე მეტი ასეთი გადაწერვა განხორციელდა

ავადმყოფობის ისტორია № 1 — ხოსე კარერასი



ცნობილი ესპანელი ტენორის, ხოსე კარერასის ბრწყინვალე კარიერა კინაღამ შეწყდა 1987 წელს. კარერასს სიმღერის დროს ხელს უშლიდა ქოშინი, სცენაზე ყოველი ნაბიჯის გადადგმა ძვლებში ტეხას იწვევდა. თავბრუსხვევა კი იმ დონემდე მოეძალა, რომ არტისტი გულის წასვლის ზღვარზე იყო. 40 წლის ასაკში მან შეიტყო, რომ ლეიკოზით არის ავად და ორ წელზე მეტს ვერ გაატანს. ტემპერამენტიანი, სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული კარერასი ავადმყოფობას არ დანებდა. და აი, ქიმიოთერაპიის მომქანცველი სეანსები და ძვლის ტვინის გადანერგვის ოპერაციები უკან დარჩა: დიაგნოზის დასმოდან 2 წლის შემდეგ, იგი არა მარტო გამოჯანმრთელდა, რაც თავისთავად იშვიათი იღბალია, არამედ ნამდვილად მიულწველ მიზანს მიაღწია — დიდ ოპერაში დაბრუნდა!

ხმა ძალიან ნაზი „ინსტრუმენტი“. ის შეიძლება გაცივების შედეგადაც დაკარგო. ისეთი სერიოზული სენის შემდეგ კი, როგორც ლეიკოზია, მისი შენარჩუნების შანსი თითქმის ნულის ტოლია. კარერასის სახლში ყოველთვის ცხელა, მაგრამ პატრონი კონდიციონერის დაყენების სასტიკი წინააღმდეგია. ვერსია ჟურნალისტებისათვის: „ეს ძალიან საზიანოა იოგებისათვის“. სინამდვილეში, მოძღვრებისთვის დამლუპველია ნებისმიერი ინფექცია: მას რომ გრიპი დაეპართოს, შესაძლოა, ლეიკოზისა და მის სამკურნალოდ მიღებული იმუნოდეპრე-

სანტებისგან შერყეული ორგანიზმის დამცველი სისტემა დაირღვეს — მაშინ კი სცენის დატოვება მოუწევს.

სპეციალისტის კომენტარი. ესპანელმა ტენორმა დაავადების ერთ-ერთ ყველაზე არასასურველ ფორმასთან — მწვავე ლიმფობლასტურ ლეიკოზთან (მლლ) ბრძოლაში გაიმარჯვა. ამ დაავადების „პიკი“ ადრეულ — 2-დან 5 წლამდე ასაკზე მოდის, თუმცა თანამედროვე მეთოდებით შესაძლებელია დაავადებულ ბავშვთა 75-80%-ის გადარჩენა. უფროსი ასაკის პაციენტთაგან (მათში ლეიკოზის ეს ფორმა საკმაოდ იშვიათია), ჯერჯერობით შესაძლებელია ყოველი მეთოთხეს გადარჩენა. თუმცა კარერასის მაგალითი ადასტურებს: სიცოცხლისადმი სწრაფვა ჭეშმარიტ სასწაულებს ახდენს!

ავადმყოფობის ისტორია № 2 — ანისა აიალა



ამ გოგონას სახელი ყველა ამერიკელმა იცის. 10 წლის წინ მისი გამოჯანმრთელებით დაიწყო ახალი ერა ლეიკოზის მკურნალობაში. 16 წლის ანისა ძვლის ტვინის გადანერგვას სასწრაფოდ საჭიროებდა. დონორი აუცილებლად ახლო ნათესავი უნდა ყოფილიყო. მშობლები ამისთვის არ გამოდგებოდნენ: მათი უჯრედები შეუთავსებელი აღმოჩნდა შვილის ქსოვილოვან ანტიგენებთან. მაშინ ცოლქმარმა უჩვეულო ნაბიჯი გადადგა — მეორე შვილის გაჩენა გადაწყვიტა, რათა პირველი გადაერჩინა; ვიდრე გოგონა ავად

არ გახდებოდა, დედა და მამა კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ ოჯახის გაზრდისა (შემდგომ ამ ფაქტმა სამედიცინო ეთიკის სპეციალისტთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო). თავის დროზე ანისას მამას გაკეთებული ჰქონდა მამაკაცთა სტერილიზაცია – სათესლე ბაგირაკების გადაკეტვა (ვაზექტომია). შვილოსნობის ფუნქციის აღდგენისათვის განმეორებითი ოპერაცია გახდა საჭირო.



უმცროს გოგონას ვიკა (ვიქტორია) დაარქვეს – იმის აღსანიშნავად, რომ იგი მომაკვდინებელი სენის დამარცხებაში დაეხმარა უფროს დას. აი, როგორ ხდებოდა ეს: თავდაპირველად ექიმებმა გადაჭრეს ჭიპლარი, რომელიც ბავშვს დედასთან აერთებდა. პლაცენტასთან (იგი ისევ მშობიარის სხეულში რჩებოდა) დაკავშირებულ თავისუფალ ბოლოში ჩაღვეს კათეტერი და მოაგროვეს სისხლი სპეციალურ სინჯარაში. მისგან გამოყოფილი ღეროვანი უჯრედები – წინამორბედები შეამოწმეს ქსოვილოვან შეთავსებაზე, შეუყვანეს ანისას ხელის ვენაში და შედეგმა არ დააყოვნა!

სპეციალისტის კომენტარი. ღეროვანი უჯრედებიდან წარმოიქმნება ლეიკოციტები და სისხლის სხვა ფორმიანი ელემენტები, გენეტიკურად შეცვლილი ან საერთოდ არარსებული უჯრედების ნაცვლად. ამასთან, ჭიპლარის სისხლში ეს „წინარე მშობლები“ გაცილებით მეტია, ვიდრე ძვლის ტვინში, რომელსაც ტრადიციულად, ასეთი პაციენტების გადასარჩენად იყენებენ. თუმცა, არის ერთი სირთულე, რომელიც ზღუდავს ახალი მეთოდის გამოყენებას: ალბათობა, რომ ახალშობილი ღონორად გამოდგება, სულ 25%-ის უდრის. ანისას ზღაპრულად გაუმართლა: ახალდაბებულმა დაიკომ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. ამჟამად, წარუმატებლობის გამოსარიცხად, ასეთ შემთხვევებში, ჩასახვას სინჯარაში ახდენენ.

ავადმყოფობის ისტორია №3 – მოლი ნეში

გასული წლის 26 სექტემბერს გინეაპოლისის ქალაქის საავადმყოფოს ექიმებმა გადაუსხეს 6 წლის მოლის ჭიპლარის სისხლი, რომელიც მისი ძმის, ადამის დაბადებისას მიიღეს. გოგონას ძვლის ტვინი არ წარმოქმნიდა ერთოციტებს. მსგავს მდგომარეობას სპეციალისტები „ფანჯონის აპლასტიურ ანემიას“ უწოდებენ – იმ ექიმის პატივსაცემად, რომელ-

მაც ეს დაავადება აღწერა. იგი ძალიან ჰგავს ლეიკოზს და მკურნალობაც ორივე შემთხვევაში ერთნაირია – ღეროვანი უჯრედების გადანერგვა. შვილის გადასარჩენად, მშობლები მზად იყვნენ მეორე ბავშვი გაეჩინათ, მაგრამ არსებობდა იმის დიდი ალბათობა, რომ პატარაც ავადმყოფი დაბადებულიყო: ფანჯონის ანემია მექვიდრობით გადაეცემა. ამიტომ ჩიკაგოს ლაბორატორიის თანამშრომლებმა ექსტრაკორპორალური განაყოფიერების – სინჯარაში ჩასახვის მეთოდს მიმართეს. 12 ემბრიონიდან აარჩიეს ერთი, რომელსაც არ ჰქონდა გენეტიკური დეფექტი და აღენიშნებოდა იდეალური ქსოვილოვანი შეთავსება. მოახდინეს მისი იმპლანტაცია საშვილოსნოში და 2000 წლის 29 აგვისტოს მოლის გაუჩნდა ძმა – ადამი. მისი „შექმნის“ ოპერაცია ოჯახს 100 ათას დოლარზე მეტი დაუჯდა.

სპეციალისტის კომენტარი. ჭიპლარის სისხლით მკურნალობა გენეტიკურად შეთავსებადი ღონორის შერჩევით სინჯარაში განაყოფიერების დროს – ათასწლეულის სამეცნიერო სენსაციაა. მისი მეშვეობით ახლო მომავალში მედიკოსები იმედოვნებენ კაცობრიობის ხსნას ლეიკოზისაგან, თალასემიისგან, ალასტიური ანემიისგან და აგრეთვე სისხლმბადი სისტემის სხვა ონკოლოგიური და მექვიდროული დაავადებებისგან. მაგრამ მეცნიერთა შთაბეჭდილმა წარმატებამ სამედიცინო ეთიკის დამცველთა პროტესტი გამოიწვია.

სიცოცხლე და სიკვდილი სასწორის თასებზე

ამერიკელი მედიკოსები სვამენ კითხვას: ეთიკურია თუ არა გამოჯანმრთელება ახალშობილის მეშვეობით? მოეპყრობიან კი მშობლები თბილად პატარა ბავშვს, თუ მისი უჯრედები აღმოჩნდება შეუთავსებელი ტრანსპლანტაციისათვის? როგორ მოიქცევა ვიკი აიალა, როცა

გაიგებს, რომ ჩაისახა, როგორც თავისებური ბიოლოგიური „წამალი“? სხვათა შორის, ჭიპლარის სისხლის პირველმა გადასხმამ, რომელიც 1989 წელს განხორციელდა, საზოგადოების დავა არ გამოიწვია, რადგან ღონორი – ავადმყოფი ბიჭის პატარა ძმა – „გემურად“ დაიბადა. არავის ნდომებია იგი უფროსი ძმის სამკურნალოდ: ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით პირველი შვილის ავადმყოფობა, მეორეს ამქვეყნად მოვლინებას დაემთხვა.

უფრო მეტი კითხვა ადამ ნეშის დაბადებამ გამოიწვია. ჟურნალისტებმა, რომლებმაც იგი „ბავშვ-კონსტრუქტორად“ მონათლეს, აღშფოთებულნი წერდნენ: „რა უფლებით ექცევიან ბავშვებს ისე, თითქოს ისინი ქარხნის დეტალები იყვნენ? რა იქნება მაშინ, როცა ჭიპლარის სისხლის გადასხმა ვერ უშველის მოლის და საჭირო გახდება ძვლის ტვინის გადანერგვა, რაც ასეთ ადრეულ ასაკში ბიჭუნასათვის სასიცოცხლო საფრთხეს წარმოადგენს?“ „რას იტყოდნენ, ღონორობისთვის გაჩენილი ბავშვისათვის თირკმლის, ფილტვისა ან კუჭქვეშა ჯირკვლის ამოკვეთაზე? – კითხულობს პენსილვანიის უნივერსიტეტის ექიმი არტურ კაპლანი. – რამდენად ღრმად შეიძლება „შეტოკვა“? ადამის მშობლები დისკუსიას უაზროდ მიიჩნევენ. ისინი ამბობენ, რომ დიდი ხანია, უნდოდათ მეორე შვილი და არაფერს მოიძიქმედებენ მის საზიანოდ.

ვისკოტის უნივერსიტეტის პედიატრი და ეთიკურ პრობლემათა კონსულტანტი ნორმან ფოსტი, „კამინგტონ პოსტის“ ფურცლებზე ჰყვება 14 წლის ჯოანაზე, რომელმაც უფროსი ძმის – ნიკისათვის, თირკმელი გაიღო. მშობლებმა გოგონა ჩასახეს, როგორც პოტენციური ღონორი, როცა ექიმებმა აცნობეს, რომ მათ ვაჟს მომავალში ტრანსპლანტაცია დასჭირდებოდა. პატარაობიდანვე იცოდა ჯოანამ თავისი დანიშნულების შესახებ და ძალიანაც ამაყობდა ამით. „განა ახლობელი ადამიანის გადარჩენა წონადი არგუმენტი არ არის ბავშვის გასაჩენად?! – უკვირს ექიმ ფოსტს. – ადამიანები ბავშვებს სხვადასხვა მიზეზით აჩენენ, ზოგჯერ ეს, სულაც, მათი ნების საწინააღმდეგოდ ხდება. ხომ არ ჩამოვართმევთ ამის გამო მათ მშობლის უფლებებს?! ამასთან, პრესის მიერ შექმნილი ბავშვი-კონსტრუქტორის სახე, რომელსაც ექიმები გულგრილად აცლიან საჭირო ორგანოს, ხოლო დანარჩენს კალათაში მოისვრიან – სხვა არაფერია, თუ

სინჯარის ბავშვი: ხალოვნური გადარჩევა

ცოტა ხნის წინ ექიმებმა ახალშობილი ბიჭის ჭიპლარის უჯრედები მისი 6 წლის დის გადასარჩენად გამოიყენეს, რამაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

მინეაპოლისის საავადმყოფოში მოლი ნემს გაუკეთდა უჯრედთა ტრანსპლანტაციის 30 წუთიანი ოპერაცია. ამან უნდა განკურნოს იგი ფანკონის სინდრომისგან — გენეტიკური დაავადებისაგან, რომელიც ძვლის ტვინის დეფიციტს იწვევს.

ტექნოლოგია: იმპლანტაციის ბენეფიკური დიაგნოსტიკა

1 ექიმები ახდენენ განაყოფიერებას ორგანიზმის გარეთ (სინჯარაში), ვითარდება 12 ემბრიონი 8 უჯრედოვან სტადიაზე.

2 ტარდება ანალიზები ჯანმრთელი ემბრიონების გამოსაუღუნად (ემბრიონზე მშობლის დაავადების გადაცემის ალბათობა - 25%).

3 განმეორებითი ანალიზები დისა და ძმის ქსოვილთა მეთავსებაზე გამოაქვნიან ორ ყველაზე შესაფერის ემბრიონ-დონორს.

4 ორს შორის უფრო ჯანმრთელი ემბრიონი შეეყავით დედის ორგანიზმში, სადაც მისი შემდგომი განვითარება ხდება.

5 ექიმები იღებენ სისხლის უჯრედებს ახალშობილი მოლის ძმის ჭიპლარიდან.

6 ოპერაციიდან რამდენიმე დღის შემდეგ (2000 წლის 26 სექტემბერს) მოლის ორგანიზმში შეყვანილმა უჯრედებმა უნდა დაიწყოს ძვლის ტვინის ახალი - ჯანმრთელი უჯრედების წარმოქმნა.

არა საგაზეთო ჭორი. ცხოვრებაში ყველაფერი სხვაგვარად ხდება“.

ეთიკური პრობლემების ლაბირინთიდან თავდასაღწევად, ფსიქოლოგები მკურნალ ექიმებს ურჩევენ, დაწვრილებით მოუთხრონ მშობლებს წარმატების შანსის შესახებ, გააფრთხილონ შესაძლო გაწბილებას და საიდუმლოდ შეინახონ ბავშვის ამქვეყნად მოვლინების მიზეზი. „მე მათებს აღმამუთოებელი მოურიდებლობა იმ მამებისა და დედებისა, რომლებიც საჯაროდ გვაძმობენ მსგავს ამბებს. ისინი „ახლომხედველი“ არიან“ — აცხადებს მერი ენ ზაკეტი — ილინოისის შტატის კომიტეტიდან — „სიცოცხლის უფლება“. მის აზრს ყური უნდა დაუგდოთ.

გამარჯვების ფორმულა

ლეიკოზს აქვს ერთი უცნაურობა: იგი ემართებათ მოულოდნელად, როგორც გრიპი ან გაცივება. ამ ფენომენს ახსნა უპოვეს მათემატიკოსებმა: როგორც ჩანს, ყველა „არასწორი“ ლეიკოციტი (ე.წ. ლეიკემიური კლონი) ერთი და იმავე ღეროვანი უჯრედისაგან ვითარდება, რომელსაც პათოლოგიური თვისებები აქვს. მისი გენეტიკური აპარატი შეიძლება

დააზიანოს დასხივებამ, სტრესმა და სხვა არახელსაყრელმა ფაქტორებმა. ლეიკოზის მათემატიკური მოდელის თანახმად, რომელიც გერმანელმა მეცნიერმა მაურმა 1973 წელს მოგვარა, შეცვლილ ღეროვან უჯრედს სჭირდება დაახლოებით 3,5 წელი, რათა წარმოქმნას 1 კგ — 10 მე-12 ხარისხად ლეიკემიური კლონის უჯრედული ელემენტები. როცა ორგანიზმში ეს კრიტიკული მასა გროვდება, დაავადების მწვავე გამოვლინებები ჩნდება. თეორიას იაპონელი მეცნიერების ცდები ადასტურებს: მწვავე ლეიკოზით დაავადების „აფეთქება“ ხიროსიმის ატომური დაბომბვის შედეგად, სწორედ დროის ასეთი შუალედის გავლის შემდეგ მოხდა.

1995 წლის ოქტომბერში, იტალიაში შეიქმნა ჭიპლარის სისხლის დონორთა ევროპაში ერთადერთი ასოციაცია — ADISCO. იგი აერთიანებს ქალებს, რომლებიც ემზობიან ჭიპლარის და პლაცენტის გამოყენებას სამედიცინო მიზნებისათვის. დღეისათვის ამ ქვეყანაში გახსნილია ჭიპლარის სისხლის 7 ბანკი — ორი რომში, დანარჩენი ფლორენციაში, მილანში, ბოლონიაში, პადუაში და ტურინში. შეგროვილი სისხლის რაოდენობის მიხედვით, მილანის ბანკი

მეორე ადგილზეა მსოფლიოში — ნიუ-იორკის საცავის შემდეგ.

მთელი ჭიპლარის სისხლი გადის მკაცრ კონტროლს, რათა გამოირიცხოს ინფექციური და მემკვიდრული დაავადებების გადატანა. ტესტირების შემდეგ მას ათავსებენ სპეციალურ კონტეინერებში და ყინავენ. ხარისხის კონტროლს ახორციელებს სპეციალური ორგანიზაცია — „სისხლმზადი უჯრედების მოგროვებისა და გამრავლების ჯგუფი“, შემოკლებით — GRACE.

მსოფლიოში განხორციელებულია ათასზე მეტი გადანერგვა ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედებისა, ძირითადად ავადმყოფ ბავშვებზე. ამ სფეროში ლიდერები, აშშ-ის ჰემატოლოგები არიან. უჯრედული ელემენტების „ლოზა“, რომელიც საჭიროა განკურნებისათვის, პაციენტის წონაზე დამოკიდებულია: რაც უფრო ასაკოვანია ავადმყოფი, მით მეტი რაოდენობით ესაჭიროება მას ეს უჯრედები. ამჟამად მეცნიერები ცდილობენ ღეროვანი უჯრედების კლონირებას ლაბორატორიულ პირობებში. როცა სპეციალისტები შეძლებენ იმდენი ბიოლოგიური მასალის მიღებას, რამდენიც დიდი ადამიანის განკურნებისთვის არის საჭირო, ლეიკოზი უკვე საბოლოოდ და შეუქცევადად იქნება დამარცხებული.

ჰემატოლოგები დაინტერესდნენ: როგორ ცოცხლდება პაციენტის ორგანიზმში ღეროვანი უჯრედები? აღმოჩნდა, რომ „უცხოელები“ აქტიურად უცვლიან მემკვიდრულ ინფორმაციას სისხლმზად სისტემას და შედეგად, ძვლის ტვინში ე.წ. ჰიბრიდული უჯრედები სახლდება. გენეტიკური ჰიბრიდები ფლობენ დადებით თვისებებს, რომელიც მიიღეს დონორისაგან, მაგრამ, ამავე დროს, ისინი „მშობლიური“ არიან პაციენტის ორგანიზმისთვის, ამიტომაც არ ჩამოშორდებიან. რუსეთის მედიცინის მეცნიერებთა აკადემიის ჰემატოლოგიური სამეცნიერო ცენტრის იმუნოჰემატოლოგიის ლაბორატორიის უფროსის — ევგენი ზოტიკოვის აზრით, ეს აღმოჩენა ფართო შესაძლებლობებს უხსნის მემკვიდრული და ონკოლოგიური დაავადებების გენეტიკურ თერაპიას. ავადმყოფის ორგანიზმს შეუძლია, დონორის უჯრედების გენეტიკური პროგრამის გავლენით გამოასწოროს დარღვევები თავის მემკვიდრულ აპარატში და განიკურნოს სენისგან — ისე, როგორც კომპიუტერი იკურნება ელექტრონიკული ვირუსისგან.

ამ პრობლემაზე ქართველი მეცნიერი ჯერ კიდევ 40 წლის წინ მუშაობდა

უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული ამ ინფორმაციის კომენტარი ვთხოვეთ დარგის ქართველ სპეციალისტებს, რომელთა მოსაზრებები მკითხველისთვის უთუოდ საინტერესო იქნება.

აკადემიკოს გრიგოლ მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკურ-დისპანსერული განყოფილების ხელმძღვანელი, მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჰემატოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი, ქალბატონი მანანა შეყლაშვილი:

— ლეიკოზი არის ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედის სიმსივნური დაავადება. ამ დროს ხდება ღეროვანი უჯრედების გენეტიკური დაზიანება და თუკი ეს სიახლე იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს მათი შეცვლა ახალი უჯრედებით, რა თქმა უნდა, პრაქტიკაში მისი დანერგვა მოგვცემს დადებით შედეგებს. ამასთან, როგორც ჩანს, მეთოდს არ ახასიათებს ის შემდგომი გართულებები, რაც შეიძლება მოჰყვეს ძვლის ტვინის გადანერგვას და ამ მხრივაც იგი მისაღებია.

— დაუჭერთ თუ არა მხარს მკურნალობის ამ მეთოდის ექსპერიმენტულ და პრაქტიკულ დანერგვას ჩვენს რესპუბლიკაში, თუკი ამის ფინანსური საშუალება იქნება?

— რა თქმა უნდა, რომელიც კუთვამყოფელი იტყვის უარს ნებისმიერ სიახლეზე, რომელიც ჩვენი ავადმყოფების თუნდაც სულ მცირე ნაწილს რაიმეს უშველის?! მაგრამ ყველაფერი ფინანსურ პრობლემებთან და ჩვენს მატერიალურ სიდუხჭირესთანაა დაკავშირებული.

ჰემატოლოგიის ინსტიტუტის ციტოგენეტიკის ლაბორატორიის

ხელმძღვანელი აკა მედგენიძე:

— იდეა, პლაცენტარული სისხლის ლეიკოზის სამკურნალოდ გამოყენებისა, ჩვენს ინსტიტუტში, ჯერ კიდევ 30-40 წლის წინ გამოთქვა პროფესორმა აბდუშელაშვილმა, რომელიც ლეიკოზის ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა. მან იცოდა, რომ პლაცენტის სისხლი შეიცავდა ღეროვან უჯრედებს. მისი ხელმძღვანელობით, 60-იან წლებში ამ მიმართულებით მხოლოდ ერთი საკანდიდატო დისერტაცია გაკეთდა — ის კეკელიშვილმა დაიცვა, რომელიც შემდგომში ჩვენი ინსტიტუტის დირექტორი გახდა. დისერტაცია ძაღლებზე ჩატარებულ ექსპერიმენტებს ეყრდნობოდა: ლეიკოზით დაავადებულ ძაღლებს უსხამდნენ ახალშობილი ლეიკვის სისხლს და აკვირდებოდნენ დაავადების შემდგომ განვითარებას. შედეგები დადებითი იყო, მაგრამ შემდგომ წლებში, რატომღაც აღარ დაინტერესდნენ ამ საკითხით და აღარავინ განავითარა იგი პრაქტიკულად...

— ამ სიახლის გაცნობის შემდეგ, ბევრი დაავადებული ბავშვის დედა მოისურვებს, რომ გააჩინოს მეორე შვილი პირველის გადასარჩენად. თქვენს ლაბორატორიაში შესაძლებელია თუ არა ქსოვილოვან შეთავსებაზე ანალიზის გაკეთება?

— ანალიზის გაკეთება შეთავსებაზე შესაძლებელია, მაგრამ ჩვენ პრაქტიკულად ვერ განვახორციელებთ მკურნალობის ამ მეთოდს, ვიდრე იგი სრულყოფილად არ იქნება შესწავლილი და ათვისებული ჩვენს კლინიკაში.

— რას გვეტყვით ლეიკოზის მკურნალობის მიზნით ხელოვნური განაყოფიერების დანერგვის პერსპექტივაზე?

— გენური ინჟინერია საქართველოში მხოლოდ შესწავლის სტადიაშია და მის პრაქტიკულ გამოყენებამდე ალბათ ძალიან შორსა ვართ. ამას სჭირდება დიდძალი

ფინანსები და მხარდაჭერა, რაც ჩვენთვის, ალბათ დიდხანს დარჩება გადაუჭრელ პრობლემად.


ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი რამაზ შენგელია:

— სიახლე მეტისმეტად საინტერესოა და ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ დავიწყოთ მუშაობა მისი პრაქტიკაში დანერგვისათვის. პირველ ეტაპზე, ალბათ უნდა მოისინჯოს ბუნებრივი გზით გაჩენილი ბავშვის პლაცენტის სისხლის გამოყენება ლეიკოზის სამკურნალოდ. თუ მეთოდმა გაამართლა, ეს იქნება ორმაგად კარგი საქმე: ჯერ ერთი, ერი გამრავლება და, მეორეც, ავადმყოფების განკურნების შანსი გაჩნდება. რაც შეეხება „სინჯარის ბავშვებს“, ჯერ უნდა გაირკვეს, რა აზრისაა ეკლესია ამ საკითხზე, რამდენად მისაღებია, თუნდაც ემბრიონის დონეზე, ადამიანის ბედის გადაწყვეტა ექიმთა მიერ.

ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის ინსტიტუტის გენეტიკის განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ანა გოგელია:

— ეს არაჩვეულებრივი სიახლეა. ჩვენ ყველანაირად დავუდგებით მხარში მას, ვინც მოისურვებს ახალი მეთოდის დანერგვას პრაქტიკაში, მაგრამ ყველა პრობლემა ფინანსებთანაა დაკავშირებული. ჩემი აზრით, საკითხის შესწავლა სწორედ ჩვენმა ინსტიტუტმა უნდა დაიწყოს და მანვე უნდა განსაზღვროს მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივა ჩვენს რესპუბლიკაში.

ბუნებრივია, ამ პრობლემაზე ახალი ინფორმაციის მიღებას კვლავაც ვეცდებით და ჩვენი ჟურნალის მკითხველებსაც მივაწვდით.



იცნობდეთ: მიხეილ გიორგაძე, სანდრო ბითაძე, გიორგი კერესელიძე, კახა კანდელაკი და დავით მენაბდე — „შესანიშნავი ხუთეული“, რომელმაც არაერთხელ მიანიჭა საზოგადოებას ჭეშმარიტ ხელოვნებასთან ზიარების დაუფინყარი ბედნიერება.
გავიხსენოთ: ჯეიმს ბრაუნი, რეი ჩარლზი, როი ეიერსი, ზავინული, ბილი კობემი, ჟან ლუქ პონტი...

EASTERN-PROMOTION

ნახტომი წელიდან – მოუბიზნესში

მელა გობსაძე

ფირმის ყველა მესვეური, დავით მენაბდის გარდა (იგი მოცეკვავე გახლავთ), ყოფილი წყალბურთელია. ნახტომი წელიდან მოუბიზნესში წარმატებული აღმოჩნდა. პარტნიორებით კმაყოფილმა ჯეიმს ბრაუნმა EASTERN-PROMOTION-ს რეკომენდაცია გაუწია CIC-ში (მოუბიზნესის საერთაშორისო ცენტრი), სადაც მილიონიანი ქრთამითაც ვერავინ შეაღწევს – მოუბიზნესის მთელი „ვეშაპები“ იქ არიან, თანაც ყველა მილიარდერია. ეს ბრწყინვალე სავიზიტო ბარათია ნებისმიერი დონის მსოფლიო ვარსკვლავთან საქმიანი მოლაპარაკებისთვის.

სანდრო ბითაძე, ტექნიკური დირექტორი:

– ჩვენი უკანასკნელი სპორტული გამოსვლა 1993-94 წლებში იყო. კიოლნში, უმაღლეს ლიგაში ვთამაშობდით. აქ რომ ჩამოვედით, ყველაფერი დანგრეული დაგვხვდა. ბუნებრივია, დადგა საკითხი – რა გვეკეთებინა. მე და მიშამ, იტალიური წარმოშობის ამერიკელ ქალბატონთან, როზმარი ვენესიზილთან ერთად დავიწყეთ ახალი საქმე – განათების აპარატურის ბიზნესი. მაშინ თითქმის ყველა კონცერტი ჩვენი განათებით ჩატარდა. ამჟამად ეს ქალი ერევანშია. მუსიკა ყოველთვის უზომოდ გვიყვარდა. სახლებში ფირფიტების მდიდარი კოლექციებიც გვაქვს. საზღვარგარეთ, როდესაც შეჯიბრებებზე ჩავდიოდით, პირველად იმას ვაზუსტებდით – ხომ არ იყო მოსალოდნელი საინტერესო გასტროლები და სად ტარ-

დებოდა ყველაზე კარგი დისკოთეკა. ძალიან მოგვწონდა ლათინოამერიკელი და სინგაპურელი გოგონები...

– **მაინც რომელი უფრო მოგწონდათ?**

კახა კანდელაკი:
– აბა, რა გითხრათ, ძალზე სხვადასხვანაირები იყვნენ. ისე, კანი ყველას ფანტასტიკური ჰქონდა. თანაც, მაშინ სხეულს უფრო ვაქცევდით ყურადღებას, ვიდრე ჭკუას.

– **ქართველი გოგონები დაგინაგრავეთ...**

კახა:
– მე, პირადად, თბილისელი გოგო პირველად 23-24 წლის ასაკში გავიცანი. მოკლედ, ჯერ კიდევ მაშინ, საბჭოთა პერიოდში, დისკოთეკის ტემპით ვცხოვრობდით. ვცეკვავდით მაშინ, როდესაც საჯაროდ ცეკვა ჩვენში სირცხვილად ითვლებოდა. ერთხელ, დისკოთეკაზე ორი

კახა კანდელაკი (მარცხნივ) და სანდრო ბითაძე



„ძველი ბიჭი“ სპორტსმენი წამოგვეყვადა და ძალიანაც „გაუტეხს“. შემდეგ გვემუქრებოდნენ – თბილისში არ გაამხილოთ, რომ ვიცეკვეთ, თორემ მოგკლავთო...

– **მოგვიყვებით, როგორ დაგებადათ უცხოელი ვარსკვლავების ჩამოყვანის იდეა...**

კახა:
– იმ პერიოდში ერთ-ერთი მსხვილი ფირმის მარკეტინგის მენეჯერი გახლდით – რეკლამის საქმეს ვუძღვებოდი. სწორედ მაშინ გავაკეთეთ რეი ჩარლზის პროექტი ვაზო ლალიძესთან, ზაზა შენგელიასა და ვათა ჯორჯიკიასთან ერთად. პირველ ჯაზ-ფესტივალებში მეგობრებითურთ ვიყავი ჩართული – მაშინვე, გაიოზ კანდელაკი, ადრე ფილარმონიის დირექტორი იყო. ამდენად, ამ სფეროში, გარკვეულწილად ჩახედულიც გახლდით; პირადი კონტაქტებიც დაგვემძარა. მოკლედ, ვიცოდით, რაზე მივდიოდით, რა და როგორ უნდა გვეკეთებინა, ვისი მოწვევა ღირდა...

– **იცით, თქვენი ფირმის საქმიანობაზე ასეთი მოსაზრებაც გამიგონა – ძირითადად, ძველი, ყავლგასული ვარსკვლავები ჩამოყვავთო. რას უპასუხებდით?**

სანდრო:
– ვუპასუხებდი, რომ ამის მთქმელი ვერ ერკვევა მუსიკაში. არსებობს მარადიული ფასეულობები და ცვალებადი მოდა. მაშინ, მოდით, თბილისში პიკასოს გამოფენას ნუ გავმართავთ და რომელიმაც ფარვან-ავანგარდისტი ვერნისაჟი მოვაწყოთ, რომელიც, ცხადია, პიკასოსთან ვერ

მივა, მაგრამ მოდაშია. როგორ შეიძლება ყავლგასულები იყვნენ მუსიკის ისეთი მეტრები, როგორებიც არიან: რეი ჩარლზი, ან ჯეიმს ბრაუნი?! როგორ შეიძლება მოძველდეს ზავინული?! კლასიკა არ ძველდება. აი, რიკი მარტინს, უბრალოდ, არც მოვიწვევთ – ჩვენ ჭეშმარიტ მუსიკაზე გვაქვს ალბუმი ორიენტაცია.

— გაგიმართლათ? პრესაში ხშირად „სიყვითლე“ ამარცხებს სერიოზულ ჟურნალისტიკას...

სანდრო:

— წარმოიდგინეთ, ხალხმა ძვირფასულობაც კი ჩააბარა, ოღონდ რეი ჩარლზის კონცერტს დასწრებოდა. ეს რაზე მეტყველებს?! თავად მომღერალიც ისეთი ნასიამოვნები დარჩა პუბლიკით, რომ დამატებით 20 წუთი გვანუჯა – ეს ძალზე იშვიათად ხდება. ჩვენ კი ასეთი მასშტაბური ღონისძიების მოწყობით გამოცდილება მივიღეთ. რეი ჩარლზის შემდეგ, ისევ იმ ფირმის ეგიდით მოვიწვიეთ მესიო პარკერი – ფანკ-სოულის კორიფე, რომელიც ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა. პუბლიკა იმდენად მოეწონათ, რომ საათ-ნახევრის ნაცვლად, 4 საათიანი კონცერტი ჩაატარეს. ფილარმონიაში დამჯდარ ადამიანს ვერ ნახავდით – 14-დან 70 წლამდე ასაკის მსმენელი, უკლებლივ ყველა ცეკვავდა. ხალხმა მგონი, რამდენიმე კილო დაიკლო...

— ადგილობრივი შემსრულებლების მიმართ არაფერს გეგმათ?

სანდრო:

— ჩვენ გვყავს ნამდვილად ძლიერი და უნიჭიერესი მუსიკოსები და შემსრულებლები. საკმარისია დავასახელოთ: დათო ევგენიძე, ვატო კახიძე, დათო ჯაფარიძე, ვია სალაღიშვილი, მერაბ სანოძე, დავით მაზანაშვილი, ზურა რამიშვილი, პავლე კვაჭაძე...

— მოხსენიებული გვარები ხშირად აფიშებზე არც გამოჩენილია...

კახა:

— ჭეშმარიტი მუსიკა გვაქვს მხედველობაში და არა მოდა და კომერცია. ესენი ჭეშმარიტი მუსიკოსები არიან, თავის საქმეს ჩუმად აკეთებენ და, ასე ვთქვათ, არსად „ეტიწებიან“ – ამიტომ რჩებიან ჩრდილში. ერთხელ სტალიონეს უთქვამს: „მსახიობი დასტინ ჰოფმანია – მე მხოლოდ ვარსკვლავი ვარ“. ასეა მუსიკაშიც. დასახელებული მუსიკოსებისგან, ნებისმიერი იმსახურებს მსოფლიო მას-

შტაბით წარდგენას, მაგრამ ეს დიდ თანხებთანაა დაკავშირებული – რეკლამა ძვირი ჯდება, ურეკლამოდ, უძლიერესი მუსიკოსის კონცერტზეც კი არააინ მივა. სამწუხაროდ, ჩვენში ბიზნესი არსებით შემოსავალს არ მოიტანს, სანამ საშუალო ფენა არ ჩამოყალიბდება და ყველას არ შეეძლება ბილეთის შეძენა.

— ე.ი. ადგილობრივ დიდოსტატებს მსოფლიო მასშტაბით გასვლის შანსი არა აქვთ?

სანდრო:

— ვაკეთებთ იმას, რაც შესაძლებელია. ხელმისაწვდომი რეკლამის არცთუ ისე ურიგო ფორმაა, ერთობლივი კონცერტები აღიარებულ მუსიკოსებთან. ამ მხრივ, დიდი მიღწევა იყო რიკი ეიერსის „ესილ ჯაზისა“ და თბილისის ბიგ-ბენდის (ხელმძღვანელი გივი გაჩეჩილაძე) ერთობლივი გამოსვლა ფილარმონიაში. პირველი განყოფილება ბიგ-ბენდს დაეთმო, დასკვნით ნაწილში ერთად დაუკრეს. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ ასეთი პროექტების განხორციელებას.

— იცით, ცოტა უცნაურიც კია, რომ ამ საქმეს სპორტსმენები შეეჭიდნენ...

კახა:

— მუსიკა ჩვენთვის მეორე ადგილზე არასოდეს მდგარა. 1999 წლის სექტემბერში ჩატარდა რეპისა და ჰიპ-ჰოპის ფესტივალი. ექვსი ჯგუფი ჩამოვიყვანეთ, 15 ქართული ჯგუფი გვყავდა. ბოლოს ერთად იმღერეს.

სანდრო:

— დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ცოცხალი მუსიკის პოპულარიზაციას. ფონოგრამა მსმენელის მოტყუებაა. თუმცა, მასა ფონოგრამას ცოცხალი შესრულებისგან ვერც კი არჩევს და სწორედ ამით განსხვავდება პროფესიული – ე.ი. მუსიკაში კარგად გარკვეული პუბლიკისგან. სხვათა შორის, პროფესიულ მუსიკოსსაც ერთი შეხედვით განასხვავებ ვარსკვლავისაგან, თუნდაც იმით, რომ უადრესად სადა და მორიდებულია. აი, კირკოროვის ჭირვეულობას რომ ვუყურე, მარ-



ჯეიმს ბრაუნი, მეუღლითურთ, პრესკონფერენციაზე

თალი გითხრათ, ძალზე ცუდი განცდა დამეუფლა.

— თუ შეიძლება, ჯეიმს ბრაუნზე მოგვიყვით...

სანდრო:

— ეს იყო ყველაზე ძვირად ღირებული პროექტი, რაც კი საქართველოში განხორციელებულა. წარმოიდგინეთ, მხოლოდ ტანსაცმელი (სულ ვერსაჩეს ფირმის) 120 ათას დოლარად დავაზღვიეთ. მოკლედ, მივიღეთ მეფე ამალით – 45 კაცი ჩამოჰყვა. მისი შოუს ყოველი შემსრულებელი თავადაც უძლიერესი ვარსკვლავი გახლავთ. ასეთი მდიდარი, „ჩაბრილიანტებული“ კოლექტივი არც გვიანახავს. ბრაუნი ფანტასტიკური პიროვნებაა – ძალზე უშუალო, ხალისიანი, მაგრამ უმკაცრესი ტექნიკური მოთხოვნები წამოგვიყენა და ყველაფერი შეგუსრულეთ, „ლაგუნა-ვერეს“ მესვეურთა – ვლადიმერ ლიაშვილისა და ცისანა მჭედლიძის დახმარებით. როდესაც აეროპორტში პასპორტი მოსთხოვეს, ხუმრობით იუკადრისა – რა პასპორტი, რის პასპორტი, შემომხედეთ და დარწმუნდებით, რომ ჯეიმს ბრაუნი ვართ. მეც, ჩვენებს ვითომ მარკა ავუწიე – როგორ გეკადრებთ, კანონი – კანონია, ჩვენს ქვეყანაში გამონაკლისებს არავისთვის უშვებენ მეთქი. მერე, ჩაბნელებულ ტრასაზე რომ მოვდიოდით, ალბათ მიხვდა, რა „დაწყობილ“ ქვეყანაშიც ჩამოვიდა... უნდა გითხრათ, რომ დამით III მასივის გზაზე ყველას შიში იპყრობს ხოლმე – გაცეებისაგან თვალები უფართოვდებათ. სამაგიეროდ, ძველი თბილისის მონაკვეთზე, კარგ გუნებაზე დგებიან.

იცით, არც დაიჯერებთ – რუსები ლამის უშუალოდ კონცერტის წინ ჩამო-

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-
მასსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი
და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდ-
ებათ პასუხის გაცემა...

**1. ვის ადარებდა საკუთარ
თავს ცნობილი კომლუმიკი
ნარკოპარონი ავგლო ეს-
კოპარი?**



- ა) ალ კაპონეს;
- ბ) რობინ ჰუდს;
- გ) ალბერტ აინშტაინს.

**2. ვინ იყო ეროვნებით სალ-
ვადორ დალის მემუღლე, ბაღა?**



- ა) ფრანგი;
- ბ) ესპანელი;
- გ) რუსი.

**3. რომელი საკრავი უხვარდა
განსაკუთრებით ვანო სარა-
ჯიშვილს?**



- ა) სალამური;
- ბ) ჩელო;
- გ) ფანდური.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

დიან ხოლმე და პატარა რეპეტიციის
შემდეგ, პირდაპირ სცენაზე გარბიან. ამან
კი, მსოფლიო დონის გიგანტმა, ხუთსა-
თიანი რეპეტიცია ჩაატარა. საერთოდ, დასი
სამხედრო რეჟიმში ჰყავს. მას აღმერთე-
ბენ და ამასთანავე, ეშინიათ მისი.

კახა:

— კონცერტზე ისეთ ეშხში შევიდა,
რომ პირდაპირ აუზში ისკუპა, თავისი
ხალხიც მიჰყვა. ბრაუნმა ცურვა არ იცის,
ამიტომ მეც გადავხტი და ამოვიყვანე.
შოუს წვერებს „გმირობისთვის“ 500-500
დოლარი ჩამოურიგა, მე კი მარჯა მარ-
ჯური წარწერით: „ჩემს მხსნელს“.

**— მოკლედ, მუსიკალური
სამყარო თქვენთან ვალშია...**

კახა:

— იცით, მერე ზოგიერთმა გაზეთმა
დაწერა, თითქოს აუზში გადახტომის
ფაქტი არ ყოფილა. არადა, ამ ფაქტის
მოწმე 5 ათასი მაყურებელი იყო.

**— დარწმუნებული ვარ, ქუ-
ლიობაც თავი განსაკუთრებით
დაგამახსოვრათ...**

სანდრო:

— ქულილი „კაი ძველი ბიჭია“, ხუთ-
ჯერ იყო დაპატიმრებული სხვადასხვა
დანაშაულისთვის (იარაღის ტარება, აღ-
ამიანის დაჭრა, ნარკოტიკების მიღება).
ახლა ნარკოტიკებს „გაეუტა“,
ვარჯიშობს, მთელი მსოფლიოს მასშტა-
ბით ატარებს ნარკოტიკების საწინააღმ-
დეგო აქციებს. გარდა ამისა, აფინანსებს
საბავშვო პროგრამებს. საერთოდ, გიჟდე-
ბა ბავშვებზე — თავადაც 7 შვილი ჰყავს
ნაირ-ნაირი ქალისგან. თავს „ბებიმიქ-
მამის“ — „ბავშვების მკეთებელ მან-

ქულილი ქართველ ბავშვებთან ერთად



ქანას“ ეძახის...

**— ქალების საკითხში „ცუ-
ლლუტი“ რომ არის, პირდაპირ
ეთერშიც დაამტკიცა — კი-
ნალამ ქალი მოგვტაცა (ტე-
ლეჟურნალისტი ნატა ამალლო-
ბელი მყავს მხედველობაში,
რომელიც ინტერვიუს დროს
ხელში აიტაცა და „კადრიდან“
გაიყვანა...)**

სანდრო:

— მე, პირადად, სანთებელა „დამაწ-
ერა“. ისე მოეწონა, ჩამაცვიდა — ჩემსაში
გამიცვალეო. ჰოდა, მეც გაუცვალე „ფირ-
მა“ სანთებელა, რაღაც ოცნებებიან ხარახ-
ურაში. მერე მითხრა, ხომ მაგარი სანთე-
ბელა მოგეცო. კი, გმადლობ-მეთქი.

**— ე.ი. თან „დაგანერათ“,
თან მადლობაც მოგახდევინათ?**

სანდრო:

— რა გაეწვობოდა! ისე, ურთიერთო-
ბაში სასიამოვნო პიროვნებაა. როგორც
გავიგეთ, ახლა ფილმში გადაუღიათ —
ჯეკი ჩანთან, რიჩარდ გირსა და სილ-
ვესტერ სტალონესთან ერთად.

**— კიდევ რომელი ვარსკვ-
ლაგების ჩამოყვანას აპირებთ?**

სანდრო:

— სტინგის ჩამოყვანა გვინდოდა, მა-
გრამ ბილეთი ისეთი ძვირი გამოდიოდა
(100-130\$), რომ უარი ვთქვით. მისი მე-
ნეჯერი გაოცებული დარჩა... ჩვენი მო-
მავალი პროექტი ჯაზ-ფესტივალთანაა
დაკავშირებული. წინასწარ არ გეტყვით,
ვის ჩამოყვანას ვაპირებთ, მაგრამ გპირდ-
ებით, რომ ეს უ-უ-შეშველებელი ვარსკვ-
ლაგი იქნება!..

ჩემი რესპონდენტი თავდაჯერებული ადამიანია. მისი სახელი სწორად გაიფიქრებს ხოლმე სხვადასხვა სკანდალურ ამბავთან დაკავშირებით. ის ბუნებით მეზრძოლი კაცია და როცა იბრძვის, თურმე თავი ყოველთვის ამა თუ იმ ნაწარმოების გმირად ჰყავს წარმოდგენილი. მის სასიათში, როგორც თავად ამბობს, დრაიზერისა და ჰემინგუეის პერსონაჟთა შტრიხები სჭარბობს. და კიდევ ერთი თვისება — ის ძალზე ამბიციურია... იმდენად ამბიციური, რომ საქართველოს პრეზიდენტობასაც აპირებდა. დღეს ის მართლაც პრეზიდენტია — ოღონდ ადვოკატთა კორპორაციის. ალბათ მიხვდით — „გზის“ სტუმარი, ადვოკატი ქართლოს ღარიბაშვილია.



ქართლოს ღარიბაშვილი:

„ჩემს წიგნთსახლში მეგობრებს ჩაქოვს მითხროს — წახამ ერთმანეთი ვკოყვარს, რაჯცვილოცითო...“

— იმე რიკაძე

— პარლამენტის იურიდიულ კომიტეტთან კეთილგანწყობა არც უწინ გვქონია და არც ახლა გვაქვს. ისინი თავისთან ყოველთვის „თავიანთ“ ადვოკატებს ეძახდნენ, რომლებიც ყველაფერზე თავს დაუქნევდნენ. არც ერთ კანონპროექტზე მუშაობისას ჩვენთვის არ უხმიათ. ამ კომიტეტთან ადვოკატების დაპირისპირების მიზეზი ის არის, რომ უხეშად შეგვეხნენ. გამოცდებში არ არის საქმე. ჩვენს პოლიტიკურ ელიტაში თუ ვინმეს ისეთი აკადემიური მოსწრება ექნება, როგორც მე მქონდა ყოველთვის, ორივე ხელს ავწევ. მე „ოთხიანი“ არასოდეს მიმიღია. ესენი ვინ არიან?! „ოროსნები“. ზურაბ ადგიშვილი ასპირანტურიდან, გამოცდების ჩაუბარებლობის გამო გაირიცხა. გამოცდების ჩაბარების მოთხოვნით მათ გვითხრეს — თქვენ ადვოკატები აღარ ხართო. ამას ემატება მეორე მოთხოვნაც — ადვოკატობას ჩვენ გაძღვეთ და ამიტომ უნდა დაგვემორჩილოთო. ვის დავემორჩილო — შევარდნაძეს, ყვანიას, კახა თარგამაძეს, კობა დავითაშვილს, ადგიშვილს თუ ვის? ამათ მოთოკვის სასამართლო (იქ უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა, ფულს უარესად იღებენ), მოთოკვის პროკურატურა, თოკავენ საგადასახადოს, ცდილობენ ჟურნალისტების მოთოკვას (მაგრამ ვერ ვთოკავენ). შესაბამისად, დაიწყეს ჩვენი მოთოკვაც. გამოცდები საბჭოთა საქართველოშიც ძალიან სერიოზული „ბიზნესი“ იყო. სახელმწიფო ინსპექციაშიც და სასამართლოშიც ამიტომ ჩატარდა გამოცდები. ეს ორმაგი კორუფციის წყაროა. მშვიერი გამოცდელეები ფულს იღებენ — ყოლიან ტესტებს, კონსულტა-



ციებს და კიდევ, უცხოეთიდან იღებენ გრანტებს — ვითომ გამოცდების ორგანიზებისათვის. მანდ ძალიან სერიოზულ ფულზეა ლაპარაკი. ეგენი სულ „გრანტოვინები“ და „გრანტოვინები“ არიან. გვარების დასახელებაც შემიძლია — „გრანტოვინია“ ზვიად კორმაძე, ასეთივეები არიან მის გარშემო მყოფი ადამიანებიც. ახლა ვარკვევთ, რა თანხებია ჩადებული „ადვოკატების გამოცდებში“ და ყველაფერს წინ დაგულაგებთ.

— გასაგებია თქვენი გულისწყრომა, მაგრამ საცვლებს ფერზე საუბარი რაღაში დაგჭირდათ?..

— ჩემი მეგობრები მეუბნებიან, „ტრუსიკი“ არ უნდა გეხსენებინაო. ეს შემთხვევით წამომცდა... ეს ფრაზა სხვა კონტექსტში ვინმარე — ჩვენ ყველაფრის შემოწმება შეგვიძლია-მეთქი და ჩემმა ნათქვამმა სულ სხვა მიმართულება მიიღო. მერე რაღაც ორიენტაციაზე გაკეთდა აქცენტი, მაგრამ ხომ იცით... ვისაც რა სტკივია... ზოგიერთ პარლამენტარზე, რამდენიც არ უნდა იძახო, სექსუალური გადახრა აქვსო, ეგეთი ჭორი მაინც არ გაერცვლდება. ადგიშვილის, როგორც იურისტის არსებობა, არც ვიცოდი, მას კონკრეტული საქმის გამო დაუპირისპირდი — ვურჩიე, რომ არ მიეღო მადესტაბილიზებელი კანონი. როცა ვესაუბრებოდი, შესამოწმებელი ხარო, მითხრა... ამისთვის დაგვჯი... თანაც ისე, რომ სასჯელის ფორმას თვითონ მოიფიქრებს — რაზე თქვას უარი და რაზე არა. დამიპირისპირდა ირაკლი ოქრუაშვილიც. ამ კვირაში დაგვყენებ საკითხს, რომ ის ბრალდებულის სახით იქნას მიცემული პასუხისმგებში და აღმკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდოს პოლიციის ზედამხედველობა, პოლიციელის — ბეჟან ნადირაშვილის ცემის გამო. ერთი, სცადოს სააკაშვილმა მისი დაცვა. სცდის და ისეთივე დღეში ჩავარდება. ირაკლი ოქრუაშვილს ჩემს კვალიფიკაციაში ეჭვი შეეპარა... ჰოდა, მასზე ცოტას ავიმაღლებ კვალიფიკაციას...

— როგორც ჩანს, სწორად გინვეთ დაპირისპირება ადამიანებთან. კონფლიქტური ხართ?

— პირველი არასოდეს ვიწყებ კონფლიქტს... უბრალოდ, ვერ ვიტან სულში ფაუტურს, ისე, რომ არც მეკითხებიან. ამით ჩემს შინაგან თავისუფლებას ხელყოფენ და აქედან გამომდინარე ჩემი რეაქციაც.



ზაფხული და შემოდგომა ისე გავი-
და, რაც საგამოძიებო საქმეები ჰქონ-
დათ, წავართვით... ეგენი ნოლზე
დავსვით, ფულს ველარ აკეთებდნენ,
მთელი ფული ჩვენთან მოდიოდა
— ყველას ჩვენ ვიცავდით.

— რაკი ფული ახსენეთ,
ღარიბაშვილმა საპრეზიდენტო
არჩევნები ჩემი ფულით (4.000
დოლარით) დაიფინანსაო, —
ასე ამბობდა თქვენი ერთი
კლიენტი — ბორდელის შეფი...

— თქვენ როენა ხუცურაულზე
მეკითხებით, ხომ?.. მას ადვოკატი
სჭირდებოდა და გააფორმეთ ხე-
ლშეკრულება. თანხის ნახევარი მან
საქმის წარმოების დაწყებისას
შემოიტანა, მეორე ნახევარი საქმის
შეწყვეტის შემდეგ უნდა გადაეხა-
და. მას ბრალად ბუნავის მოწყობა ედებო-
და... მისი საქმე შეწყდა და თუ კანონიერე-
ბის დონეზე ვიმსჯელებთ, მას თანხის მე-
ორე ნახევარი მოსატანი აქვს.

— ადვოკატს თუ აქვს უფლება,
კლიენტის წინააღმდეგ მისცეს ჩვენე-
ბა?

— ადვოკატს, ისე, როგორც ჩვეულებრივ
ადამიანს, კანონი ავალდებულებს, თქვას სი-
მართლე საქმესთან დაკავშირებით. არის
მეორე საკითხიც — გაქვს თუ არა იმ
ინფორმაციის გამჟღავნების უფლება, რაც
კლიენტისგან მიიღე. მორალურად ამის
უფლება ადვოკატს არ აქვს, მაგრამ ამით
წინააღმდეგობა იქმნება სასამართლო პრო-
ცესთან მიმართებაში. აქ გასარკვევია, საიდან
ვლებულობ ინფორმაციას. თავის დროზე
ვთქვი, — მიშა ოთარაშვილმა ხრიკულის
გაშვებაში 20 ათასი აიღო-მეთქი. ეს ინ-
ფორმაცია საქმიდან მქონდა... ამაზე კი მე
ბრალდება წამიყენეს.

— ალბათ, ამის გამო გავრცელ-
და ჭორი, რომ თქვენ „ელიზის“
პრეზიდენტის წინააღმდეგ მიეცით
ჩვენება.

— ელიზარაშვილს მე კი არა, მთელი
კორპორაცია იცავდა. 13 ბრალდებულიდან
12-ს ჩვენ ვიცავდით. მთლიანად ვაკონ-
ტროლებდით, რომ ვინმეს ელიზარაშვი-
ლის წინააღმდეგ არ მიეცა ჩვენება. შედე-
გად, ის გავთავისუფლეთ. ელიზარაშვილმა
ვის რამდენი და სად გადაუხადა, თვითონ
თქვას. მოვა დრო და მაგასაც აეხდება
ფარდა. მასთან თავიდან არანაირი პიროვნე-
ლი დაპირისპირება არ მქონია, მაგრამ თვი-
თონ დამიპირისპირდა. ამის ერთ-ერთი
მიზეზი იყო ჩემი განცხადება — ელიზარაშ-
ვილმა სასამართლოს ჩვენება უნდა მისცეს-
მეთქი. ამის მერე გვეკონდა არასასამართლო
ლაპარაკი. მას ადვოკატი სივარეტის გამყ-
იდველი ეგონა. ელიზარაშვილის საწი-

ნააღმდეგო ჩვენება არსად მიმცია. იმ 20
ათასის ამბავი, ზემოთ რომ გითხართ, არც
გამიმჟღავნებია, რომ მისგან ვიცოდი. მე
იქით მაქვს პრეტენზიები ელიზარაშვილთან,
თუნდაც ჩემი „ჯიპის“ გამო. მან, ბანკთან
შეთანხმებით, საგარანტიო წერილი მომცა,
რომ ყოველთვიურად გადაიხდიდა განვადე-
ბის თანხას სულ — 25 ათასს (ჯიპი 40
ათასიანია), მაგრამ ეს ფული აღარ გადა-
იხადა (ეს იყო ჩემი გასამრჯელო). ეს
საქმე დღეს სასამართლოშია. ამის გამო ის
დაისჯება. როგორ გამოდის? როცა „გაგვლ-
ილი“ ხარ, მოდიხარ ჩემთან, გამომყავხარ
და მერე აქეთ მიტრიალდები. როცა ჩემი
გამოყვანილი ხარ, იქით „გაგვლად“ კიდევ
— რა პრობლემა?!

— როგორც ჩანს, საკმაოდ მა-
ღალ პონორარებს გიხდინა... რის
მიხედვით იღებთ გასამრჯელოს —
მთავარი, განუვლი სამუშაოა თუ
კლიენტის ჯიბე?

— მდიდარს და ღარიბს ფულს ერთ-
ნაირად ვერ მოსთხოვ... ჩვენთან ევროპუ-
ლი სტანდარტები არ არსებობს. შეთანხმე-
ბა ინდივიდუალურად ხდება. ერთსა და
იმავე სიმძიმის საქმეში შესაძლოა, სხვა-
დასხვა ანაზღაურება მოვითხოვო.

— თქვენი ყველაზე დიდი პონ-
ორარი რამდენი იყო?

— 1997 წელს გადამიხადეს განქორ-
წინების საქმეში — 40 ათასი დოლარი.
ბევრმა ეს არ დაიჯერა, მაგრამ ზოგჯერ
კაცი, როცა ვიღაცის შერთვა უნდა, 40-ს
კი არა, 100 ათასსაც გადაიხდის და ზოგი-
ერთმა კი ცოლის მოშორებისთვის 40 კი
არა 400 ათასიც შეიძლება გადაიხადოს.

— „ვისისტა“ ქართლოს ღარიბ-
აშვილი?

— არავისტი... თუმცა შემიძლია გითხრათ,
რომ ვარ „ადვოკატისტი“. მე 1500 ად-
ვოკატის ადვოკატი ვარ. სამაგიეროდ ჩემს
საქმეში დამცველად 1500 ადვოკატი მყავს.
ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ისინი ჩემი
მიმდევრები არიან... ჩვენ, ადვოკატები ვიცავთ
ჩვენს მოქალაქეებს. მათი ღაცვის მექანიზმს
ვექმნით ხელისუფლებისგან.

— ხელისუფლების მიმართ
ყოველთვის ძალზე კრიტიკული ხართ...
მაგრამ მაინც — ვინ იწვევს თქვენს
სომხეთის ყველაზე მეტად?

— კახა თარგამაძე... და იცით, რატომ?
— პროფესიონალია. პოლიციელსა და ად-
ვოკატს ის შენების წერტილი გვაქვს,
რომ საპირისპირო პოზიციებზე ვართ, მა-
გრამ ის თავისი საქმის მცოდნეა. კახა
თარგამაძეს ვერ მოხსნიან. კახას ვურჩევ-
დი, მტკიცე ნებისყოფა გამოიჩინოს. ვიცი,
რაც არის ეს იმპიჩმენტების პროცედურე-
ბი. შემიძლია, შევხვედ მას და დავარწმუ-
ნო — ვერც ერთ ქვეყანაში შს მინისტრის

არავისთვის შემირჩენია წყენა... ამ სიტუა-
ციაში ხან ჰემინგუეის, ხან კიდევ ღარიბ-
ერის პერსონაჟებით ვმოქმედებ ხოლმე.

— რამდენიმე წლის წინ გენეროკუ-
რორის ამჟამინდელ პირველ მოადგილე-
სთან, ვენედი ბენიძესთან გქონდათ
კონფლიქტი... მაშინ რაღა მოხდა?

— მაშინ ვენედი ბენიძემ, რომელსაც
საერთოდ არ ვიცნობდი, დამაპატიმრა
(რუსთავეის პროკურორი იყო). ორ-
მოცდაოთხი დღე ვიყავი დაპატიმრებული.
როცა გამოვედი, კვითხე — რა გინდოდა-
მეთქი. ჩვენს უწყებას შეურაცხყოფას აყ-
ენებდი და იმიტომ დაგაპატიმრეთ. თქვენი
უწყების დამარსებლის-მეთქი... და გავუშ-
ვი ათსართულიანი... რას გაუფრთხილდა
მაშინ ბენიძე? თუ პროკურორის მუნდირს,
მაშინ მოსამართლედ რაღას გარბოდა... მა-
გათ ჩემი, როგორც ადვოკატის გაჩერება
უნდოდათ, თბილისში ვერ ნახეს ასეთი
პროკურორი და ბენიძეს, რომელსაც მანამ-
დე არავინ იცნობდა, გააკეთებინეს ეს საქმე.
ამის შემდეგ მას მისცეს თბილისის სა-
ოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოად-
გილის თანამდებობა, დღეს კი გაა მფარისმ-
ვილმა წაიყვანა მოადგილედ.

— ეი. თქვენი გაიკეთა კარი-
ერა?

— და ჩემითვე დაამთავრებს. საერთოდ,
ასეა ადამიანი: რითიც იწყებს, იმითვე
ამთავრებს. ისე, რაიმე ბოროტება მის მი-
მართ არ მამოძრავებს. ეს საქმე 1997
წელს აღიძრა და წელს დაიხურა, თანაც
თბილისის საოლქო სასამართლომ კი არ
განიხილა — ქუთაისში გადაიტანეს. პროკუ-
რატურამ უკან წაიღო თავისი ბრალდებე-
ბი... ეს იყო თამაში...

— ვინმეს პიროვნული ინტერესი
ხომ არ ჰქონდა თქვენ მიმართ?

— ასეთი ინტერესი შესაძლოა, ორდღე
ბეზას ჰქონოდა. 1997 წლის გაზაფხული,

მიმართ იმპინჩენტი ვერ განხორციელდება, იმიტომ, რომ ინფორმაცია აქვს ყველაზე იმპინჩენტის პროცედურა იურიდიულად არსებობს, თორემ მისი განხორციელება შს მინისტრის მიმართ გამორიცხულია. მას შეუძლია გამოიძახოს პარლამენტარი ან წერილი გაუგზავნოს – შენზე ინფორმაცია მაქვს და ხელს რაზეც მინდა, იმაზე ასწვევო. შს მინისტრები ან თვითონ უნდა გადადგნენ ან ისინი გადატრიალებებს აწყობენ – ასეთია მსოფლიო პრაქტიკა. როგორც არსენას მხარზე იდგა ხიდი, როცა მასზე ურეში გადადიოდა, ისე ღვას დღევანდელი ხელისუფლება თარგამაძეზე. შევარდნაძეს, უნდა თუ არა, იმ გუნდით, რომელითაც მოვიდა, ბოლომდე უნდა მიიყვანოს საქმე... თარგამაძე და სხვები იმას აკეთებენ, რაც შევარდნაძეს უნდა. ინფორმაციები რომ ვრცელდება – შევარდნაძე ტყვეობაშიაო, არავის ტყვეობაში ის არ არის – ყველა მინისტრი იმას აკეთებს, რაც მას უნდა... პარლამენტშიც არიან კარგი ადამიანები. მე ვენდი ბენიძის მიმართაც არ მაქვს ცუდი განწყობა. ბოლოს იურიდიულ კომიტეტში მოსმენაზე შევხვდი. მივედი და ხელი ჩამოვართვი. საკმაოდ უხერხულად გრძობდა თავს გენპროკურორის პირველი მოადგილე უბრალო ადვოკატის წინაშე. მართალი არ ვიქნებოდი, რომ მეთქვა, შევარდნაძის მიმართ მაქვს სიმპათია-მეთქი. ადამიანმა მოსვლა თუ იცო, წასვლაც უნდა იცოდეთ თავის დროზე რუსეთს, იცით, რატომ შევუერთდით? ერეკლე მოხუცი იყო... დროზე არ იზრუნა მემკვიდრეზე, ვინც საქმეს გააგრძელებდა. კლინტონი 54 წლის კაცი იყო და წავიდა... ხომ არ შეიძლება ისე, როგორც შევარდნაძე აკეთებს... დაიბადე – შევარდნაძე ტაშს გიკრავს, სკოლაში ხარ – შევარდნაძეა, უნივერსიტეტში სწავლობ – ისევ შევარდნაძეა, კვლევი და – გასვენებაში შევარდნაძეა თამადა... ასე ხომ არ შეიძლება?!

— თქვენი გარეგნობის აუცილებელი ატრიბუტი ჩიბუხია. ეს ნივთი თქვენთვის აქსესუარია, თილისმა თუ რაიმე სხვა?

— ლომონოსოვის უნივერსიტეტში ჩემი მასწავლებელი პროფესორი მიმინი ეწოდა ჩიბუხს. მასსოვს, პირველად როდის გავაბოლე – 1979 წლის 23 ოქტომბერს, დისერტაციის დაცვის დღეს. პატარა ბანკეტი გვქონდა, იმ დღეს მოვწიე მიმინის ნაჩუქარი ჩიბუხი. ალექსეი ტოლსტოიმ, როცა კვდებოდა, ერთ თავის მეგობარ მწერალს უთხრა – შენ დიდი საქმე გააკეთე, ჩიბუხის მოწვევა რომ მასწავლეო. ჩიბუხი კარგი გამოგონებაა. როცა ღამე ვმუშაობ და ჩიბუხს ვეწვი, მარტო არა ვარ. ჩიბუხის გაწყობა მთელი რიტუალია. მერე ის

ძალიან მეხმარება ადამიანებთან ურთიერთობაში. ბოლო დროს ჩიბუხი ჩემთვის საეზიტო ბარათად იქცა. დასავლეთში საგზაო ინსპექციამ გამაჩერა, საბუთები მომხოვეს... უნებლიეთ მაშინ ჩიბუხი ჩავიდე პირში, – ბატონო ქართლოს, თქვენა ხართ, როგორ ბრძანდებით? ჩიბუხი კარგია დიალოგის დროსაც. პასუხი ხომ ყოველთვის არ გაქვს ადამიანს. ჩიბუხი ბუნებრივი შეყოვნების საშუალებას იძლევა – თანაც ისე, რომ მოსაუბრე იძაბება. როცა ჩიბუხს ვუკიდებ, შესაბამისად ვეშხადები, გაკვირდებით, დაძაბული ხართ თუ არა, თქვენი ყურადღება სხვა რამეზე გადამაქვს. 7 ჩიბუხი მაქვს, რომლებსაც ვეწვი, დანარჩენები კოლექციაში მიღვეს.

— ზემოთ ბრძანეთ — ჩიბუხი მარტოობის განცდას მისხნისო... რატომ ხართ მარტო?

— ადამიანისთვის სერიოზული პრობლემაა, იყოს თუ არა მარტო. სომერსეტ მოემი ამბობს – ჩვენთვის, ვინც მარტოობის ფასი ვიცით, საშინელებაა იმის წარმოდგენა, რომ 24 საათი ბევრ ადამიანთან ვიყოთ. ეს ისეთივე საშინელებაა, როგორც ამ ადამიანებისთვის მარტო დარჩენა. საზოგადოებისაგან განცალკევება, საკუთარი თავის აღქმა, ადამიანებში არათქვეფა, საკუთარი „მეს“ შენარჩუნება – ეს ხომ სერიოზული პრობლემაა. ეს ცივილიზაციის მაჩვენებელია. სამწუხაროდ, საქართველოში კოლექტიური ცხოვრების წესს ვირჩევთ. ეს ცხოვრება სუსტების ხვედრია. ჩემთვის წარმოუდგენელია ეჭვიანობა, სადარბაზოებში ცდა, თვითდამკვიდრება იმით, რომ ვიღაც ქალზე გავლენა მაქვს, ამაში მთელი ცხოვრება იკარგება.

— იმიტომ არ გყავთ მეუღლე, რომ ეს „მარტოობა“ არ დაკარგოთ?

— ალბათ. მე 60-70-80-იანი საბჭოთა პერიოდის პროლეტტი ვარ. მაშინ ოჯახი მყარი არ იყო და სხვა ფასეულობები არსებობდა. რაც მეტი ქალი გეყოლებოდა, უფრო მაგარი იყავი. რაც უფრო თავისუფალი იქნებოდი ქალებისგან, უფრო „კარგი ბიჭი“ იყავი... მერე

პირობებიც არ იყო... მოსკოვიდან რომ ჩამოვედი, თბილისში ჩაწერა არ მქონდა. ჩაწერის გაკეთება მხოლოდ ერთი გზით შეიძლებოდა – ვილაცასთან ხელი უნდა მოგვეწერა. ჩემთვის ეს ფორმა მიუღებელი იყო. როგორ მივაყენებდი ქალს შეურაცხყოფას, ხელი მომიწერე, რომ თბილისის ჩაწერა მივიღო-მეთქი?! დღესაც, სოფელ ჯორჯიაშვილში ვარ ჩაწერილი.

— არ გყვარებიათ არასოდეს?..

— მიყვარდა, როგორ არა... ყოველთვის რომაელების პრინციპით ვხელობდვარნობდი: თუ გინდა, რომ უყვარდე, გიყვარდესო. თუ ადამიანი არ მიყვარს, მასთან ურთიერთობაც არ მაქვს... მაგრამ სიყვარული რომ პირობითია? შეიძლება მუდმივი სიყვარული? რომელი და ჯუულიტაც, ცოტა ასაკში რომ შესულიყვნენ, ისეთივე შეყვარებულები იქნებოდნენ? როცა შეყვარებული ხარ, ასეთი რამ უნდა გააკეთო... ჩემმა ერთმა ძალიან სიმპათიურმა მეგობარმა ქალმა (ისე, ყოველთვის კარგი ქალები მყავდა...), რომელიც ლიტველი იყო და კუბაში გავიცანი, მითხრა – სანამ კარგი ურთიერთობა გვაქვს და გვიყვარს ერთმანეთი, დავცილდეთ, იმიტომ, რომ ერთმანეთისადმი კეთილგანწყობა შევინარჩუნოთ და შესაბამისად, ადამიანების მიმართაც სიყვარული დავგრძელო. რა სჯობს საზოგადოებისთვის? ის, რომ სანამ შენ გიყვარს ადამიანი, მანამ დასცილდე და შეინარჩუნო სიყვარული ყველაფრისადმი, თუ მოსპო კონკრეტული ქალის მიმართ სიყვარული და ეს გადაიტანი ადამიანებზე?

მეგობრები ყოველთვის მყავდა და მყავს, მაგრამ ყოველთვის ერთ ქალთან ვცხოვრობ.

— შინ სადილს ვინ გიმზადებთ?

— დღემი ერთხელ ვჭამ... ამ პროცესისადმი ქართული დამოკიდებულება არ მაქვს. ჩემთვის საჭმელი საჭიროა, როგორც ენერჯის წყარო. რესტორანში ან სადმე სხვაგან მივდივარ, შინ იშვიათად ვაკეთებ სადილს, თუმცა მეხერხება... კარგად ვწვავ მწვადს, მოსკოვში ხინკალსაც კი ვაკეთებდი.





საქართველოს ბიუჯეტში გარღვევა სამწუხარო ტრადიციად იქცა. მარტში ჩავარდნის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ ბიუჯეტი აპრილში მაინც შესრულდება. როგორც ცნობილია, ამ საქმეში წამყვანი როლი და, შესაბამისად, ძირითადი პასუხისმგებლობაც საგადასახადო შემოსავლების სამინისტროსა და მასში შემავალ საბაჟო დეპარტამენტს ეკისრება. საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბიორგი ბაჩჩილაძემ სადღეისოდ არსებული სიტუაცია ასე დაახასიათა:

საბაჟოს აბსოლუტური ავტონომია უნდა ჰქონდეს

იკა ლომიძე

ბიუჯეტში მართლაც მძიმე მდგომარეობაა. თუმცა, საგადასახადო შემოსავლების კუთხით, საერთო ჯამში, შემოსავლების რაოდენობა გათვალისწინებულზე 10%-ით ნაკლებია. ცხადია, სასურველია, რომ გვემა 100%-ით ან გადაჭარბებით შესრულდეს, მაგრამ არსებული ადმინისტრირების პირობებში მწელია „დაძაბული“ ბიუჯეტის შევსება. იმიტომაც მიმდინარეობს რეფორმა, რომ ბიუჯეტის ჩავარდნა ჩვენი მხრიდან 10%-ითაც აღარ დაფიქსირდეს.

არსებული სიძნელეების გამო, დღეს ყველა ჯოხი მხოლოდ თქვენს დეპარტამენტსა და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროზე ხომ არ ტყდება?

— გადასახადის ამოღება ამ სტრუქტურებს ევალებათ და იმიტომაც კეთდება აქცენტი ჩვენს პასუხისმგებლობაზე.

რეალურად, რა თანხით შეუძლია საბაჟოს შეავსოს ბიუჯეტი?

— ბევრად მეტი, ვიდრე დღეს შეაქვს. მაგრამ შეუძლებელია განვიხილოთ საბაჟოს საქმიანობა სხვა სტრუქტურების საქმიანობისგან დამოუკიდებლად. ერთიანი ორგანიზმი უნდა მუშაობდეს საერთო სიტუაციის სტაბილიზაციისთვის, რომ იქ საბაჟომაც კარგად შეძლოს თავისი მოვალეობის შესრულება და სხვადას. პირველ რიგში, ამისთვის საბაჟოს მუშაობა

უნდა გამოსწორდეს, უნდა შეიქმნას საბაჟოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა, რასაც დიდი თანხები ესაჭიროება და რისი განხორციელებაც, სამწუხაროდ, უახლოეს მომავალში რეალური არ არის.

ინფრასტრუქტურის განვითარებაში კონკრეტულად რას გულისხმობთ?

— უპირველესად, უნდა შეიქმნას კავშირგაბმულობის მობილური სისტემა. ნანახი გეგნებით, რა ხდება რეგიონებში — სადახლოში, ერგნეთში თუ სხვაგან: ელემენტარული პირობები არ არსებობს, მომსახურე პერსონალი ვაგონებში მუშაობს. იქ ადამიანმა შეიძლება ერთი ან ორი თვე იმუშაოს ერთუზიანობაში, მაგრამ შემდეგ, არანორმალური პირობები და კონტროლის სისტემის არარსებობა ათასნაირი სივლანისკენ უბიძგებს მებაჟეს.

ნუთუ წლების განმავლობაში არაფერი გაკეთებულა?

— საბაჟოს არასოდეს ჰქონია დაფინანსება ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის გასავითარებლად, გაიცემოდა თანხები მხოლოდ ხელფასებისთვის. არადა, საბაჟოს განვითარებაში ჩადებული თანხები ინვესტიციის რანგში უნდა განვიხილოთ — რასაც ამ სტრუქტურის განვითარებაში ჩადებ, იმაზე 10-ჯერ მეტს ამოიღებ მომდევნო წელს.

თქვენი აზრით, რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა,

საბაჟო დეპარტამენტი სრულიად დამოუკიდებელი ორგანო რომ ყოფილიყო?

— პერსპექტივაში ეს შეიძლება ასეც იყოს. მაგრამ რომელიმე სამინისტროსთან თანაარსებობის პირობებშიც, საბაჟოს აბსოლუტური ავტონომია უნდა ჰქონდეს, რადგან ეს არის სამართალდამცავი სტრუქტურა და ოპერატიულობა და ავტონომიურობა მას სწორედ იმისთვის სჭირდება, რომ მართვის პროცესში ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერები არ შეექმნას. თუმცა, დღეს რაც ხდება, ესეც ნორმალური მოვლენაა: საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო შეიქმნა იმისათვის, რომ საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებს რეფორმის განხორციელებაში დახმარებოდა და, ასე ვთქვათ, მათი ინტერესების პოლიტიკური ლობი ყოფილიყო პარლამენტსა და მთავრობაში. ეს არის ღრობითი პროცესი და როგორც კი რეფორმები დამთავრდება, სამინისტრო თავის ფუნქციებს ამოწურავს და ეს ორი სტრუქტურა — საგადასახადო და საბაჟო, შესაძლოა, ცალ-ცალკე დარჩეს. თუმცა, ამგვარი საკითხები მთავრობის ეკონომიკური გუნდის გადასაწყვეტია.

თქვენსა და სამინისტროს შორის დაპირისპირების მიზეზი რა იყო?

— არანაირი დაპირისპირება არ ყოფილა. იყო აზრთა სხვაობა, რომელიც მწვავედ გაშუქდა მასმედიაში. სხვადასხვა ეკონომიკურ საკითხზე, ელემენტარულად, განსხვავებული მოსაზრებები გვაქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთო საქმის საკეთებლად არ ვიღვწოდეთ. ჩვენში დათმობაც მოდის და შეთანხმებაც.

როგორც ცნობილია, სულ მალე, კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ეწურება „აი-თი-ეს“-ს, გარკვეული დაპირისპირება მგონი მასთანაც ჰქონდა საბაჟო დეპარტამენტს?

— აქაც ადგილი ჰქონდა აზრთა სხვაობას. „აი-თი-ეს“-ი წლის ბოლოს გაემგზავრება საქართველოდან.

მის ადგილს სხვა უცხოური კომპანია ხომ არ დაიკავებს?

— არა მგონია. საერთოდ, ესეც ეკონომიკური გუნდის გადასაწყვეტია. არსებობს მოსაზრება, რომ „აი-თი-ეს“-ის გამგზავრების შემდეგ, რამდენიმე სტრატეგიულ პროდუქტზე — მაგალითად, ხორბალსა და ნავთობზე მხოლოდ საიმპორტო ან იმპორტის შემდგომი ინსპექტირება გავრცელდეს და ესეც რამდენიმე კომპანიას შეეხება, რომლებსაც მთავრობა შეარჩევს. ეს ოპერაცია ჩვენთვის ბიუჯეტის შევსების თვალსაზრისით არის მნიშ-

ენელოვანი.

— „აი-თი-ეს“-ის მუშაობას როგორ შეაფასებდით?

— ჩვენ მათგან ბევრი რამ ვისწავლეთ. ჩვენი საინფორმაციო სამსახური ყოველდღიურ კონტაქტშია მათ ოფისთან და ვცდილობთ მათი მუშაობის მეთოდების ჩვენში დანერგვას. იმპორტიორები მათ იმაში ადანაშაულებდნენ, რომ ბიუროკრატიული ფაქტორების გამო, საქონელი დიდი ხნით ჩერდებოდა გამშვებ პუნქტებში. ჩვენ ერთობლივად მივიღეთ ზომები და „აი-თი-ეს“-ის წინასასაიმპორტო ინსპექტირების ვადები მკაცრად განესაზღვრათ.

— ბატონო გიორგი, სადა არის საბაჟო გამშვები პუნქტი ცხინვალის რეგიონში?

— ვინაიდან ეს ოფიციალურად ვერა და ვერ ფიქსირდება, ცხინვალის რეგიონში საბაჟოს „მომრავს“ ვეძახით, თუმცა, რეალურად, ისინი არ მოძრაობენ — კარაღეთის „ტეკთან“ დგანან. ცხადია, რაც ხდება, ნორმალური არ არის, მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, ასეა. რადგან როკის გვირაბს აქეთ საქართველოს ტერიტორიაა — ბუნებრივია, საბაჟოც იქ უნდა იყოს. ჩემი აზრით, უნდა მოხდეს სერიოზული ცვლილება კანონმდებლობაში, რომელიც შეეხება ამ რეგიონში კონტრაბანდის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის ფუნქციებს. ჩვენს ტერიტორიაზე, ნებისმიერ ადგილზე დაჭერილი უსაბუთო ტვირთი კონტრაბანდად უნდა ჩაითვალოს და დამჭერს კი არ უნდა დასჭირდეს იმის მტკიცება, რომ კონტრაბანდა დააკავა, არამედ ტვირთის მფლობელს უნდა უწევდეს იმის მტკიცება, რომ მას არ აქვს განუბაჟებელი ტვირთი და გადასახადები გადახდილი აქვს.

— წელან საბაჟო დეპარტამენტის რეფორმაზე ბრძანეთ. როგორც ცნობილია, გამოცდების ჩატარებასაც გეგმავეთ. როდის და როგორ აპირებთ ამის განხორციელებას და ითვალისწინებთ თუ არა ეს პროცესი კადრების შემცირებას?

— გამოცდების შემდეგ საბაჟოში დარ-

ჩება კადრების ოპტიმალური რაოდენობა. არ მოხდება ხელოვნურად შტატების შემცირება ან გაზრდა. რაც შეეხება გამოცდებს, გადაწყვეტილი გვაქვს, რეფორმის ეს მნიშვნელოვანი ეტაპი ჩავატაროთ იენისში, რაშიც კონსულტაციებითა და რეკომენდაციებით დაგვეხმარებიან უცხოელები და საბაჟო აკადემია. მეტი გამჭვირვალობისთვის, 2000-მდე საგამოცდო კითხვა გამოქვეყნდება წინასწარ, რათა ყველას ჰქონდეს წარმოდგენა, თუ რაზე მოუწევთ პასუხების გაცემა.

— რეალურად, რას შეცვლის ეს გამოცდები?

— ბევრ რამეს. ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება ხელფასების მომატება. დღეს მებაჟის საშუალო ხელფასი 60 ლარია. გამოცდების გარდა, ვმუშაობთ ერთიანი საბაჟო განვითარების პროგრამის — „ასიკუდას“ განხორციელებაზე. ესეც ფინანსებთან არის დაკავშირებული და ამიტომაც გვიჭირს წინსვლა. დონორებს ვთხოვეთ დახმარება და იმედი გვაქვს, უცხოელები ფულს მოგვცემენ.

— როგორ ფიქრობთ, „ასიკუდა“ შეძლებს საბაჟო სისტემაში კორუფციის ერთ-ერთი უზარმაზარი თათის მოქმედების შეზღუდვას მაინც?

— რა თქმა უნდა. „ასიკუდა“ — საბაჟო პროცედურების გაფორმების ეს კომპიუტერული პროგრამა, უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს მოახდენს ჩვენი სისტემის მუშაობაში. ეს არის გაეროს მიერ განვითარებადი ქვეყნებისთვის შემუშავებული პროგრამა, რომელიც კოდებსა და შიფრებზე დაფუძნებულ სისტემას წარმოადგენს. მასში პროგრამული ცვლილებების მიზნით შედგენის საშუალება არავის არ აქვს, ამიტომაც ავირჩიეთ ეს უცხოური მოდელი, თორემ ჩვენ მიერ შექმნილი პროგრამა ღია იქნებოდა ყველასთვის და თუ საბაჟო პროცედურების გაფორმების საინფორმაციო ბაზა ღიაა, ე.ი. მანიპულირებისა და ათასგვარი მანიკერების საშუალება ბევრისთვის ხელმისაწვდომი რჩება.

— კონკრეტულად, მაინც რა

შეუშლის ხელს ხელმრუდ მებაჟეს?

— მებაჟეს „ასიკუდას“ პროგრამით ყველაზე ნაკლებად ექნება შეხება იმპორტიორთან: კომპიუტერში შეტანილი დოკუმენტური ინფორმაციის მიღების შემდეგ, პროგრამა თვითონ უკარნახებს — ვინ უნდა გასინჯოს ტვირთი, ვთქვათ, ცვლაში მომუშავე 8 მებაჟიდან. ეს პროგრამა თუ ავითვისეთ, კორუფცია საგრძნობლად შემცირდება.

— აჭარის რეგიონში როგორ მდგომარეობაა? თუ აკონტროლებთ იქაურ საბაჟოზე მიმდინარე პროცესებს?

— ძალიან კარგი მდგომარეობაა, განსაკუთრებით, შემოდგომისა და ზამთრის მაჩვენებლების მიხედვით. აღებულ ვალდებულებებს თავს მშვენივრად ართმევენ. ადრე ასე არ იყო. დღესაც არსებობს რაღაც პრობლემები, მაგრამ ეს ბუნებრივია — ქვეყნის ცენტრსა და რეგიონს შორის, ყველა ნორმალურ ქვეყანაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. საბაჟოს კუთხით, დღეს ცენტრსა და აჭარას შორის გაუგებრობები არ არსებობს.

მოუხედავად იმისა, რომ ინტერვიუ დარგის საჭირობოლოტო საკითხებზე გვექონდა, ბოლოს მინდა, გიორგი გაჩეჩილაძის პიროვნების რამდენიმე შტრიხზე შეგჩერდეთ.

კანადაში, ვიქტორიის უნივერსიტეტში სწავლობდა, როცა აფხაზეთში ომი დაიწყო. გიორგი სამშობლოში დაბრუნდა და მეგობრებთან — სუხიასთან და ლევან აბაშიძესთან ერთად, საომრად გაემგზავრა. სწორედ ლევანის დაღუპვის დროს დაჭრილა ბატონი გიორგი მძიმედ...

საბჭოთა კავშირის დროს ძლიერი მთხილამურე იყო, შემდეგ სუხიას სახელობის ცნობილი სათხილამურო ტურნირის ერთ-ერთ ორგანიზატორად მოგვევლინა... მეგობრებზე სიტყვის ჩამოვდება მცირე ხნით, ის ბედნიერი წლები გაახსენა, როცა ყველანი ერთად იყვნენ:

— ლევანიც, სუხიაც და ვია ნადირაშვილიც ჩემზე უფროსები იყვნენ. ყველაზე ახლობელი მაინც სუხია იყო: მასთან ერთად გავიზარდე, ერთად ვვარჯიშობდით. სუხია უკრაინაში, კარპატებში მსახურობდა საბჭოთა ჯარში, ტისოვეცში, სადაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი იმართებოდა სათხილამურო სპორტში. წელიწად-ნახევრის უნახავი ჯარისკაცი და „სკას“ (არმიის სპორტული კლუბი. — ავტ.) მოთამაშე სუხია ჩემპიონატის მომსახურეთა შორის ვნახეთ. 10 დღე ერთად ვიყავით. ეს არის ჩვენი ცხოვრების ძალიან ლამაზი მოვლენა...



ქართველი ტელემაყურებლები-სათვის ცნობილ გადაცემა „პასე-ანსს“ ალბათ ძალიან მნიშვნელოვანი ფერი დააკლდებოდა, 29 წლის წინათ ქვეყნიერებას რომ არ მოვლენოდა ირაკლი ფრანგიშვილი, რომელსაც ჯარგა ხანია „დაავინყდა“ რა ჰქვია და ყურადღებას მხოლოდ მაშინ მოგაქცევთ, თუ მეტსახელს – „ჯინოს“ დაუძახებთ, „ჯინო“ 11 წლის წინ შეარქვეს თურმე მეგობრებმა „გეჰეის“ თეატრში – მურმან ჯინორიასთან მსგავსების გამო. თავიდან ჯინორიას მეძახდნენ, შემდეგ – „რია“ გამოაქტეს და „ჯინო“ შემჩაო – იხსენებს ირაკლი, რომელსაც თურმე ჯერაც ვერ „მიუგნია“ ყიფშიძის ქუჩისთვის და შესაძლოა, ამ ცნობილი ტელეანექდოტის გაგრძელებაც ვიხილოთ, მანამდე კი ირაკლი ჩვენი სტუმარია.



„ჯინო“

ეკა ლომიძე

— როგორც გავიგე, „პასე-ანსისგან“ სრულებით განსხვავებულ სფეროში მოღვაწეობდა, გარკვეულწილად, ჩინოვნიკის ფუნქციასაც ასრულებ.

— ვმუშაობ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდში, რომელიც პრეზიდენტის ბრძანებულებით დაარსდა. ეს არის მსოფლიო ბანკის პროექტი, რომლის 20 პროცენტსაც სახელმწიფო აფინანსებს, დანარჩენი კი საერთაშორისო გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტით ფინანსდება. ორი წელია იქ ვმუშაობ, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტად. უცხოელებთან ურთიერთობა ძნელია, მომეტებული ბიუროკრატიული ჩვევების გამო – ეს

ტელეანექდოტის გადაღებისას



იგრძნობა, მაშინ, როცა მათ ანგარიშს ვაბარებთ. ფონდი დაკავებულია სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციით. 200-მდე სხვადასხვა ობიექტი – საბავშვო ბაღი, სკოლა, საავადმყოფო, ხიდი, გზა და სხვა გვაქვს აღდგენილი, როგორც თბილისში, ისე რაიონებში.

— „პასეანსში“ რა ხდება? ამ ბოლო დროს რეპერტუარში თითქოს მოიკაჭვლებთ, ეკრანზეც ხშირად არ ჩანსართ და ძველ კადრებსაც ხშირად იმეორებთ.

— ალბათ, ამ კითხვას ჩვენი რეჟისორი, მამუკა ღლონტი უკეთ გასცემს პასუხს.

— მამუკა როგორი შეფია?

— ხვალ თუ გადაღება გვაქვს, დაფუშვით, 10-დან 4 სთ-მდე, მამუკა მაშინაა ჩვენი შეფი, სხვა დროს – მეგობარია. გაცხარებაც არ იცის, თუ ჩვენ არ მოვუშლით ნერვებს. გაფრთხილებულები ვართ, რომ გადაღებაზე ნასვამი ან ნაბახუსევი არ უნდა მივიდეთ.

— ალბათ ბევრი კური-

ოზი მოგსვლიათ გადაღებებსა და კონცერტებზე, შენი მეგობრები — ცუცა იქნება ეს, კიჭა, ჯაბა თუ სხვა, ყველანი სომ კოლორიტული ფიგურები ხართ, რას გაიხსენებდით?

— ცუცა მიყვარს მაგრად. არ ვემუშავებ — გათხოვდი-მეთქი, ის კიდეც, მეხვეწება — ცოლი მოიყვანეო და სულ „ჩემო სიყვარულოთი“ ველაპარაკებით ერთმანეთს... რა უნდა გავიხსენო — ცუცა, ცუცაა. რასაც ხედავ, ეგ არის... ერთხელ კონცერტზე, კიჭა და ალექო თეთრაშვილი გავიდინე სცენაზე პირველები, კიჭა აცხადებდა მონაწილეებს, ყველა ჩამოგვთვალა და ცუცა დაავიწყდა. მე უკვე გამოსული ვარ, ვდგავარ მაყურებლის პირისპირ და მარცხენა თვალით, გვერდიდან ვგრძნობ რაღაც მოძრაობას. ფრთხილად გავაპარე თვალი და ვხედავ — ცუცა „იგრიხება“ კულისებში, ხელ-ფეხს მუქარით უქნევს კიჭას: ეგონა, განგებ მოუწყო კიჭამ ეს ოინი. არადა, ლევანი წინა ღამის ნამთვრალევი იყო და რა გასაკვირია, ვინმე რომ გამორჩენოდა... ალექომ სიტუაციის გამოსწორება დააპირა: ბიჭო, ჩემი ცოლის გამოცხადება დაგავიწყდაო... ა, ნანა აქ არის, მოვიდა, გამარჯობა ნანაო — თქვა კიჭამ და დარბაზში უმისამართოდ მიესალმა ალექოს ნამდვილ ცოლს. სულ გადაირია ცუცა...

— ისე, რა გამოირიცხულია, მართლა შეგნებულად გამოეტოვებინა? ეგ სომ განთქმულია ოინების მონყობით.

— ჰო, კიჭას კურიოზები ძალიან გახმაურებულია. ერთხელ „პასეანსის“ დიდი პოპულარობის პერიოდში სტომატოლოგთან მკურნალობდა. ექიმს უთქვამს — მოდი, იარე ჩემთან სამი კვირა და მაგ წინა კბილებს გაგისწორებო. წამომხტარა კიჭა სკამიდან — რას ამბობთ, გინდათ დამლუპოთ? ამ კბილებით ვჭამ პურსო...

— თავგადასავალი თუ გადატვირთვალი თავს ისეთი, რომელსაც ვერც ერთი თქვენგანი ვერ დაივიწყებს?

— უჰ, არ გამახსენო. ქობულეთში წავედი, თან ვისვენებდით, თანაც ბათუმში კონცერტები უნდა გაგვემართა. იმ დროს „ინტურისტი“ ბევრი ჩვენი მეგობარიც ისვენებდა. მე-11 სართულზე დისკოთეკას აწყობდნენ ხოლმე საღამოობით. ერთ დღესაც ბათუმში კონცერტის ჩასატარებლად რომ უნდა წავსულიყავით, მეგობრებმა შემოგვთავაზეს — ზღვაში კატერით დისკოთეკის რეკლამა უნდა გამოვაცხადოთ, წამოდით, თქვენც ჩვენთან იყავით და მერე ბათუმში კატერით წაგიყვანთო. შესანიშნავი წინადადება იყო. სიხარულით დავთანხმდით. გოგონები უკვე წასულები იყვნენ ბათუმში. მოკლედ, რეკლამა გავაკეთეთ და ბათუმისაკენ გავეშურეთ. ქობულეთსა და ბათუმს შორის შუა ზღვაში გაგვიჩერდა კატერი. აღმოჩნდა — საწვავი გათავებულიყო. გახსენებაც კი მიმიძის, ისეთი დღე დავადგა. ოთხი საათი, თაკარა მზის ქვეშ, კატერზე ვიბრაწებოდით, კობორჩხალებს ვგავდით, ისე დავწითლდით. ბათუმში კი არ ჩავედით — ჩაგვიტანეს გაშეშებულიები, ვერ ვინძრედით, კანს სულ ტკაცატკაცი გაუდიოდა... შევედით კულისებში და ცივ იატაკზე დავეყარეთ. ხალხი უკვე მოსულიყო, ჩვენ კი კონცერტის ჩაშლაზე ვოცნებობდით. ისე ვლოცულობდით ამაზე, რომ სასწაული მოხდა — ახლა არ მახსოვს, მაგრამ ბათუმში რაღაც „ჩეპე“ მოხდა და კონცერტი მართლაც გადაიდო...

— მსგავსი რამ კახეთში არ შეგემთხვეოდათ...

— კახეთში სხვა ჭირი გვჭირდა. ადამიანმა კვების ნორმალური რეჟიმისათვის დღეში სამჯერ ან ოთხჯერ ხომ უნდა ჭამოს? ჩვენ ალბათ 20-ჯერ ვჭამდით. სადაც არ უნდა მივსულიყავით, ყველგან რატომღაც ეგონათ, რომ მშივრები ვიქნებოდით. ასე ხდებოდა იმერეთშიც, გურიაშიც, სამეგრელოშიც

და სხვაგანაც.

— ასეთი გასტროლების შემდეგ ალბათ ჯიბეებიც საგრძნობლად გისქელდებოდათ?

— არა, არა — ხშირ შემთხვევაში, იქით გვიწევდა ფულის დაღება. დარბაზები სულ გადაჭედილი იყო, მაგრამ ბილეთიანს და უბილეთოს ვერ ვუწევდით კონტროლს. ეს ხან ვისი ბრალი იყო, ხან ვისი, ძირითადად, მაინც კონცერტის ორგანიზატორების. თუმცა, თბილისის სპორტის სასახლეში გამართული კონცერტების შემდეგ აშკარად კმაყოფილები ვრჩებით.

— რომელიმე „პასეანსე-ლთან“ ერთად, დანაშაული თუ ჩაგიდენია, რომელიც სულაც არ იყო დანაშაულად გააზრებული?

— ერთხელ, მე და ალექო თეთრამ-ვილმა საკუთარ თავებს ვავენეთ, არადა, ყველაფერი სხვაგვარად გვექნდა ჩაფიქრებული. გასტროლების დროს ერთ ოჯახში ვიყავით ყველანი სტუმრად და კარგა მაგრადაც დავლიეთ. მე და ალექოს ჭია შემოგვიჩნდა და ყველამ რომ დაიძინა, გადავწყვიტეთ, „ბაბკე-პასტა“ „სასტავი“ — გავათბეთ კბილის პასტა და ჩანაფიქრი განვახორციელეთ. მერე ჩვენზე ვინმეს ეჭვი რომ

„მოგჯერ ასეც ვხუმრობთ ხოლმე!“ (მეგობრებთან ერთად)



არ აელო, ჩვენი თავებიც „მივყოლებო“. დილით უნდა გენახა, რას ვგავდით: მთვრალეებს, ვეღარ მოგვიზომია და ისე დაგვიპასტია ჩვენი თავები, რომ ვერავინ გვცნობდა.

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ბავშვობაშიც მაგარი ცულლუტი იქნებოდი, ხშირადაც გსჯიდნენ ალბათ?

— კი, როგორ არა! დედაჩემმა მცემა ქამრით, 6 წლის რომ ვიყავი, უბანში დავიკარგე სამი საათით — „ძმაკაცთან“ ვიყავი სტუმრად, ჩემზე 40 წლით უფროს კაცთან...

— ქეფი თუ გიყვარს, ან სიმთვრალეში თუ გიჩხუბია?

— ქეფი მიყვარს. ღრიანცელი არა. რომ დავლევ, საოცრად კარგ ხასიათზე ვდგები ხოლმე. საერთოდ უკონფლიქტო ვარ ბავშვობიდანვე. ყოველთვის „მშვიდობის მტრედი“ ვიყავი. ეგ არის, სიმთვრალეში, ჩემს „ღოზას“ რომ მივიღებ, სუფრიდან ვიპარები. ერთხელ სახლიდან გავიპარე — საკუთარი სახლიდან. გავედი გარეთ, ტაქსი ვაჩერე და ჩემი მისამართი ვუთხარი. ისიც მაგარი „შავი“ იყო: ერთი-ორი წრე დაარტყა და ისევ სახლთან მიმიყვანა. კარი დედაჩემმა გაძილო. თუ ვინმემ დამირეკოს, სახლში არა ვარ-

მეთქი, გავაფრთხილე და რას ვხედავ: სუფრა, ბიჭების შეძახილები — ბიჭო, სად წახვედი, ცუდად ხომ არ ხარო? თვალები დავხუჭე. გავახილე და თავში ხელი შემოვირტყე — ვა, ისევ აქ მოვხვდი-მეთქი?..

— **მასსოვს, ერთხელ „დეზერტირების“ ბაზარში დაგინახე — დადიოდი, რაღაცას ყიდულობდი. დაგყვებოდა გოგონების გუნდი, გამყიდველებსაც უშტერდებოდათ შენზე თვალები, შენ კი, თითქოს ვერაფერს ამჩნევდი. არ საარგებლობ ხოლმე იმით, რომ გცნობენ?**

— „დეზერტირებზეც“, საბურთალოს ბაზარზეც და „ელიავაზეც“ ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. მე იაფად ვყიდულობ ნატურალურ პროდუქტებს, ისინი ანეკდოტებს მაყოლებენ ხოლმე. პოლიციაც ხშირად მცნობს. მასსოვს, ერთმა გამაჩერა, ვერ მიცნო და უფროსმა დაუყვირა — ბიჭო, როგორ ვერ ცნობ — „პასეანსელიაო“. იმანაც — უი, შენ ახალი ანეკდოტი გეცოდინებაო. სვანზე გეტყვი-მეთქი, ვუთხარი. კაი, მეც სვანი ვარო — გაიცინა. ხომ არ გეწყინება-მეთქი? არაო — მიპასუხა. სვანი ინტერნეტში შევიდა და დაიკარგა-მეთქი, ვუთხარი. ატყდა ხარხარი. მეც ღავემშვიდობე, მანქანაში ჩავჯექი და უცებ, მესმის: უფროსო, ინტერნეტი რა არისო?..

— **ირაკლი, ყიფშიძესთან დაკავშირებით არ გქონია კურიოზები?**

— მე ჭავჭავაძის გამზირზე ვმუშაობ. გუშინწინ, იქიდან წამოსულმა გზაში რადიოთი ბენზინგასამართი სადგურის რეკლამა მოვისმინე. ყიფშიძის ქუჩაზე ყოფილა 2 ნომერში და რაკი ახლოს ვიყავი, გვერდზე მჯდომ თანამშრომელს ვკითხე, ყიფშიძის №2 სად არის-მეთქი. ეგონა, ვეხუმრებოდი და ისტერიკული ხარხარი აუვარდა... ახლა იმასაც დავუმატებ, რომ, იმ ანეკდოტის გმირივით, ჩემს თანამშრომელსაც გელა ჰქვია...

— **ალბათ ხშირად ატყობ, რომ ქუჩაში გცნობენ, არა?**

— კი, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რა ეპითეტებით მაძიებენ ხოლმე — ებ უკვე ცალკე ანეკდოტია: ხან „პასეანსის ბიჭი“ ვარ, ხან „ის კაცი“, ხან „პასეანსელი როჟა“, ხან „მასტი“, „კლიენტი“ და რა ვიცი, კიდევ რა.

ისე, მაგრად კი მსიამოვნებს ყურადღება. აბა, დღეს ჩვენს პოპულარობაში მეტი რა ხეირია?!

— **ფული არ არის, ხომ?**

— არა. არადა, მაგრად კი მინდა, ბევრი ფული მქონდეს — ძალიან ბევრ რამეს გავაკეთებდი. საერთოდ, ცოტა ზარმაცი ვარ და ოცნებაში კოშკების აგებაც მიყვარს. ბევრი პროექტიც მაქვს ოცნებაში შექმნილი, მაგრამ სიზარმაცის გამო, ვერ ვახორციელებ. ახლა დავიწყე ერთი დიდი საქმე — დღეს უკვე მეთხე დღეა... (მოუთმენლად ველოდებოდი, პაუზის შემდეგ რას იტყვოდა — ალბათ რაღაც გრანდიოზულ პროექტზე მომიყვება-მეთქი, — ავტ.) სიგარეტს დავანებე თავი და დილის გამამხნეველ ვარჯიშებს ვაკეთებ...

— **სკოლაში როგორ სწავლობდი? მასწავლებლები აკლებული გყავდა?**

— სკოლიდან ყველაზე მეტად ბიოლოგიის გაკვეთილებმა დატოვა ჩემზე მძიმე კვალი. მასწავლებელი მყავდა, ეთერ კალანდაძე, ცარცს ისროდა „ათიანში“ — უნდოდა, მარჯვენა თვალში მოეახვედრებოდა, უნდოდა — მარცხენაში...

— **ტერორისტი იყო?**

— საშინელი. მაგის გამო უფრო ვერ ვსწავლობდი ბიოლოგიას. ათასნაირ ხერხს ვიგონებდი, ოღონდ გაკვეთილი გამეცდინა. ერთხელ თმა ისე მომქაჩა, თვალებში დამიბნეულა...

— **გაკვეთილიდან თუ გადვებდნენ ხოლმე?**

— მე არა, მაგრამ ჩემ გამო სხვებს — კი. ერთი თანაკლასელი დათო და მე ერთმანეთს ვეჯობებოდი იმაში, ვის გამო უფრო მეტ ბავშვს გააგდებდნენ კლასიდან. სასაცილო ამბებს ვყვებოდი ჩურჩულით — ჩვენ წყნარად ვისხედით და ბავშვები იჭაჭებოდნენ. ერთხელ თორმეტნი დავრჩით კლასში — დანარჩენები გაყარეს.

— **შენი მისწრაფებების პატრონს „გეპეიში“ რა გინდოდა სასწავლებლად?**

— თეატრალურში მინდოდა ჩაბარება, მაგრამ მითხრეს, „გეპეის“ მაგარი თეატრი აქვსო და მეც იმისათვის, რომ თეატრში მოვხვედრილიყავი, „გეპეიში“ ჩავაბარე. პროფესიით ენერგეტიკოსი ინჟინერი ვარ. იმის გამო, რომ „კავენებზე“ და ოლიმპიადებზე გამოვდგომოდი თეატრს, „გეპეიში“ ერთი-ორჯერ კურსზეც დამტოვეს. მოკლედ, ლექტორებსაც არ უნდოდათ ჩემი გაშვება.

— **ე.ი. ამის გამო „დაინაგრე“?**

— აბა, აბა, „პასეანსიც“ ძირითადად „გეპეის“ თეატრის მსახიობებისგან შეიქმნა და ჩვენი სამსახიობო მონაცემების დახვეწაც, ფაქტობრივად, „გეპეის“ თეატრის რეჟისორის, ნუგზარ ბუცხრიკიძის დამსახურებაა.

— **ირაკლი, ახლა ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც შევეხეთ: ბევრ შენს თაყვანისმცემელს აწუხებს კითხვა — რატომ ხარ დღეს მარტო, ცხოვრების თანამგზავრის გარეშე?**

— მეუღლე არა მყავს, თორემ მარტო არა ვარ. ცხოვრება სიყვარულის გარეშე არ შეიძლება და მეც მიყვარს. ისე კი, საბავშვო ბაღიდან მოყოლებული, სულ შეყვარებული ვარ. მასსოვს, მაია ჩიხლაძე მიყვარდა, მგონი, კალათბურთელ თამაზ ჩიხლაძის ქალიშვილია. იცი, როგორ მივხვდი, რომ მიყვარდა? როგორც კი სკამიდან ადგებოდა, მის ადგილზე ვჯდებოდი, დადარაჯებული ვიყავი... ეს რომანი ბაღის დამთავრებასთან ერთად შეწყდა.

— **რა განსხვავებაა მაშინდელსა და ახლანდელ სიყვარულს შორის?**

— ის უფრო კარგი იყო. ძალიან დიდი განსხვავებაა. სულ სხვა გრძნობა იყო — სუფთა, ზედმეტი ქვენა აზრების გარეშე. მერე, რაც დრო გადის და იზრდები, სიყვარულიც თითქოს მძიმდება: მარტო გრძნობა აღარ არის — უკვე აზრიცაა... სულ უფრო მეტს ითხოვ სათაყვანებელი ადამიანისგან და გეჩვენება, რომ იმდენს ვერ იღებ, რასაც ვასცემ... ■



მეგი ტანაშა

უზენაეს სასამართლოში გრძელდება თბილისის უნივერსიტეტთან 10 წლის წინ ჩადენილი ორი მკვლელობის საქმის განხილვა. ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტების, 19 წლის დათო ჯორბენაძისა და 19 წლის ზაზა როინიშვილის დანით სასიკვდილოდ დაჭრისათვის დღეს 29 წლის ზურაბ ლომაძეს ასამართლებენ. ლომაძე, რომელიც პოლიციას 9 წლის მანძილზე ემალებოდა, თავს უდანაშაულოდ აცხადებს.


სასამართლო პროცესებზე მოწმეთა დაკითხვა გრძელდება. დაღუპულთა თანაკურსელები, რომლებიც შემთხვევის უშუალო თვითმხილველები არიან, მთელი კატეგორიულობით აცხადებენ, რომ მკვლეელი სწორედ ზურაბ ლომაძეა. ზოგი მათგანის თქმით, მას ჯორბენაძისა და როინიშვილის დაჭრის მომენტი არ დაუნახავს, მაგრამ დანას ლომაძის ხელში შეასწრო თვალი.

მკვლელობის დღეს, 1991 წლის 19 აპრილს ვაკის რაიონის პროკურატურამ მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა, თუმცა სამართალდამცავებმა, ლომაძის ნაცვლად, ღამით რატომღაც მხოლოდ მისი მეგობრისა და უბნელის, ჩხუბის დროს მასთან ერთად მყოფი კობა ბელიძის დაკავება მოახერხეს და იგი სტუდენტების მკვლელობაში ეჭვმიტანილად გამოაცხადეს. კობა ბელიძემ გამოძიებას ვერ აღიარებითი ახსნა-განმარტება, მერე კი მისი დამადასტურებელი ჩვენებაც მისცა. მოგვიანებით მან ორივე უარყო. 1992 წლის 13 მარტს ვაკის რაიონის სასამართლომ იგი აღნიშნულ ბრალდებასთან დაკავშირებით გაასამართლა, მას ხულიგნობის მუხლი უმტკიცდებოდა, თუმცა იმ დროს გამოცხადებული ამინსტიის შედეგად, მისი სისხლის სამართლის საქმის განხილვა განჩინებით შეწყდა და ბელიძე, ისევე, როგორც იმავე მუხლით ჩადენილ დანაშაულში ეჭვმიტანილი ორი პირი – გურამ ჩხუტიაშვილი და დავით მარდალეიშვილი, პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა.

კობა ბელიძე 1991 წლის 19 აპრილს მომხდარი მკვლელობის გამო უზენაესმა სასამართლომ დაჰკითხა:

„ზურაბ ლომაძეს ბავშვობიდან ვიცნობ, იგი ჩემი უბნელია. თუმცა ძალიან ახლო მეგობრობა ერთმანეთთან არ ვვაკავშირებდა. ორივენი უნივერსიტეტში ვსწავლობდით – მე ისტორიულზე, ის კი ეკონომიურზე. ხანდახან ვზაში ერთმანეთს ვხვდებოდით და სახლში ერთად ვბრუნდებოდით ხოლმე. რაც შეეხება დათო ბაკურაძეს (გამოძიების

„ორი კაცის მკვლელობას ზენოლის გარეშე თავზე არ ავიღებდი“



განსასჯელი ლომაძე (მარჯვნივ) და მისი ადვოკატები კუკური ქუმბურიძე (მარცხნივ) და ავთანდილ ჭაჭუა

უნივერსიტეტთან 10 წლის წინ ჩადენილ მკვლელობაში პირველი ეჭვიანილი სასამართლოში დაჰკითხეს

მერ დაზარებულად ცნობილი), მას უბრალოდ სახეზე ვიცნობდი.

1991 წლის 18 აპრილს უნივერსიტეტის ეზოში ვიდექი, დავინახე უცნობი გოგონა, რომელიც ძალიან მომეწონა და გადავწყვიტე, როგორმე მისი ვინაობა გამეგო. მეორე დღეს, 19 აპრილს იგივე გოგონა ერთ ახალგაზრდა ბიჭთან (როგორც შემდეგ შევიტყვე – დათო ჯორბენაძესთან) შევნიშნე, საუბრობდნენ. მაშინ ჩემთან ერთად ჩხუტიაშვილიც იყო. მე განვიზრახე, ჯორბენაძესთან მივსულიყავი და მისთვის იმ გოგონას შესახებ მეკითხა. ასეც მოვიქციე, თუმცა ჩემმა დაინტერესებამ დათო ჯორბენაძეში რატომღაც დიდი აღშფოთება გამოიწვია, რამაც ჩვენ შორის შელაპარაკება წარმოშვა და ჩხუბი დაიწყო. მას ვიღაც ბიჭები წამოეშველნენ. ხმაურზე ხალხი რომ მოკროვდა, აქეთ-იქით ვავიფანტეთ და დავიშალეთ. ამ დროს ჩემთან ზურა ლომაძე და დათო მარდალეიშვილი მოვიდნენ და მომხდარის შესახებ გამოძიებითს (გამოძიების დასკვნის მიხედვით, ამ ჩხუბში ლომაძეც ჩაერია და ჯორბენაძეს თავის არეში დანის დარტყმით მსუბუქი ჭრილობა მიაციენა, – ავტ.). მე და ლომაძემ, რადგანაც ერთ უბანში ვცხოვრობდით, შინ წასვლა გადავწყვიტეთ და ტაქსების გაჩერებისაკენ ვაღმოვედით. სწორედ მაშინ დავინახეთ, რომ დაახლოებით 10-15 კაცი (გოგო-ბიჭები, მათ შორის დათო ჯორბენაძე და დათო ბაკურაძეც იყვნენ) ჩვენკენ მოემართებოდა. მივხვდით, რომ იმ ჩხუბის გამო საქმის გარჩევა უნდოდათ და მათ ჩვენც მივუახლოვდით. ლომაძემ ჯორბენაძეს მიმართა – საჩხუბარი

არაფერია, გამოდი და ადამიანურად, ვაჟაკურად დავილაპარაკოთ. არ ვიცი, ეს სიტყვები იქ მხოლოდ დათო ბაკურაძემ შეურაცხყოფად რატომ მიიღო, მაგრამ მან იმწუთას ლომაძეს ტუცელში ფეხი ჩაარტყა. ამის დანახვისას, მე ბაკურაძეს დარტყმით ვუპასუხე და ჩვენ ორს შორის ჩხუბი დაიწყო. ამ მომენტში ზურა წაქცეული იყო (დარტყმისას იგი უკან გადაქანდა და დაეცა), მას 6-7 კაცი დაერია და წაქცეულს, ხელებითა და ფეხებით ცემა დაუწყეს, სისხლში ამოთხვრიდეს, აქეთ-იქით ათრევდნენ. მართალია, იმ დროს მე ბაკურაძეს ვერხუებოდი, მაგრამ ამის დანახვაც შემიძლო. ხოლო როდესაც რაღაც მომენტში ამ უკანასკნელთან ჩხუბი შეწყვიტე, ზურას შევხვდი. მას არაადამიანური გამოძეტყველება ჰქონდა, სახე გასწითლებოდა და თვალები ფართოდ აეხილა. დავინახე, რომ წამოღებდის მოძენტში მან დაბლიდან რაღაც საგანი აიღო. იმწამს რა მოხდა, არ შემიხდავს, მხოლოდ მასსოვს, რომ წივილ-კივილი გაისმა. ლომაძეს დავუძახე – ზურა-მეთქი, მაგრამ მას ჩემს ძახილზე რეაქცია არ ჰქონდა, გამოშტერებული იყო... მე იქიდან ვავიქციე, დაბნეული ვიყავი და ალბათ, ინსტინქტურად, ზურასთვის ყურადღება აღარ მიმიქცევია, ელბაქიძეზე ისე დავეშვი. ამის შემდეგ ლომაძე არ მიანახავს. იმავე დღეს, შუადღისას, 4 საათი იქნებოდა, სახლში ვაკის რაიონის პოლიციიდან მომაკითხეს და ამიყვანეს. ამ ამბის მერე, არც იმ გოგონათი დავინტერესებულვარ, მისი ვინაობის შესახებ დღემდე არაფერი ვიცი, იგი არც არსად შემხვედრია“.

დაზარალებულთა მხარე – დაღუპულ-



დათო ჯორბენაძე



ზაზა როინიშვილი

თა მშობლები და მათი მეგობრები (შემთხვევის თვითმხილველები) აღნიშნული გოგონას არსებობას, საერთოდ უარყოფენ. მათი თქმით, განსასჯელმა და მისმა მომხრეებმა ეს ვერსია სპეციალურად იმისთვის შეთხზეს, რომ ლომამქეს ყაჩაღობის მუხლი ააცილონ (დაზარალებულის მხარის პოზიცია ვრცლად „გზის“ №10(39)-ში გვაქვს მოყვანილი).

კობა ბელოძე:

„რაც მოხდა, გულით განვიციდი და დალუბულთა ოჯახების მწუხარებას ვიზიარებ, მაგრამ ის, თითქოს მთელი ეს უბედურება ქურთუკის გახდის გამო მოხდა, სინამდვილეს არ შეეფერება. არც ერთ ჩვენგანს იმ ბიჭების დაყაჩაღება ან მოკვლა მიზნად არ გვეჩინა და ძალიან ვწუხვარ, რომ მთელი საქმე დღეს ამ ვერსიაზეა აგებული“.

საქმის მასალებში არსებობს კობა ბელოძის ასხნა-განმარტება და პირველი ჩვენება, სადაც იგი ჯორბენაძისა და როინიშვილის მკვლელობას აღიარებს. მოგვიანებით მან ყოველივე უარყო და განაცხადა, რომ აღიარება მისგან სამართალდამცავებმა ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედების შედეგად მიიღეს.

კობა ბელოძე:

„აღიარებითი ჩვენება წინასწარი გამოძიებისას თავად პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლებმა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ დამაწერინეს. ორი კაცის მკვლელობას საკუთარი ნებით არ დავიბრალვები... მე არ შემეძლო მეთქვა, დამეფიქსირებინა ის, რაც სიმართლე იყო და რასაც ვფიქრობდი. მოხოვდნენ მკვლელობის აღიარებას, მათულებდნენ დამეწერა, რომ ჩხუბი ქურთუკის გამო მოხდა. მეუბნებოდნენ – ყველამ ყველაფერი იცის და სჯობს, რასაც გეუბნებით, ის დაწერო. მეტუქრებოდნენ – ასე თუ არ მოიქცევი, გაწამებთ...“

ამ ჩვენებებს ქალაქის პოლიციის სამმართველოში მასწერიებდნენ, იმ ხალხის სახელები და გვარები არ ვიცი, მაგრამ მათი სახით ამოცნობა დღესაც შეუძლია. ის კი ვიცი, რომ გამოძიებას სათავეში მამნაშვილი ედგა. თუმცა არ ვიცი, ჩემზე ზემო-

ქმედება უშუალოდ მისი მითითებით ხდებოდა თუ არა, ვერც იმას ვეტყვით, ასეთი ჩვენებით დაინტერესებული პირი ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო“.

აღსანიშნავია, რომ კობა ბელოძის დაკითხვის ყველა ოქმს ხელს აწერს მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი ლილუაშვილი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ის აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებებს ესწრებოდა და თუკი ბელოძეზე ზემოქმედებას ადგილი მართლაც ჰქონდა, ამის მოწმეც უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, პროცესზე ადვოკატის დაკითხვის საკითხიც დადგა, თუმცა შუამდგომლობა სასამართლო კოლეგიამ, საქმესთან არსებითი მნიშვნელობის უქონლობის მოტივით, არ დააკმაყოფილა.

თავად ბელოძე ირწმუნება, რომ თავის ადვოკატს, რომელიც მას გამოძიებამ დაუნიშნა, პირისპირ არ შეხვედრია, არც ის იცის, სინამდვილეში ესწრებოდა თუ არა იგი დაკითხვისა და ბაკურაძესთან დაპირისპირების პროცესს. შეკითხვაზე – მიმართა თუ არა მან რაიმე ღონისძიებას სამართალდაცვითა მხრიდან ზემოქმედების საწინააღმდეგოდ, ბელოძემ უპასუხა, რომ 1991 წელს საჩივარი დაწერა გენერალური პროკურორის სახელზე, რომელსაც გამოძიებულებისა და ადვოკატის აცილება მოსთხოვა.

გათავისუფლების შემდეგ, კობა ბელოძე მომხდარის შესახებ სწორ ჩვენებას (როგორც თავად ირწმუნება) პირველად 1997 წელს წერს. „პროკურატურაში არავის დაუბარებია, საკუთარი ინიციატივით მივედი“ – განაცხადა მან პროცესზე. 1992 წლიდან მოყოლებული, 5 წლის მანძილზე გაგრძელებული დუმილი კი ბელოძემ იმით ახსნა, რომ იმ პერიოდში საქართველოში დაბაბული პოლიტიკური ვითარება იყო.

კობა ბელოძე:

„მამინ არ იყო ის სიტუაცია, რომ სიმართლის თქმას აზრი ჰქონოდა. მეერ კი, როცა შედარებით, ქვეყანაში სტაბილურობა დამყარდა, გადავწყვიტე, სამართალდამცავთათვის ყველაფერი ისე მომეყოლა, როგორც სინამდვილეში მოხდა“.

ზუსტად ამ მოტივით ხსნიან განსასჯელი და მისი დამცველი ადვოკატები მკვლელობის დღიდან ლომამქის 9 წლით გაუჩინარებას. ადვოკატი კუკური ჭუმბურიძე აღნიშნავს, რომ იმდროინდელ საქართველოში არ შეიძლებოდა გამოძიება ობიექტური ყოფილიყო. მისი თქმით, საქმის მასალებში მოყვანილი ფაქტი, რომელიც 1991

წლის 17 აპრილს დათო ჯორბენაძეზე ქურთუკის გახდის მიზნით ორი უცნობის მიერ ყაჩაღურ თავდასხმას ეხება, მაშინდელი საკადრო ცვლილებებით დაშინებული გამოძიებულების შეთხზულია, თუმცა, ვინ ან რა მიზნით სთხოვდა მათ ტყუილის მოგონებას თანამდებობების შენარჩუნების სანაცვლოდ, ჯერჯერობით გაურკვეველია.


კუკური ჭუმბურიძე, ზურაბ ლომამქის ადვოკატი:

„1991 წლის 17 აპრილს, დღისით, მზისით, სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში, შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმა რომ მართლაც განხორციელებულიყო და ასეთი ფაქტის შესახებ დაემალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და თვით სტუდენტობას და არ ეცნობებინათ სამართალდამცავი ორგანოებისათვის, ყოველად წარმოუდგენელია, მით უმეტეს, მაშინ, როცა ეროვნული ხელისუფლება განსაკუთრებით სდევნიდა ყოველგვარ კრიმინალურ ელემენტს...“

როგორც დაზარალებულის მხარე აღნიშნავს, დათო ჯორბენაძემ პირველი ყაჩაღური თავდასხმის დროს ორი უცნობის მოგერიება და მათთვის დანის გადატეხა მოახერხა, რის შემდეგაც ისინი გაიქცნენ. ამდენად, მას სამართალდამცავ ორგანოებში განცხადების გაკეთების სურვილი არ გამოუთქვამს, რადგან თავდამსხმელთა მდებლობას იმ დღეს რაიმე სავალალო შედეგი არ მოჰყოლია. თუმცა, დათო ჯორბენაძის მაშინდელი პასიურობა, შესაძლოა, კობა ბელოძის სიტყვებითაც აისხნას – იმ დროს ალბათ არც მას ჰქონდა სამართალდამცავთა ობიექტურობის დიდი იმედი...

აღსანიშნავია, რომ განსხვავებულ ჩვენებებს 1991 წლის 19 აპრილს მომხდარი მკვლელობის შესახებ არა მარტო კობა ბელოძე, არამედ გამოძიების მსვლელობის მანძილზე დაზარალებულთა მხარის წარმომადგენლები – სტუდენტებიც იძლევიან. მათ ჩვენებებში არსებული წინააღმდეგობები ძირითადად, იმას ეხება, რომ ისინი ხან ასახელებენ მკვლელს – ზურაბ ლომამქეს, ხან – არა. დღეს ჩვენებების ავტორები ამის მიზეზად დაბნეულობასა და სამართალდამცავთა მხრიდან ზეწოლას ასახელებენ. თუმცა, კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ მიზეზი განსასჯელის ახლობლებისგან პერიოდულად წარმოებულ ზემოქმედება და მუქარაა.

ამას განსასჯელის მხარე კატეგორიულად უაროფს. ზურაბ ლომამქის მძა სასამართლო პროცესებზე მოწმეთა ჩვენებებს ვიდუკამერით იღებს და ფორზე აფიქსირებს. „ვიდეოგადაღება იმისთვის მჭირდება, რომ ადვოკატს მუშაობა გაუადვილო, რათა პროცესებზე მოწმეთა ნათქვამიდან რაიმე არ დაავიწყდეს და არ გამოირჩეს“ – აგვისხნა მან.



წერილი რედაქციას

ჟურნალ „გზის“ 2001 წლის №11-ში (40) გამოქვეყნდა სტატია „მეგობრები სასამართლოში ერთმანეთს დანაშაულს აბრალებენ“, სადაც მოყვანილია ერთ-ერთი განსასჯელის,

იაგო ბლიაძის დამცველი ადვოკატის — ლერი ლურწყაიას ციტირება ხაშურის რაიონის პროკურატურის თანამშრომელთა მიერ ექვმიტანილზე განხორციელებული

ზენოლის შესახებ. ციტატაში ადვოკატი კონკრეტულ გვარებს ასახელებს, მათ შორის ბატონ ნუგზარ სალიას, რომელიც წინამდებარე წერილით გამოგვეხმაურა.

პატივცემულ რედაქციავ!

წერილში „მეგობრები სასამართლოში დანაშაულს ერთმანეთს აბრალებენ“, ჟურნალისტი მეგი ცანავა მიმოიხილავს 1999 წლის 6 ივლისს, ხაშურის რაიონ სოფელ ხცისში, ტაქსისტად მომუშავე ბიძინა ელისაშვილზე ყჩაღური თავდასხმის, მისი განზრახ მკვლელობის მცდელობის და ასაფეთქებელი ნივთიერების შექმნა-შენახვა-გადაზიდვის შესახებ, უზენაეს სასამართლოში, განხილვის სტადიაში მყოფი სისხლის სამართლის საქმეს და ციტირებას უკეთებს განსასჯელი იაგო ბლიაძის ადვოკატის ლერი ლურწყაიას სიტყვებს, რომელიც აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ ასაფეთქებელი ნივთიერების შექმნა-შენახვა-გადაზიდვის ბრალად შერაცხვა, პროკურატურის მიერ დადგმული მორიგი სპექტაკლია. ადვოკატი იმასაც აღნიშნავს, რომ სამართალდამცავები ბლიაძეზე ამ საკითხის ირგვლივ დაკითხვისას ზეწოლას ახორციელებდნენ და სცემდნენ კიდევ მას. მეტიც, მიუთითებს კონკრეტულ სამართალდამცავებზე, კერძოდ, ხაშურის რაიონის პროკურატურის თანამშრომლებზე — „კურტანიძე, ნოზაძე, ტყეშაძე და სალია“.

ბატონო ლერი! როგორც სტატიიდან ჩანს, უზენაეს სასამართლოში თვით ი. ბლიაძეც არ უარყოფს ასაფეთქებელი ნივთიერებების შენახვას. ასე რომ, თქვენი განცხადებები პროკურატურის მიმართ ცილისმწამებლურია. თუმცა თქვენი პასუხი უკვე წინასწარ ცნობილია. ალბათ ბრძანებთ, რომ ბრალდებულის ნათქვამს გადმოსცემთ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, ცილისმწამებისათვის პასუხის გაცემა მოგიწევდათ.

ი. ბლიაძისა და სხვათა ბრალეულობის საკითხს უზენაესი სასამართლო უდავოდ კანონიერად გადაწყვეტს და ამ თემაზე მეტ ყურადღებას არ გავამახვილებ, მაგრამ იმავე სტატიის ციტირებულია თქვენი სიტყვები, საიდანაც ირკვევა, რომ მას შეუტყვია ხაშურის რაიონის პროკურატურის თანამშრომლების — კურტანიძის, ნოზაძის, ტყეშაძის და სალიას მიერ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ, კერძოდ „თურმე ქუთაისელი ბიჭი ცემით მოუკლავთ“, რის გამოც მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე ყოფილა აღძრული.

ქალბატონო მეგი! როდესაც პროკურატურის მიერ „დადგმულ სპექტაკლზე“ წერდით, რატომღაც მიზანშეწონილად

არ ჩათვალეთ ზემოთ ხსენებული პროკურატურის თანამშრომელთაგან, რომელიმეს მაინც დაჰკავშირებოდათ და კომენტარი გეთხოვათ, მაგრამ ლერი ლურწყაიამ რომ სისხლის სამართლის საქმე „აღძრა“ მათ მიერ „ქუთაისელი ბიჭის ცემით მკვლელობაზე“ ვალდებულნიც კი იყავით, თუნდაც მორალურად, თუ „ბრალდებულებთან“ არა, საქმის აღმძვრელ ორგანოში მაინც დაგეზუსტებინათ ფაქტის სინამდვილე და „დამნაშავეთა“ კონკრეტული გვარები. ახლა რა გამოვიდა? თქვენ ცილისმწამებელი ლერი ლურწყაიას უნებლიე თანამონაწილე აღმოჩნდით. არადა, დაინტერესების შემთხვევაში გაიგებდით, რომ ხაშურის პროკურატურაში ვინმე კურტანიძეს, ტყეშაძეს, უკანასკნელი, სულ მცირე 20 წლის განმავლობაში, საერთოდ არ უშუშავიათ. რაც შეეხება სალიას — ე. ი. ამ წერილის ავტორს, იგი 1999 წლის 16 ნოემბრიდან ქარელის რაიონის პროკურატურაში მუშაობს და „ვინმე ქუთაისელი ბიჭის ცემით მოკვლის“ შესახებ ზოგადი ბრალდება 2000 წლის დეკემბერში გაიგო, კერძოდ მაშინ, როდესაც ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა ხაშურის რაიონის სამართალდამცავების მიერ 2000 წლის ზაფხულში ყჩაღობისათვის დაკავებული „ქუთაისელი ბიჭი“, თუ არ ვცდები, გვარად მესხი (გარდაცვლილის ახლობლებს ბოდიშს ვუხდი ამ უსიამოვნო ფაქტის გახსენებისათვის).

ბატონო ლერი! ხვდებით, რომ აშკარად და უპასუხისმგებლოდ ცილი დამწამეთ, რისთვისაც პასუხი უნდა ავით კიდევ, მაგრამ მჯერა, რომ გეყოფათ გონიერება და საჯაროდ მოიხდით ბოდიშს. იმავდროულად გთხოვთ, მიუთითოთ ასეთი ცრუ ინფორმაციის წყაროზე. იმედია, ამასაც ი. ბლიაძის ნათქვამად არ გაასაღებთ.

ბატონო ლერი! სხვათა შორის, მეგი ცანავას იმავე სტატიიდან ირკვევა, რომ განსასჯელი ი. ბლიაძე ფაქტობრივად დაცვის გარეშე გყავთ დატოვებული. სხვას რას უნდა ნიშნავდეს თქვენი სიტყვები, რომ „წინასწარი შეთანხმება ბლიაძესა და გოგალაძეს შორის გამორიცხული არ არის“, და ეს მაშინ, როდესაც ი. ბლიაძე, როგორც წინასწარ გამოძიებაში, ასევე სასამართლო განხილვის დროსაც, კატეგორიულად უარყოფს გოგალაძესა და კუხანოვთან რაიმე დანაშაულებრივ შეთანხმებას.

პატივისცემით ნუგზარ სალია. 28.03.2001 წ.

ჩვენი მხრიდან, გვინდა რამდენიმე მომენტი დავაზუსტოთ. როგორც წერილიდან ჩანს, ბატონი ნუგზარ სალია სწორად აფასებს იმას, რომ აღნიშნული საქმე იმ დროს უზენაეს სასამართლოში განხილვის სტადიაში იყო. თუმცა, მას აქვე შეეხასენებთ, რომ ბევრი ბუნდოვანი დეტალი და უზუსტობა, რამაც სასამართლო პროცესებზე თავი იჩინა, სტატიის გამოქვეყნების პერიოდში ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო და მომავალ სხდომებზე უნდა დაზუსტებულიყო. სტატიის გამოქვეყნებულია მაშინდელი, ერთი კონკრეტული სასამართლო სხდომა (პროცესის

ზღვარს კი ჩვენ არ ვცდებით ხოლმე) და დაფიქსირებულია ყველა ის განცხადება, რაც დაზარალებულის, განსასჯელების ან მათი ადვოკატების მხრიდან გავიდა. პროკურატურის თანამშრომელთა გვარების გამოკვლევა, რომლებიც პროცესზე ლერი ლურწყაიამ დაასახელა, იმ ეტაპზე სასამართლო კოლეგიის პრეროგატივა იყო და არა ჩვენი, რაც, მოსამართლისა და სახელმწიფო ბრალმძებლის თქმით, მომდევნო სხდომაზე უნდა გავეთვლიყო კიდევ. მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ იმ პიროვნებებისგან ინტერვიუს აღების უფლება არ გვქონდა, ვიდრე სასა-

მართლო პროცესზე არ დაიკითხებოდნენ ისინი. ამდენად, ყველა პრეტენზია არაა ჟურნალისტის მიმართ, არამედ საქმესთან უშუალოდ კავშირში არსებული პირებისადმი უნდა იყოს მიმართული, რასაც ბატონი ნუგზარ სალიაც აღნიშნავს თავის წერილში.

რაც შეეხება, ხაშურის რაიონის პროკურატურის თანამშრომლების წინააღმდეგ პატიმრის ცემით მოკვლის გამო სისხლის სამართლის საქმეს, ამ თემას ჩვენ უახლოეს მომავალში აუცილებლად დავუბრუნდებით.

მეგი ცანავა



ლელა ვეფხვაძე, თინა ბირკაძე, დონარა ცხადიაშვილი, ზაირა გელაშვილი

ვპიროდით, მამრამ მაინც ბედნიერები ვიყავით!

მარინა ბაბუნაშვილი

9 აპრილის ღამის მომსწრეს – ყველას თავისი მოსაყალი აქვს. იმ ღამის ყოველი საათი და წუთი დიდი გრძნობითა და განცდით არის დამუხტული, ამიტომაც, სულაც არ არის გასაკვირი, როცა რომელიმე აპრილის დღეების, განსაკუთრებით კი იმ საბედისწერო ღამის განსენებისას ცრემლი აღგება თვალზე.

თინა ბირკაძესა და მის მეგობრებს დღემდე „აპრილის გოგონებს“ ეძახიან... ალბათ გეხსოვებათ იმ უსინათლო ქალთა კვარტეტი, რომელიც მთავრობის სასახლის წინ, კიბეზე მოშიშმძილეთა გასამხნეველად მიდიოდა და მღეროდა. ამ ოთხეულიდან ერთერთს შევხვდი. თინას ახლაც უჭირს იმ ღამის განსენება, თხრობისას ტუჩები უთრთის, ხმაც ებზარება, მაგრამ ხათრს ვერ მიტეხს: აბა, როგორ გაგაწბილო, ჩემი კოლეგა ხარო – მეუბნება.

სანამ მთავარ თემაზე გადავიდოდეთ, მოკლედ გაგაცნობთ თინას ბიოგრაფიას: დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, შემდეგ კი – კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტი. მუშაობდა უსინათლოთა საზოგადოების ჟურნალ „სინათლეში“. შემდეგ უსინათლო ბავშვთა სკოლაში სიმღერას ასწავლიდა. იყო საქართვე-

ლოს უსინათლოთა საზოგადოების მუსიკალურ-საესტრადო გაერთიანების წევრი, მღეროდა კვარტეტში. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

თინასთან, როგორც რესპონდენტთან, ერთხელ უკვე მქონდა საუბარი. მას მერე დავმეგობრდით. საერთოდ, ყველასადმი გულმოწყალება, მოსიყვარულე და გულისხმიერი, ვისგანაც კი თავად გრძნობს ადამიანურ, თუნდაც პატარა სიბოძს. ჟურნალისტებთანაც უშუალოა და შინაურული.

თინა ბირკაძე:

– მე, ზაირა გელაშვილი, დონარა ცხადიაშვილი და ლელა ვეფხვაძე შეწყობილად ვმღეროდით, მალე დავუახლოვდით ერთმანეთს და კვარტეტის სახელით გამოვდიოდით. როდესაც ეროვნული ტალღა აზვირთდა, სიხარულით ვიყავით ადვსილნი. გული საგულეს აღარ გვქონდა, ხმა შიგნით ვედარ „ეტეოდა“ და თითქოს ხმა კი არა, თვით ჩვენი სული მღეროდა... იმ დღეებში, ტრაბახად არ ჩამითვალთ და როგორც არასდროს, ისე ვმღეროდით. ცხრა აპრილის წინა დღეებში დიდი ალტკინება იყო. სხვანაირი ერთიანობა, თანადგომა და სიყვარული, რწმენა და უღალატობა იგრძნობოდა ყველგან. სად აღარ დაგვატარებდნენ: ვიყავით ტელევიზიასთან, სამხატვრო აკადემიასთან, მთავრობის სასახლესთან... ხან ვმღეროდით, ხანაც ლექსებს ვამბობდით.

როგორც შეგვეძლო, ისე ვამხნევედით მოშიშმძილებს და მათ გარშემოყოფებს. 7 აპრილს მთელი ღამე ტელევიზიასთან გაგატარეთ. კვლავ შემოგვატარეს მომიტინგეთა ადგილები. ბოლოს, ისევ მთავრობის სასახლესთან მიგვიყვანეს, იქ იყო მოვლენათა ეპიცენტრი. სწორედ, იქ ვიმღერეთ ჩვენს ჰიმნად ქცეული სიმღერა (ლადო ასათიანის ლექსზე დაწერილი) – „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს“. ვატყობდით, რომ ხალხს განსაკუთრებით მოსწონდა ეს სიმღერა, რომლის ტექსტიც ვაჟაკური თავდადებისკენ მოუწოდებდა ყველას. რამდენიმე სხვა სიმღერის შესრულების შემდეგ, ისევ და ისევ იმას გვთხოვდნენ და ჩვენც ვუსრულებდით. ერთი წუთითაც არ გვიგრძნობია დაღლა. 8 აპრილს ცოტა ხნით შინ დავბრუნდით. მერე გოგონებმა კვლავ გამოძიარეს. აბა, სახლში რა გაგაჩერებდა. მეუღლე არ მიშვებდა, ეშინოდა: არაფერი მოგივიდეს, მერე რა ვუყო ჩვენს ბიჭებსო?! როგორც იქნა, დავითანხმე და გამიშვა. წავედი ისევ. ჩვენს მისვლას ტაშით შეეგებნენ მომიტინგეები. ჩვენ უკვე ყველა გვცნობდა. დერეფანი გააკეთეს და ტრიბუნამდე ისე მიგვიყვანეს. ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ხშირ-ხშირად მოგვიბრუნდებოდნენ ხოლმე და გვეუბნებოდნენ – თქვენი ჭირიმი, გოგონებო, რამხელა მხნეობას და ძალას მატებთ მოშიშმძილებსა და მომიტინგეებსო. გვიან ღამით წამოვივიმა. მომიტინგეებმა ფანდურზე ცელოფანი გადაგვიფარეს, ზოგმა რა შემოგვაცხცა და ზოგმა – რა. მერე გოგო-ბიჭებმა ცეკვა გააჩაღეს. მე ფანდურზე ვუკრავდი, ლელა – სალამურზე. ხშირად ისმოდა მერაბის ომახიანი ხმა: ერთად ვიყოთ, ერთად! ზაირამ წამოიწყო „საქართველო გულში დარდად ამყავებია...“ შემდეგ ილია მეორეს დაუთმეს მიკროფონი, რომელმაც გვაუწყა, საშიშროებაა მოსალოდნელი. ისევ ავხმაურდით: არა, მამაო, ჩვენ არსად არ წავალთ, აქ უნდა ვიყოთ-თქო! მერე ირაკლი წერეთელი გამოვიდა: აქედან ფეხს არ მოვიცვლითო და მასთან ერთად ყველამ ერთხმად წარმოთქვეთ „მამაო ჩვენო“. შორიდან რაღაც ხმა მოისმა. აბა, გოგონებო, ტანკები მოდის და მტრის ჯინაზე, ისე დაუკარით, რომ ტანკების ხმა გადაფაროთო, – გვითხრა მერაბ კოსტავამ



თინა ბირკაძე შვილთან ერთად

და ჩვენც შემოვძახეთ სიმღერა. მომიტინგეები უფრო შემჭიდროვდნენ და ტანკებს სტვენით შეეგებნენ. ტანკები გუგუნებდნენ, ჩვენ კი მაინც ვმღეროდით. მგონი, ვაჯობეთ კიდევ იმ რკინის მუხლუხებს... რამდენიმე წუთი საზარელი სიჩუმე ჩამოვარდა. ვიგრძენი, რომ ამ სიჩუმის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და გოგონებს გადავუჩურჩულე: მოდი, ვიმღეროთ-მეთქი. ვილაცამ დაიძახა — დასხედითო. ჩემ გვერდით აწ გარდაცვლილი, ჩემი ტანდაბალი მეგობარი — ღონარა ცხადიაშვილი იდგა. დაჯექიო, — მასაც უთხრეს. არაფრით არ დაჯდა — რად მინდა, რომ დაეჯდე, ბარემ ფეხზე დამდგარი შევეგებები სიკვდილსო!.. და კიდევ ერთხელ (ვინ იცის, მერამდენედ) წამოვიწყეთ „დაუკარიო!“.. იმ ადგილამდე რომ მივედით, სადაც ნათქვამია: „ფიცხელ ომში რომ მღეროდა მჩაბელი“, — უცებ, ხმა გაწყდა მიკროფონში. მაინც არ გავჩერდით და უმიკროფონოდ გავაგრძელეთ. მერე ხალხში ჩოჩქოლი ატყდა, ვილაცები იძახდნენ: დროშები მაღლა ავწიოთო. მარჯვენა მხარეს კი უკვე დაწყებულიყო ხოცვა-ჟლეტა. ისმოდა წივილ-კივილი, მამაპაპური ქართული გინებაც, გამწვარებული კაცების ხმაც, რომელიც უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა, ჩვენ კი გაშეშებული ვიდექით, ფეხსაც ვერ ვინაცვლებდით. ასე, ერთ ადგილას მიჯაჭვულები, ვუცდიდით სიკვდილს...

ჰაერში საშინელი სუნი დატრიალდა. ხმამაღლა დაიძახეს: გაზი გაუშვესო. ზვიადის ხმა მომესმა: ბიჭებო, პირველ რიგში უსინათლოები გაიყვანეთო. ღონარა ხალხის ნაკადმა გვერდიდან გამომაცალა. მე კიბეზე დავგორდი. ფანდური გულში მქონდა ჩახუტებული და ისე მივხობავდი. მერე ჯარისკაცის ჩექმა მომხვდა თავში, ისევ გავიგონე ნაცნობი ხმა: „უსინათლოებს მიხედეთ!“ ვინება დავკარგე. როცა გონს მოვეგე, იმ ადგილიდან უკვე გამორიდებული ვიყავი. მე, ლელა და ლელას და, მიწისქვეშა გადასასვლელში აღმოვჩნდით. ვილაცამ ხელი მოგკვიდა: ჩქარა, გოგონებო, აქედან წავიდეთ, ჯარისკაცები მოდიანო. მერე გავიგეთ, ცოტა ხანში, მართლაც ჩამოსულან ჯარისკაცები მიწისქვეშა გადასასვლელში და იქ რომ ხალხი არ დახვედრიათ, სულ კედლებისთვის ურტყამთ ალე-

სილი ნიჩბები...

დიდი არეულობა იყო, ზოგი ხმამაღლა მოთქვამდა, ზოგი დაკარგულ ახლობელს ეძებდა და ეძახდა. როგორც ექნა, სამშვიდობოს გამოვალწიეთ. მეტროში ჩასულებს იქ მოგროვილი ხალხი ცრემლნარევი ოვაციებითა და „საქართველო... საქართველო!“-ს ძახილით შეგვეგება. ყველა ერთმანეთს ვეხვეოდით და ვკოცნიდით. ეს იყო გლოვა, დიდი მწუხარების ურთიერთგაზიარებაც და დახოცილების მიუხედავად, გამარჯვების შეგრძობებით გამოწვეული სიხარულიც. ვტიროდით, მაგრამ მაინც ბედნიერები ვიყავით. მერე, ჩვენი მეგობარი უსინათლოები — ყველანი ჩემს სახლში მოვგროვდით.

როცა ეროვნული მთავრობა დაამხეს, მავანთ და მავანთ ბევრჯერ გამაგონეს გესლიანი სიტყვები: გამსახურდიას და კოსტავას წამოწყებული იყო ეს ყველაფერი და მათი „უაზრო“ პრინციპი და თავისნათქვამობა რომ არა, ახლაც ცოცხლები იქნებოდნენ ის გოგობიჭებიო. ეს უსირცხვილო კაცის ნათქვამია. მე უსინათლო ვარ, მაგრამ იმის ნიჭი და საოცარი უნარი გამაჩნია, ადამიანის ხმაში ამოვიკითხო ის, რაც სიტყვის მიღმა იკითხება. ახლაც ყურში ჩამესმის მათი სასოწარკვეთილი ხმა: უსინათლოებს მიხედეთ... უკან დაიწიეთ, ქალებს უშველეთ... მე მაღლობელი ვარ მათი, რომ თავისუფლების წყურვილი იმ დღეებში მაინც „დაგვიწყურვილეს“, გვავრძობინეს ერთად დგომის სიძლიერე, სიხარული და ბედნიერება. ხომ გახსოვთ, 9 აპრილის მერე რამდენიმე დღე ეროვნული მოძრაობის ლიდერები დაპატიმრებულნი იყვნენ. როცა ისინი გაათავისუფლეს, ბატონი ზვიადის სანახავად მივედით კოლხურ კოშკში. უსაზღვროდ გაუხარდა ჩვენი ნახვა, გულითადად მიგვიღო: გოგონებო, თქვენ გენაცვალეთ, როგორ მიხარია, რომ საღ-საღამათებს გხედავთო. თქვენ ერთ საქართველოდ ღირხართო... ვისაც 9 აპრილი არ უნახავს, ის დღევანდელი გადასახედიდან ვერც

წარმოიდგენს, რა სულისკვეთება აერთიანებდა მაშინ ქართველობას.

დღეს საქართველოში თითქმის ყველას ერთნაირად უჭირს. ჩვენს ორგანიზაციასაც ძალიან გაუჭირდა. წინათ უსინათლოთა საზოგადოება საკმაოდ მდიდარი ორგანიზაცია იყო, ვის აღარ ეხმარებოდა. ახლა კი უმაღლეს ეშელონებში მართო საკუთარ ჯიბეზე ფიქრობენ. ვილას აინტერესებს უბრალო ადამიანი, მით უფრო — უსინათლო. ამიტომაც, გაგებდე და ქუჩაში გამოვედი. მათხოვრობა არ შემძლია. ვაკეთებ იმას, რაც ძალიან მინდა და რაც ძალიან მიყვარს. ეს არის სიმღერა, რომელიც ამ ურთულესი დღეების დამლევაში მშველის. ქუჩას მეტროპოლიტენის შიდა, დახურული სადგურები სჯობს. ჯერ ერთი, ზამთარში თბილია, ზაფხულში — გრილი, თანაც არც გვათოვს, არც გვაწვიმს, აკუსტიკაც მშვენიერია... ერთ სიცოცხლედ მიღირს, როცა ვინმე მოვა და დაბალი ხმით მეტყვის — თქვენ მახსოვხართ აპრილის დღეებიდანო, ან — დიდი მაღლობა სიმღერისათვისო, ან სულაც, ჩემი რეპერტუარიდან რომელიმე სიმღერის შესრულებას მთხოვს. ხშირად ყოფილა ასეთი შემთხვევაც, რომ დადლილ მეზავრს რამდენიმე მატარებელი გაუშვია და ჩემს მოსასმენად კარგა ხნით შეყოვნებულა... სიახლის მოლოდინში ვარ: ჩემმა ბაკურმა (ვისთან ერთადაც ვმღერი) ცოლი მოიყვანა და ზაფხულის დასაწყისში შვილიშვილს ველოდები. ოღონდ ჯანმრთელი დაიბადოს, სხვას არაფერს ვნატრობ. ღმერთს ვთხოვ, მომავალი თაობა ჯანმრთელი და ბედნიერი იყოს!

ინფორმაციულ-მედიის სექტორი

ეონა დვალის უბის წიგნაკრები:

1. 1945 წელს საბჭოთა და ამერიკელი ჯარისკაცები ერთმანეთს მდინარე ელბასთან შეხვდნენ.

2. გამბიტი, ჩანგალი, ენდშპილი, მიტელ-შპილი და ცუგც-ვანგი საჭადრაკო ტერმინებია.

3. სასულიერო პირის დაუქორწინებლობის ალექსანდრიის კათოლიციზმში ცელიბატი ჰქვია.

4. 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის სოლტ-ლეიკ-სიტიში გაიმართება.

5. ცრულიმითრი I გვარად ოტრეპიევი იყო.

6. ავოკადოს სხვანაირად ალიგატორის მსხალს უწოდებენ.

7. კაზაკთა ესაულის სამხედრო ჩინი კაბიტნის ჩინს შეესაბამება.

8. ტერმინი „რობოტი“ პირველად ჩეხმა მწერალმა კარელ ჩაპეკმა იხმარა თავის ჰიესაში.

9. ევკეპტელ ფარონთა პირამიდები; ბაბილონის დედოფლის, სემირამიდის, დაკიდული ბალები; ფიდასის მიერ გამოკვეთილი ზევსის ქანდაკება; მაგზოლეუმი ქალაქ კალიკარნასში; კოლოსი როდოსში; 180 მეტრის სიმაღლის შუქურა ქალაქ ალექსანდრიაში; არტემიდეს ტაძარი ეფესოში – ეს სა მსოფლიოს შვიდი საოცრების ჩამონათვალი გახლავთ.

10. დაშთე-ქვეირი და დაშთე-ლუთი ირანის უდაბნოებია.

11. უძველეს სახელმწიფოს ესპანეთის ტერიტორიაზე ტარტესოსი ერქვა.

12. ხელოვნური ენა, ესპერანტო, თვალის ექიმმა ზაჰენჰოფმა შექმნა. P.S. ამ ენაზე თარგმნილია პუშკინის, გოგოლის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, გოეთეს, შექსპირის, მილერის, ბალზაკის და სერვანტესის ნაწარმოებები.

13. საარემა, ჰიოუმა და მუჰუ ესტონეთის კუნძულებია.

14. „გურიაში ორი რამ ხარობს – ფრანგულა მსხალი და ღლონტები“ – ხუმრობს ხშირად მამუკა ღლონტი. P.S. ეს ადამიანი დღევანდელ დღეს ყველაზე ფართომასშტაბიან ქველმოქმედებას ეწევა მთელ საქართველოში.

15. ჯოაკინო ანტონიო როსინი ცაცია იყო. P.S. იტალიელმა კომპოზიტორმა ცხოვრების უმეტესი ნაწილი წამოწოლილმა გაატარა.

16. გიორგი დანელიას ფილმ „ფორტუნაში“ ბორის მიტოუკოვის როლს იური როსტი ასრულებს. P.S. ამ ადამიანს ცხრა აპრილის შემდეგ ყველა ქართველი თავისიანად აღიქვამს.

საქართველოს ყველა მხარე განთქმულია განუმეორებელი იუმორით. გაჭირვებაში ჩავარდნილი, ქართველი კაცი გულს მუდამ იქარვებდა ენამოსწრებულ სიტყვითა და კურობული მოქმედებით. ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე გურულებისა და კახელების ცოცხალი ცხოვრებისეული სამხიარულო ამბების შესახებ ნაიკითხავდით. ახლა ჯერი იმერლებზე მიდგა...

ჩვენებური მულამები იმერულად

ენაკვიმატი იმერლები

კოლმურნობის ხანაში, თავმჯდომარემ მრავალშვილიანი ოჯახის პატრონი დაიბარა და უსაყველურა – რატომ არ გამოიხარ საშუალოდ?

– არ შემძლია, ბატონო, ცუდად ვარ და რა ვქნა?! – მოისწყლა თავი რაჟიკომ.

– თუ ცუდად ხარ და მუშაობა არ შეგიძლია, აძენ ბოვშებს რათი აკეთებ?

– ბოვშებს დაწოლილი ვაკეთებ. თქვენც თუ გამოიძენთ დაწოლილ საშუავერს, ჩემი თავი გენაცვალთ...

* * *

მანქანით მომავალი ბაჭუჭია ინსპექტორმა გაჩერა და საბუთები მოსთხოვა.

– არ მაქვს, – არხინდა უპასუხა ბაჭუჭიამ.

– შენ, კაცო, ჭკუა თუ გაქ? – შეუღრინა ინსპექტორმა.

– სამსახურში უფროსის ჭკუაზე დავდივარ, გზაში – თქვენ ჭკუაზე, სახლში – ცოლის ჭკუაზე და ჩემი ჭკუა რაში მჭირდება?!



* * *

ბიჭი მეზობელს გაეხუმრა:

– იონა ბიბია, შენს გასვენებაში კარქათ უნდა გამოვძღე...

– კი, ბიბია, მარა, უნაირო ბოვშები გამამადავა, მხირდებიან – განავლით უნდა გაგასვენოთ და რამდენიც გინდა, იმდენი ჭამე.

* * *

ლადას ჰკითხეს – ჯარში სად მსახურობდი.

– ბერლინში, – უპასუხა ლადამ.

– მერე გერმანული ვერ ისწავლე?

– რამდენი გერმანელიც შემხვდა, ყველა მოვკალი და გერმანულს ვინ მასწავლიდა?!

* * *

რაჟიკოს ექიმმა წამალი გამოუწერა. სოფლის აფთიაქში იკითხა. აფთიაქარმა უთხრა, – ეგ წამალი არ მაქვს, მაგრამ შემცვლელს მოგართმევთ.

– შეცვლით ნიკიტა ხრუშჩოვსაც კი შეცვალა სტალინი, მარა ქვეყანა დაქცა! – უთხრა გაბრაზებულმა რაჟიკომ და ხელიდან გამოსტაცა რეცეპტი აფთიაქარს.

* * *

საბჭოთა ჯარში, საყარაულოდ პირველად გასვლისას, ბაჭული გააფრთხილეს – როგორც არ უნდა გიჭირდეს, არ დაგეძინოსო, მაგრამ შუადღისას მაინც მოერია რული. ამ დროს ოფიცერს ჩამოუვლია, იარაღი ჩუმად აუხსნა, მერე გაუღვიძებია და ნაწილის უფროსთან წაუყვანია.

– როგორ დაგეძინა პოსტზე?! – მკაცრად მოჰკითხა პასუხი პოლკოვნიკმა.

– გაჭირვებულად, ბატონო, ფეხზე დამდგარი კაცი კარქათ რაღა დეიძინებს?!

* * *

ლავერენტი ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა ეზოდან. სახლიდან ცოლმა გამოსძახა და რაღაც დაავალა. ლავერენტი თავი დაუქნია – ვიცო. ქალმა იფიქრა – ალბათ ვერ გაიგონათ და კიდევ გაუმეორა, თან დააყოლა:

– გევიონე, კაცო?

– გევიონე, ბოშო, რატო ვერ გევიონებდი? ყურები მიხატული კი არ მაქ! – გაბრაზებულმა მიამახა ცოლს.

* * *

ბაღდათი-ხესტაფონის ავტობუსში ნაცნობები საუბრობენ. სიტყვას მოჰყვა და ერთმა მეორეს თავისი დარდი გაუზიარა:

– მოგკტი ქალი, აღარ შემძლია: ორივე ბოვში სტუდენტი მეყვს, ჰოდა, მეც ერთი ფეხი თბილისში მაქ, მეორე – ქუთაისში.

მეზობლად მჯდომმა კაცმა ვერ მოითმინა და გადაულაპარაკა:

– რა დასანახი იქნებო, ქალბატონო, ხამურში!..

* * *

სოფლის ავტობუსი ყოველივეს გადაჭვდილად მგზავრებითა და ბარვით. გაჩერებაზე ქალს ჩასვლა გაუჭირდა. „გაწინაშტა“ მძღოლი:

– რამდენ ხანს ვაჭერდე, დროზე ქენი!

– რა ვქნა, კაცო, ცალი ფეხი ვერ გამომაქ და რაფერ ჩვიდე? – დაიმორცხვა ქალმა.

– ქალბატონო, აქლამ მარტო უნდა დევიძინო!

– ღამითვე ვე შენი ფეხი, ქეპინც მკვეფერები და ხვალ გამოვიტარებ უკან... – გამხარულდა მძლოლი.

* * *

მოხუცმა ქალმა ჩასვლისას, მძლოლს დიდი ვაშლი მიაწოდა:

– დედა, ფული არ მაქ და ამ ვაშლით გეისველე პირი ჩემ სახელზე.

– დეცადე, დედა, – მოსწრებულად მიამახა მძლოლმა. – ხურდა გერგება, – და პანტა ვაშლი გაუწოდა...

* * *

მეზობელმა მეზობელი გააშაყრა:

– ე ბოვშები შენთვის თუ გინდოდა, უკეთულები ვერ გააკეთე?

– რიცხათი გავაკეთე, იმას ქე გავლარიენ და მეტი რა ვქნა?! – უპასუხა უდარდელად.

* * *

ჩვენს სოფელს გოგას უცხო სტუმრები ეწვივნენ:

– გოგა აქ ცხოვრობს? – გამოსახეს მანქანიდან.

– აქ ვცხოვრობ, ბიბია, თუ ამას ცხოვრება ჰქვია!..

* * *

ჟორია მამიდას ესტუმრა. შეწუხდა ქალი:

– რა ვქნა, შვილო, დასაკლავი ქათმები აღარ დამრჩა, ახალგაშობილ წიწილებს შეგჩერებოვარ.

– მამიდა, „სემიჩისხელები“ მინც ხომ არიან ეგ შენი წიწილები? – ჰკითხა ჟორიამ.

– „სემიჩკაზე“ დიდები რაღა არ იქნებიან?! – შეიცხადა მამიდა.

– ჰოდა, დაკალი. „სემიჩკაც“ ძალიან მიყვარს და პატარა წიწილებიც...

მოხერხებული იმერლები

შიოს სახლში ხელოსნები დადგნენ – რემონტი ხომ არ გჭირდება? თანაც, თავი რომ მოეწონებინათ მისთვის, უთხრეს: ერთ ოთახს უფასოდ გავიკეთებთ, ამ ორ ოთახში კი 300 ლარს გამოვართმევთო. გახარებულმა შიომ ცოლს გასძახა:

– მოდი აქ, ბოშო, რა ღვთისნიერი ხალხი შეგხვდა – ერთ ოთახს უფულოდ გვიკეთებენ. ფული მინც არ გვაქ და მარტო ეს ოთახი გავაკეთებინათ!

* * *

იმერელმა ქალიშვილი გაათხოვა. დაიწყო საქორწინო სამზადისი, მაგრამ წინა ღღეს სიძემ უარი შემოთვალა – აღარ მიმყავს თქვენი ქალიშვილი. ატყდა ერთი ამბავი, სასიძოსაც მოუვარდნენ... არაფერი გამოვიდა. რაღა ვქნათო – დადარდიანდა საპატარძლოს ოჯახი. მერე გაახსენდათ, რომ ეს ცოლი ერთ თანასოფელელ ბიჭს გაგიჟებთ უყვარდა. ადრე უარს ეუბნებოდნენ, ახლა იქით დაუწყეს ხვეწნა-მუდარა. ვაჟმა ჯერ თავპატივი გამოიღო, მაგრამ ბოლოს, მინც დაითანხმეს და გაჩაღდა ღვინი... ქორწილში მისულმა სტუმრებმა გაოცებისგან პირი

დააღეს: თადარიგიანად დასტამბულ მოსწვევებში ჩაბეჭდილი სიძის გვარ-სახელი ნამდვილს არ ეთხვეოდა...

* * *

მოხუცს ცოლი მოუკვდა. ცოლის თხოვა არ მოისურვოსო და რძალი განსაკუთრებული მონღოლებით უვლიდა. არ დაცხრა ბერიკაცი – მინც გადაწყვიტა ცოლის მოყვანა. აღებოდა დილით, კარგად გამოეწყობოდა და მიდიოდა.

რძალი ეკითხებოდა – სად მიდიხარ, მამა? – ქალის მოსაყვანად, – პასუხობდა მოხუცი.

როგორც იქნა, მოიყვანა ცოლი, მაგრამ მეორე დილით ისევ გამოეწყო და წასასვლელად გაემზადა.

– ახლა მინც სადღა მიდიხარ? – შეეკითხა რძალი.

– ახლა კაცის მოსაყვანად... – ჩაილაპარაკა მოხუცმა...



* * *

მურიკოს ცოლი ნათხოვარი ბეჭდით, „აზი-აკეპითა“ და ჩონა-ახალუხით მოუყვანა. ქორწილის შემდეგ – სასიძოს ნათხოვარი ნივთების დაბრუნება შეუგვიანებია და მეზობლები თვითონ „დასხმან“ თავს – ზოგს ბეჭელი მაქვს, ზოგს „აზი-აკეპი“...

სოფელში ენაბლუ კაცი ცხოვრობს – ნიუ ჰქვია, მაგრამ „მუნჯიას“ ეძახიან მეტსახელად. სიძეს მისგან დაქორწინებამდე კვერი (ჩაქუჩი) ჰქონია ნათხოვარი. მუნჯიას მინცდამინც ხსენებული თავდასხმის დროს დასჭირვებია თავისი ნივთი, მისულა ახალდაქორწინებულებთან და დაუძახია სიძისთვის – გამომიტანე ძაღლი ჩემი კვერებიო.

ამის გაგონებაზე ცოლი სულ გაგიჟებულა – „ესეც“ ნათხოვარი თუ აქვს, სულ დავიღუპე და ეგ არისო...

* * *

იმერელი სომხეთში მოხვდა. ახლობლის საფლავი მოინახულა. საფლავის ქვაზე დაბადების და გარდაცვალების წლების გარდა, ეწერა – „იცოცხლა 40 წელი“. გაუკვირდა იმერელს და თავის თანმხლებს წარწერის განმარტება სთხოვა. „იცოცხლაში“ საუკეთესოდ გატარებული წლები იგულისხმებაო – აუხსნა ახლობელმა.

– აა, მე რო მოკვდები, ჩემს საფლავს ქვაზე დაწერეთ – მკვდარი დეიბადაო... – დაღონებულმა ჩაილაპარაკა იმერელმა.

ჩაინერა შორენა მერკვილაკე

ინფორმაციული-შეხვედრითი კოლაჟი

ეორა დვალის უბის წიგნაკიდან:

17. პირველი მსოფლიო ომის დროს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი იყო.

18. გერმანელ რაინდ პოეტ-მეტოტებებს მინეზინგერებს ეძახდნენ.

19. დაჩაგრულ ადამიანს სამართლიანობა იქამდე სჭირდება, სანამ თვითონ არის დაჩაგრული. როგორც კი წელს მოიმარებს, თავად ხდება პირველი უსამართლო. P.S. ვლადიმერ ულიანოვმა რომანოვების ძაღლებიც კი არ დანდო.

20. პეტრე I მიერ შემოკრებილ ნიჭიერ და ერთგულ მოღვაწეთა შორის საპატიო ადგილი ეჭირა ქართველ ბატონიშვილ ალექსანდრე არჩილის ძეს. იგი თან ახლდა პეტრე პირველს საზღვარგარეთ და შესაფერისი განათლების მიღების შემდეგ, არტილერიის პირველ სარდლად – ფელდციხმისიტერად დაინიშნა.

21. ეგვიპტის ფარაონი აუცილებლად მამაკაცი უნდა ყოფილიყო. P.S. თუთმოს II-ის ცოლი, ხაჩაფსუტი, რომელმაც შვილს წართვა ტახტი და თავად გამეფდა, ამ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს.


22. მარკ ტვენის სამხილად აკრიტიკებდა უოლტერ სკოტის „მადლფარდოვან და დაღვარვნილ“ სტილს.

23. ილიკო ჩიგოგიძის ბლის ხე იმით იყო განთქმული, რომ ზედოთხი ჯიშის ბალი იყო დამცნობილი – მაისის ბალი, კახაბალი, შამბალი და თეთრი ბალი. ასე რომ, ხეს მთელი ზაფხული ნაყისოთ ეხსა. P.S. სწორედ ამ ბლის მოპარვისთვის დაჭრა მარილით გატენილი თოფით უკანალში ილიკომ ილარიონი. P.S. „კი მარა, არ იცოდა იმ შეჩვენებულმა, შენ რომ იყავი?“ – ეკითხებოდა მოგვიანებით ოღლა ბებია „დაზარალბულს“. – „რას ამბობ, ქალო, მაგი რომ სცოდნოდა, ნამდვილ ტყვიას ჩადებდა შიგ და შუბლში მომარტყამდა“, – კვენსოლა ილარიონი.


24. ციმბირში გადასახლებული რუსეთის ანარქიის მამა, მიხეილ ბაკუნინი, 1861 წელს აშშ-იაპონიაზე გავლით ლონდონში გაიქცა.

25. თევზისი მიერ ისთმოსში დადგმულ სასაზღვრო სვეტზე ორი წარწერა იყო გაკეთებული. აღმოსავლეთ მხარეზე ეწერა:

„პელოპონესი არ არის აქ, იონიაა“. დასავლეთის მხარეზე კი ეწერა: „პელოპონესია აქ და არა იონია“.



„გზის“ №28-ში (2000 წ. 21-27 დეკემბერი), სათაურით „იცით, რა ნაძირალა ვიყავი?!“ გამოქვეყნდა ინტერვიუ, რომელშიც ჩემი ინკოგნიტო რესპონდენტი თავისი ცხოვრების დანაშაულებრივ პერიოდზე გვიყვებოდა. ამ ცოტა ხნის წინ კი, რედაქციაში ხანში შესული მამაკაცი მესტუმრა, ბავჯა ტარჩიად გამეცნო, თან დასძინა — ეს ნამდვილი სახელი არ არისო და აღელვებულმა მითხრა — ჩემი ცხოვრების ამბავიც მინდა გაგიზიაროთო. ჩემი რესპონდენტი 65 წლისაა, ამჟამად ოჯახთან ერთად ზუგდიდში წყნარი ცხოვრებით ცხოვრობს, ახალგაზრდობაში კი თურმე, პლენხანოველ „კარგ ბიჭად“ იცნობდნენ...



ფუფუნება და ზანზარება

ქინაღამ

ნოდო ჯაპახიშვილი

— არავინ იფიქროს, რომ ღარიგება და ჭკუის სწავლება მიყვარს და ამიტომ მოვედი თქვენთან. უბრალოდ, როდესაც თქვენს ჟურნალში ერთი ახალგაზრდა კაცის აღსარება წავიკითხე — თუ როგორ აერია ცხოვრება, მაშინვე საკუთარი თავი გამახსენდა. იქნებ ჩემმა მონათხრობმაც დააფიქროს ვინმე და ჭკუაზეც მოიყვანოს გზას აცდენილი. თუმცა მარტო ახალგაზრდებს როდი წაადგებათ, რასაც მოგიყვებით...

ზოგიერთმა მშობელმა, სამწუხაროდ, არც კი იცის, როგორ უნდა აღზარდოს შვილი. ამის გამო კი შეიძლება მთელი ცხოვრება აერიოს კაცს. ასეთი არეული და აწეწილი ბავშვობა მქონდა. ბიძაჩემი, მამაჩემის უფროსი ძმა, უშვილო იყო და მამაჩემს ცოლი რომ მოუყვანია, თავიდანვე უთქვამს — პირველ შვილს არ გოთხოვ, მაგრამ მეორეს, გოგონა იქნება თუ ვაჟი, ვიშვილებო (როგორც იცით, სამეგრელოში ასეთი ტრადიცია არსებობს). ასეც მომხდარა. გამზრდელს, პეტრეს, მამას ვეძახდი, ხოლო ნამდვილ მამას კი — ბიძას. ბიძაჩემი დროს ტარების მოყვარული კაცი იყო, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, უფრო ნაკლებ ყურადღებას მაქცევდა, ბო-

ლოს, მამიდასთან თბილისში ჩამომიყვანა (მაშინ მეხუთე კლასში ვიყავი), თვითონ კი რუსეთში წავიდა სამუშაოდ. „შანსიანი“ კაცი იყო — სადაც მუშაობდა, ყველგან ბლომად ფულს შოულობდა. პლენხანოველ ცხოვრობდით და მამიდაშვილებთან ერთად სკოლაში სიარულის მაგივრად, „ბირჟაზე“ ვიდექი. მამაჩემი ძალიან მკაცრი და მომთხოვნი იყო შვილების მიმართ (ორი და და ერთი ძმა მყავს). იქამდე არ დააძინებდა ბავშვებს, ვიდრე გაკვეთილებს არ ჩააბარებდნენ. „ალბათ ამის შედეგია, რომ ჩემი ერთი და ექიმი გახდა, მეორე — ლექციებს კითხულობს უცხო ენათა ინსტიტუტში, ძმა კი ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწევა. ვინ იცის, ბიძაჩემს რომ არ ვეშვილე, იქნებ მეც წესიერ კაცად ჩამოგყალიბებულიყავი, უფრო მეტიც, მესწავლა და ბევრი რამისთვის მიმეღწია ცხოვრებაში. ახლა რაღას ვიზამ, გვიანლაა თითზე კბენანი...

პეტრე ბევრ ფულს მიგზავნიდა თბილისში — აქაოდა, ხელმოკლეობა არ იგრძნოს, ჩემმა ერთადერთმა ვაჟმაო. რაც მართალია, მართალია — ძალიან ვუყვარდი, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რომ ასეთი ფუფუნებითა და განებივრებით დათვურ სამსახურს მიწევდა.

აღრიდანვე დავიწყე სიგარეტის

მოწევა და გოგონებთან სიარულიც. ბევრი მეგობარი მყავდა. ფული ყოველთვის მქონდა და ძმაკაცებს ხშირად ვპატივებდი საქეიფოდ. სკოლას რომ ვამთავრებდი, ბიძაჩემი თბილისში ჩამოვიდა და რომ გაიგო, მანქანაზე ვოცნებობდი, უარი, რა თქმა უნდა, არც ამაზე უთქვამს, მზე და მთვარე ამოსდიოდა ჩემზე და უარს როგორ მეტყობდა?! ახალთახალი „მოსკვიჩი“ კი მიყიდა, მაგრამ ერთხელაც არ უკითხავს — როგორ სწავლობ, სკოლა რა ნიშნებით დაამთავრე ან ახლა რას აპირებო. სამაგიეროდ, პლენხანოველ უფრო მეტად გაიზარდა ჩემი ავტორიტეტი: დღე და ღამე მანქანით აღმა-დაღმა „დავკატაობდი“ პლენხანოველ „კარგ ბიჭებთან“ ერთად. ბიძაჩემი კი ისევ რუსეთში დაბრუნდა, რესტორნებში ქეიფსა და გართობას არ იკლებდა, მაგრამ, აკაკის თქმისა არ იყოს: „ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“ მალე თვალის სერიოზული დაავადება აღმოაჩნდა, სინათლე დღითი დღე აკლდებოდა და ზუგდიდში დაბრუნდა. მეც მაშინვე ზუგდიდს მივაშურე და ექიმები დავახვიე, მაგრამ ამაოდ — ვერაფერმა უშველა...

თავიდან მის ნაშონ ფულს ვზარჯავდი, მერე მე თვითონ გამიხდა საშოვნელი. მეგობრებთან ერთად კარტს ვთამაშობდი და პატარ-პატარა თანხებსაც ვიგებდი ხოლმე. ნელ-ნელა შევეჩვიე კარტის თამაშსა და მოგებას, უდარდელ და უშრომელ ცხოვრებას. მთელი დღე „ბირჟაზე“ უსაქმურად ვიდექი. თუ სადმე ქეიფის შანსი გაჩნდებოდა, მთელი „ბირჟა“ ჩემი მანქანით მივდიოდით და იშლებოდა სუფრები.

ახალგაზრდობისას გიტარაზე კარგად ვუკრავდი და კარგადაც ვმღეროდი, არც გარეგნულად ვიყავი დასაწუნი ბიჭი. გოგონებში დიდი მოწონებით ვსარგებლობდი და მეც მეტი რა მინდოდა... ბიძაჩემს ერთი ხანში შესული ქალი აუყვანე მომვლელად, ძალიან კარგი ქალი იყო. პეტრეს ნაშონი ფული როდემდე გვეყოფოდა?! არადა, „პროფესიონალ ბირჟაიკად“ და „კარგ ბიჭად“ მიცნობდნენ და მუშაობას როგორ ვიკადრებდი?! არაპრესტიჟული იყო! კარტში მოგებული ფულიც აღარ

მყოფნიდა. მანქანა ნაცნობ ბიჭს ვათხოვე – „ხალტურაზე“ დადიოდა და „სუტკაში“ ოცი მანეთი მოჰქონდა.

ბიძაჩემი რომ გარდაიცვალა, ნაცნობმა ზუგდიდელმა „იგროკმა“ ოდესაში სათამაშოდ წასვლა შემომთავაზა. თავიდან ცოტა დაეფიქრდი და თითქოს ვიუხერხულე კიდეც, მაგრამ მერე ვიფიქრე – ვინ რას გაიგებს, იქ რა საქმიანობას მოეკიდებ-მეთქი ხელს და დავთანხმდი. მეგონა, ცოტა გულს მაინც გადავავოლებდი დარდს და თვალსაც წყალს დავალევიინებდი, ცოტა ხანს წავითამაშებდი და ზუგდიდში მალევე დავბრუნდებოდი. მაინც არ მინდოდა, რომ საბოლოოდ, მოთამაშის სახელი მქონოდა...

ოდესაში იქაური მოთამაშე ბიჭები გავიცანი. როგორც კი კარგი „საკბილო“ – ფულიანი კლიენტი ჩაგვივარდებოდა ხელში, რა თქმა უნდა, უმოწყალოდ „გავფცქენიდი“. მალე მარტო დავრჩი ოდესაში, სასტუმროში ვცხოვრობდი. კრიმინალურმა სამყარომ მეტსახელად „ინტელიგენტი“ შემარქვა. არაფერი მაკლდა – არც ფული, არც ქალები და არც დროს ტარება, მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში, მაინც მაწუხებდა ის უხილავი ავადმყოფობა, ნოსტალგია რომ ჰქვია. მთელ ქვეყანას მერჩია ზუგდიდის ქუჩებში გავლა და ერთხელ მშობლიური სახლ-კარისთვის თვალის შევლება. ოდესაში ხშირად ვთამაშობდი უცხოელებთანაც, ძირითადად, „მარიაკებთან“. თითქმის ყოველთვის ვუგებდით ხოლმე და ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე მთავრდებოდა ეს ამბავი, მაგრამ ერთმა ბლომად ფული წააგო და ძალიან გამწარდა. ერთი სიტყვით, გაგვიბრაზდა, მაგრამ ვინაშე და ციხეში მოვხვდი.

ჩემს სიცოცხლეში პირველად სწორედ ციხეში დავფიქრდი იმაზე, თუ რისთვის მოვედი ამ ქვეყანაზე: გვიან, მაგრამ მაინც მივხვდი, რომ არასწორი ცხოვრება კარგს არაფერს მომიტანდა. ნათქვამია – სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. ციხეში ყოფნისას, ვინ იცის, რამდენჯერ ვუსაყვედურე ბიძაჩემს იმის გამო, რომ სწორად არ გამოხარდა. გინდაც ვეცემე, ოღონდაც წიგნი ამელო ხელში და მესწავლა... ერთხელ, მორიგე კომენდატმა მითხრა – შენს სანახა-

ვად არიან მოსულებიო. გამიკვირდა, ამ უკაცრიელ ადგილას, ამ სიცივეში ჩემი გულისთვის ვინ მოვიდამეთქი. დები და ძმა რომ დავინახე, ცხოვრებაში პირველად მაშინ ვიტირე. ბევრ რამეზე თვალი უკვე ახელილი მქონდა, კარგსაც და ცუდსაც უკვე მშვენივრად ვარჩევდი...

ციხიდან რომ გამოვედი, მეგობრები დამეხმარნენ და „ავტოპროფილაქტიკა“ ამიშენეს. საქმეს სერიოზულად მოვიკიდე ხელი, მამისეული ძველი სახლი დავარღვიე და ახალი ავაშენე. დაოჯახება გადავწყვიტე. ბევრ ლამაზ და კარგ ქალს ვიცნობდი, მაგრამ გადაპრანჭული ქალები ცხოვრების მეგზურად არ გამომადგებოდნენ. ამიტომაც სოფელში გაზრდილი კაი დედამის შვილი, პატიოსანი გლეხის ოჯახში გაზრდილი გოგო შევირთე ცოლად. იმ დროს უკვე 35 წლის ვიყავი. მაღლობა ღმერთს, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ ნებისყოფა გამოვიჩინე და ისევ ქურდულ სამყაროს არ დავუბრუნდი...

ახლა ქალ-ვაჟი მყავს. საკუთარი გამოცდილებიდან და ცხოვრებიდან გამომდინარე, არ მინდოდა, რომ ბავშვები გზას ასცდნოდნენ. ამიტომ სკოლაში ხშირად ვაკითხავდი და ვაკონტროლებდი, თუ როგორ სწავლობდნენ და როგორ იტყეოდნენ. ბიჭმა ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა, გოგომ – სამედიცინო ინსტიტუტი. თუ ამ ხნის კაცს დამეჯერება, ახალგაზრდებს ვურჩევ და ვთხოვ, რომ კარგი ადამიანები იყვნენ, ისწავლონ და ქვეყანას გამოადგინენ. ამბობენ – „ქუჩის აკადემია“ კაცმა აუცილებლად უნდა გაიაროსო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ როცა ქუჩაში ხარ, სწავლა უკვე მეორე პლანზე გრჩება. სამწუხაროდ, ბევრ ბიჭს „მამლაყინწობის“ ასაკში ეამაყება ქურდულ სამყაროში მოხვედრა და ოცნებობს, რომ კანონიერი ქურდი გახდეს. გოგონებიც კაი ცხოვრების, „ფირმა“ მანქანებისა და ფულების გამო, ქურდებს მიჰყვებიან ცოლად... არადა, საამაყო ქურდობასა და „კაი ბიჭობაში“ მართლაც არაფერია – მითუმეტეს დღეს, როდესაც ქურდებს ქურდები კი არა, ბიზნესმენები და პარლამენტარები ჰქვიათ...



საუკეთესო, რასაც ისტორია გვაძლევს – ენთუზიაზმი.

გოეთე

იმაზე დიდი სისულელე არ არსებობს, ცვლილობდეთ, რომ ყველაზე გონიერი ვიყოთ.

ფრანსუა დე ლაროშფუკო

მეშეკი და ლემეკი დიდი მეგობრები,

თუ ფული აქვთ... არა და ეშმაკს ემოყვრებთან!

ადამ მიცევეჩი

ზღვას ვერ მიღწევს დამღარი წყალი.

საიბ თებრიზი

ცდომილება მხოლოდ მცირე ხნით თუ იარსებებს, ჭეშმარიტება კი იცოცხლებს – მიუხედავად ყველა შეფერხებისა, სიცრუის და ხიმაკლობისა.

კონფუციუსი

ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირს არ დამრიდად,

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

შორს იმეტი ვინელებოდი, რომ ბუმბერაზების მხრებზე ვიდექი.

ისააკ ნიუტონი

დათესეთ საქციელი და მოიმკით ჩვევას; დათესეთ ჩვევა – მოიმკით ხასიათს; დათესეთ ხასიათი – მოიმკით ბედს.

ჟილიამ თეკერი

ნათია თენიშვილი
ხათუნა ჯავახიშვილი

— რატომ არ გიყვართ თქვენთვის უცხო ხალხებისგან შეხვედრა?

— პირველ რიგში, არაპროფესიონალიზმის გამო. მე არ მსიამოვნებს იმ თქვენთვის უცხო ხალხისგან ურთიერთობა, რომელიც მოდის შენთან სასაუბროდ და მერე გეკითხება, რომელ თეატრში მოღვაწეობ. მე როცა გმირი მანტიერებს, მართლაც იმ როლით კი არ ვიზღუდები, რომელზეც ვმუშაობ, — ვცდილობ, მთელი ეპოქა შევისწავლო. მხოლოდ ის ნაწარმოები კი არ წავიკითხო, არამედ იმ ავტორის თითქმის ყველაფერს გავეცნო, რომ მყურებელს არ დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს გახეობრებულ ტექსტს ვამბობ. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, როცა თქვენთვის უცხო ხალხი შენგან წურავს ინფორმაციას. ეს ყოველთვის მალიზიანებს. ეს ამბიცია არ არის. უბრალოდ, თუ ადამიანი ჩემით ინტერესდება, რაღაც ინფორმაცია ჩემ შესახებ უნდა ჰქონდეს. უნდა იცოდეს, რომ დაზგასთან კი არ ვდგავარ, მსახიობი ვარ და ამ თეატრში ვმუშაობ. სხვათა შორის, მე ტელეფონით ვარჩევ თქვენთვის უცხო ხალხებს. როცა ადამიანი კატეგორიულად მეუბნება, — მე ვარ ამ თქვენთვის უცხო ხალხიდან და უნდა დავეწერო თქვენზე ესა და ეს, რომელ საათზე შეგხვდეთო, პირდაპირ ვპასუხობ: ვერ შეგხვდებით, დაკავებული ვარ-მეთქი. რატომ მხვდები თავს, ჯერ მკითხე — იქნებ არ მინდა შენთან დალაპარაკება?!

— ე.ი. ბედმა გაგვიღიმა?

— უბრალოდ, თქვენ მოხვდით იმ სიაში, ვისაც მე, ასე თუ ისე, ველაპარაკები...

— საერთოდ, ამბიციური ხართ?

— აბსოლუტურად არა. მიმაჩნია, რომ სტატიების წერა მსახიობისთვის თავისთავად რეკლამაა. მე არ ვარ ამით გატაცებული. ჩემი რეკლამა არის ჩემ მიერ ნათამაშები როლი. ყოველთვის, როცა ახალ როლს ვიწყებ, ვიწყებ ნულიდან, იმიტომ, რომ არაფერი არ ვიცი. არ ვიცი, როგორ გამოვიყვანო. თუ ყოველ წამს არ დავამტკიცებ, რომ შემოიღია რაღაც კარგის გაკეთება, არავინ არ მაპატიებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ნინელი ვარ და „კუკურაჩაში“ მაქვს როლი შესრულებული.

— ალბათ პოპულარობა მაინც გსიამოვნებთ?

— პოპულარობისთვის არც თეატრალურ ინსტიტუტში ჩამიბარებია და

ინტერვიუ ნინელი ჭანკვეტაძესა და ზაზა მიქაშავიძესთან უნდა გაკეთებულიყო. ტელეფონით საუბრობას ქალბატონმა ნინელიმ განგვიცხადა: „ჩემს მეუღლეს თქვენთვის უცხო ხალხისგან შეხვედრის არანაირი სურვილი არა აქვს. სიმართლე გითხრათ, არც მე, მაგრამ რაღაცას მოვხებ“. კატეგორიულმა ტონმა თითქოს მსახიობთან შეხვედრის სურვილი დაგვიკარგა, მაგრამ გაჩნდა ჟინი ჩანაფიქრის განხორციელებისა. შეხვედრა ნინელი ჭანკვეტაძის საგრძობლოში შედგა.



ნინელი ჭანკვეტაძე:

„ჩემს „პირად სხვობაზე“ ბილეთები არ იყიდება!“

არც საექტაკლი მითამაშია. რომ გითხრათ, საექტაკლზე მადლობის მოსმენა არ მსიამოვნებს-მეთქი, ტყუილი იქნება, საბოლოო ჯამში, მაინც შეფასება მთავარი. მაგრამ, მაგალითად, ის, რომ ეკლესიაში აღსარებაზე მისულს რიგს მითმობენ, რადგან არტისტი ვარ, ან ბაზრობაზე მცნობენ — არ მსიამოვნებს. ყველაზე ძვირფასი არის მყურებლის ტაში, თბილი სიტყვა და გაღიმილება, თორემ დანარჩენი ყველაფერი უსიამოვნოა ჩემთვის. პოპულარობა ნიშნავს, რომ მიკროსკოპით გიყურებენ: როგორ გამოიყურები, რამდენი ნაოჭი მოგემატა, რამდენი დაგაკლდა... „უი, ძალიან გამხდარა! კიბო ზომ არ სჭირს?!“ და ა.შ. გამუდმებული მზერის ქვეშ რატომ უნდა ვიცხოვრო?! ამიტომ პირადი ცხოვრება დასურულ თემად მიმაჩნია. ამაზე ბილეთები არ იყიდება...

— სხირად გატარებენ მიკროსკოპის ქვეშ ანუ თქვენზე ბევრს ქორაობენ?

— არა, ძალიან იშვიათად. ვუფროსი ილდები ჩემს პირადს და ვცდილობ, არ გამოვფინო. ამიტომაც მაქვს „ბაბაიას“ სახელი თქვენთვის უცხო ხალხისგან. პრინციპულობა ჩემი ცხოვრების წესია, მე მაქსიმუმს ვითხოვ ყველასგან, ასევე საკუთარი თავისგანაც. თუ ჩემს მეგობარზე ან სიყვარულზეა დალაპარაკი, იქ მაქსიმალურ ერთგულებას მოვითხოვ — იმიტომ, რომ მეც ერთგული ვარ. ეს მძიმეა?! თუ ამაში შედის ის, რომ ტყუილის თქმა არ შემოიღია, მძიმე ხასიათი მქონია...

— ე.ი. თქვენ კეთილ ტყუილ-

სა და მზარე სიმართლეს შორის ყოველთვის უკანასკნელს ირჩევთ?

— ახალგაზრდობაში უფრო მკაცრი და სასტიკი ვიყავი. წლებმა და გამოცდილებამ უფრო მიმტვევებელი გამხადა. რაღაც კომპრომისები ჩემს ცხოვრებაში არსებობს. თუ ტყუილზე მიდგა საქმე, მირჩევნია, სიმართლე ვთქვა და ადამიანს ეწყინოს, რადგან ვთვლი, რომ ტყუილის თქმა უფრო დიდი დანაშაულია.

— ყოველთვის სწორად გეზულობენ ამ თქვენს სიმართლეს?

— რასაკვირველია, არა. ცხოვრებაში ასე მარტივად არ ხდება. შეიძლება აქედანაც მოდის ის ჭორი, რომ მძიმე ხასიათი გვაქვს მეც და ზაზასაც. ვიმეორებ — ეს არის პრინციპულობა. იმიტომ, რომ არის საკითხები, სადაც თავის დაქნევა უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე უარის თქმა. სხვანაირად რომ მოვიქცე, ნინელი არ ვიქნები. სხვა ადამიანი ვიქნები და საკუთარ თავს მოვიტყუებ. სჯობს, ისეთი მიმიღონ, როგორც ვარ და ისინი დამრჩებიან გვერდით, ვისაც ასეთი უწინდელია.

— შეილის მიმართაც პრინციპული და მკაცრი ხართ?

— უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ სამართლიანი. ხანდახან მკაცრიც ვარ, იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან მიყვარს ჩემი შვილი, როგორც ყველა დედას.

— თქვენი შვილი ამაცობს, როდესაც მშობლებს სცენაზე ან ტელევიზიით ხედავს?

— ჩემმა შვილმა არ იცის, რომ მე და ზაზა მსახიობები ვართ. ჯერჯერობით ანკას სცენაზე არ უუნახივართ და ვცდილობთ, გადავწიოთ ეს დღე: არ მინდა სტრესი მივაყენო სამწლიანხვედრის ბავშვს. ხშირად გამიგია, მსახიობების შვილებს ასეთი რამ ემართებათ, როცა ხედავენ სცენაზე დედას, რომელსაც ვიღაც ურტყამს, ეჩხუბება ან კლავს.

— მსახიობების უმრავლესობას შვილი არ ემეტება ამ პროფესიისთვის. თქვენ რა აზრის ხართ ამასზე?

— მარტო შვილი კი არა, ჩემი არც ერთი ახლობელი არ მემეტება ამ პროფესიისათვის. როცა ვიღაც მეუბნება, სამსახიობოზე მინდა ჩაბარებო, ვურჩევ, გადაიფიქროს და სხვაგან წავიდეს.

— თქვენთვის უთქვამთ ეს?

— მე აკრძალული მქონდა ეს ყველაფერი. დედაჩემი დარწმუნებული იყო, რომ ჩავიჭრებოდი... ჩემს შვილს სახლში არ ჩავკეტავ და ბოქლომს არ დავადებ, მაგრამ ამ საქმეში ხელის შეწყობაც ჩემგან არ ექნება. ეს ძალიან მძიმე პროფესიაა. მე გამიმართლა, რომ ბატონი მიშა თუმანიშვილი შემხვდა. ვერ წარმომიდგენია, მომავალ თაობას ვინ უნდა შეხვედეს, რომ ისეთი ბედნიერი იყოს, როგორც მე ვარ.

— დღეს, პროფესიონალს ამ საქმეში ვერ ხედავთ?

— ალბათ ვიღაც იქნება. კოტე მარჯანიშვილის მერეც, ვერავის ხედავდნენ, მაგრამ ბატონი მიშა მოვიდა. ის ჯერ ახალი წასულია და ასე ადვილად მის ადგილს ვერავინ დაიკავებს. ეს უფრო შორეული პერსპექტივაა...

— მსახიობობა თქვენი ბავშვობის ოცნება იყო თუ თქვენზე ვინმემ გავლენა მოახდინა?

— ბავშვობის ოცნება არ ყოფილა, არც გავლენა მოუხდენია ვინმეს. თეატრალურ ინსტიტუტში პრაქტიკული მოსაზრების გამო ჩავაბარე: მინდოდა, გავთავისუფლებულიყავი იმისგან, რაც მალიზიანებდა სკოლაში და მიმელო ის ცოდნა, რაც ყოველთვის მაინტერესებდა — ცეკვა, ვოკალი, მეტყველება, თეატრალური ხელოვნება, ნორმალური მოძრაობა, ბუნებრიობა, ხელოვნების ისტორია... სკოლაში კი, „ხუთოსანი“ რომ ვიყავი, ძალდატანებით ვსწავლობდი ფიზიკას, ქიმიას, მათემატიკას, რომელიც ჰირივით მეზიზღებოდა და კომმარით

მეისზმრებოდა.

— პროფესიის არჩევა თქვენი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი იყო?

— ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც მშობლების სურვილის საწინააღმდეგოდ მივიღე და, რაც მთავარია, სისრულეში მოვიყვანე. თუმცა მე ყოველთვის დამოუკიდებელი ბავშვი ვიყავი. 7 წლის ასაკშიც კი მეკითხებოდნენ აზრს და რაც არ მინდოდა, არ ვაკეთებდი.

— თქვენ ეკითხებით რამეს თქვენს შვილს?

— ვეკითხები — იმიტომ, რომ ეს საჭიროდ მიმაჩნია, ვამბობ, რომ ის ჯიუტია, მაგრამ ძალადობა საშინელებაა, განსაკუთრებით ბავშვის მიმართ ჩადენილი. ფაფის ჭამაზე მაქვს ლაპარაკი, თორემ სხვა ძალადობისგან ღმერთმა დაგვიფაროს. დამანგრეველია მცირედი ძალადობაც კი — ამისგან მანინჯდებიან ბავშვები, არასრულფასოვნების კომპლექსი და სხვა მილიონი საშინელება უჩნდებათ.

— თქვენ და ბატონმა ზაზამ თეატრში გაიცანით ერთმანეთი?

— ზაზა ინსტიტუტში გავიცანი. ბატონი მიშას სტუდენტები არ თხოვდებოდნენ და სასურველი იყო, მისი მსახიობებიც არ გათხოვილიყვნენ. მაგრამ სხვანაირად არ გამოდიოდა და ინსტიტუტი რომ დავამთავრეთ, ჯვარი მაშინ დავიწერეთ.

— ალბათ პროფესიულ საქმიანობაში ზაზას აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენთვის. კიდევ ვისი გავლენაა?

— ბევრი მყავს ისეთი ადამიანი, ვისი პროფესიონალიზმისაც მჯერა. ღმერთმა დაიფაროს, რომ ისინი არ არსებობდნენ. შეფასების გარეშე ვერ გაიზრდები. წლების მანძილზე მიხეილ თუმანიშვილი იყო ჩემი შემფასებელი და ბედნიერი ვიყავი ამით. მჯერა ჩემი კოლეგების. ისინიც ბატონი მიშას მოსწავლეები არიან და დარწმუნებული ვარ, შენიშვნას იმიტომ არ მაძლევენ, რომ გუნება გამიფუ-

სცენა სპექტაკლიდან „ღონ ქუანი“

ჭონ. ყველაზე ძალიან ჩემი ქმრის, ზაზასი მეშინია. ზაზას ვერაფერს გამოვაპარებ. შეიძლება ვიღაც შეცდომაში შევიყვანო, მაგრამ ზაზა მაშინვე მიხვდება სიყალბეს ჩემს თამაშში. ჩვენ ერთმანეთის მიმართ დაუნდობლნი ვართ — კარგი გაგებით, რა თქმა უნდა. ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, შენიშვნის მოსმენა ყოველთვის მიჭირს ხოლმე, მაგრამ ვცდილობ, ნორმალურად მივიღო. შეიძლება რაღაც გაიზიარო და რაღაც — არა. მსახიობმა ყველა შენიშვნა რომ გაითვალისწინოს, არ იქნება სწორი — გამოდის, თავისი მყარი პოზიცია არ ჰქონია...

— თქვენი პარტნიორების შესახებ რას გვეტყვი?

— პარტნიორს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მე ბედნიერი ადამიანი ვარ, რადგან ძალიან გამიმართლა ამ მხრივ: კინოში ჩემი პირველი პარტნიორი იყო ისეთი დიდი არტისტი, როგორც არის კახი კავსაძე, სცენაზე — ზაზა მიქაშავიძე, რომელიც ჩემი ცხოვრების პარტნიორად იქცა.

— საოცნებო როლი?

— მაქვს, მაგრამ არ გეტყვით. არც ერთ მსახიობს არ უყვარს ამაზე საუბარი. მართალი გითხრათ, იშვიათად ვოცნებობ როლებზე: ეს ხომ ჩემზე არ არის დამოკიდებული. როცა ბატონი მიშა ცოცხალი იყო, რასაც დამავალებდა, ჯარისკაცივით ყველაფერს პირნათლად ვასრულებდი. ვცდილობდი, რასაც მომცემდნენ, ის მექცია საოცნებოდ. ახლა მე შემიძლია უარი ვთქვა ამა თუ იმ როლზე, მაგრამ ვიღაცას ვუთხრა — ეს სახე მაინტერესებს და ჩემთვის დადგი-მეთქი, — ასეთი რამ ჯერ არ შემიძლია.

— ეთანხმებით იმ მოსაზრე-



ბას, რომ ქართველი მაცურებელი უფრო მომთხონანა?

— ქართველი მაცურებელი განებივრებულია ამდენი არაჩვეულებრივი რეჟისორითა და მსახიობით. მაგალითად, ჩემს პირველკურსელ სტუდენტს, რომელსაც ჯერ ეტიუდიც არ გაუკეთებია, რობერტ სტურუას ბოლო სპექტაკლი არ მოეწონა — რალაც გაწელილი იყო... მე მესმის ამ ბავშვის: მას იმდენი არაჩვეულებრივი სპექტაკლი აქვს ნანახი, იმავე რობერტ სტურუასი, რომ უკვე დიდი პრეტენზიები აქვს. აქედან გამომდინარე, თუ საქართველოში სპექტაკლმა გაიმარჯვა — ნებისმიერ კუთხეში ასპროცენტბიანი წარმატების გარანტია აქვს.

— დღეს ქართულმა თეატრმა თითქოს მაცურებელი დაკარგა. როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ეს?

— პირველ რიგში, მატერიალურ მხარეს ვაბრალებ. ხელფასზე მცხოვრები ადამიანისთვის ხუთი ლარის გადახდა ძნელია. საერთოდ, მიკვირს ხოლმე, როგორ ახერხებენ ადამიანები გაყინულ დარბაზში მოსვლას და იმ სპექტაკლის ყურებას, რომელიც უკვე ნანახი აქვთ. ეს ჩემთვის საერთოდ გაუგებარია.

— იგივე შეიძლება ითქვას მსახიობებზეც.

— კი, ბატონო. არტისტებიც მოდიან გაყინულ დარბაზში არა მარტო სპექტაკლის, არამედ რეპეტიციების დროსაც, მაგრამ არტისტს აქვს ერთი დიდი რამ, რის გამოც უღირს ამის გაკეთება: ეს არის სიამოვნება, რასაც ის ვერ ელევა.

— მერწმუნეთ, რომ მაცურებელიც სწორედ ამისთვის მოდის...

— ალბათ, თორემ სხვანაირად ამას ახსნა არა აქვს. მე თუ წინასწარ არ მაქვს გარანტია, რომ სიამოვნებას მივიღებ,

დამეზარება წასვლა. ე.ი. მაცურებელი დარწმუნებულია ამაში, როცა თუმანიშვილის თეატრში მოდის.

— მსახიობები სცენაზე ხშირად მიმართავენ იმპროვიზაციას...

— ეს მე უკულტურობად მიმაჩნია. ვოდევილში კიდევ შეიძლება, მაგრამ სხვა სპექტაკლში იმპროვიზაცია ჩემთვის მიუღებელია.

— ბევრი მსახიობისგან გამოიგია — ფილმი, რომელშიც მონაწილეობენ, არ უნახავთ. თქვენ თუ გაქვთ ასეთი ფილმი?

— მაქვს ასეთი ფილმი, მაგრამ არ გეტყვი: რეჟისორს ვეყინება.

— რა მიზეზით არ გაქვთ ნანახი, არ გაინტერესებთ?

— მაინტერესებს, მაგრამ ამის მიზეზი არის დაუკმაყოფილებლობის გრძობა. პროტესტის გრძობა გინდობა: ის, რაშიც მე ძალიან დიდი ენერჯია ჩავდე, რაზეც ბოლომდე დავინხარჯე, არ უნდა დაინგრეს და დაიშალოს. თავს ვიცავ ტკივილისაგან...

— იმედაია, „კუკარაჩა“ ნანახი გაქვთ...

— კი, „კუკარაჩა“ ვნახე.

— დღეს, როგორც ვიცი, კინოში არ მუშაობთ. შემოთავაზებთ არ გაქვთ?

— არ არის შემოთავაზება. პრინციპში, ბოლო წლებში ორ ფილმზე ვთქვი უარი მოუცლელობის გამო. არ გამოდიოდა, იმიტომ, რომ ზაფხულში იყო გადაღებები და ბავშვთან ვიყავი, ვერ დავტოვებდი.

— რა ფილმებია ეს?

— ერთი, ნანა ჯორჯაძის — საკმაოდ საინტერესო ფილმია, რომელიც უკვე გავიდა ეკრანზე.

— გული ხომ არ დაგწყდათ?

— კი, იმდენად, რამდენადაც მიყვარს ეს საქმე. მაგრამ ვთვლი, რომ იმ მომენტში სწორი არჩევანი გავაკეთე: ნანასთან ნამუშევარი ვარ და ვიცი, მასთან რა დამბული შრომაა საჭირო. ჩავთვალე, რომ არ მიღირდა ორად გახლენკა კოჯორსა და თბილისის შორის და იმაზე ნერვიულობა, როდის დამიძახებენ მოულოდნელად და როდის დამადგებიან,

როცა დაუბანელი თავი მაქვს და მეტყვიან — მთავარი სცენაა გადასაღებო...

— ოჯახს ყოველთვის სამუშაოზე მაღლა აყენებთ?

— ყოველთვის ასე ვიქცეოდი, როცა ვხედავდი, რომ ამით რამე დააკლდებოდა ჩემი და ჩემი მეუღლის ურთიერთობას — ანკაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! გამოიცხულია, დათმობაზე წავიდე. სანამ ანკა განდებოდა, ჩვენ არ გვექონია ამ მხრივ არანაირი პრობლემა. ორივენი მსახიობები ვართ და მეტ-ნაკლებად, ერთმანეთს ხელს ვუწყობდით. მე ხელშეწყობა მქონდა ყველასგან, განსაკუთრებით ზაზასგან. ახლა, თუ ჩემს შვილს სჭირდება, პროფესია ჩემთვის არაფერს წარმოადგენს — მიუხედავად იმისა, რომ ეს პროფესია ჩემთვის ყველაფერია...

— ე.ი. თქვენ ეთანხმებით იმ შეხედულებას, რომ ქალი, პირველ რიგში, დედაა?

— კი, ეთანხმები. არა მგონია, საქმეში ანკაზე უფრო ღირებული რამ გავაკეთო. არაფერი არ მიღირს იმის ფასად, რომ მას რამე დააკლდეს.

— დაბოლოს, როგორ გაჩნდა კლიპი „ყვავილი თოვლზე“?

— პირველად ეს სიმღერა ფილარმონიაში, ჩემს ბენეფისზე შესრულდა. სცენაზე გამომსვლელ ყველა მსახიობთან ნომერი მქონდა, გაა როინიშვილის გარდა. მას მიჰყავდა ბენეფისი. ძველის გამეორება არ გვინდოდა, ახლისთვისაც დიდი დრო არ გვექონდა. თამრიკო ჭოხონელიძემ შემოგვთავაზა ეს სიმღერა. მერე ვიას დაენანა ამ სიმღერის გადაღება და კლიპის გადაღება შემომთავაზა. არაჩვეულებრივი ორგანიზატორი აღმოჩნდა. რეჟისორი და ოპერატორები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე დასთანხმდნენ ჩვენთან მუშაობას. თითო-ორი ნათურით და ძალიან მწირი, ნათხოვარი აპარატურით, სამ დღეში გადავიღეთ კლიპი. ყველაფერი გამოვიყენეთ, რაც არსებობდა ჩემს გარდერობში. ძალიან დიდხანს ვეძებდით წითელ საცურაო კოსტიუმს. მთელმა თბილისმა იცოდა, რომ გვჭირდებოდა, მაგრამ ვერ ვიშოვეთ ისეთი, როგორც გვინდოდა და სხვანაირში გადავიღეთ. სამონტაჟოშიც დაგვეხმარნენ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე და კლიპი გამოვიდა. რასაკვირველია, თანხა რომ ყოფილიყო, ხარისხიც უკეთესი იქნებოდა. მიხარია, რომ მაცურებელს ეს კლიპი მოსწონს — პირველ ადგილზეც კი გავიდა ქართულ კლიპებში, რაც ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო. ■



მეუღლესთან და შვილთან ერთად

მაკარონს პოპულარობით თითქმის ვერაფერი შეედრება, მაგრამ ბევრმა ადამიანმა არ იცის, რომ ამ ნაწარმის ისტორია საუკუნეების სიღრმეებში იკარგება, წარმომავლობა კი, საბოლოოდ, არც არის ცნობილი.

M იღუაჯაჯაჯით Macai



ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, რომელიც იტალიელი კარდინალი სუფრასთან თავისი საყვარელი კერძის (რომელიც მაკარონს წააგავდა) გამოჩენას შემდეგი ფრაზით შეზღვა: „ო, შეი კარი!“, რაც ნიშნავდა „ო, ჩემო ძვირფასებო!“ არის მცდელობა, მაკარონის სახელწოდება ძველ ბერძნებს მიაწერონ. ლიტერატურაში მაკარონი პირველად ბოკაჩოს „დეკამერონში“ ნახსენები, როგორც ჩვეულებრივი სოფლური კერძი.

ყველაზე გავრცელებული ლეგენდა მაკარონის გაჩენას აპენინის ნახევარკუნძულზე ცნობილი მოგზაურის – მარკო პოლოს სახელს უკავშირებს. ახალგაზრდა პოლო თავის მგებობებთან ერთად 1271 წელს ჩინეთში გაემგზავრა. ვენეციელები გზაში ოთხი წელი იყვნენ. ჩინეთის მაშინდელმა მმართველმა, მონღოლმა ხანმა ხუბილაიმ ისე შეიყვარა მოგზაურები, რომ მათ მთელი ჩვიდმეტი წელი ვერ შეეღია და უკან, ევროპაში დაბრუნება რის ვაი-ვაგლახით მოახერხეს. მარკო პოლოს მიერ სამშობლოში ჩამოტანილ განძეულობას შორის ბრინჯის ფეკილისგან დამზადებული მაკარონის აზიური ვერსია იყო. სულ მალე ის ყველაზე ცნობილი იტალიური კერძი გახდა.

ამ რომანტიკულ ამბავს ზოგიერთი ცნო-

ბილი ფაქტი ეწინააღმდეგება. ძველი პომპეის გათხრებისას, ლეგანუმი – ძველრომაული მაკარონის ნაწარმის დასამზადებელი „მოწყობილობა“ აღმოაჩინეს, რომლითაც მაკარონის ამჟამად ცნობილ ბევრ სახეობას აკეთებდნენ. ამასთან ბევრ ევროპულ ენაში არსებობს ვერმიშელის ერთმანეთის მსგავსი სახელწოდებები, რომლებიც ლათინური NODULUS – „კვანძისგან“ წარმოდგება. მაკარონისგან დამზადებული ასეთი გორგლები გვხვდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, იაპონიასა და ჩინეთში, სადაც უხსოვარი დროიდან არსებობს კვერცხის, ბრინჯისა და, ასევე, სოიისგან დამზადებული ვერმიშელი.

და მაინც, მაკარონის ყველაზე დიდ მოყვარულებად იტალიელები ითვლებიან. მაკარონის მრავალსახეობისა და მომზადების მეთოდების მიხედვით, იტალიურ სამზარეულოს ტოლს ვერაინ დაუდებს. ყველაზე დახვეწილი გემოვნების მქონე გურმანებიც კი პოულობენ თავიანთ მოსაწონს – 150 სახეობის წვრილ, სქელ, მოკლე თუ გრძელ მაკარონებს შორის. იტალიაში მაკარონს მხოლოდ ფეკილისგან დამზადებულ უწვრილეს ნაწარმს უწოდებენ. ნამდვილი საგაგეტი, რომელსაც ჩვენში ნებისმიერ ვერმიშელს უწოდებენ ხოლმე, სინამდვილეში არაუმეტეს ორი მილიმეტრი ღი-


ამეტრისა და ნახევარი მეტრი სიგრძის უნდა იყოს. რიგატიონი ფიგურული მაკარონის მსგავსია, ოღონდ ფორმით – სწორი და განსაკუთრებული სახეობის ცომისგან მზადდება, რადგან ხარშვისას, სიგრძეში ორჯერ, ხოლო სისქეში სამჯერ მატულობს, ამასთან, არც ფორმას და არც გემოს არ კარგავს. ნამდვილ რიგატონის მხოლოდ იტალიაში ამზადებენ. იტალიელები ბევრი დასახელების მაკარონს იცნობენ: „ბორბალი“, „პეპელა“, „ლოკოკინა“, „ანგელოზის კულუნი“. სხვა ქვეყნებში ყველა იტალიურ მაკარონის ნაწარმს ერთ სახელს – პასტას უწოდებენ. მის სამშობლოში პასტა – ძირითადი საჭმელია, საზღვარგარეთ კი უმეტესად, გარნირის ფუნქციას ასრულებს.

მაკარონის მომზადების კლასიკური წესის მიხედვით, მოხარშვისას წყალი 6-8-ჯერ მეტი უნდა იყოს, ვიდრე „შშრალი პროდუქტი“. წყალი უნდა იყოს მარილიანი და აუცილებლად დუღილის პროცესში. ქვაბზე სახურავის დაფარება არაფრით არ შეიძლება, მაკარონს ხშირად ურევენ. მოხარშვის შემდეგ მაკარონისთვის ცივი წყლის გადავლებას იტალიელები სასტიკად კრძალებენ.

ნამდვილ საგეტის დაუმტკრეველად, ძილიანად ხარშავენ სპეციალურ ქვაბში. თუ

ბიბლიური პერქენი მეფე	ცემენგის ქარხანა (ქალაქი)	ამონ-...	ოფიციალური ნებართვა გარკვეული საქმიანობის წარმართვაზე	ცხენბურთი	კ. კობეინის როკ-ჯგუფი	პეი...
	მონი...					
ერთი კაცის არია	ჩოგბურთელი სელები	ღნმ-ის მოლეკულის ფორმა	18 წელი – ასაკობრივი	ანტიკური ქანდაკება ბელვედერიდან	23	კინოვალდ ბუნების


მოცული oni



ასეთი ქვაბი ხელთ არა აქვთ, მაშინ აწყობენ მღულარეში და ნელ-ნელა დასარბილებლად, მთლიანად ათავსებენ წყალში. სპაგეტის მოხარშვის ცოდნა, მოსატანიც არ არის მისი ჭამის ხელოვნებასთან. საჭიროა ორივე ხელი, კოვზი და ჩანგალი, მოხერხებულობა, რომ სპაგეტი დაახვიოთ ჩანგალზე, კოვზით მაყოლოთ გარნირი და ეს ყველაფერი მოხდეს ერთდროულად, რიტმულად და გაწაფულად, რათა თევში არ გადმოვარდეს მაგიდიდან ან სპაგეტი არ აღმოჩნდეს მუხლებზე.

სპაგეტის მიერთმევენ ყველთან, ტკბილ წიწკასთან, ცუკინისთან, კიბორჩხალასთან, სოკოსთან, ვაშლთან და ბევრ სხვა რამესთან ერთად. მაკარონს ასევე მოიხმარენ წვნიანებში, სალათებსა ან ღვეხელებში.

დიდი ხნის მანძილზე თვლიდნენ, რომ მაკარონი არ იყო სასარგებლო პროდუქტი, რადგან მძიმე საკვებია, ასუქებს ადამიანს და არ შეიცავს ვიტამინებს. ამჟამად მაკარონზე შეხედულება ძირფესვიანად შეცვლილია: მას დაბალკალორიულ და სასარგებლო საკმელად მიიჩნევენ. ერთ ულუფა მაკარონში მინერალისგან შემდარი „თაიფულია“: მარგანცი, რკინა, ფოსფორი, სპილენძი, მაგნიუმი და ცინკი. ის სასარგებლო ცილასა და B1-ვიტამინსაც შეიცავს.



„მიერთვით მეტი მაკარონის ნაწარმი!“ – მოგვიწოდებს ჯინა ლოლობრიჯიდა. ის, როგორც ნამდვილი იტალიელი, მთელი ცხოვრების მანძილზე სადილად პასტის კარგ ულუფას ანიჭებს უპირატესობას და თავად ამზადებს ნაკლებად ცხიმოვან სოუსს ტომატისა და არარაფინირებული ზეთის ზეთისგან. ეს ჯინას იმდენად კარგად გამოსდის, რომ მის პირად მზარეულს პროფესიული ექვიანობა იპყრობს. მსახიობი ყოველთვის აღიარებდა, რომ კარგი აღნაგობის საიდუმლო „სპაგეტის დიეტაშია“. დიეტოლოგებმა მხოლოდ ახლახან აღიარეს ეს ძველი ჭეშმარიტება, რომელიც ყოველი იტალიელი ღედისთვის იყო ცნობილი.

სკანდინავიელი მეცნიერების აღმოჩენა კი ნამდვილი სენსაცია გახდა. მათ დიდი დატვირთვის დროს მაკარონის ნაწარმით კვების განსაკუთრებული როლი აღნიშნეს. ასე გაჩნდა „სკანდინავიური დიეტა“ პროფესიონალი სპორტსმენებისთვის, რომლებსაც მნიშვნელოვან შეჯიბრებამდე სამი დღით ადრე, მხოლოდ მაკარონს აჭმევენ. კუნთებისთვის ნახშირწყალი შეუცვლელი „საწვა-

ვია“. ფრანგი დიეტოლოგებიც ურჩევენ მოხარდებს პიცის, ჰამბურგერის ან პოტლოგის ნაცვლად, ერთი ულუფა მაკარონი მიერთვან.

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ადამიანი, რომელიც რეგულარულად იკვებება მაკარონით, რომის პაპი იოანე-პავლე მეორე გახლავთ. პაპის სადილი, როგორც წესი, პასტით იწყება. იქნებ, სწორედ ამაშია რომის პაპის არნახული შრომისუნარიანობის საიდუმლო?

კიდევ ერთი „კოცხალი ლეგენდა“ – უბერებელი ტინა ტერნერი გასტროლების დროს მუდამ ბოსტნეულიან მაკარონს მიერთმევს – ის კი, როგორც ცნობილია, შესაშური ენერგიით გამოირჩევა.

ბევრი თოფ-მოდელიც არ არის გულგრილი იტალიური სამზარეულოს მიმართ და განსაკუთრებით, მაკარონს ანიჭებს უპირატესობას. მართლაც, ყველა ეს კანელონი, ტალიატელი, მინესტროლი და კაპელეტი იმდენად გემრიელია, რომ ცდუნებისგან თავის დაღწევა ძალიან ძნელია.

ადგილობრივი მოსახლეობა	უმცირესი ნაწილაკი	კანის დაავადება	ყვეენი, ხეპრე	... ულენ შპიგელი	დიპლომატიური თანამდებობის პირი	სამხარეურის ჭერჭეული
სტოიკი	გენი	მშოი	იზონი	მედი		სსკს
ფიზიკოსი ნილს	უდიცხი ნიკი	სოიერი	ქვიდლება მიდის დროს	პუნების ბელადი	ლხინი ... ფანდური	ორგანიზაცია ბასკეთში

„გიხაროდენ, მიმადლებულო, მარიამ, უფალი შენთანა!“

ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში ებრაელთა ქვეყანაში ცხოვრობდა კეთილმორწმუნე ცოლ-ქმარი იოაკიმე და ანა. ისინი უკვე მოხუცებულნი იყვნენ, მაგრამ ღვთის ნებით შვილი არ ჰყავდათ. და რადგან იმ დროში უშვილობა დიდ სირცხვილად ითვლებოდა, გამუდმებით ევედრებოდნენ უფალს, გაეხადა შვილის ყოლის ღირსნი. ბოლოს აღიქმა მისცეს ღმერთს, რომ თუ შვილი მიეცემოდათ, მას უსათუოდ უფალს შესწირავდნენ... და ისმინა ღმერთმა ცოლ-ქმრის ევედრება... და მისცა მათ ასული, რომელსაც უწოდეს სახელად მარიამი.

როდესაც მარიამი სამი წლისა გახდა, მართლმორწმუნე მშობლებმა იერუსალიმის ტაძარში წაიყვანეს. მათ წინ მიეგება მღვდელმთავარი, რომელმაც პატარა მარიამი ხელში აიყვანა და, ღვთის განგებით, საკურთხეველში შეიყვანა, სადაც მღვდელმთავრის გარდა, არავის ჰქონდა შესვლის უფლება. ეს უკვე ნიშანი იყო იმისა, რომ ამ ბავშვის მომავალი გამორჩეული ღვთიური ნიშნით იქნებოდა აღბეჭდილი.

როდესაც მარიამი გაიზარდა, მალე დაობლდა. მაგრამ მას არ შემინებია ცხოვრების სინდელეებისა, რადგან მუდმივ მფარველად ევედრებოდა ღმერთი, შემოქმედი მისი და მასწავლებელი. მარიამმა მას

ქალწულობის აღიქმა მისცა და გადაწყვიტა, მიუღი თავისი მიწიერი ცხოვრება ღვთის სამსახურში გაეღია. ეს ამბავი მისმა აღმზრდელმა მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, როდესაც მარიამი სრულწლოვანი გახდა და მისი გათხოვება მოინდომეს. მარიამმა მათ გამოუცხადა თავისი სურვილი. რის გამოც მღვდლებმა ჩაბარეს ის ერთ მის ნათესავს – მოხუც იოსებს, რომელიც ხურო იყო და ცხოვრობდა ნაზარეთში.

ერთხელ, როდესაც მარიამი ლოცულობდა, მას გამოეცხადა გაბრიელ მთავარანგელოზი და ასარა: „გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა! კურთხეულ ხარ შენ ღვლათა შორის“. ამგვარმა მოულოდნელმა მოკითხვამ შეაკრთო მარიამი. მაგრამ მთავარანგელოზმა გამსხვევა იგი და უთხრა, შენ შობ ტეს და უწოდებ იესოს, ანუ მაცხოვარსო. ამან გააოცა ქალწული მარიამი და ჰკითხა მთავარანგელოზს: „ეს როგორ მოხდება, როდესაც მამაკაცისა არა ვიცი რა?“ – „სულიწმიდა გადმოვა შენზე და შენ შობ შვილს. რომელიც იქნება ძე ღვთისა“, – მიუგო გაბრიელ მთავარანგელოზმა. მაშინ ქალწულმა კრიძღვით მიიღო ეს ხარება და თქვა: „მე ვარ მხევალი უფლისა და აღსრულდეს ნება მისი“. მთავარანგელოზი უხილავ იქნა და მარიამს ჩაესახა ქრისტე.



ხარებობა

ხარების დღესასწაულს (წლეულს 7 აპრილს აღინიშნება) ანგელოზის მიერ ყოვლადწმინდა მარიამის ხარების ამბის აღსანიშნავად ზეიმობენ. ძველად ეს დღესასწაული სხვადასხვა სახელწოდებით იყო ცნობილი, მაგალითად: „მუცლადღება ქრისტესი“, შემდეგ – „ხარება ქრისტესი“, „დასაბამი გამოხსნისა“, „მარიამის ხარება ანგელოზისაგან“ და სხვა. მხოლოდ VII საუკუნეში მას საბოლოოდ დაერქვა სახელი „ხარება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა“.

ჯერ კიდევ IV საუკუნეში ხარებას, დღესასწაულთა დღესასწაულს უწოდებდა წმინდა მამა ათანასე, ხოლო V-VI საუკუნეებში სასულიერო პირნი შეეცადნენ, ამ დღესასწაულისათვის უფრო საზეიმო იერი მიეცათ და ქრისტიანული ეკლესია საოცრად გაძიდებულა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების დღისადმი მიძღვნილი საგალობლებით. VIII საუკუნეში წმინდა იოანე დამასკელმა და თეოფანემ (ნიკეას მატროპოლიტმა) შეადგინეს ამ დღესასწაულის კანონი, რომელიც დღემდე იგალობება ეკლესიებში.

ხარება წარმოადგენს ათორმეტ უძრავ დღესასწაულთაგან ერთ-ერთს და სცენა ხარების გამოსახულებით მრავლად არის გამოხატული ფრესკებზე, ხატებზე, მინიატურებსა

თუ ლოთონის ფირფიტებზე.

თბილისში, ნუცუბიდის პლატოზე მდებარეობს ორიგინალური არქიტექტურის, ჯვარგუმბათოვანი ეკლესია, რომელიც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობაზე აგებული. ტაძრის აგების იდეა გელათის სასულიერო აკადემიის სტუდენტს ავთანდილ ჩიგოგიძეს ეკუთვნის, ხოლო ტაძრის პროექტი არჩილ მინდიაშვილის კონსულტაციებით შექმნა არქიტექტორმა ნუგზარ ღონღაძემ. 1999 წლის 29 ოქტომბერს ტაძარი აკურთხა ვანისა და ბაღდათის ეპისკოპოსმა ანტონმა (ბულუხიამ) და ამჟამად იგი მოქმედ ტაძართა რიგს განეკუთვნება.



ბზობა

ეს ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი საუფლო დღესასწაულია. მას აღდგომის წინა კვირა დღეს (წლეულს – 8 აპრილს) აღნიშნავენ.

ქრისტიანული კულტის მსახურებაში ბზობის დღესასწაული IV საუკუნეში შემოვიდა და მისი შინაარსი დამუშავდა სახარების მოთხრობაზე, რომელშიც გადმოცემულია იერუსალიმში პასქის დღესასწაულზე დასასწრებად იესო ქრისტეს შესვლის ამბავი:

როცა ებრაელების პასქი მოახლოვდა, იესო ქრისტე მივიდა ბეთანას, საიდანაც მან მახლობელ სოფელში გაგზავნა ორი მოწაფე და

უთხრა: ამ და ამ ადგილას იპოვით დაბბულ კაცსა და ვირს, ახსენით და მომგვარეთ, ხოლო თუ პატრონმა რამე გითხრათ, უთხარით, უფალი ითხოვსო. მოწაფეები წავიდნენ. მართლაც იპოვეს ვირი და კაცი, როგორც ქრისტემ ანიშნა და მოჰგვარეს. მოწაფეებმა გადააფარეს მას საძოსელი, შესვეს ზედ ქრისტე და ასე გაემართა იგი იერუსალიმს.


იერუსალიმს მიმავალ უფალს ხალხი ტანისამოსს და ხის ტოტებს უყენდა. დიდებით მიაცილებდა და სიხარულით უგალობდა: „ოსანა მაღალთა შინა ღმერთსა“, „ოსანა ტესა დავითისასა“, „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“.

როცა ქრისტე ქალაქში შევიდა, ფარისეულებმა მოინდომეს მისი შეპყრობა, მაგრამ მათ ხალხისა შეეშინდათ, რადგან ხალხმა იცოდა, რომ ეს იყო ის, ვინც ოთხი დღის მკვდარი ლაზარე აღადგინა. სახედარზე მკვდომმა უფალმა კი წინასწარ უწყოდა, რომ მცირე ხანში იგივე ხალხი მოითხოვდა მის დასჯას „ჯვარს აცუ ევე“, ვინც ახლა აღტაცებული იყო მისით. ებრაელები იესოში არა ზეციურ, არამედ მიწიერ მეფეს ხედავდნენ და სურდათ მასში დაენახათ პიროვნება, რომელიც მათ ყოველ გარშემოცოვ ხალხზე გააბატონებდა...

ბზობის რიტუალი სიმბოლურად იმეორებს სახარების ამ მოთხრობის ზოგიერთ დეტალს. მღვდელმსახურნი მლოცველთა მიერ მიტანილ ტოტებს აკურთხებენ და „ოსანას“ გალობით ალაგვნიენ ღმერთის დიდებას. ბევრ ქვეყანაში პალმის ტოტების სანაცვლოდ, რომელსაც უყენდნენ მაცხოვარს, ბზა იკურთხება. აქედან წარმოდგება დღესასწაულის სახელწოდებაც – ბზობა.

აღსანიშნავია, რომ ბზას აჭარაში შიმშირი, მგერულად ბზაკალი, სვანურად ბაია, ხოლო ქართლურად უფლის ხე ეწოდება.

60670 ტარყაშვილი



ქართველთათვის მოღვაწე, ლეკთა და ოსთა განმანათლებელი 10 აპრილი – იოანე მანგლელის ხსენების დღე

ანტონ კათოლიკოსი თავის „წყობილსიტყვაობაში“ ხეაღმატებული სიტყვებით ამკობს იოანე მანგლელის სახელს:

**„იოანეს – მმარხველთა დიდსა მზესა, სხუასა ილიას, უდაბნოთ აღმომხესა“,
„ქებით სათქმელსა...“
„მადლით სავსესა...“
„ვაქებ სურვილით...“**

რა სამწუხაროა, რომ ჩვენ არათუ იოანეს მრავალ და კეთილ საქმეებს არ ვიცნობთ, მის სახელსაც კი იშვიათად თუ იცნობს ვინმე.

როგორც საისტორიო წყაროებიდან არკვევა, წმ. იოანე მანგლელი, გვარად სააკაძე იყო – ძე გიორგი სააკაძისა (ოღონდ არა საყოველთაოდ ცნობილი მხედართმთავრისა) იგი 1666 წელს დაბადებულია. წმ. იოანე აღზრდილა დავითგარეჯის ბერთუბნის მონასტერში და მრავალი წელი დაუყვია „ქვაბსა შინა ბერთუბნისასა“. ახალგაზრდობაშივე აღკვეცილა ბერად და შესდგომა სულიერი სათნოებებით გამორჩეული მონაზვნური ცხოვრების გზას. ამ სათნოებათაგან განსაკუთრებით, მოწყალებით ყოფილა შემკული და უხვად გასცემდა შესაწირს

ქერივ-ობოლთათვის, უძღურთა და გლახაკთათვის. უქადაგებდა მათ ქრისტეს სჯულს და უჩვენებდა ჭეშმარიტი სარწმუნოების გზას. მამა იოანეს მიერ მოქცეულ ცხოვართა შორის მრავლად იყვნენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ უცხოტომელებიც. უფლის სასწაულითა და მამა იოანეს მეცადინეობით მოქცეული ლეკი მებრძოლი, დავითგარეჯის ბერთუბნის მონასტერშივე აღკვეცილა ბერად. სხვათა შორის, შემდგომში მას დაუწერია წიგნი – „მანანა“, რომელშიც ხოტბას ასხამს მართლმადიდებელ ეკლესიას. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მამა იოანეს მოღვაწეობა საქართველოს ძნელბედობის ხანას დაემთხვა. ქვეყანაში ჯერ ოსმალები, შემდეგ კი სპარსელები ბატონობდნენ. ქვეყანას აჩანაკებდა გამუდმებული ლეკთა თავდასხმებიც. დიდ თავდა-აზნაურთა და მოხელეთა ზნეობრიობა დაპყვეითებოდათ და, სამწუხაროდ, ხშირად, უბრალო ხალხიც მათ ჰბაძავდა. ქვეყანას ზნეობრივი გამოჯანსაღების გარეშე უთუოდ დაღუპვის საფრთხე ემუქრებოდა და მის საკეთილდღეოდ, სწორედ მაშინ გამოჩნდნენ ის ადამიანები, რომელთაც ერის ხსნისა და გადარჩენის საქმე საკუთარ მხრებზე იტვირთეს. მამა იოანე, რომელიც თავად ამგვარ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ცდილობდა, ქვეყნის მოკეთე პირებთან დაახლოებას (მიუხედავად მათი სოციალური მდგომარეობისა – ავტ.) და საერთო ძალისხმევით კეთილი საქმის აღსრულებას.

მას შემდეგ, რაც ვახტანგ მეექვსემ მაჰ-

მადიანობის მიღებაზე უარი განაცხადა, ირანის შაჰმა ქართლის მეფედ გაათარებული იესე (ვახტან VI ნახევარძმა) გამოგზავნა, რომელიც ტახტზე 1714 წელს ავიდა. მაჰმადიანი იესე ცდილობდა, ხალხშიც ის რჯული დაენერგა, რომელსაც თავად აღიარებდა. თავად კი წაჰგვარა ცოლი დედის ბიძასა თვისსა, ქაიხოსრო ამირეჯიბს (თვითონ ქალი მას ბებუის ძმისწულად ერგებოდა) და ცოლად შეირთო. უკეთური მეფე, ბუნებრივია, ამხილეს ეპისკოპოსებმა, მაგრამ ყველაზე მეტად, ხმა იოანე მანგლელმა აღიმალა. ამის შემდგომ მამა იოანე იყო მუდმივი თანამონაწილე ღომენტი IV კათოლიკოსის, ვახტანგ მეექვსისა და ბაქარ ბატონიშვილის მიერ განხორციელებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეებისა. იმავედროულად იოანე მანგლელი იესე მეფის პირად ცხოვრებაში ჩარევასაც კი ბედავს, რათა კიდევ ერთხელ მიუთითოს უგვანო საქციელზე. მაჰმადიანი იესე ჯიუტად იმართლებს თავს: „ვარ მე მაჰმადიანი, ესრეთ ჯერ არს ჩემდაო“ და წმინდა მამას ისლა დარჩენია, ილოცოს და ღმერთს შეავედროს, რათა შეუმცროს იესეს მმართველობის დღეები. მართლაც – ამის შემდგომ იესეს დიდხანს აღარ უმეფია.

1716 წელს ვახტანგ მეექვსემ მიიღო მაჰმადიანობა და იგი შაჰმა ირანში დატოვა. ხოლო ქართლი „ჯანიშინად“ დანიშნულ მის მემკვიდრეს, ბაქარს ჩააბარა, რომელმაც იესე შეიპყრო და ციხეში ჩასვა. 1717-

1719 წლებში, როდესაც ბაქარი ქართლს განაგებდა, წმინდა იოანე ეპისკოპოსად აკურთხეს და მანგლისის ეპარქია ჩააბარეს. თუმცა იქ დიდხანს არ გაჩერებულა, რადგან მასაც მოუწია სულმდაბალ ადამიანთა მიერ გავრცელებული უგვანო ჭორებისაგან თავის განრიდება და იძულებული შეიქნა, ხირსის მონასტერში განმარტოებულიყო. VI საუკუნეში სტეფანე ხირსელის მიერ დაარსებულ ხირსის მონასტერს (სოფელ ტიბაანში) ძველთაგანვე დიდი ადგილი ეკავა სამისიონერო საქმეში და წმინდა იოანე მანგლელმაც თავისი სამისიონერო მოღვაწეობა აქედან განავრცო.

1724 წელს მეფე ვახტანგ მეექვსემ დატოვა საქართველო და თავი რუსეთს შეაფარა. იმავე წელს წმინდა იოანე მანგლელმა კავკასიის მთიანეთში გადაინაცვლა. პირველად იგი, 12 სასულიერო პირის თანხლებით, დარუბანდში ჩასულა, სადაც თავისი სათნო მოღვაწეობა კიდევ დაუგვირგვინებია საყდრის აშენებით. ჩრდილო კავკასიას სწრაფად მოეფინა ხმა მისი სიწმინდის შესახებ და მრავალი დაემოწაფა მას.

ეკლესია-მონასტრების აღშენებისათვის საჭირო სახსრების ძიებისას, ღვთის სათნო მამას დიდი შემწეობა გაუწიეს ვახტანგ მეექვსემ და პეტრე დიდმა. ჩრდილო კავკასიაში წმინდა იოანეს მეცადინეობით განახლდა ღვთისმშობლის შობის და აიგო წმინდა დიდმოწამე ეკატერინეს სახელობის ეკლესია. 1737 წლისათვის წმინდა იოანე მანგლელმა თავისი მოწაფეები დაღესტანში დატოვა, თავად კი ასტრახანში გადაინაცვლა, სადაც სამების მონასტერში გაჩერდა. ასტრახანში მას საქართველოს ემიგრანტი მეფე და ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენელი ეკუთვებოდა.

წმ. იოანე ასტრახანში წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესია ააგო, საიდანაც შემდგომ ყიზლარში გადაინაცვლა და საქართველოდან გადასახლებული მართლმადიდებლებისათვის ააგო ჯვართამაღლების ეკლესია. იქვე 1738 წელს დააარსა სასწავლებელიც. განსაკუთრებით ბევრი იღვაწა იოანემ ოსეთის გაქრისტიანებისათვის, რისთვისაც დააარსა კიდევ (იოსებ სამებლთან ერთად) „ოსეთის ქრისტიანობის აღდგენის კომისია“ (ეს კომისია რუსეთში მისი ყოფნის დროს დაფუძნდა), სადაც გაერთიანებული იყო ქართული სამღვდელთა. მისიის საქმეს იოანე მანგლელი განაგებდა, მის არქიმანდრიტად კი პანოში ითვლებოდა.



მეფე ვახტანგ VI

აღსანიშნავია, რომ ამ მისიისათვის ყიზლარში წმ. იოანე მანგლელს სახლი აუგია და ულამაზესი ბაღიც გაუშენებია. წმ. იოანე მანგლელს რუსეთის მთავრობისათვის წარუდგენია მოხსენებითი ბარათი, ოსებს შორის ქრისტიანობის აღდგენის თაობაზე. ასე რომ, წმ. იოანეს გარდაცვალების შემდგომ, წმ. სინოდს ინსტრუქციაც კი დაუწერია, თუ როგორ უნდა ემართათ მისია.

წმ. იოანე მანგლელი 1751 წლის 28 მარტს ყიზლარში, თავისსავე აგებულ ჯვართამაღლების მონასტერში გარდაიცვალა. მაშინ 85 წლისა იყო. თავისი ანდერძის თანახმად, იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში უნდა დაეკრძალათ. მაგრამ ნათლისმცემლის უდაბნოს დაცარიელებისა და უგზობის გამო, მისი თხოვნა ვერ შეასრულეს და ასტრახანის ეპისკოპოსის – ილარიონის შეწვევით, იქვე, ყიზლარში, ჯვართამაღლების მონასტერში დაასაფლავეს.

გადმოცემის მიხედვით ერთი წლის შემდეგ, წმინდა იოანე იმპერატრიცა ელიზავეტას გამოსცხადებია და უთხოვია, სამშობლოში გადაესვენებინათ. 1752 წელს წმინდა იოანეს მირონმდინარე ნემსტი საქართველოში გადმოსვენეს და სიონის ტაძარში, მანგლისის ღვთისმშობლის ხატის წინ დაკრძალეს. წმინდა იოანე მანგლელის საფლავთან დიდხანს აღესრულებოდა საკვირველი სასწაულები და კურნებანი.

როგორც ისტორიული ცნობები გვამცნობს, საქართველოს უკანასკნელი მეფე, გიორგი მეორემეტის (1798-1800) ბრძანებით, ორჯერ გაუსხნიათ იოანე მანგლელის საფლავი: პირველად მაშინ, როდესაც ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ მეფის ძე განუკურნებელი სენით იყო დაავადებული. მეფის ბრძანებით, ბატონი-

ვილს სახეზე დაადეს წმ. იოანე მანგლელის ნაწილები და ის განიკურნა. მეორე წელს კი, ისევ გახსნეს საფლავი, ბატონიშვილ თამარის სნეულების გამო და მანაც მიიღო ყველასათვის საკვირველი კურნება. ამ მოვლენათა აღსანიშნავად, მეფე გიორგის ვერცხლით მოჭედილი ხატიც შეუწირავს წმ. იოანე მანგლელისათვის, რომელსაც ამშვენებდა წარწერა: „განკურნებისათვის შვილისა ჩემისა... შემოგწირე წმინდა იოანე მანგლელ სულთა ჩვენთა მეოხი ხატი სახისა შენისა, წელსა 1799, თვესა აპრილსა 8“.

ამის შემდგომ წყალმანკით დაავადებულ მეფე გიორგის უკვე მესამედ უთხოვია ანტონ კათალიკოსისათვის, გაეხსნა წმ. იოანე მანგლელის საფლავი და ლუსკუმა.

22 დეკემბერს სიონის ტაძარში კათოლიკოს ანტონ მეორეს, მთავარეპისკოპოს იუსტინესა და ბოდბელი მიტროპოლიტი იოანეს თანხლებით ჩაუტარებია პარაკლისი და პარაკლისის შემდგომ, მართლაც ამოუღიათ ლუსკუმა, რომელიც შეუტანიათ მეფის საწოლ ოთახში. მეფე დიდი ვერებითა და სასოებით ემთხვია წმინდა ნაწილებს... იქვე ცრემლად იღვრებოდა დღეოფალი მარიაში (ამ შემთხვევის გამო, შემდგომ გენერალ ლაზარევს იოსებ წინამძღვრიშვილისთვის უთქვამს – ახლა ვხედავ, რომ მეფე გიორგი მალაღად სდგას ღმერთთანო...). შემდგომ შესრულდა ზეთის კურთხევის საიღუმლო და მეფემ საოცარი შევება იგრძნო.

არსებობდა წმ. იოანე მანგლელის ნაწილებით შეკეული პირიღვთის მცირე ხატიც, რომელსაც ატარებდა გულზე საქართველოს კათოლიკოსი ანტონ II და იგი ინახებოდა თბილისის ანჩისხატის ტაძრის საკურთხეველში. ანტონ II-მ 1811 წელს, სხვა მრავალ ქონებასთან ერთად, ეს პატარა ხატიც წაიღო რუსეთში. სიკვდილის წინ მან ეს ხატი გადასცა მღვდელ სვიმონ ერიაშვილს და დაავალა, სამშობლოში დაბრუნებულიყო. როდესაც სიმონ მღვდელი საქართველოში ჩამოვიდა, იგი საქადაგებლად მიავლინეს ჩრდილო კავკასიაში, სადაც გარდაიცვალა და ხატი სასოვრად დარჩა სვიმონის ერთადერთ ქალიშვილს, ანას, რომელმაც იგი ანჩისხატის ტაძარს შესწირა.

აი, ასეთი ღვაწლმოსილი წმინდანის ხსენებას აღასრულებს ქართული ეკლესია 10 აპრილს, „მადლით შემოსილი წმიდაო ღვთისაო, მღვდელმთავარო იოანე მანგლელი, მადლით მოგვეფინე მადლი მეოხებისა შენისა და მოგვისხენე წინაშე ღმრთისა!“

მოამზადა ნინო ტარყაშვილმა

დასაწყისი იხ. ჩვენი ჟურნალის NENE 36, 39 და 41-ში.


უცხოეთში ყოფნისას, ყოველთვის ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი საინტერესო ადგილი დავათვალიერო. იმის გაფიქრებაც, რომ აქ მეორედ შეიძლება ვეღარ მოვხვდე, ენერგიას მმატებს ხოლმე.

საყოველთაოდ ცნობილია ინგლისის ფეხბურთის გულშემატკივართა ფანატიზმი და ის, თუ რამდენ პრობლემას უქმნიან ისინი იმ ქვეყანას, სადაც საყვარელი გუნდის თამაშის სანახავად ჩადიან. მათი ემოციები განსაკუთრებული სიჭარბით მაშინ ვლინდება, როდესაც ინგლისის ეროვნული ნაკრები ირლანდიის გუნდს ხვდება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ომი უნდა დაიწყოს. მატჩისწინა სამზადისი დიდი ხნით ადრე იწყება, ხალხი მარტო ამაზე ლაპარაკობს, პრესა და ტელევიზია მომავალ შეხვედრას უტრიალებს. ეს აუიოტაუი იმას მაგონებს, რაც ჩვენში თბილისის „დინამოსა“ და ერევნის „არარატის“ ორთაბრძოლების წინ ხდებოდა ხოლმე...

ინგლისიდან წასვლას რომ ვაპირებდი, ერთი ასეთი მატჩი უნდა გამართულიყო და გადავწყვიტე, მეც გავეზდარიყავი ზემოთ დასახელებული აუიოტაუის მომსწრე. ივანემ (ინგლისში გაცნობილმა რუსმა კაცმა, რომელზეც წინა წერილში მოგიხსენებია) წამოსვლაზე თავიდანვე უარი მითხრა: ფეხბურთი კი მიყვარს, მაგრამ სავიზო რეჟიმიც დარღვეული მაქვს და ტერორისტებისაც მეშინიაო... მარტო წასვლა არ მინდოდა. საბედნიეროდ, გავიგე, საერთო საცხოვრებლის მეპატრონე, მუჰამედი, ფეხბურთის დიდი მოყვარული ყოფილა. დაველაპარაკე და გადავწყვიტეთ, ერთად დავსწრებოდით მატჩს. ტურისტულ სააგენტოში ორკვირიანი ვიზა გავაფორმე და მუჰამედის ავტომობილით ირლანდიის გზას დავადექით.

მუჰამედი ეგვიპტეში დაიბადა. ათი წლის ყოფილა, როდესაც მისმა ოჯახმა პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა და საცხოვრებლად ლონდონში გადმოვიდა. ცოლად მოტლანდიელი ქალი ჰყავდა და ორ მშვენიერ გოგონას ზრდიდა. კარგი განათლებაც მიუღია და მშვენიერი მოსაუბრეც აღმოჩნდა.

– ირლანდია მშვენიერი ქვეყანაა. ცოლი არ მომყვება, თორემ დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი იქ, – მითხრა



მუდმივი

mudmivi gazafxulis, zRaprebisa da uamravi dResaswaulis qveyanaa

აკაკი გეგენავა

მუჰამედმა, ბორანზე რომ აველით.

– როგორ? აფეთქებებისა და ტერორისტული აქტების არ გეშინია?

– ეს აფეთქებები და საშინელებები ჩრდილოეთ ირლანდიაში ხდება, რომელიც დიდ ბრიტანეთს ეკუთვნის. ირლანდიის რესპუბლიკაში კი სამოთხეა...

– მერე, ცოლი რატომ არ მოგყვება?

– მოტლანდიელია. მოტლანდიელი კი არაფრით არ იცხოვრებს ირლანდიაში...

განათლებული ქვეყანა

მოტლანდიიდან ირლანდიაში ბორანი 4 საათს უნდება, მგზავრობის ღირებულება 40 გირვანქა სტერლინგს უდრის – იაფი ნამდვილად არ არის. თუ ქვეყანაში ჩრდილოეთ ირლანდიიდან – ოლსტერიდან შეხვედი, რომელიც დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაშია, საზღვარს საერთოდ ვერ იგრძნობ და მხოლოდ იმით მიხვდები, სხვა ქვეყანაში რომ იმყოფები, რომ გზის მაჩვენებლებზე მიღები კილომეტრებს შეუცვლია.

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში პატარა ირლანდიაში სახელი გაითქვა, როგორც წმინდა მამების კუნძულმა. წმინდა მამები ბერები იყვნენ, რომლებმაც მონასტრები და სასულიერო სასწავლებლები ააშენეს და ჯერ ირლანდიაში,

შეიქმნა კი მთელ ევროპაში მოღვაწეობდნენ. XIV საუკუნეში ამ კუნძულზე უკვე რამდენიმე უნივერსიტეტი მოქმედებდა. განათლების სისტემა ირლანდიაში ახლაც ძალიან მაღალ დონეზე დგას. მართალია, ირლანდიელები ძალიან ამაყობს იმით, რომ საკუთარი ძველი ენა აქვთ, მაგრამ სწავლა ყველგან ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს და, ბუნებრივია, ყველა ინგლისურად ლაპარაკობს. აღსანიშნავია, რომ ირლანდიური სკოლის ატესტატი ადგილობრივ, ასევე ბრიტანეთისა და ამერიკის უნივერსიტეტებში ფასობს.

ირლანდიელები რაღაც განსაკუთრებული ნაციონალიზმით არ გამოირჩევიან, მთელი მათი ნაციონალიზმი იმაში გამოიხატება, რომ ხაზს უსვამენ – ჩვენ ინგლისელები არ ვართ, არც ვგავართ მათ და სულ სხვა ერი ვართო. მართლაც, ინგლისსა თუ ირლანდიაში ყოფნის მცირე დროც საკმარისია იმისათვის, რომ ეს განსხვავება დაინახო.

ღელაქალაქი

ღუბლინში დილის 11 საათზე ჩავდივით. საფეხბურთო მატჩი საღამოს 6 საათზე უნდა დაწყებულიყო. მუჰამედმა იცოდა, რომ თამაშის შემდეგ, ქვეყანაში დარჩენას და მის დათვალიერებას ვა-

პირები. სტადიონამდე სანამ მივი-
ლოდით, მანქანა გააჩერა და მკითხა
– სასტუმროში იცხოვრებ თუ კერ-
ძო სახლშიო?

– არ ვიცი, შენ რას მირჩევ? –
დავეკითხე გამოცდილ მეგზურს.

– თუ დამიჯერებ, კერძო სახლი
სჯობს: შედარებით იაფიც არის,
თანაც, თუ მშენიერი ახალგაზრდა
ღიასახლისიც დაგხვდა, შენს ბელს
ძალდი არ დაჰყევს...

ამ ქვეყანაში თითქმის ყოველ სახ-
ლთან, შეამჩნევ განცხადებას BSB,
რაც იმას ნიშნავს, რომ სახლის პა-
ტრონი, საკმაოდ ხელმისაწვდომ
ფასად მოგაქირავებთ ოთახს, ყოველ
ღილით საუზმეს, საღამოს კი ვახ-
შამს მოგართმევთ. ასეთი სერვისი
ტურისტისთვის ძალიან მოსახერხ-
ებელია, ვინაიდან ამით მას იმის
შესაძლებლობაც ეძლევა, რომ კარ-
გად გაიცნოს ირლანდიური ოჯახი, მათი
აღათ-წესები და ტრადიციები.

ბევრი ძებნა არ დაგვიწვია და ერთ
კოხტა სახლს მივადექით. ღიასახლისი
ხანში შესული, სანდომიანი ქალბატონი
ჯეისი, პედაგოგი აღმოჩნდა. დამსახურე-
ბულ პენსიაზე იმყოფებოდა და თავის
გამოცდილებასა და უხვად შერჩენილ
ენერგიას 10 წლის შვილიშვილზე ხარ-
ჯავდა. ოთახის გაქირავება კი, ფულის
მოგების მიზნით კი არ გადაუწყვეტია,
არამედ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსუ-
ლი ადამიანების გაცნობა სურდა, რაც
დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. საკმაოდ
სიცოცხლის მოყვარული და აზარტუ-
ლი ქალბატონი ბრძანდებოდა, უამრავი
მეგობარი ჰყავდა და თითქმის ყველა
მათგანი გამაცნო. სწორედ ქალბატონი
ჯეისისა და მისი მეგობრების წყალო-
ბით, ათი დღის განმავლობაში ბევრი
რამ ვნახე და გავიგე ირლანდიაზე.



ფეხბურთის მატჩი საკმაოდ უინ-
ტერესო აღმოჩნდა. გულშემატკივართა
ემოციები, რომ იტყვიან, ტყუილად დაიხ-
არჯა. მუჰამედი იმ საღამოსვე ლონ-
დონში გაემგზავრა, მე კი ვახშამად მე-
ლოდებოდა ქალბატონი ჯეისი, რომელ-
მაც უამრავი კითხვა დამაყარა ჩემი
ქვეყნისა და ჩემი პერსონის შესახებ...

დუბლინის ნამდვილი ასაკი არავინ
იცის. 988 წელს ამ ადგილას ვიკინგე-
ბის დასახლება იყო. ადამიანები, რომ-
ლებიც აქ 5000 წლის წინათ ცხოვ-
რობდნენ, მიწათმოქმედებითა და თევზჭ-
ერით იყვნენ დაკავებულნი.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ
ასწლეულში, დღევანდელი დუბლინის
მიდამოებში, სადაც მდინარე ლიფი გა-
დის, ერთმანეთს, ხუთი ძირითადი გზა
კვეთდა. სწორედ აქ გაჩნდა პირველი
დასახლება.

841 წელს აქ მოვიდნენ ვიკინგები.
მათ პირველებმა შემო-
ლობეს თავიანთი საცხ-
ოვრებელი ადგილი ხის
მოაჯირით, რომელიც
შემდეგ ქვის კედლებმა
შეცვალა. 1170 წელს
ქალაქი ანგლონორმანებ-
მა დაიპყრეს. იმ დღი-
დან დუბლინი ინგლი-
სის სამეფოს სამფლო-
ბელოში გადავიდა.

ავტორი
დუბლინის ერთ-ერთ
ცენტრალურ ქუჩაზე

XVII საუკუნის დასაწყისიდან დუბ-
ლინში მშენებლობები გაჩაღდა.

ირლანდიული პარლამენტის მმარ-
თველობის დროს, რომელიც იცავდა
პროტესტანტების ინტერესებს (პროტ-
ესტანტები მაშინ მოსახლეობის
უმეტეს ნაწილს შეადგენდნენ),
დუბლინმა ნამდვილი ევროპული
ქალაქის სახე მიიღო. ეს პერიოდი,
რომელსაც გეორგიანულს უწოდებენ,
დღეს მთელი თავისი არქიტექტურუ-
ლი სიდიადით წარმოგვიდგება.

1798 წელს ირლანდიელები აუ-
ჯანყდნენ მზავრულ ინგლისელებს და
ამის საპასუხოდ ბრიტანეთმა აიძუ-
ლა ირლანდიის პარლამენტი, თავი
დამლიდად გამოეცხადებინა. 1800
წელს დაამტკიცეს აქტი, რომლითაც
ირლანდია დიდ ბრიტანეთს უერთ-
დებოდა და ინგლისის პროვინცია
ხდებოდა, დუბლინი კი, ბუნებრივია,
იმპერიის ერთ-ერთ ქალაქად იქცა.

ირლანდიას „ბრიტანეთის ბაღჩას“
ეძახდნენ – ის იმპერიას უხვად ამა-
რაგებდა სოფლის მეურნეობის პროდუ-
ქტებით, მაგრამ მე-19 საუკუნის შუა პე-
რიოდში, რამდენიმე მოუსავლიანმა წელ-
მა დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას. 1840-
იანი წლები მის ისტორიაში შევიდა,
როგორც „დიდი შიმშილობა“, რომლის
დროსაც დაახლოებით 8 მილიონმა
ირლანდიელმა მიატოვა სამშობლო, მო-
სახლეობის ნაწილი კი შიმშილისგან
დაიღუპა. სწორედ ამ დროს მოხდა
ირლანდიელთა ამერიკაში მასობრივად
ჩასვლა, რისი წყალობითაც მათ დღესაც
დიდი გავლენა აქვთ ამ ქვეყანაში.

მე-19 საუკუნის ბოლომ ახალი იმ-
ედები მოიტანა. დუბლინში ისევ სამ-
შენებლო „ბუმი“ აღინიშნება. მოძლიერ-
და საშუალო საწარმოები, დაიწყო
გარეუბნების გაზრდა, ქალაქის ცენტრ-
ში მაღალსართულიანი სახლები გაჩნ-
და. ეს შენობები აქ „მომგებიანი სახ-
ლების“ სახელით არის ცნობილი. მათ
იმ მიზნით აშენებდნენ, რათა ხელმოკ-
ლე ხალხისთვის მიექირავებინათ.

მაგრამ ბრიტანეთის მმართველობა
ირლანდიელებს უფრო და უფრო აღი-
ზიანებდა. 1916 წელს ახალი აჯანყება
მოხდა, 1922-23 წლების სამოქალაქო
ომმა კი ირლანდიის დამოუკიდებლობა
მოუტანა, თუმცა ირლანდიის პირველმა
დამოუკიდებელმა მთავრობამ მემკვიდრე-
ობად დანგრეული ქალაქი, გაპარტახე-
ბული ეკონომიკა და მძიმე კრიმი-



ნალური სიტუაცია მიიღო. ქვეყანას სჭირდებოდა ფული, ფული კი არსაიდან ჩანდა. მოქალაქეები, რომლებსაც თავისუფლება ედირსათ, თავიანთი მწირი მატერიალური საშუალებებით, თვითნებურად აშენებდნენ საცხოვრებელ სახლებს, რითაც დიდად ზიანდებოდა დუბლინის არქიტექტურული მემკვიდრეობა და მკვეთრად იცვლებოდა ქალაქის იერი. მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში მოხდა გარდატეხა, დაიწყო ხანა ქალაქის ნამდვილი აღორძინებისა. 90-იან წლებში კი, მსოფლიო ეკონომიკის სწრაფი განვითარების კვალობაზე ირლანდიაშიც მკვეთრად ამაღლდა ცხოვრების დონე.

„ჩვენც მუდამ გადარჩენისთვის ვიბრძოდით...“

ირლანდიის გარდა, ბევრ ქვეყანაში მომიწია ყოფნა. თამამად შემიძლია ვთქვა: ამდენი ერუდირებული და მრავალმხრივად განსწავლული ადამიანი სხვაგან არ შემხვედრია. სხვა ქვეყანაში თუ საათობით მიწევდა იმის ახსნა, თუ სად მდებარეობს საქართველო, ირლანდიაში ამის პრობლემა არ მქონია. ქალბატონი ჯეისიცი საკმაოდ განათლებული და, ამასთან, დაუზარელი ადამიანი აღმოჩნდა: ფაქტობრივად, მისი დახმარებით გავიცანი და დაგვათვალისწინებდა ირლანდიის ბევრი ღირსშესანიშნაობა. დამყვებოდა და სიამოვნებითაც ასრულებდა გიდის როლს.

თავისი ახალგაზრდობა სულ გაჭირვებაში ჰქონია გატარებული – ქვეყანაში საკმაოდ რთული, როგორც ის ამბობდა, გაუსაძლისი მდგომარეობაც კი ყოფილა. ჩემთან საუბრისას, ხშირად ავლებდა პარალელს დღევანდელ საქართველოსა და ოცდაათი წლის წინანდელ ირლანდიას შორის და მამხნევებდა – აი, ნახავ, აკაკი, საქართველოშიც ყველაფერი კარგად იქნება: – ჩემს ახალგაზრდობაში დღე არ გავიდოდა, ცუდი ამბავი რომ არ გაგვეყო. მოსახლეობა დეპრესიაში იყო ჩავარდნილი. ადამიანები უმუშევრობისა და უფულობისგან გაბრუებულები დადიოდნენ. კვირა არ გავიდოდა, ვინმეს თვითმკვლელობა არ ჩაედინა, არაფრის გასაქანი და იმედი არ ჩანდა. მაგრამ გავუძელით და ჩვენი მანაც გავიტანეთ, – ემოციურად მიხსნიდა ქალბატონი ჯეისი.

– მერე, როგორ მოახერხეთ ეს?

– გადავხედოთ ისტორიას: ირლანდია, რაც არსებობს, სულ ომობს, ყოველთვის უწევდა არსებობისთვის ბრძოლა. ასეთივე ისტორია აქვს საქართველოს. ასეთი წარსულის მქონე ქვეყნებს ადვილად ვერაფერი მოერევა, მთავარია იბრძოლოთ და არ მოეშვათ! – ჯეისიმ თბილად გამიღიმა და თავზეც კი გადაამისვა ხელი.

ძველი სამყაროს დანატოვარი

მთებში ცხვრებს აძოვებენ, რომლის მატყლისგან ირლანდიელები საქვეწმოდ ცნობილ ძაფს რთავენ. კილკენის საგრაფოში, მსოფლიოში ცნობილ შავ და წითელ ლუდს ხარშავენ. ჩრდილო დასავლეთის წყნარ ტბებში შემოდგომით უამრავი თევზია. ირლანდიის მიწაზე ვინც კი ოდესმე ცხოვრობდა, ფაქტობრივად ყველამ დატოვა თავისი კვალი: გამოუცნობი ირლანდიელი ბელადების რეზიდენცია, კელტების ოქრო, წინა ქრისტიანული პერიოდის მონასტრები, საოცარი სილამაზის კათოლიკური ტაძრები...

ირლანდია ზღაპრების ქვეყანაა. ამ პატარა კუნძულზე მთელი მსოფლიოა თავმოყრილი: ჩრდილოეთით ცივ, მიუწვდომელ კლდეებს ნახავთ, სამხრეთით კი – სუბტროპიკული ბაღების ცქერით დატკბებით.

ირლანდია მუდმივი გაზაფხულის ქვეყანაა. ასეთი რბილი კლიმატის პირობებში, ყველგან, გარდა ჩრდილოეთისა, უხვად არის პალმა და ჩვეულებრივი ვარდი, უზარმაზარი მუხა და ფიჭვივანი ხე, სამხრეთით კი – სუბტროპიკული მცენარეები. მაგალითად, კუნძულ გარნიშზე საოცარი „იტალიური ბაღია“, სადაც ისეთი ჯიშის მცენარეები შეგხვდებათ, რომლის სახელები მხოლოდ ბოტანიკოსებმა თუ იციან. ზღვის მიმოქცევის პერიოდში, ჩრდილოეთიდან სელაპები გადმოდიან. მათ სულაც არ ეშინიათ ადამიანის, ამიტომ თავისუფლად



შეგიძლია გადაიღო სამახსოვრო სურათი. მდინარეები საუცხოოა საბანაოდ და სათევზაოდ. თუ თევზი უფრო გიყვართ, ვიდრე თევზაობა, ნებისმიერ რესტორანში შეგიძლიათ შეუკვეთოთ, რა სახის თევზიც მოგესურვებათ. აქვე შემოგთავაზებენ კიბორჩხალებს, რვაფეხებსა და სხვა სახლგაო დელიკატესებს. ირლანდიელებმა ხორცის კერძების დამზადებაც საუცხოოდ იციან. რესტორანში, შეკვეთის მიცემამდე სასურველია, კერძის სიდიდით დაინტერესდეთ, ვინაიდან ირლანდიაში პატარა თევშები საერთოდ არ არის..

ირლანდიის ცა მხატვრის ყურადღების ღირსია. გამოუცნობი მუდმივი ცვალებადობა, დიდ შთაბეჭდილებას იწვევს. მთელი წლის განმავლობაში შეუცვლელი რჩება, მხოლოდ ბალახის და ხეების მწვანე შეფერილობა. საშინელი შესახედაობის შუა საუკუნეების ციხესიმაგრეებიც, სიმშვიდის ატმოსფეროში გახვევს. მათ როგორც ბრძენმა მოხუცებმა, თავისი საუკუნე განვლეს და მზად არიან, საათობით მოგიყვანონ თავიანთი, დაუწყნარებელი ცხოვრების შესახებ.

ზოგიერთი ციხესიმაგრე გადაიქცა მუზეუმად და ფეშენებელურ სასტუმროდ, სადაც თბილად მიგიღებენ და უმაღლეს სტუმართმოყვარეობას გაგიწევენ...

ახალი დრო კელტების, ნორმანებისა და ვიკინგების ქვეყანაში

ირლანდიის აღორძინების საფუძველია კომპიუტერული ინდუსტრია. ქვეყანა გატენილია კომპიუტერული საწარმოებით, რომელიც იძლევა იმხელა თანხას, რაც არ შეეძლო მიეცა სოფლის

მეურნეობას. დიდი ფული იდება ტურიზმის ბიზნესში. ტურიზმს ხელს უწყობს ირლანდიის რბილი კლიმატი. საშუალო ტემპერატურა ზამთარში, იშვიათად ჩადის 0-ის ქვემოთ, ზაფხულში კი 20 გრადუსზე მაღლა არ ადის. ზღვის საპყრო მუსონებს, წლის ნებისმიერ დროს შეუძლია მოიყოლოს თბილი წვიმა, რომელიც შეიძლება უცბად შეწყდეს და მზემ ისევ გამოანათოს მუდმივად მწვანე მდელოების თავზე. ირლანდიის არომატი – ეს არის ოკეანის, ტყეების და მდელოების სინთეზი, რომელიც ბოლო დროს იზიდავს იმათ, ვისაც ჯიბეში ფული უდევს.

ამჟამად ირლანდიაში ტენდენცია გაჩნდა: სამშობლოში ბრუნდებიან ყოფილი ლტოლვილები და იმათი შთამომავლობა, მემკვიდრეები ადრე წასული ხალხისა. მოდის ბევრი ცნობილი ადამიანი, ბიზნესმენი და მსახიობი, ყიდულობს უძრავ ქონებას და რჩება. ესენი არიან: ყოფილი ამერიკის პრეზიდენტი ბილ კლინტონი და კარტერი, კენედის ოჯახის წარმომადგენლები, მელ გიბსონი, მელანი გრიფიტი, შონ კონერი და უამრავი სხვა...

ირლანდიამ არ დაივიწყა XX საუკუნის ერთ-ერთი «ოფმორული» ინდუსტრია. იმას, ვისაც არ უნდა, გადაიხადოს მაღალი გადასახადები და ეძებს წყნარ ადგილს კაპიტალის დაბანდებისთვის, ირლანდიაში გზა ხსნილი აქვს. ირლანდია, საკმაოდ წყნარი და მშვიდი ქვეყანაა. რთული წარსული ჩაბარდა წლებს. ცხოვრება საათივით არის აწყობილი. ქვეყნის ეკონომიკა განვითარე-

ბის ძლიერი ტემპით მიდის არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში.

ირლანდიელები

ყველაზე დიდი სიმიდრე ირლანდიაში, თვითონ ხალხია. ეს ცოცხალი მაგალითია იმისა, თუ ერთი და იგივე ხალხი როგორ იქცევა სხვადასხვა რადიკალურ სიტუაციაში. ლოთები და ბუნტისთავეები – როგორადაც იცნობდნენ ირლანდიელებს, განდნენ სტუმართმოყვარენი, ზრდილობიანები და მხიარულები. აქ უყვართ და ესმით ზუმრობა. ირლანდიაში ბევრი დღესასწაულია: სერიოზული და არასერიოზული, სულისა და სხეულისთვის. სერიოზული დღესასწაულები რელიგიურია, არასერიოზული კი უამრავი: ლუდის, ყვავილების, სილამაზის. არის სიძებების და პატარძლების დღეები, ჯაზის და ათასი მუსიკალური მიმართულების კარნავალი და ფესტივალი.

მოსახლეობის რელიგიურობას უცბადვე იგრძნობთ. კათოლიკური ეკლესიის გავლენა ძალიან დიდია. საუბრის დროს, აუცილებლად წარმოიშვება თემა აბორტების შესახებ. ირლანდიელების უმეტესობა, ამ საკითხს უარყოფითად უყურებს. თქვენ თუ თანამედროვე აზრის მიმდევარი ხართ, ეს ერთადერთი საკითხია, რაზეც ირლანდიელთან სჯობს, არ ილაპარაკოთ.

რაც შეეხება სასმელებს – მის გარეშე ირლანდიელს ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. როგორც ქართული სუფრა წარმოუდგენელია ღვინის გარეშე, ისე ირლან-

დიური სუფრა – Guinness-ის გარეშე. 3,5 მილიონიან მოსახლეზე აქ მოჰყავთ 4-5 მილიონი ლიტრი Guinness-ი, აგრეთვე უყვართ ნამდვილი ირლანდიული ვისკი და მაღალგრადუსიანი არაყი.

ქალბატონი ჯეისი, როგორც ჭემმარიტი ირლანდიელი, ბახუსის მოყვარული აღმოჩნდა. ყოველ საღამოს თავის მეგობრებთან ერთად, მივუსხდებოდა მაგიდას და სანამ კარგად არ მოგვეკიდებოდა გრადუსი, ერთმანეთს არ ვშორდებოდით. არ ვიცო, ჩემ მიერ გიტარაზე დაკრული მუსიკა მოსწონდათ თუ არა, მაგრამ სადღეგრძელოებზე გიჟდებოდნენ.

– მაინც, რა კარგი ბიჭი ხარ აკაკი. სად ისწავლე ასეთი სადღეგრძელოები? – ერთხელ, აცრემლებული თვალებით მკითხა ქალბატონმა ჯეისმა.

– საქართველოში სუფრა სადღეგრძელოს გარეშე წარმოუდგენელია. ქართველები სუფრას ცხოვრების აკადემიას უწოდებენ და ამაყობენ ამითაც. – გავუღიმიე ხანში შესულ მეგობრებს.

– კი, მაგრამ, სადღეგრძელოები რომ გითავლებათ, მერე რას აკეთებთ? – მკითხა ერთ-ერთმა.

– სადაც გაგება და სიყვარულია, იქ სადღეგრძელოები არ თავდება – ეს ვთქვი და ჭიქების შევსება დაიწყე.


– გამოდის რომ, შენ გიყვარვართ?

– არ მეტყობა თუ?... – ჯეისის შვილიშვილს ვაკოცე და მორიგი სადღეგრძელოს სათქმელად მოვემზადე.... ჩვეულებრივი მოვლენაა, ქუჩაში ნაბახუსევი ირლანდიელის შეხვედრა. აი, გამოდის ბარიდან ბარბაცით, ჯდება სკამზე და ცურდება, ისევ ჯდება და ისევ ცურდება. და ეს პროცესი რამდენიმეჯერ მეორდება. რას იზამ? ყოველ შემთხვევაში არავის აწუხებს და არავის ეხება. ის კი იცის, რომ უნდა დაჯდეს სკამზე და არ წამოწვეს ნებისმიერ პოზაში.

ჩემი წასვლის დროც დადგა. ათი დღე, რაც ამ ქვეყანაში გავატარე, წარუშლელ მოგონებად დამრჩა. ქალბატონმა ჯეისმა, სადღეგრძელოების გამო, ან თავისი კეთილშობილებიდან გამოძლინარე, ბინაში ცხოვრების საფასური არ გამომართოვა, გულში ჩამიკრა და სევდიანი თვალებით დამემშვიდობა. ის კი ვიცი, კიდევ თუ ჩამივარდა ირლანდიაში ჩასვლის შესაძლებლობა, არავითარ შემთხვევაში, ხელიდან არ გავეშვებ.



პირველი ევროპული ტურნე თბილისის „დინამოს“ 1945 წლის გვიან შემოდგომაზე პქონდა — რუმინეთის თოვლით დაფარულ მოედნებზე სამი მატჩი ჩაატარა ქართულმა გუნდმა და სამივეში გაიმარჯვა. პირველი ორი თამაში უძლიერეს რუმინულ კლუბებს მოუგო, მაგრამ იქაურ მასმედიას დიდი მნიშვნელობა მიაჩნდა არ მიუცია ამ გამარჯვებები-სათვის — ყველანი მესამე შეხვედრას ელოდნენ, რომელშიც „დინამოს“ შეიდი უნგრელითა (მაშინ უნგრელები ფეხბურთის „კანონმდებლები“ იყვნენ ევროპაში) და ორი გერმანელი გაძლიერებული გუნდი უნდა დაპირისპირებოდა. ქართველებმა „ბეჭებზე გააკრეს“ მეტოქე — 5:0 ყველაფერზე ცხადად მეტყველებდა. მეორე დღეს რუმინული პრესა თბილისის „დინამოს“ ხოტბა-დიდებათ აჭრელდა, ხოლო მის ფანტასტიკურ კაპიტანს ერთმა იქაურმა გაზეთმა „ფეხბურთის კარუზო“ უწოდა და ბორის პაიჭაძეს სამუდამოდ შერჩა ეს თიკუნი.



საბჭოთა კავშირის 1946 წლის ჩემპიონატის გახსნა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე

ფეხბურთის კარუზო ქართული კარუზო

გვიან გურული

გასულ ორშაბათს თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა — გრანდიოზული სანახაობა მოეწყო, დარბაზში ქართული ფეხბურთის ისტორია სუნთქავდა, ტყავის ბურთის ყველა დროის დიდოსტატებს შორის კი, ქვეყნის უზენაესი ხელისუფალნიც დაბრძანებულიყვნენ, საქართველოს პრეზიდენტის მეთაურობით. სანახაობა და სადამოს მთავარი მიზანი, სპეციალისტთა, თვით ფეხბურთელთა და „პროფესიონალ გულშემატკივართა“ მიერ, გასული საუკუნის საუკეთესო ქართველ ფეხბურთელთა დასახელება იყო სხვადასხვა ნომინაციის მიხედვით: საუკეთესო მეკარე, მცველი, ნახევარმცველი, თავდამსხმელი, ყველაზე დიდი კაპიტანი... სულ ღირსეულები დასახელდნენ, მაგრამ ყოველი მათგანის არჩევას ახლდა მაყურებლის თუნდაც მცირე ნაწილის ჩუმიად გამოთქმული პროტესტი: „ამას ის სჯობდაო“... როდესაც სადამოს კულმინაციური მომენტი დადგა, არავის შეჰპარვია ეჭვი, რომ სცენაზე ასული საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული, საუკუნის უდიდესი ქართველი ფეხბურთელი — „ფეხბურთის კარუზო“, ბორის პაიჭაძე იქნებოდა!..



პრეზიდენტი საუკუნის ფეხბურთელის ბრის გადსაცემს ბორის პაიჭაძის შვილს

ლეგენდარული — ხშირად ასე მოვიხსენიებთ ბორის პაიჭაძეს და ყველაზე მეტად მასზეა ზედამოჭრილი ეს შედარება. მართლაც, ლეგენდა ხომ იმასაც გულისხმობს, რომ მისი გმირი ბევრს (შეიძლება ყველასაც) ნანახიც კი არ ჰყავს, მაგრამ მაინც ეთაყვანებიან. ამ შემთხვევაშიც ასეა — თანდათან მიდის ამ ცხოვრებიდან ის ხალხი, ვისაც ცოცხლად უნახავს პაიჭაძის თამაში, კინოკადრები კი, სამწუხაროდ, ძალზე შეწირად შემოგვრჩა. მაგრამ მაინც, ბორის პაიჭაძე ყველას უდიდეს ფეხბურთელად მიაჩნია. იქნებ პარადოქსადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ არათუ ახლა, არამედ მაშინაც კი, როდესაც იგი თავისი სპორტული ღიღების ზენიტში იყო, ბევრი ისე ეთაყვანე-

ბოდა, რომ მხოლოდ საგაზეთო წერილებიდან და რადიორეპორტაჟებიდან „იცნობდა“. ამაზე მის პირად არქივში შემონახული გულშემატკივართა წერილებიც მეტყველებს: „... გწერთ ზუგდიდთან. ავადმყოფობის გამო, ლოგინს ვარ მიჯაჭვული და სტადიონზე სიარულს ვერ ვახერხებ. მაგრამ ყოველ რადიორეპორტაჟს სულმოუთქმელად ველი და მთელი სულითა და გულით იქ ვარ ხოლმე. „ვხედავ“ თქვენს თამაშს და ბედნიერი ვარ თქვენი გამარჯვებით...“. „... ჩვენ, შორეული მაგადანის მცხოვრებნი მოკლებულნი ვართ თქვენი თამაშის ცოცხლად ნახვის ბედნიერებას, მაგრამ რადიორეპორტაჟის მოსმენითაც კი ვხვდებით, რამდენად დიდი სპორტსმენი ხართ. თქვენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი ხართ და ჩვენ კი — თქვენი თაყვანისმცემლები...“. „...შვილო ბორის, მე ომში ორი ვაჟკაცის დამკარგავი დედა ვარ და ერთადერთ სიხარულს მაშინდა ვგრძნობ, როდესაც რადიოში თქვენი თამაშისას ღმერთს ვევედრები, რომ მეტოქის კარში ბურთი გაატანინოთ. თქვენი გამარჯვება ჩემი ბიჭების გამარჯვება მგონია...“. დღეს, ტელევიზიისა და თანამგზავრული კომუნიკაციების ეპოქაში, როდესაც ჩვენი კუმირების შესახებ უმცირესი სპორტული თუ ცხოვრებისეუ-



1949 წელი, თბილისის „დინამო“. მარჯვნივ – ბორის პაიჭაძე

ლი დეტალი ხელისგულზე გვიდევს, ასეთი რამ წარმოუდგენლად გვეჩვენება, მაგრამ მაშინ...

არადა, ბორის პაიჭაძე გემის კაპიტნობაზე ოცნებობდა და ამ ოცნებას ასრულებას წინ თითქმის აღარაფერი ედგა...

იგი 1951 წელს დაბადა გურიის, დღევანდელი ჩონატაურის რაიონის სოფელ ონჭიკეთში, მთიანი გურიის ისეთ სოფელში, სადაც ბურთის თამაში კი არა, „სიმინდს შურდულით ვეთესავთ ფერდობებზე“ – ხუმრობდნენ იქაურები. ჰოდა, ისიც ბედისწერა იყო ალბათ, რომ მამამისმა – სოლომონ პაიჭაძემ ფოთში გადასვლა გადაწყვიტა – ქალაქში, სადაც ის-ის იყო ფეხს იღვამდა ახალი თამაში – „ფუტბოლი“, რომელსაც დიდი ენთუზიაზმით იტაცებდა ახალგაზრდობა, ხოლო პატარა ბიჭები სულ „გადაირივნენ“ – ლამის ერთადერთ გასართობად გადაიქციეს „ჭინჭის ბურთის“ დენა. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ახლომახლო დასაკლავი ღორის განწირულ ხმას გაიგონებდნენ – მაშინვე იქ გაჩნდებოდნენ და „ბუმს“ გამოსთხოვდნენ პატრონს. შემდეგ „აბალოჩკას“ შეაკერინებდნენ დედებს სქელი ნაჭრიდან და „ნამდვილი ბურთიც“ მზად იყო. თუმცა ეს იშვიათად ხდებოდა, ძირითადად მაინც ნაჭრის ბურთს ან კაუჩუკის ნაჭერს დასდევდნენ, რომელსაც „მრგვალს“ ვერაფრით დაარქმევდი, თუმცა ამ უფორმო „ბურთით“ თამაშით უფრო ოსტატდებოდნენ ყმაწვილები.

მაგრამ ეს მაინც გართობა იყო – ცხოვრების მიზანი კი, ზღვისპირელი ჭაბუკისათვის გემის კაპიტნობა გახლდათ

და ჩაირიცხა კიდევ ფოთში ახალგაზრდულ საზღვაო ტექნიკუმში. დამთავრებისთანავე მოეწყო გემზე და ფოთსა და ოდესას შორის დაიწყო ცურვა. მაგრამ მალე „დაწინაურებას“ დაჰპირდნენ: უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ ოდესიდან ბათუმს უნდა გამგზავრებულიყო, საიდანაც თავისი პირველი საოკეანო მოგზაურობა უნდა „დაეწყო“: გემი ლონდონში მიემგზავრებოდა და ახალგაზრდა პაიჭაძე საერთოდ აღარ ფიქრობდა ფეხბურთზე.

თუმცა, მანამდე მან უკვე მოასწრო „დიდი“ ფეხბურთის თამაში: 30-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა ხელისუფლებას სპორტისთვის არ ეცალა, მაგრამ არც ენთუზიასტებს უშლიდნენ თამაშს. ფოთში რამდენიმე გუნდი შეიქმნა, რომელთაგანაც ქალაქის ნაკრები ჩამოყალიბდა და ეს გუნდი რეგულარულად მართავდა მატჩებს სხვა ქალაქების გუნდებთან.

მოგვიანებით, სევდანარევი ღმირით იგონებდა დიდოსტატი იმ დროს, როდესაც პირველი „გასვლითი“ თამაში ჩატარეს სუფსაში: მასპინძლებს მჭადითა და ყველით სტუმართა უზრუნველყოფა ევალებოდათ. ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებსაც ეწვეოდნენ ხოლმე: იქით მარგანეცის ცარიელი ვაგონებით მიემგზავრებოდნენ, შინ კი, გაშურულ-გამაგებლები ბრუნდებოდნენ, რადგან უკან იმავე ვაგონებით მოდიოდნენ, ოღონდ ეს ვაგონები უკვე მარგანეცით იყო დატვირთული. მოგვიანებით საქმე გამოსწორდა და უკვე ნამდვილი შეჯიბრებების სახე მიიღო ფოთელთა მატჩებმა – გასვლით შეხვედრებზე მეტადაც შინ თამაშობდნენ, რადგან იმ დროისათვის ამ-

იერკავკასიაში ერთადერთი ბალახისსაფარიანი მოედანი მხოლოდ ფოთში იყო და ყველა გუნდს იქით მიუხაროდა.

უნდა ითქვას, რომ სოლომონ პაიჭაძეს თავიდან სულაც არ ეხატებოდა გულზე, რომ მისი შვილი „უსაქმო კამხებთან“ ერთად დასდევდა ბურთს, მაგრამ ერთხელ, სახლისკენ მიმავალს, სტადიონიდან ღრინცხელი მოესმა, დაინტერესდა და შევიდა – ხუთი ათასამდე კაცი მისი შვილის სახელს გაიძახოდა. შინ მისულ ბორის პაიჭაძეს ასეთი სურათი დახვდა: მამამისი წინ და უკან ბოლთას სცემდა ოთახში და სიამაყეგარეული გაკვირვებით ეკითხებოდა ცოლს: „ქალო, ოლლა, სად ისწავლა ამ ბიჭმა ამფერი თამაში?!“ ამის შემდეგ „მოლბა“ სოლომონ პაიჭაძე, მაგრამ ბორისმა მეზღვაურობა არჩია და „ბუცები კედელზე ჩამოკიდა“, თუმცა ეს მეტაფორა უადგილოა, რადგან პაიჭაძეს ბუცები ჯერ თვალითაც არ ენახა...

გემის ახალგაზრდა მექანიკოსი ბათუმში და შემდეგ ლონდონში გასამგზავრებლად ემზადებოდა, რომ ფოთიდან დეპეშა მიიღო: „მამაშენი ძალიან ცუდად არის, სასწრაფოდ ჩამოდი! დედა“. თავის სახლს შუალამისას, ფეხსაკრევით მიუახლოვდა, მაგრამ იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. კარი შეაღო და... სალ-სალამათი მშობლები შემოეგებნენ! მეორე დღემდე ვერ გაიგო, ვინ იყო ამ უშნო ხუმრობის ავტორი, ხოლო დილას თანაგუნდელებმა აღიარეს: გადამწყვეტი თამაში გვაქვს, უშენოდ არაფერი გამოგვივა და ამიტომ ჩვენ ჩამოგიტყუეთო... მეგობრებმა „თავისი მიიღეს“, მაგრამ პაიჭაძემ თავდაპირველი უარის მიუხედავად მაინც ითამაშა და რამდენად საოცარიც

უნდა იყოს, ამაში დიდი როლი პაიჭაძის მშობლებმა შეასრულეს, რომლებსაც მანამდე ფეხბურთის გაგონებაც არ სურდათ. მაგრამ დედამ უთხრა ახალგაზრდა მეზღვაურს: „რამდენჯერაც ზღვა აღელდება, იმდენჯერ გული მისკდება. დარჩი სახლში და ითამაშე შენი ფეხბურთი, ახლოს მაინც მეყოლები“. ლონდონში მიმავალ გემს მაინც ვეღარ ჩაუსწრებდა, ის თამაში კი ფოთის გუნდმა 2:0 მოიგო და ორივე ბურთი ბორის პაიჭაძემ გაიტანა. მაგრამ იმ დროში ფეხბურთი არ იყო პროფესია და 1935 წელს 20 წლის პაიჭაძე თბილისში, ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში ჩაირიცხა. თუმცა, ამ დროს უკვე ფეხბურთზე უფრო ფიქრობდა, რადგან ინსტიტუტის ძლიერი გუნდი ჰყავდა და ქალაქის პირველობაზე ტოლს არ უდებდა თბილისის „დინამოს“. პაიჭაძე ინსტიტუტის მეორე გუნდში ჩაირიცხეს, მაგრამ მალე გადაიყვანეს პირველში.

1936 წელს კი, საბჭოთა კავშირის პირველობის ჩატარება გადაწყდა, რომელშიც მონაწილე გუნდები ოთხ – „ა“, „ბ“, „ვ“ და „გ“ კლასებად დაანაწილეს. „დინამო“ „ბ“ კლასში გაამწესეს, ხოლო „ლოკომოტივი“ – „ვ“ კლასში. „დინამომ“ ყველა თამაში მოიგო, უძლიერესთა შორის გამოსვლის უფლება მოიპოვა და საბჭოთა კავშირის იმავე წლის შემოდგომის ჩემპიონატში ახალწვეული – ბორის პაიჭაძეც იახლა.

ფეხბურთმა განუსაზღვრელ პოპულარობას მიაღწია საბჭოთა კავშირში, ხოლო თბილისის „დინამომ“ იმთავითვე მოიპოვა სრულიად განსხვავებული ხელწერისა და სტილის გუნდის სახელი და თავიანთი სმკმელთა მთელი არმიაც – არა მხოლოდ საქართველოში. პირველივე ჩემპიონატი საპატიო მეორე ადგილზე დაასრულა „დინამომ“, ცოტა დააკლდა ჩემპიონობამდე, იმავე წელს თასის ფინალშიც გააღწია და სულ ცოტა დააკლდა გამარჯვებამდე... ეს „ცოტა“, ხან უიღბლობა იყო, ხან ფეხბურთის ჩინოსანთა და ხანაც მსაჯთა არაობიექტურობა, ყველაზე ხშირად – ეს უკანასკნელი.

თბილისში გადმოსვლის შემდეგ, მანამდე ფლანგზე მოთამაშე პაიჭაძე ცენტრალურ თავდამსხმელად იქცა, ხოლო შოთა შავგულიძის „პენსიაზე გასვლის“ შემდეგ, იგი გუნდის კაპიტანად აირჩიეს. ეს 1940 წელს მოხდა. ხოლო მომავალი, 1941 წლის ჩემპიონატი ომის დაწყებამ ჩაშალა – 22 ივნისს გერმანელებმა საზღვრები გადალახეს, ხოლო 24-ში „დინამოს“ მორიგი, მეცხრე კალენდარული მატჩი ჰქონდა ლენინგრადელ თანაკლუბებთან. სტადი-

ონი გაივსო, მაგრამ ჩვეული ყიჟინა აღარ იხმოდა – პაიჭაძემ სრულ დუბლიში გაიტანა სამი გოლი და „დინამომ“ გაიმარჯვა 3:2, მაგრამ ეს უკანასკნელი მატჩი იყო ომის დამთავრებამდე...

სამი გოლი ვახსენეთ და ისიც სათქმელია, რომ პაიჭაძეს, თავის ამბლუას თუ გავითვალისწინებთ, ძალიან ცოტა გოლი აქვს გატანილი – ზუსტი ციფრი დღესაც სტატისტიკოსთა კამათის თემაა, მაგრამ დაახლოებით იგი ასზე ცოტათი მეტია. იმ შეწყვეტილ ჩემპიონატში კი, პაიჭაძემ ცხრა თამაშში რვაჯერ აიღო მეტოქეთა კარი და ესეც ადასტურებს, რომ თავისი სპორტული კარიერის „პიკზე“ იმყოფებოდა, მაგრამ „ომმა ყველაფერი ჩამოწერა“...

ომის შემდეგ პირველი ჩემპიონატი 1946 წელს ჩატარდა, რადგან წინა წელს ვეღარ მოესწრებოდა. სამაგიეროდ, 1945 წლის ბოლოს „დინამო“ რუმინეთში გაუშვეს საბჭოთა სპორტის პრესტიჟის დასაცავად და პაიჭაძემაც პირველად მოაჯადოვა უცხოელები თავისი ოსტატობით. როგორც უკვე ვთქვით, „ფეხბურთის კარუზოც“ იქ შეარქვეს. თუმცა „დინამოს“ ჰქონდა კიდევ ერთი უცხოური „გასტროლი“ – ირანში. უდიდესი აჟიოტაჟი ახლდა იმ მოგზაურობას. „დინამომ“ სულ ორი თამაში ჩაატარა: როდესაც პირველი მატჩის პირველი ტაიმი ჩვენმა ოთხი უპასუხო გოლით მოიგეს, „ხელმძღვანელმა ამხანაგებმა“ შესვენებისას სთხოვეს პაიჭაძეს – შემდეგ თამაშს შაჰი უნდა დაესწროს და თუ ახლა სამარცხვინო ანგარიშით მოიგეთ, გაბრაზდება და არ მოვა, თქვენი ჭირიმი, არ დაგვლუპოთო! რაღა უნდა ექნა კაპიტანს?! – როგორც შემდეგ იგონებდა, დიდი ოფლის ღვრა დასჭირდათ, რომ გოლი „ვერ გაეტანათ“, ბიჭებიც ეზულუნებოდნენ, მაგრამ მყურებელს რომ ეჭვი არ აეღო, ერთი-ორი დარტყმა მაინც საჭირო იყო და პაიჭაძემ ორმოცი მეტრიდან დაჰკრა „ფასილად“, მაგრამ... მოწინააღმდეგის კარში მეხუთე გოლი გავდა. მასპინძლებზე მეტად თანაგუნდელები გამწარდნენ: „ჩვენთვის არ შეიძლება გოლის გატანა და შენ რახან კაპიტანი ხარ, შეიძლება?!“ რაღა ექნა – ორმოც მეტრზე შორიდან შეიძლებაო – უპასუხა...

მომდევნო თამაშში აღარ დაზოგეს მეტოქე – შაჰის თვალწინ შეიღი გოლი გაუტანეს მის ნაკრებს, მაგრამ აქედან სამი მსაჯმა არ ჩათვალა. შემდეგ, გრანდიოზულ ბანკეტზე მივიდა პაიჭაძესთან და ბოდიში მოუხადა: რა ექნა, გუნდის მწვრთნელიც მე ვარ და სამარცხვინო ანგარიშით წაგებას შაჰი არ მპატიებდაო. რაც შეეხ-

ება შაჰს, იგი მატჩის შემდეგ სათამაშო მოედანზე გადავიდა, ხელი ჩამოართვა ქართველთა კაპიტანს და პირადად მიულოცა კარგი თამაში. სხვათა შორის, პაიჭაძეს ეს „დაბედებული“ ჰქონდა: რუმინული ტრიუმფიც ამ ქვეყნის პრეზიდენტმა, პეტრე ზდროვემ შეუქო...


1947 წელს, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ერთ-ერთი მატჩისას მძიმე ტრავმა მიიღო პაიჭაძემ და მთელი ორი წლით მოუხდა „დასვენება“. 1949-ში ისევ დაუბრუნდა მწვანე მიწებს, მაგრამ ორ წელიწადში ისევ იმ ტრავმამ შეახსენა თავი, ასაკიც „ხელს უწყობდა“ და საბოლოოდ გამოეთხოვა საყვარელ თამაშს...

თითქოს სულ ეს იყო – თავიდან მოვეყვით: ოთხი წელი ომამდე, ორი ომის შემდეგ და ორიც – დიდი პაუზის შემდეგ, თანაც „ნახევარი“ ძალით, თანაც, როგორც უკვე ვთქვით, სულ ასიოდ გოლი. მაშ, რა იყო იმის მიზეზი, რომ ბორის პაიჭაძე სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად?! ალბათ სწორედ ის აუხსნელი ქარიზმა, რომელიც ყოველთვის ახლდა მას, როგორც ფეხბურთელს და როგორც პიროვნებას; ის, რაც ერთი ნახვითაც ატყვევებდა ყველას, ხოლო ერთხელ მნახველი კი მონაცოლითაც ახერხებდა სხვების „დააგდებას“!.. და ისევ „ფეხბურთის კარუზოს“ შესახებ: რა იცოდა მავანმა რუმინელმა ჟურნალისტმა, რომ მისი შერქმეული მეტსახელი ასე ზუსტად მოერგებოდა ქართველ ფეხბურთელს – დიდი ენრიკო ზომ ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს მომღერლად რჩება მელომანთა თვალში, თუმცა ბევრ მათგანს არ მოუსმენია ცოცხლად მისი სიმღერა და ჩანაწერებიც საკმაოდ უხარისხოა, მაგრამ კარუზო მაინც კარუზოა!



კოსმოსური ჯაშუჯაშუბი

როგორც ცნობილია, პირველად მთვარეზე ფეხი ამერიკელებმა დადგეს: 1969 წლის 20 ივლისს ეს ისტორიული აქტი ასტრონავტებმა არმსტრონგმა და ოლდრინმა განახორციელეს, მაგრამ სულ ცოტა ხნის წინ, ეს ჭეშმარიტება ეჭვის ქვეშ დადგა: ახალი ვერსიის თანახმად, ცოტა ხნით ადრე – იმავე წლის 3 აგვისტოს მთვარეს ორი საბჭოთა კოსმონავტი ეწვია, რომელიც შეგნებულად წავიდა სიკვდილზე...



მთვარეზე მისი პირველი მოსახლე

ინფორმაცია ამ ექსპედიციის შესახებ დღემდე გასაიდუმლოებულია. საბჭოთა კავშირის (ახლა კი, უკვე რუსეთის) სახელმწიფო საიდუმლოდ დაცული ეს ამბავი ჩინეთის ერთ-ერთმა წამყვანმა ასტროფიზიკოსმა, დოქტორმა კანგ მაო კანგმა, 1988 წელს გამოამხეურა, როცა პეკინში გამართულ თავის პრესკონფერენციაზე უნიკალური ფოტომასალა წარმოადგინა. სურათებზე ასახული იყო ადამიანის შიშველი ფეხის ანაბეჭდები, რომელიც მთვარის ზედაპირზეა გადაღებული. ცოტა მოგვიანებით მეცნიერმა გამოამხეურა ფოტოსურათი, რომელიც გადაღებულია ამერიკული კოსმოსური ხომალდის – „აპოლო-11“-ის მთვარეზე დაშვების დროს, რომელზეც უკვე ადამიანის ჩონჩხია აღბეჭდილი. მკვლევარი ამტკიცებდა, რომ ამ სურათთან დაკავშირებული ცნობები „აშშ-ში არსებული სანდო წყაროდან“ ჰქონდა მიღებული.

მსოფლიოში დიდი აურზაური ატყდა. გავონილით გაოგნებული რეპორტიორები აშშ-ის კოსმოსური და სადაზვერვო სამსახურების არანაკლებ გაოცებულ ექსპერტებს იკლებდნენ. გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებში ერთიმეორის მიყოლებით, აბსურდული ტელეგრამები მოდიოდა. ამგვარი სიტუაციისთვის ჩვეულებისამებრ, ყოველგვარ კომენტარზე უარს ამბობდნენ ოფიციალური პირები – მას შემდეგაც კი, რაც მოხეიძე და თავხედმა დოქტორმა

კანგმა განაცხადა, რომ აშშ-ის კოსმოსური აერონავტიკის ეროვნული სამმართველოს (NASA) ფოტოსურათების 1000(!) ასლი აქვს.

„ჩემს ხელთ არის დოკუმენტები და წერილები, რომლითაც მტკიცდება, რომ მთვარის ზედაპირზე აღბეჭდილი ადამიანის კვალი ახალი იყო, ჩონჩხი კი უთუოდ ადამიანის არის. საკითხავი მარტო ის რჩება, როგორ მოხვდა ეს ნაფეხური და ჩონჩხი მთვარეზე“ – გაჰყვიროდა მეცნიერი, რომელმაც იმხანად პოპულარობით, უკლებლივ ყველა პოლიეუდელი ვარსკვლავი დაჩრდილა, თან დასძენდა: – „როგორც ჩანს, ეს არამიწიერი ცოცხალი არსებების ჩარევით აიხსნება, მაგრამ ამის შესახებ ვერაფერს შევიტყობთ, თუ ამერიკელებმა საზოგადოებრიობის სამსჯავროზე არ გამოიტანეს მათ ხელთ არსებული სრულიად საიდუმლო ინფორმაცია“.

დოქტორ მაოს მიერ გამოხეურებული დოკუმენტებს გრიფი – „სრულიად საიდუმლოდ!“ ელო და 1969 წლის 3 აგვისტოთი იყო დათარიღებული, ე.ი. გამოდის, რომ შედგენილი იყო ორი კვირის შემდეგ იმ დღიდან, როცა არმსტრონგმა და ოლდრინმა ისტორიაში პირველად შედგეს ფეხი (თანაც არა შიშველი) მთვარის ზედაპირზე. და თუმცა საბუთების ასლებს ტექსტის დიდი მონაკვეთები აკლდა, მათში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობითაც ამერიკელი ექსპერტები იმ დასკვნამდე

მივიდნენ, რომ ჩონჩხიც და ფეხის ანაბეჭდიც იღუმალ, არამიწიერ ცივილიზაციათა „ოინების“ შედეგი იყო.

ამრიგად, სრულიად ახლებურად აუღერდა არმსტრონგის უცნაური ფრაზა, რომელიც მას მთვარეზე დადგომისთანავე აღმოხდა: „ღმერთო, დაუჯერებელია... გეუბნებით, რომ აქ სხვა კოსმოსური ხომალდებიც არის... კრატერის მოპირდაპირე მხარეს არიან... ისინი მთვარეზე ჩვენ გვითვალთვლებენ...“ (ციტირებულია დ. კ. უილსონის წიგნის – „ჩვენი იღუმალი კოსმოსური ხომალდი „მთვარე“, ლონდონი, VIA BUX LIMITED 1976) მაშ, ნუთუ მართლა არ ვართ მარტონი ამ ქვეყნიერებაზე?

სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მაინც მარტონი ვართ. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი რუსული გამოცემისთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში სწორედ ამას ამტკიცებს „კა-გე-ბე“-ს ყოფილი თანამშრომელი სერგეი ივანოვი, რომელიც თავის დროზე პასუხისმგებელი იყო საბჭოთა კავშირის კოსმონავტ-გამოცდელთა უსაფრთხოებისა და პირადობის საიდუმლოზე. ადამიანის ნაკვალევის საიდუმლო კი ძალზე მარტივად აიხსნება.

როცა საბჭოთა კავშირმა მთვარეზე თავისი მთვარეშემაღლები გაგზავნა და ისინი პლანეტაზე არა მარტო მშვილობიანად დაეშვნენ, არამედ „მარდალაც“ შეუდგნენ მოგზაურობას, მსოფ-

ლიო გაცემული დარჩა: არავინ ელოდა ასეთ წარმატებას მოკრძალებული საბჭოთა ავტომატიკისა და ელექტრონიკისაგან. სწორადაც ეჭვობდნენ. როგორც ირკვევა, პირველ საბჭოთა მთვარეშემავლებს ავტომატიკა კი არა... ადამიანები მართავდნენ.

ყველაფერი ძალზედ მარტივად აიხსნება: ყველას ეჭვი ეპარებოდა ტექნიკაში, რომლითაც აღჭურვილი იყო საბჭოთა კოსმოსური უპილოტო სადგურები. ამ დროს, საქმე სუპერსახელმწიფოს პრესტიჟს ეხებოდა! საბჭოთა ბალერინები მსოფლიოში ყველაზე მაღლა ხტებოდნენ, საბჭოთა ჰოკეისტები ყველას სჯაბნიდნენ ყინულზე, უპილოტო სადგურებსაც უნდა დაეჯაბნათ სხვები...

ამან განაპირობა გადაწყვეტილება – დაეყენებინათ ზოგიერთ სადგურზე საპილოტე მოდული, იმისათვის, რათა მასში მჯდარ კოსმონავტს შესძლებოდა, უშუალო მართვით შეეტანა საჭირო კორექტივები ორბიტაზე სადგურის გასვლისას და სხვა მანევრების დროს და საჭირო ცნობებიც გადაეცა დედამიწაზე. ამ გზით ხდებოდა ფრენის სრული საიმედოობის უზრუნველყოფა და იხვეწებოდა, როგორც უშუალო, ისე ავტომატური მართვის საშუალებები.

სწორედ ამისთვის, ჯერ კიდევ კოსმოსში გაგარინის გაფრენამდე, „კაგებე“-ს იმდროინდელი ხელმძღვანელის ინიციატივით, შეიქმნა კოსმონავტ-გამომცდელთა საგანგებო რაზმი, რომლის შესახებაც გენერალურმა მდივანმა, უშიშროების შეფმა, რამდენიმე ექიმმა, კონსტრუქტორმა და ოპერატორმა – საერთო ჯამში, სულ თხუთმეტიდღე ადამიანმა იცოდა. ეს იყო იმ დროის

ერთ-ერთი ყველაზე დიდი სახელმწიფო საიდუმლო, რომელიც დღემდე ასეთად რჩება.

ნათელია, რომ ამ რაზმში მხოლოდ „კაგებელ“ მოხალისეებს იღებდნენ და ურთულეს ტექსტსა და გამოცდებს უტარებდნენ. ისიც ცხადია, რომ ყველა, ვინც გასაუბრება გაიარა, მაგრამ გამოცდები ვერ ჩააბარა, საიდუმლოს შენახვის ხელწერილს დებდა.

სამწუხაროდ, ივანოვი აღნიშნულ რაზმში მხოლოდ 1969 წელს მოხვდა, როცა მთვარეშემავლის შექმნის სამუშაო უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, ამიტომ მან არ იცის, გამოსაცდელ კოსმონავტთაგან, ვინ გააგზავნეს პირველად კოსმოსში. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მთვარეზე გასაფრენად მე-13 და მე-14 ნომრით მოქმედ კოსმონავტებს ამზადებდნენ (მოხალისეებს, სახელების ნაცვლად, მხოლოდ რიგითი ნომრები ერგებოდათ!), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მთვარეშემავლის სტარტამდე სულ ცოტა თორმეტი საცდელი გაფრენა მაინც მოეწყო.


ყველამ იცოდა, რომ რიგით მე-13 და მე-14 ნომრის მქონე კოსმონავტები არ დაბრუნდნენ ამ ძალზედ რთული რეისიდან. მთვარეშემავლის გვერდით მყოფ ცალკე მოდულში ყოფნისას, დაშვებიდან სულ მოკლე ხანში მათი ამოცანა იყო, დაუყოვნებლივ შეეკეთებინათ მწყობრიდან გამოსული შასი, გაემართათ მზის ბატარეები და დაეყენებინათ ვიდეოკამერები – მთვარეშემავლის გვერდიდან აღბეჭდილი, საქვეყნოდ ცნობილი კადრები ხომ სწორედ მათ მიერ იყო გადაღებული. დედამიწაზე მათი დაბრუნება კი, არც იყო გათვალისწინებული. ასეთი იყო ბრძანება.




... როცა რაზმი მთვარის რეისში მე-13 და მე-14 ნომრებს აცილებდა, მრავლისმნახველ ჩეკისტებსაც კი თვალეზზე ცრემლი მოადგათ. მაგრამ მთვარის კამიკაძეები არ შედრკნენ, ხომალდი დანიშნულების ადგილამდე მიიყვანეს და პროგრამით გათვალისწინებული ყველა ამოცანაც შეასრულეს. მათ სამუდამოდ ჩაწერეს თავიანთი რიგითი ნომრები მსოფლიო კოსმონავტიკის ისტორიაში.

მიართვეს თუ არა მე-13-სა და მე-14-ს ღვინით სავსე თასი და აკოცა თუ არა მათ მშვენიერმა გოგონამ, როგორც ეს იაპონელ კამიკაძეთა გაცილებისას არის მიღებული – არავინ იცის. საეჭვოა, რომ ასე მოხდა. უფრო რეალური ის არის, რომ მათ უკანასკნელად უპატაკეს უფროსობას – „ვემსახურებით საბჭოთა კავშირს!“ – და უსასრულობაში გაემგზავრნენ, იმისათვის, რათა მთვარეს სწვეოდნენ და დაღუპულიყვნენ...

ამოუცნობი წარმომავლობის ჩონჩხი მთვარეზე



აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი უაღრესად თავმდაბალი და ყურადღებიანი პიროვნება იყო. ინსტიტუტში შევიდოდა თუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, ყველას მონივნებით ესალმებოდა — დარაჯიდან დაწყებული, ხელმძღვანელით დამთავრებული. ხელს ჩამოართმევდა, გულითადად მოიკითხავდა. საოცარი უბრალოება და პატივისცემა იგრძნობოდა მის ყოველ სიტყვაში... იმასაც ამბობენ, ბატონი ნიკო უნივერსიტეტსა და აკადემიკაში ზოგჯერ ერთსა და იმავე პიროვნებას სამჯერ ესალმებოდაო. ამასთან დაკავშირებით ერთხელ ბატონ არჩილ ხარაძესაც უკითხავს: ნიკო! შენ თურმე ზოგჯერ ერთ პიროვნებას სამჯერ ესალმები, სკლეროზი დაგენწყობ? სჯობს სამჯერ მივესალმო, ვიდრე არც ერთხელ — ღიმილით უბასუხია ბატონი ნიკოს... ის მართლაც ასეთი იყო: იმის შიშით, ვინმე უყურადღებოდ არ დარჩენოდა, ზოგჯერ გადაქარბებულ ყურადღებასაც იჩენდა. ისეთ ოჯახში აღიზარდა, ისეთი კულტურის მატარებელი იყო, მისი სხვაგვარი ქცევა წარმოუდგენელიც იქნებოდა...



ნიკო მუსხელიშვილი — «საკაბიო მილიციელი»

ლელა ჯიყაშვილი

ნიკოლოზ მუსხელიშვილი თბილისში 1891 წლის 16 თებერვალს დაიბადა. დედა — ღარია საგინაშვილი საკმაოდ განათლებული ქალი იყო, მამა, ივანე მუსხელიშვილი — მაღალი რანგის სამხედრო ინჟინერი, პეტერბურგში სამხედრო აკადემიაში ასწავლიდა. დედა თავად ასწავლიდა შვილებს არა მარტო მშობლიურ, არამედ უცხო ენებსაც. საგულისხმოა, რომ უკვე გამოჩენილი მეცნიერი, დასვენების ჟამს წიგნებს კითხულობდა ხარბად... ეს უმეტესად, ფრანგულ და რუსულ ენებზე დაწერილი წიგნები იყო... ნიკო მუსხელიშვილი აგრეთვე გერმანულ და ინგლისურ ენებსაც ფლობდა. მამამ მათემატიკის სიყვარული ჩაუნერგა შვილებს...

საშუალო განათლება თბილისის II გიმნაზიაში მიიღო, 1909 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე შევიდა. დამთავრებისთანავე პრივატ-დოცენტის თანამდებობაზე დატოვეს. მალე ქვეყანაში რევოლუცია მოხდა. ივანე მუსხელიშვილი ახალი ხელისუფლებისათვის „არაკეთილსაიმედო“ აღმოჩნდა. მის ოჯახს პეტერბურგში აღარ დაეღობებოდა და საქართველოში დაბრუნდა. აქ ბატონი ნიკო ახალდარსებულ უნივერსიტეტში მოღვაწეობდა ივანე ჯავახიშვილის მიწვევით, დიდი ენერჯია და დრო შეაღია მათემატიკის სკოლის შექმნას, ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის შემუშავებას. 1925 წელს ნ. მუს-



გიმნაზიელი ნიკო მუსხელიშვილი

ხელიშვილმა, გ. ნიკოლაძემ და ა. ხარაძემ „მათემატიკური ტერმინების ლექსიკონი“ გამოაქვეყნეს.

30-იანი წლების ერთ-ერთი იანვრის საგამოცდო სესიების დროს უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანმა ნიკო მუსხელიშვილმა აუდიტორიაში ფიზიკოსები შეკრიბა. დაფასთან მივიდა და დაიწყო: „სამი დღის წინ ამ აუდიტორიაში მათემატიკის სპეციალობის სტუდენტებთან მქონდა გამოცდა... რამდენიმე მათგანი, მათ შორის ერთი სვანიც, ჩაიჭრა... გამოცდის შემდეგ მას რვეული დარჩა მერხთან“. ბატონმა ნიკომ ყვითელყდიანი რვეული უჩვენა კოლეგებს, გა-

ღამალა და ასეთი რამ წაიკითხა: დღამბერის განტოლება — პზჟ ფურიეს გარდაქმნები — პზმცჯ მდგრადი ტალღები — შუჯ ენერჯის ინტეგრალი — შსჯ დირიხლეს ამოცანა — შმჯჯ პუასონის გული — შმცჯ ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ეს რეპუსი ვერ ამოვხსენი, იქნებ თქვენ ამოხსნათო... ვერაჲ ვერაფერი გაიგო. ბატონ ნიკოს სტუდენტები გამოუძახებია და გაშიფვრა უთხოვია, ჩაჭრილ სტუდენტს მტკიცე უარი უთქვამს... საოცრად დაინტერესებულ პროფესორს აღუთქვამს დამაკმაყოფილებელი ნიშანი მხოლოდ ამ საიდუმლოს ასწინსათვის. მაშინ ბიჭს უამბნია: რაც ვერ ვისწავლე, „შპარგალკებად“ მოვშხადე და ჯიბეებში გავანაწილე. ეგ ასოები უბრალოდ „მისამართებს“ ნიშნავს: შუჯ — შარვლის უკანა ჯიბეა, პზმცჯ — პიჯაკის ზედა მარცხენა ჯიბეო და ა.შ. სიცილით დაუწერია ბატონ ნიკოს „სამიანი“. სვანი გამოეთხოვა და უკან-უკან წავიდა გახარებული... ასე უცნაურად რატომ გადიხართო? — უკითხავს ლექტორს... მე მათემატიკური ფიზიკის მეთოდებში ჩავიჭერი, ზრდილობაში კი არ ჩავჭრილვარო... საბოლოოდ აღფრთოვანებულ მუსხელიშვილს ნიშანი „ოთხიანიზე“ გადაუსწორებია. მრავალი წლის შემდეგ ვახტანგ პარაკმესთან საუბარში უთქვამს: ათასობით სტუდენტს გაუკვლია ჩემს ხელში — თბილისისა თუ ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებელში, და მეხსიერებაში მხოლოდ ის სვანი სტუ-

დენტი ჩამრჩაო...

ნიკო მუსხელიშვილი ისე თავისუფლად იქცეოდა, ისეთი გონებასაზვიადი და ენამოსწრებული ბრძანდებოდა, რომ ბევრი რამ, რასაც ხუმრობით ამბობდა, სამუდამოდ დაამახსოვრდა ხალხს. ერთხელ ჰკითხეს თურმე:

— ბატონო ნიკო, მართალია, თითქოს ყოფილი თავადი ბრძანდებით?

— რას ნიშნავს „ყოფილი თავადი“? ეს ხომ იგივეა, ძაღლზე იკითხოთ — ეს ყოფილი ფოქსტერიერი ან ღობერმან-პინჩერი რა? ეს ხომ ჯიშია... ისე, კი მე თავადი არ გახლავართ. ჩემი მშობლები აზნაურები იყვნენ, ამიტომ მეც აზნაური ვარო...

ისეთ ეპოქაში უხდებოდა ცხოვრება, ყველანაირად შეზღუდული და შებოჭილი იყო. წარმომავლობაც „უარყოფითი“ ჰქონდა, შრომებიც უცხო ენებზე გამოქვეყნებული... სხვა რა იყო საჭირო, რომ ძლიერთა ამა ქვეყნისათა რისხვა დაემსახურებინა... ცუდი თვალთ უყურებდნენ. ძლივს გადაურჩა რეპრესიებს. ალბათ ისევ მათემატიკამ იხსნა. ისეთ სფეროში მოღვაწეობდა, იდეოლოგიური საყრდენი ვერ მოუძებნეს ბრალდებებს...

მოგვიანებით უხენაესი საბჭოს დეპუტატადაც აირჩიეს. ამის გამო სამკერდე ნიშანიც მისცეს, რომელსაც „ანტირომანს“ უწოდებდა (ე.ი. რომანოვების საწინააღმდეგოს). როცა მოსკოვში წასვლა უხდებოდა, სხვა დეპუტატებს აფრთხილებდა — „ანტირომანის“ გაკეთება არ დაგავიწყდეთო. ამ ნიშნის მატარებელს ხომ მოსკოვში განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ...

ნიკო მუსხელიშვილის პირველი მეუღლე, გიორგი ნიკოლაძის და, ადრე გარდაიცვალა. მეორედ მეცნიერმა თავის მდივანზე იქორწინა. ერთხელ უხუმრია: მე მდივანი ცოლად გავიხადე და ლეო მალნარაძემ ცოლი მდივანად გადააქციაო. სწორედ იმ პერიოდში, ლეო მალნარაძეს, შრომების დაბეჭდვაში ცოლი ეხმარებოდა თურმე.

ძალიან ბევრს ეწეოდა მეცნიერი. ფოტოებიც კი არსებობს საკმაო რაოდენობით, სადაც ის სივარულთ ხელში დაუფიქსირებია ფოტოგრაფს. ერთხელ უთქვამთ: ბატონო ნიკო, ამდენ თამბაქოს რომ ეწევი, ხომ იცით, რომ 1 გრამი ნიკოტინი ცხენს კლავსო?! მაშ, ნახევარი გრამი ვირს მოკლავს, არა? ეტყობა, ამიტომაც, რომ ვირები პაპიროსს არ ეწევიანო...

80 წლის მეცნიერი, როცა საკუთარი სივარულთის კოლოფიდან 3 ლერს მოწვედა, მეთხვის სხვას სთხოვდა თურმე... შინ მისულს როზანა რომ შემომიწმეებს,

რამდენი მაქვს მოწეული, ნახავს, წესები მათემატიკური სიზუსტით რომ დამიცავსო (როზანა მისი მეორე მეუღლე გახლდათ).

დღეს, ალბათ, განსაკუთრებით საინტერესო და ღიმილის მომგვრელია, რომ ნიკო მუსხელიშვილის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა იმდროინდელმა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ იუბილარს „საპატიო მილიციელის“ წოდება მიანიჭა — სამკერდე ნიშანი მხარტვა ქვეშევრდომის ხელით და ბოდიშში შეუთვალა: თავად ვერ გეხელით, რადგან სასწრაფო ოპერაციაზე უნდა წავიდეთ. ნეტა, ამ ოპერაციაზე მე, როგორც საპატიო მილიციონერი, არ უნდა ვიყო? — უკითხავს ბატონ ნიკოს. მგონი ერთადერთი მეცნიერი ვარ საპატიო მილიციელიო, — უთქვამს სხვა დროს.

ძალიან დიდ პატივს სცემდნენ ნიკო მუსხელიშვილს საზღვარგარეთელი მეცნიერებიც. ამერიკელმა კოლეგებმა ჩამოიტანეს მისი ორი მონოგრაფია, რომელიც მათ ქვეყანაში დაიბეჭდა და მოწიწებით ავტოგრაფი სთხოვეს. ორივე წიგნი, მგონი, ათი კილოგრამა და თავი ასე რატომ დაისაჯეთო — თავმდაბლად შეუნიშნავს მეცნიერს.

ყველას საოცრად უყვარდა ბატონი ნიკო... თავდაც დიდ სითბოს აფრქვევდა. განსაკუთრებით მოსიყვარულე მამა და ბაბუა გახლდათ. ერთი ჰობი ჰქონია — ღურგლობა. ხშირად აკეთებდა სკამებს ბავშვებისთვის. უფროს შვილიშვილს თურმე თოჯინის მთელი სახლი გაუკეთა!

ნადირობის ტრფიალიც იყო. გამორჩეულად, დედულეთში, თეთრიწყაროს რაიონში უყვარდა ნადირობა — იმ ადგილებში, სადაც ადრეული ბავშვობა გაატარა. ის არ იყო მიწას მოწყვეტილი,

კარჩაკეტილი მეცნიერი. ყველაფერს მოხერხებულად ასწრებდა: გართობასაც, ლხინსაც, მუშაობასაც... იყო ბულგარეთის, პოლონეთის, გერმანიის მეცნიერებათა აკადემიების წევრი. დაჯილდოებული იყო ტურინის (იტალია) მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო პრემიითა და ოქროს მედლით, სლოვაკეთის მეც-



დარია საგინაშვილი-მუსხელიშვილისა და ივანე მუსხელიშვილი შვილებით: ნიკო, მარგალიტა და ალექსანდრე

ნიერებათა აკადემიის ოქროს მედლით, ლომონოსოვის სახ. ოქროს მედლითა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ბრინჯაოს მედლით.

80 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე მეცნიერმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და ბრძანა: „შეიძლება ზომზე მეტად შემაქვს, მაგრამ ჩემს ასაკში ეს უკვე აღარ არის საშიში, რადგან 20 წლის კი არა ვარ, არამედ ოთხჯერ მეტის და აღარ გავყოფიხდები“... სიტყვა კი თავისებური თბილი ღიმილით დაამთავრა: „ათი წლის შემდეგ შეხვედრამდე ვშორდებით...“ (იგულისხმა 90 წლის იუბილე!) სამწუხაროდ, ეს შეხვედრა ვეღარ შედგა: 1976 წლის 15 ივლისს, 85 წლისა გარდაიცვალა. ■

საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილენი (თბილისი 1963). მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: ვ. კოიგერი, მ. რუა, ნ. მუსხელიშვილი, ფ. ოსკვისტი, ე. კარაფოლი. დგანან: გ. მიხაილოვი, ი. სნედონი, ი. ვეკუა, ლ. სედოვი



ზურა თავის ოთახში წამოწოლილიყო და ფიქრს მისცემოდა. მაიას საქციელს კიცხავდა და ამავდროულად ამართლებდა: „ყველა ადამიანი ეგოისტია, ყველა საკუთარ სოროს თხრის, ჩიჩქნის, ჩიჩქნის, ებებს და რას? საკუთარ ბედნიერებას, მაგრამ პოულობს კი?! რა არის ბედნიერება? ის რასაც სიყვარული ჰქვია, თუ ის, რაც მატერიალურია და გრძობა არ გააჩნია?! დავიჯერო, უყვარს თავისი ქმარი? მე რომ მეუბნებოდა, მიყვარხარო? ესე იგი, სიყვარული თავდება. უბრალოდ იცლები გრძობისგან, იცლები ისე, როგორც ქვიშის საათის ზედა ჭურჭელი, თუ არ გადააბრუნე, თუ კომპენსაცია არ მიიღე, ქრება. ალბათ ყოველ დასაწყისს დასასრული აქვს, რაც იბადება – უნდა მოკვდეს. ეკა? ჩემი შვილი, უჩემოდ რომ გაიზრდება? მერე რა, რომ ვიჯექი, ვინმეზე ნაკლები ვარ? არა, მაია მანინც ახვარია, მაგის დედაც... ყველაფერი მოსულა, მაგრამ ბავშვს მამა არ უნდა დაუკარგო. ვაი?! თენგი ბიწაძე, „კატაკივიტი“ გადაგივლი, ჩემი ცარიელი ოთახივით უნდა დაგეცარიელო, შე არაკაცო, როგორ დამინგრეე ცხოვრება...“

– ზურა, ზურა! – შემოესმა ქუჩიდან.

– დათო, მოხვედი? – ფანჯრიდან გადაიხედა, – ახლავე ჩამოვალ, – დედას მიუფერა და სადარბაზოში სირბილით დაემშვა. მანქანაში ჩაჯდა, – რომელ რესტორანში წავიდეთ?

– შენ რომელში გინდა?

– „დარიალში“. გასსოვს, ჩვენი საყვარელი რესტორანი იყო.

– წავიდეთ, მაგრამ ახლა „ნიკალა“ ჰქვია.

– რა მნიშვნელობა აქვს, – მაგნიტოფონი ჩართო ზურამ.

მეგობრებმა მანქანა ლადიდის ქუჩაზე გააჩერეს და „ნიკალაში“ ჩავიდნენ. კიბეზე აღმინისტრატორი შეეგება და თავისუფალი მაგიდისკენ გაუძღვა, შემდეგ მენიუ მიწავოდა.

– ისევე ისეთი შექმერულს აკეთებთ, როგორსაც ადრე, კომუნისტების დროს? – იკითხა ზურამ.

– უკეთესს...

– ძალიან კარგი, მაშინ მოგვიტანეთ.

– ახლავე ოფიციალტი მოვა და იმას შეუკვეთეთ, – მიუგო აღმინისტრატორმა.



ბენიკ კეკელიძე

შეხსენებელი შეხსენება

– რა მოგენტრა? – თვალეში შეჭურვებდა დათო.

– ყველაფერი, რასაც ჩვენ აქ ვუკვეთდით.

ამასობაში მაგიდას ოფიციალტი მიუხლოვდა, ხელში ბლოკნოტი და კალამი ეკავა:

– გისმენ?

– თუ შეიძლება, წიწილა შექმერულად შეგვიწვივით, ზუთხის მწვადი, კარტოფილი, სალათა, ხიზილალა, ზეთისხილი, ენა. კიდევ რა გვინდა? – გადახედა ზურას.

– არაფერი, „დუ იაქე“ გააკეთონ.

– ჰო, ორი ბოთლი კახეთი და ერთი მამბანური დოქში ჩავვისხით, მხოლოდ ცივი. მიმტანმა ყველაფერი ჩაიწერა და შეკვეთის შესასრულებლად წავიდა. ზურა დაკვირვებით ათვალიერებდა ახლად გარემონტებულ რესტორანს:

– საკაფოდ გაუკეთებიათ, – ჩაილაპარაკა. შემდეგ მაგიდებთან მსხდომ ხალხს გადახედა. სახეზე უკმაყოფილება აღებჭვდა, – რა ჭრელი „სასტავია“. ეს ქალები რას იტყვარჭებიან, ან ამ ლიბიანებს იარაღით რა უნდათ რესტორანში?

დათოს ჩაეღიმა:

– ეს ქალები ბოზები არიან, ისინი კი – რომელიმე ძაღვანი სტრუქტურის თანამშრომლები...

– „კაროჩე“, ძაღვები, – გააწყვეტინა ზურამ.

– ეგრეა, ეტყობა ვიღაცა „გაწეწეს“ და ახლა „გულაობენ“, თორემ მაგათ ხელფასი თვეობით არ აუღიათ, ანდა იმ ხელფასით, რაც აქვთ, რესტორანში კი არა, კინოში

ვერ შეხვალ. იქით მაგიდაზე კი, – თავით ანიშნა კუთხის მაგიდისკენ, – ჩემი კაზინოს მუდმივი კლიენტი ზის.

– წაგებული რამდენი აქვს?

– აგარაკი ვაყიდა, ახლა მანქანას ყიდის.

– დეგენერატია? – გაიკვირვა ზურამ.

– არა, მოწამლულია ყომარის ბაცილით. მაგისტრის სულერთია, მოიგებს თუ წააგებს. მთელი დამე შეუძლია იჯდეს და ითამაშოს.

– მაგ ჩემისას გაჭირვებული არავინ ჰყავს? წავიდეს, დაეხმაროს.

– რას ამბობ?! ეგეთები რომ არ არსებობდნენ, მაშინ კაზინოები უნდა დაიხუროს. ეგ კი არა და, შენ უნდა ნახო, „ნაშები“ რას ყომარობენ, აგებენ საყვარლები ს ფულებს.

მიმტანმა ნელ-ნელა შეკვეთილი კერძებით შეავსო მაგიდა. დათომ სასმელი ჩამოასხა:

– შენს გათავისუფლებას გაუმარჯოს, ძმაო, – ჭიქა მოუჭახუნა მეგობარს.

– გაუმარჯოს, ჩვენს ერთად ყოფნას გაუმარჯოს. ასე მგონია, თითქოს ჩემი ცხოვრებიდან ის თორმეტ-ნახევარი წელი მიწამ ჩაყლაპა, თითქოს ცულ სიზმარში ვიყავი და ბოლოს აქ რომ ვიჯექით, აი, იქიდან გრძელდება ჩვენი დღევანდელი შეხვედრა, – ზურამ შესვა, – ძმაო, რა მინდა გკითხო, ჩემი გათავისუფლებისთვის ათასი დოლარი ვის გამოართვი?

– ეგ ჩემი „გრევა“.

– ბიწაძეს „მაცუთს“ როცა დავაწერ, მერე გაგისტუმრებ.

– მე ეგ ფული გაჩუქე, მქონდა და გაჩუქე. არ ღირს სალაპარაკოდ, – დათომ ისევ შეავსო სასმისები, – მოდი, ჩვენს ძმობას გაუმარჯოს, მე და შენ ბავშვობიდან ერთად მოვდივართ, საბავშვო ბაღიდან და მთელი ცხოვრებაც ერთად ვიქნებით. ყველაფერი ხდება, ხომ იცი, კიბეზე ვცხოვრობთ, ხან ავდივართ, ხანაც ჩავდივართ.

– მე რაღაც დიდი ხანი მომიწია დღამა სიარული, – ზურამ გაიღიმა და შესვა, – ისე, ფულს როცა ავიღებ, რა შეიძლება დავიწყო?

– თუ ზემოთ არავინ გყავს, დიდ საქმეს ვერაფერს დაიწყო, გაგჭყვლებენ, გადაგივლიან ეგ ჩათლახები. ყველაზე ნაღდი კი სამარშრუტო ტაქსის დათრევაა.

– რა ჯდება?

– მიკროავტობუსი თავის ხაზიანად რვა-ათი ათასი დოლარი.

– თვეში რამდენი მექნება? – დანტერესდა ზურა.

– ხუთასი-შვიდასი ლარი, ხაზს გააჩნია.

– არა უმავს. ხუთი მანქანა რომ ვიყიდო – გაასწორებს.

– ჯერ ფული დავითრიოთ, მერე ვიფიქროთ დანარჩენზე. რამდენი გინდა გამოართვა?

– სულ ცოტა, ასი.

– ექნება, როო?

– ეგ მე არ მაინტერესებს, საიდანაც უნდა გააჩინოს. არაკაცი მეტის ღირსია. ერთი ვიცი, რომ უკან დაბრუნება არ მინდა, რადაცნაირად დღევანდლობას ფეხი უნდა ავუბა, სამსახურს მოენახავ, ვიშუშავებ...

– არ გადამრიო, სად არის სამსახური?! – დათომ სიტყვა გააწყვეტინა ოცნებებში წასულ მეგობარს, – „დაბრუდილია“ ქვეყანა. ახლა ვიქეიფოთ, შევეშვათ ჰაერის ნაყვას. წიწილა გადაიღე, – მიაწოდა თეფშზე დადებული კეცი.

ზურამ გადაიღო, შემდეგ პოლიციელების მაგიდისკენ მიახედა:

– ერთი ამათ შეხედე, რას ჰკვანან – ან ეს ქალები, ან ეს კაცები. შეხედე, იმ ჩათლანს როგორ აჭმევს?! ნეტა, ასე თავის ცოლ-შვილს თუ უვლის?! გულის ამრევები არიან.

– მე ხომ გითხარი, ეკლესიიდან როცა მოვიდოდი, დღეს ვისაც როგორ შეუძლია ისე ცხოვრობს-მეთქი. შენ მითხარი, მაშინ მიცემა დაიწყებო. ჰოდა, ეგ ქალები ამათ აძლევენ, ისინი კი – სახელმწიფოს ბობოლვებს, ყველაფერზე ხელის მომწერნი არიან. ასე რომ, დღეს ბოზები ცხოვრობენ, ხოლო – წესიერი ხალხი შიმშილით სულს დაფავს. მოდი, – შეავსო ჭიქები დათომ, – ყველა იმ ადამიანს გაუმარჯოს, ვინც მართალია ერთანაც და ბერთანაც. რაც მთავარია, როცა მართო დარჩება საკუთარ თავთან და თავისი მე არ ეტყვის, შე ნადირალაო.

– გაუმარჯოს.

– უკაცრავად, ეს შამპანური იმ მაგიდიდან გამოვიგზავნეს, – მიუახლოვდა ოფიციალტი, რომელსაც ლანგარზე სამი ბოთლი ედგა.

– რომელი მაგიდიდან? – გაიკვირვა დათომ.

– შე ჩემო, შენმა ყომარბაზმა გამოვიგზავნა, – ჩაელიმა ზურას, – რა ჰქვია?

– ბადრი, ისე „ტანცორას“ ეძახიან, ადრე სუბიშვილებში ცეკვადა, – დათომ სასმელი ჩამოასხა და თავისი ნაცნობის მიმართულებით ასწია.

ბადრი წამოდგა, მუსიკოსებთან მივიდა, ათლარიანი გაუწოდა და რაღაც შეუკვთა, შემდეგ ცენტრში დადგა და მუსიკას დაელოდა. დარბაზში შალახოს რიტმიანი მუსიკა გაისმა. მისი თანამეუსუფრეები იქვე დაუდგნენ

და ტამის კვრიტ ამხნევებდნენ უაზროდ მოტლინკავე ყოფილ მოცეკვავეს. ბოლოს ცხვირსასოცი ძირს დაავლო, საზიზღრად გაიფარჩხა და კბილებით აიღო. იქ მყოფთ ისე მოეწონათ, რომ ოვაციებიც კი გაუმართეს მთვრალ ყომარბაზს.

– ბიჭო, აქეთ მოდის, მაგის თავი არა მაქვს, – გადაულაპარაკა ზურამ დათოს.

– დათოს გაუმარჯოს, – ქოშინით მიუახლოვდა მაგიდას ბადრი. ერთი ბოთლი შამპანური გასხნა და ჩამოასხა, – მაგარი ჯიგარი ხარ, შენ გაემარჯოს.

– გმადლობ, – ჩაელიმა დათოს და ზურას თვალი ჩაუკრა.

– ბოზის შვილი ვიყო, – სლოკინით გაავრძელა დაუპატიჟებელმა სტუმარმა, – შენ რომ „ზამასკაში“ არ დამტოვე და კრედიტი მომეცი, მაგრა გაასწორე, ბოზის შვილი ვიყო, – მოიყუდა შამპანურიანი ჭიქა. ამასობაში მისი მეგობრები მოვიდნენ, ხელკავი გაუყარეს და უგონოდ მთვრალი წამოაყენეს. ბიჭებს ბოდიში მოუხადეს და გასასვლელისკენ წაიყვანეს.

– ბეზიაშენისამ, პროფესორის შვილი ხარ, – ჩაილაპარაკა ზურამ, – ვერ არის ეგ უბედური თავის „მატორზე“, ეტყობა, გარეკილი აქვს.

– ვერეა, – დაეთანხმა დათომ.

მეგობრებმა მრავალი სადღევრძელო შესვეს, გაიხსენეს სკოლა, ბავშვობის ისტორიები, გარდაცვლილი ახლობლები. შემდეგ დათომ ოფიციალტს ანგარიში გაუწოდა და შეზარხოშებულები რესტორნიდან გავიდნენ, მანქანაში ჩასხდნენ:

– წავედით ქალებში? – იკითხა ზურამ.

– აბა რა, ელზა გაფრთხილებული მყავს, მაგარ ნაშებს დავგავხვედრებს.

– ვინ არის ელზა?

– ერთი მამაშა, ვიღაც ბობოლა „ჟიმავს“. ჰოდა, აბანო გასხნა, მოაწყო ბორდელი. რანარი ქალი არა ჰყავს. ჩვენ ოჯახის ქალებს დავგავხვედრებს.

– ოჯახის ქალი რა პონტია? – გაიკვირვა ზურამ.

– არაფერი, „პროსტა“ სუფთები არიან, გარანტირებული ხარ, რომ არაფერს აიკიდებ.

– მერე ამ დროს ოჯახის ქალს ქუჩაში რა უნდა?

– „სირი“ ქმრები ჰყავთ, რქებს ადგამენ. საუბარ-საუბარში აბანი „ოაზისს“ მიუახლოვდნენ. მანქანა ჩაკეტეს და შესასვლელე კარზე დააკაკუნეს. კარი დაცვის პოლიციელმა გააღო.

– ელზა აქ არის?

– თქვენ დათო ბრძანდებით? – იკითხა კანონის დამცველმა.

– კი, მე ვარ.

– მობრძანდით, ქვემოთ არის, გელოდებათ, – ფართოდ გააღო კარი.

სტუმრებს ქერათმიანი შუახნის ჩასუქებული ქალი შეეგება:

– სადა ხარ ამდენ ხანს, დათო?

– რა იყო, დავაგვიანეთ?

– არა, იმათ ექჩარებათ.

– მოიცდიან, არა უშავთ. სად არიან?

– ლუქსში, გელოდებიან, – გაუძღვა ნომრისკენ მასპინძელი.

– სასმელი მოატანინე?

– ყველაფერი ნომერშია. აბა, კარგი დრო გაატარეთ, – შეულო კარი.

ბიჭები ნომერში შევიდნენ. ზურამ სიგარეტს მოუკიდა, მაგიდასთან მსხდომი ორი ქალი ათვალთვარა. კლიენტების დანახვისას ერთი წამოდგა:

– დათო, როგორ ხარ? – გადაკოცნა დათო.

– კარგად, თეა. შენს დაქალს არ გავაცნობ?

– მალვინა, – გაეცნო საკმაოდ სიმბათიური ქალი.

– ჩემი ძმა და მეგობარი, ზურა, – ხელი გადაჰხვია დათომ ძმაცას, – თითო ჭიქა დავლიოთ.

ცოტა ხანში ბიჭები თავ-თავიანთ ქალებთან ერთად ცალ-ცალკე ოთახებში გავიდნენ. ზურას ხელში გასხნილი შამპანურის ბოთლი და ჭიქა ეკავა. სკამზე ჩამოჯდა.

– გაიხადე, მალვინ, – ჩამოასხა შამპანური, ქალს მხერას ვერ ამორებდა.

– შენ მართლა დღეს გათავისუფლდი?

– კი. ხომ არ გეშინია? – ჩაელიმა ზურას.

– არა, პირიქით. რამდენი ხანია ქალთან არ ყოფილხარ? – გვერდით მიუჯდა მალვინა.

– საუკუნეა, – უპასუხა ზურამ და ჭიქა სულმოუთქმელად გამოცალა.

– მაგრა ასწორებს, – კმაყოფილება ვერ დამალა ქალმა. შემდეგ ჩანთა გასხნა და პრეზერვატივი ამოიღო.

– რამე გჭირს? – გააკვირვა ზურამ.

– არა, უბრალოდ.

– შე ჩემო, ქალთან მაგით მისვლა იგივეა, რაც აირწინაღობ ვარდი რომ დასუნო, – გამოართვა და კუთხეში მოისროლა, – მიდი, გაიხადე.

მალვინა წამოდგა, ნელი მოძრაობით გახდა დაიწყო. ზურა თვალმოჭუტული უმზერდა და შამპანურს წრუპავდა.

– მოეწონვარ? – წინ დაუდგა დელიშობილა.

– მაგარი ქალი ხარ, – სიგარეტს მოუკიდა, – ერთი მინდა გკითხო, ქმარს რატომ დალატობ?

– იმიტომ, რომ ის მლაღატობს, მე კი „აბაროტს“ ვუღებ, მეტის ღირსია.

– მერე რატომ არ შორდები?

– მყუთიანია, არაფერს მაკლებს, კარგად მაცხოვრებს.

– ჰოო, – ისევ ჩამოისხა შამპანური ზურამ, – მაგარი ბოროტია ეს ცხოვრება,

დღეს ვისთან უნდა ვწოლილიყავი და ვისთან ვარ, — თავისთვის ჩაილაპარაკა, შემდეგ ქალს ახელდა, — შეიძლება, მაია რომ დაგიძახო? ხომ არ გეწყინება?

— თუ გინდა, ჟუჟუნა დამიძახე, — გაუღიმა მალვინამ, — არ გაიხდი?

— მაია, ბრა ანთე და სინათლე ჩააქრე, — წამოღვა ზურა და ტანსაცმლის გახდა დაიწყო. შემდეგ ქალს ჩაეკრა, — ჩემო მაიკო, როგორ მომენატრე, — ეფერებოდა და სახეს უკოცნიდა.

თენდებოდა, როცა დათომ ზურა სახლთან მიიყვანა:

— დღეს რას აპირებ?

— არაფერს, ალბათ სახლში ვიქნები, მომენატრა სახლი.

— კარგი, ცოტა გამოვიძინოთ და მერე დაგივლი, — დაემშვიდობა დათო და მანქანა ადგილს მოსწყვიტა.

ზურა შუადღის სიცხემ გამოაღვიძა. ნაბახუსევზე თავი სტკიოდა. თვალები მოიფშვინა, დარწმუნდა, რომ ნამდვილად თავის ოთახში იმყოფებოდა. კმაყოფილს ჩაეღიმა:

— დედა, — დაუძახა მშობელს.

— გაიღვიძე, დედიკო? — ოთახში ნონამ შემოაბიჯა და საწოლზე ჩამოუჯდა, — როგორ ხარ? რამდენი ხანია სახლში არ გეძინია, ჩემო დატანჯული ბიჭო, — მოეფერა ვაჟიშვილს.

— შენთან ერთად ბედნიერი ვარ, — ზურა საწოლზე წამოჯდა, — მაცივარში ცივი ლუდი უნდა იყოს, ერთს დავლევ და მერე ვიბანავებ, ცოტა გამოვფხიზლდები.

— კი, შვილო, — ლუდის მოსატანად გასწია ნონამ. მალე უკან მობრუნდა, ხელში გახსნილი ბოთლითა და ჭიქით, ჩამოუსხა, — როგორ აპირებ ცხოვრების გაგრძელებას? — იკითხა ჩაფიქრებულმა.

— რაღა სამსახურს მოვნახავ. ნუ გეშინია, რაღაც გვეშველება, — ჭიქაში ჩამოსხმული ლუდი გამოცადა ზურამ, — კარგია, — სიამოვნებით ჩაილაპარაკა და ისევ ჩამოისხა.

— ბინას როცა ვყიდდი, განცხადება გამოვაქვეყნე გაზეთში „სიტყვა და საქმე“. ბინების გარდა, არის სხვა განცხადებებიც, მათ შორის, სამსახურის შესახებ. წაიკითხე, იქნებ რაღა დაგიჯდეს ჭკუაში, — გაზეთის მოსატანად გავიდა ნონა.

ზურა დედამისს უკან გაჰყვია. გაზეთი გამოართვა და მაგიდას მიუჯდა. დაკვირვებით გადაიკითხა ყველა განცხადება, ბოლოს ყურადღება ერთ-ერთ მათგანზე შეაჩერა:

— შეხედე, სამუშაო მაღალი ანაზღაურებით, — ტელეფონს გადასწვდა და ნომერი აკრიბა, — გამარჯობათ, მე განცხადების თაობაზე გირეკავთ, რა სამუშაოა?

ქსელური მარკეტინგი? — გაურკვევლობისგან ტუჩები აპრუწა და ნონას მიაშტერდა, — კი, მაგრამ, რა უნდა გავაკეთო? — ლექციას უნდა დავესწრო? ათი ლარი, გასაგებია. სად უნდა მოვიდე? ელბაქიდის დაღმართზე, გასაგებია, — დაკიდა ყურმილი, — გაიგე?

— რაო, რა გითხრეს?

— რაღაც ქსელური მარკეტინგი ყოფილა, ეკოლოგიურად სუფთა პარფიუმერია აქვთ და უნდა გავუსალო. რაც მეტს გაყიდი, მით მეტია ანაზღაურება. დღეს ოთხ საათზე ლექციას უნდა დავესწრო, ათი ლარი ღირს და იქ გაუარკვევ ყველაფერს.

— ეჰ, შვილო, პარფიუმერიის კი არა, პურის ფული არ გააჩნია ხალხს, სად უნდა გაასალო, ვის რაში სჭირდება პარფიუმერია, — უკმაყოფილომ ჩაილაპარაკა ნონამ.

— ცდა ბედის მონახვერეა, ვნახოთ, — მიუღო ზურამ და აბაზანისკენ გააბიჯა. მხაპიდან გამოსულს დათომ დაურეკა:

— „პახმელიაზე“ ხომ არა ხარ?

— ისე რა, — ჩაეღიმა ზურას, — გაასწორა, კარგი იყო გუშინ.

— გავიგე ბიწაძის კოორდინატები.

— რა გაიგე?

— სახელმწიფო კანცელარიაში მუშაობს, განყოფილების უფროსია.

— ძალიან კარგი, — სიტყვა გააგრძელა ზურამ და ჩაფიქრდა, — როგორ ვნახო?

— ქვემოთ მისაღებიდან უნდა დაკურეკოთ.

— მე ოთხ საათზე ერთ ადგილას უნდა ვიყო, ორ საათში უკან მოვბრუნდები და მერე წავიდეთ.

— მაშინ ექვსზე შენთან ვიქნები.

— მოვილაპარაკეთ, — ყურმილი დაკიდა ზურამ.

ოთხი საათისთვის ელბაქიდის დაღმართზე ერთ-ერთ შენობასთან მივიდა. შესასვლელში ათი ლარი გადახდევინეს და საშვი მისცეს. დერეფანში სხვადასხვა ასაკის ასამდე ადამიანი შეკრებილიყო. ქალიც და კაციც საშინელი გაუბედურებული ჩანდა. ისე ეცვათ, გული მოგიკვდებოდა. ზოგი გაჭირვებას წელში მოეკაკავა, ზოგიც უზომოდ ფერწასული იყო. ყველას ხელში საშვი ეკავა.

„რა „სასტავია“, სად შეკრიბეს ამდენი საცოდავი? მეც ამათნაირი ვარ?“ — გაიფიქრა ზურამ.



კარი გაიღო და ნახევრად შიშველმა ახალგაზრდა გოგონამ დერეფანში შეკრებილები დიდ დარბაზში შეიპატიჟა.

ყველანი მაგიდებთან დასხდნენ. უკანა კარიდან რამდენიმე ქალი გამოვიდა. ხელში ლანჩები ეჭირათ. მათ თითოეულ მსმენელს თეფშები ჩამოურიგეს. ზურამ გაიკვირვა:

— რა არის ეს, ჭარხლის მხალი და პიურე?

— ეს ბატონო, ლექციის დროს რომ მიირთვათ, — გაუღიმა ქალმა და ფორთოხლის ცივი წვენი საგვს ჭიქა დაუდგა.

დარბაზის წინ, ფერად სარეკლამო პლაკატებთან შუახნის ქალი გამოჩნდა. ხელში საჩვენებელი ჯოხი ეკავა. მან შეკრებილ აუდიტორიას თვალი მოავლო და წყნარი, აუღელვებელი ტონით დაიწყო საუბარი. ჯერ მოუთხრო გასასაღებელი პარფიუმერიის წარმოშობის ისტორია. ის, რომ ძველ ჩინეთში შექმნეს და რამდენად სასარგებლო ადამიანის ჯანმრთელობისთვის ამ ფირმის სუნამოები, დეზოდორანტები თუ კბილის პასტები. შემდეგ გადავიდა ძირითად საკითხზე — ანაზღაურებაზე. თურმე ყოველი ასი ლარის ღირებულების საქონლის გასაღებისას, გამსაღებელს ხუთი ლარი შეხვედება, რომ ფირმაში მომუშავეებმა უკვე აიწვევს ცხოვრება, შეიძინეს მანქანები და მრავალი სხვა.

ზურა გაოგნებული მისჩერებოდა ლაპარაკში გაქაფულ ქალს. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ხელი ასწია:

— ერთი შეკითხვა მაქვს, — წამოღვა ფეხზე.

– ბრძანეთ, – მიუგო ლექტორმა.
 – თქვენი ხელმძღვანელი გვარად ანდერსენი ზომ არ არის?
 – არა, კაციტაძია, – დაუფიქრებლად მიუგო ქალმა. შემდეგ მიხვდა თავის შეცდომას და სიტუაციის განმუხტვა სცადა, – თქვენ არ გვერათ?
 – დაგვცინით?! – სიბრაზისგან წამოჭარხლდა ზურა, – ამ ხალხის გაჭირვებაზე აგორებთ თქვენს კეთილდღეობას? ამ იდიოტურ ლექციაზე დასასწრები ათი ლარი საიდან მოიტანეს, არ გაინტერესებთ?! იქნებ ბოლო ფული გაიღეს? თქვენ რომ გიყურებთ, ილფი და პეტროვის გმირი მგონიხართ. რა, ვასიუკის ხომ არ აშენებთ?!
 – არა, როგორ გეკადრებათ, – გაფითრდა ქალი.
 – აბა, მხალის საკმელად შეკრიბეთ ეს ასი კაცი? არ გრცხვებით, თქვე უსინდისოებო?! – ზურა გასასვლელისკენ ნაჩქარევად წავიდა, კარი გაიჯახუნა და ბურტყუნ-ბურტყუნით აღმართს აუყვა.
 სახლთან დათო ელოდებოდა.
 – ზევით არ ასულხარ?
 – ახლა მოვედი. სად იყავი?
 – სამსახურის სამოწმელად. რაც ქვეყანაა, ისეთივე ბიზნესმენები ჰყავს! „სიაფანდების სბროლია“, – იქედნური ღიმილი დაეტყო ზურას.
 – მერე?
 – რა მერე, ბიჭო?! მაგათი დედაც... დაგვცინიან...
 – კარგი. აღარ მინტერესებს. წავედით? ზურამ მანქანის კარი გააღო, სავარძელს მოცელილივით დაენარცხა, სივარტის კოლოფიდან ერთი ღერი ამოაძვრინა და მოუკიდა:
 – წავედით, მისაღები უნდა მივიღო! რამდენიმე წუთში სახელმწიფო კანცელარიასთან იყვნენ. მძიმე ნაბიჯით შენობისკენ გასწიეს. დარბაზში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ზურამ სარკმელში თავი შეჰყო და მაგიდასთან მჯდომ ქალს ჰკითხა:
 – ბიწაძეს როგორ დავუკავშირდე?
 – ბატონ თენგიზს? – მიუგო კითხვაპასუხში გადაღლილმა ქალმა.
 – დიან.
 – აგერ, ტელეფონებთან, კედელზე სიაა გამოკრული და იქ მონახეთ.
 ზურამ საჭირო გვარი მალე მოძებნა და ნომერი ნაჩქარევად აკრიბა:
 – თენგოს სთხოვეთ.
 – ბატონ თენგიზს თათბირი აქვს, – გაისმა ყურმილში.
 – რაო? – მეგობარს მიუახლოვდა დათო.
 – თათბირი აქვს, არ სცალია. ერთ საათში გათავისუფლდება.
 – რა ვქნათ?
 – წამოდი, ჩემთან გავიაროთ. ზონიდან

„ქსივები“ გამომატანეს და რასაც მოვასწრებთ, ჩამოვარივით.
 ერთ საათში უკან მიბრუნდნენ. ზურამ ნაცნობი ტელეფონის ნომერი აკრიბა:
 – თენგოს სთხოვეთ.
 – ბატონი თენგიზი სამინისტროში წავიდა, თათბირზე, – უპასუხა მდივანმა.
 – როდის დაბრუნდება? – ხმაში სიბრაზე შეერია ზურას.
 – არ ვიცი, – ყურმილი დაკიდა ქალმა.
 – ბიჭო, – მიუბრუნდა დათოს, – ასე მაგ ახვარს ვერასოდეს ვნახავთ.
 – აბა რა ვქნათ? – შეწუხებულმა იკითხა დათომ.
 – აქ უნდა დაველოდოთ.
 – ეგ „კრისები“ აქედან არც შედიან და არც გამოდიან. მაგათ ცალკე შესასვლელი აქვთ.
 – მაშინ იქ...
 – იქ ვინ მიგასუნიანებს, – გააწყვეტინა დათომ, – იქ, ძმაო, ასეთივე შეიარაღებული დაცვა დგას, – გაიშვირა ხელი კიბეზე მღვთში ლურჯფორმიანი ავტომატიანები-სკენ.
 ზურა ისევ სარკმელთან მივიდა:
 – ქალბატონო, ბიწაძის ნახვა როგორ შეიძლება?
 – ერთი წუთით, – მიუგო ქალმა და ფურცელს დახედა, – ხვალ მიღება აქვს, შეგიძლიათ ჩაეწეროთ.
 – თქვენთან?
 – დიან, ჩემთან, – საწერი კალამი მოიძარჯვა, – თქვენი გვარი და სახელი?
 – ზურა არაბული.
 – რა საქმეზე უნდა შეხვდეთ?
 – პირადი საქმე მაქვს, – ჩაელიმა ზურას.
 – ხვალ სამი საათისთვის მობრძანდით, თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. თქვენს სახელზე საშვი იქნება დაშვებული.
 – წავედით, – მიუბრუნდა მეგობარს, – მიღებაზე ჩამწერეს, ხვალ უნდა მოვიდე.
 – მე კაზინოში მივდივარ, ხომ არ წამოხვალ?
 – არა, ცოტას ფეხით გავივლი. მერე სახლში ვიქნები.
 – მაშინ ხვალ სამის ნახვერისთვის გამოვივლი.
 – კარგი, ძმაო. ხვალამდე, – დაემშვიდობა ზურა და ქუჩას გაუყვა. ფიქრებში ჩაფლული ისე აღმოჩნდა სახლთან, რომ თვითონაც გაუკვირდა. კიბეზე მძიმე-მძიმედ ავიდა და კარი გააღო.
 – მოხვედი, შვილო, – შეეგება ნონა, – გელოდებოდი, მოდი ვისადილოთ. გემრიელი ჩინირთმა გავაკეთე.
 ზურა მშობელს გადაეხვია და მთელი ძალით გულზე მიიკრა:
 – ჩემო დედიკო, ჩემო საყვარელო, როგორ

გავიმწარე მთელი ცხოვრება, – ეჩურჩულებოდა.
 – ეკ, მე რა, შვილო, შენ დაიტანჯე არაფრის გულისთვის. სანამ სჭირდებოდი, სახლი აგვიტალახა მამამისმა...
 – ვინ? – სიტყვა გააწყვეტინა ზურამ, დედა განიზიდა და თვალბზში ჩააშტერდა, – ვინ აგვიტალახა სახლი?
 – ბიწაძის მამამ, – თვალები გაუწყლიანდა ქალს.
 – რაო, რა მინდაო? – ზიზღი შეერია ხმაში ზურას.
 – რაო და ციხეში ორივენი ხომ არ წაველენო, ზურა ჩაჯდება და მე დავეხმარებიო, ბოლოს და ბოლოს, რაიკომის მდივანი ვარო, ამხელა თანამდებობა მაქვსო. ეს ამბავი რომ განმპურდეს, სამსახურიდან მომხსნიან და ორივეს ჩასვამენო. ისე კი, ზურას მალე გამოვაშვებინებ, ინსტიტუტსაც დავამთავრებინებ და კარგ სამსახურსაც ვუშოვიო, – სიმწრის ცრემლები წასკდა მშობელს, – ბოლოს კი გამოვიდა, რომ მოგვატყუეს, შვილო. შენ ცხოვრება დაგინგრიეს, მისი შვილი კი – დიდი კაცი გახდა, ხალხის ბედს განაგებს...
 – მე არ ვიცი, ვის ბედს განაგებს, მაგრამ რაც დავკარგე, ყველაფერს ათმაგად აღვაადგენინებ, – ცრემლიანი ღაწვები ცხვირსახოცით შეუმშრალა დედას.
 – ფრთხილად იყავი, შვილო, ეგენი გაიძვერები არიან. რამე არ მოგიწყონ.
 – არა, ნუ გეშინია. ახლა წამო, ვისადილოთ, – დედას ხელი გადაჰხვია ზურამ და სამზარეულოსკენ წაიყვანა.
 სადილობის შემდეგ დედა-შვილი ტელევიზორს მიუჯდა. თითქოს ნისლი ჰქონდა გადაფარებული, ძლივსლა ბუტყაგადა ძველი „ივერია“, მაგრამ ორივესთვის სულერთი იყო, რა გადაცემა მიმდინარეობდა, ისე ღრმად იყვნენ საკუთარ ფიქრებში გახვეულნი. დუმილი ნონამ დაარღვია:
 – იქნებ საზღვარგარეთ წავიდეთ სამუშაოდ?
 – დედა, აბა რას ამბობ, აქ არავის სჭირდები და იქ, უცხო ხალხში ვის რად უნდინარ? მე კიდევ სხვისი მონობა არ შემიძლია. ისევ აქ უნდა მოვნახო რამე, – ზურა წამოდგა, თავზე ხელი გადაუსვა, – რამე საძილე გექნება, დამალვინე და დავიძინებ.
 – კი, შვილო, – წამოდგა ნონა, – სამზარეულოდან თეთრი აბი და წყლით სავსე ჭიქა გამოუტანა.
 ზურამ დალია და საწოლი ოთახისკენ გაეშურა, ტანთ გაიხადა და საწოლზე პირქვე დაემხო. ნერვიულობისგან გატანჯულს წამალი დაეხმარა, ღრმა ძილს მიეცა.



ჩომის ჰაჰეზის ავტომობილები

ახლახან, კომპანია BMW-მ რომის ჰაჰს ავტომობილი და 3 მოტოციკლეტი უსახსოვრა. ჯერჯერობით უცნობია, ივლის თუ არა იოანე-პავლე II ამ მანქანით, რადგან მას არასოდეს გამოუშვლავნებია რაიმე განსაკუთრებული მისწრაფება გადაადგილების ამა თუ იმ საშუალებისადმი.

საერთოდ, პირველი ავტომანქანა ვატიკანელ მღვდელმთავარს 1909 წელს აჩუქეს. ეს იყო ITALA 20/30, რომელიც იმდროინდელ ჰაჰს ნიუ-იორკის ეპისკოპოსმა ფარლენმა უსახსოვრა. საინტერესოა, რომ პიუს მეათეს ის მანქანა არასოდეს გამოუყენებია.

ვატიკანის ავტომობილიზაცია კი მხოლოდ პიუს მეთერთმეტეს მმართველობის წლებში – 1922-დან 1929-მდე მოხდა. სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ტრადიციას, რომლის მიხედვით, ავტომწარმოებლები სისტემატურად უძღვნიან თავიანთი ნაწარმის ძვირფას ნიმუშებს ვატიკანის მეთაურს. ბუნებრივია, იმხანად ჰაჰის ავტოფარეხებში იტალიური მანქანები სჭარბობდა: BIANCHI 15, BIANCHI 20, FIAT 525I, ISOTTA FRASCHINI BA და სხვები. თუმცა, შემდგომში, სხვა ქვეყნებში გამოშვებული ავტომობილებიც გამოჩნდა. ვატიკანისთვის ნაჩუქარ მანქანებს შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა CITROEN C6E LICTORIA V6, რომელიც პიუს მეთორმეტეს (1939-1958) უბოძეს: ამ ავტომობილში ჩადგმუ-

ლი იყო სპეციალური ტახტი, ღილაკებიანი პულტი და მძღოლისთვის ბრძანებების გადასაცემად განკუთვნილი ტაბლო. მანქანის სალონი კი, წმინდა ქრისტეფორეს – მოგზაურთა მფარველის სურათებით იყო მოხატული. 1930 წელს ვატიკანში გაჩნდა პირველი „მერსედესი“, რომელიც აქაც ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ავტომობილად იქცა.

1975 წელს რომის ჰაჰის საავტომობილო პარკში პირველი „ყველგანმავალი“ გაჩნდა – ეს იყო TOYOTA LAND CRUISER, რომელსაც ხშირად, მორწმუნებთან შესახვედრად ჰაჰის გასვლისას იყენებდნენ. ბუნებრივია, ამან სხვა უმსხვილეს ავტომწარმოებელთა შური

რომის ჰაჰი მრავალრიცხოვან მრევლს ხშირად შეჯავშნული „მერსედესით“ ევლინება



გამოიწვია: ჰაჰის წყალობით, მკვეთრად გაიზარდა ამ მარკის მანქანებით ვაჭრობის მოცულობა. ამან კიდევ ერთი მძღავრი იმპულსი მისცა ავტომწარმოებლებს, დაესაჩუქრებინათ ჰაჰი თავიანთი ნაწარმით, მაგრამ ეს მანქანები, საგანგებოდ მორთულ-მოპირკეთებული სალონის გარდა, სერიულებისგან არანაირი განსაკუთრებული თვისებებით არ გამოირჩეოდა. აღნიშნული ტრადიცია 1981 წლის 13 მაისამდე გრძელდებოდა – ე.ი. იმ დღემდე, როცა იოანე-პავლე II თავდასხმის მსხვერპლი გახდა. მას შემდეგ, მღვდელმთავრის მანქანები დაჯავშნული ძართა და ტყვიაგაუმტარი მინებით აღიჭურვება.

ჰაჰისადმი ნაჩუქარი ერთ-ერთი ბოლო მანქანაა LANCIA (ზედა ფოტოებზე), რომელიც მას 1999 წლის დამლევს უსახსოვრეს. ამ მანქანას 5 მ სიგრძე და თითქმის მიწის ზედაპირამდე დადაბლებული ძირი აქვს, რათა მღვდელმთავარს მასში ჩაჯდომა არ გაუჭირდეს. სავარძლებზე რომის ჰაჰის მოოქრული ძაფებით ნაქარგი გერბია გამოსახული. სასურავი იკაცება, რაც მღვდელმთავარს ფეხზე ადგომის საშუალებას აძლევს. მანქანის სალონში გათვალისწინებულია მდივნის ადგილი, ჩადგმულია ასაკეცი მაგიდა და დამონტაჟებულია მიკროფონი, რომელიც ჰაჰს საშუალებას აძლევს, მანქანიდანვე წარმოთქვას სიტყვა.

ზოგიერთი ცნობის თანახმად, ამ ავტომობილის ფასი 1,6 მლნ დოლარია. ■



რი წლის შემდეგ დღის სინათლეზე „პორშეს“ ინჟინერთა ახალი ქმნილება გამოვა, რომელიც დიდი გავლადობის ავტომობილისა და უმძლავრესი სუპერკარის ნაერთს წარმოადგენს. სხვათა შორის, მას ეულად სიარული არ მოუწევს – კონცერნი „ფოლკსვაგენი“ მისი ტყუპისცალის – VW COLORADO-ს წარმოებას აპირებს.

ცხადია, ეს ორი მანქანა ერთმანეთს არ დაემსგავსება, მაგრამ ტექნიკური თვალსაზრისით, პრაქტიკულად, იდენტური იქნება: ეს არის „მსუბუქი“ შიგთავსის მქონე, გაზრდილი გავლადობისა და ფორსირებული ბენზინის ძრავით აღჭურვილი მანქანები. თუმცა, მათი უფრო „ახლო ხედით“ გაცნობისას, უმალ თვალში საცემი ხდება განსხვავება. მაგალითად, „პორშესთვის“ სავარძლების მესამე რიგი ოპციას წარმოადგენს, „ფოლკსვაგენისთვის“ კი – ჩვეულებრივი აღჭურვილობაა. „ყველგანმავლური პაკეტი“, „პორშეს“ შემთხვევაში, მყიდველმა ცალკე უნდა შეუკვეთოს, საეზაო ნაპრაღის ცვლილების სისტემა კი სტანდარტში ჯდება, ხოლო „ფოლკსვაგენის“ შემთხვევაში, საპირისპირო სიტუაციაა.

ეს ავტომობილები გარეგნულადაც საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან: თუ CAYENNE ოთხკარიან „911-ე“ „პორშეს“ ჰგავს, COLORADO – ჩვეულებრივი „პასატია“, ოღონდ გაზრდილი საეზაო ნაპრაღით. და მაინც, მათ საერთო ნიშანი აქვს – ეს არის ტექნიკური სრულყოფილება. „ჩვენი „პორშე“ და „ფოლკსვაგენი“ ამ კლასის ავტომობილების უკა-



Porsche Cayenne

ნასკნელი ნიმუშები იქნება, ამიტომაც ვალდებულნი ვართ, რომ ისინი საუკეთესოც იყოს ამ კლასში“, – ამბობს „პორშეს“ კომპანიის შეფი ვენდელინ ვეიდეკინგი.

მანქანის დაპროექტებისას, კომპანიის სპეციალისტებმა ეტალონად ამ ცოტა ხნის წინ გამოსული BMW X5 გამოიყენეს, ამასთან, თუ COLORADO-ს შექმნისას, უბრალოდ, უფრო ტევადი მანქანის აწყობას ისახავდნენ მიზნად, CAYENNE-ის შემთხვევაში, მწარმოებლებისთვის აუცილებელი იყო, კონკურენტები დინამიკურობითა და მართვის სისტემით დაეჯახნათ.

გარეგნულად CAYENNE ფირმის ბესტსელერს – PORSCHE 911 TURBO-ს ჰგავს: დამახასიათებელი ფორმის სანათები და გვერდითი საფირმო ზოლები იმთავითვე გვიჩვენებს, თუ რომელ მანქანასთან გვაქვს საქმე. „პორშეს“ საფირმო ნიშანი სალონიც შეგხვდებათ – ანთების საკეტი მარცხენა მხარეს აქვს, რაც დიდი ხნის სარბოლო პრაქტიკიდან მოდის: სასტარტო ნიშანს მანქანაში მძღოლების ჩასხდომამდე აძლევდნენ და მანქანასთან მიღბენისა და

ჩახტომის შემდეგ, გასაღების მარცხენა ხელით გადატრიალება უფრო მოსახერხებელი იყო მათთვის...

CAYENNE-ისთვის უკვე შეზღუდულია რამდენიმე ძრავა. საბაზო – პრინციპულად ახალი 4,5 ლიტრიანი V8 ტურბოა, რომელიც 450 ცხ. ძალას, ხოლო მისი ატმოსფერული ანალოგი – 340 ცხ. ძალას ავითარებს. ე.წ. „ბიუჯეტური“ 3,0 ლიტრიანი 240 ცხ. ძალიანი V6-იც ექნება, რომლითაც, სხვათა შორის, COLORADO-საც აღჭურვავენ. ამ ავტომობილისთვის ტრანსმისიის ორი ვარიანტიც არის გათვალისწინებული – TIPTRONIC-ი და ხელის, ექვსსაფეხურიანი.

COLORADO-შიც ძრავების რამდენიმე ვარიანტს გამოიყენებენ – „მოკრძალებული“ 2,5 ლიტრიანი V6-ით დაწყებული (250 ცხ.ძ.) – ექსპერიმენტული 6,0 ლიტრიანი V12-ით დამთავრებული (420 ცხ.ძ.). მის ძრავებს შორის 5,0 ლიტრიანი V10 ტურბოდიზელიც (313 ცხ.ძ.) შედის, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია.

„ფოლკსვაგენის“ ხელმძღვანელთა გეგმის თანახმად, ახალი „ყველგანმავალი“ COLORADO სერიულად გამოვა – წელიწადში 80 ათასი ცალის წარმოებას ვარაუდობენ. რაც შეეხება „პორშეს“ CAYENNE-ს, მას თავდაპირველად, წელიწადში 20 ათას ცალად გამოუშვებენ.



სარა მიშელ გელარის ფენომენმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ამერიკა პოლიტიკორექტულობამ დააღალა. 23 წლის მსახიობმა, რომელსაც მესუთე წელია იღებენ ტელესერიალში „ბაფი“, ამ ხნის განმავლობაში ყველა სატელევიზიო ტაბუს დარღვევა მოასწრო: მისი გმირი გაკვეთილებს აცდენდა, იგინებოდა, კაცებს სუსტ ადგილებში ურტყამდა და სასიყვარულო ვნებას ეძლეოდა ვამპირთან. და მოხდა ის, რომ დღეს სარა მიშელ გელარი ახალგაზრდებში ყველაზე პოპულარულ ტელეფარსკვლავად ითვლება.

თიუყუჷ ქშითყუღუ ზყუღუყუშჷ

თინეიჯერთა ქერვი სტაჟიანი მსახიობი

ცხოვრებაში გელარი – მუქი წაბლისფერთმიანი, თითქმის შავკერძმანია. მილიონობით ტელემყურებელი კი მას ქერთიანი ბაფად იცნობს, რომელიც ამავე სახელწოდების ტელესერიალში გამუღმებით იმარჯვებს ვამპირებთან ბრძოლაში.

ამერიკაში ყველას უყვარს „ბაფი“. სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები მის გმირს მამაც და შეუპოვარ გოგონად თვლიან. მასწავლებლებსა და ხელოვნებათმცოდნეებს მიაჩნიათ, რომ სერიული გადატვირთულია კულტუროლოგიური სიმბოლიკითა და შავ-ბნელი ფროიდისეული წიაღსვლებით.

ამას წინათ სარა მიშელ გელარმა აღიარა, რომ თვითონაც არ მოელოდა ასეთ წარმატებას. 1994 წელს 17 წლის სარა, რომელსაც 13 წლიანი სამსახიობო გამოცდილება ჰქონდა, ნიუ-იორკიდან ლოს-ანჯელესში იმიტომ გადაბარგდა, რომ ყელში ამოუვიდა ტელესერიალებ-

ში გამუღმებული გადაღებები. განსაკუთრებით სძულდა საპნის ოპერა სახელწოდებით, „ყველა ჩემი შვილი“. გელარი 15 წლის იყო, როცა 25 წლის ქალიშვილის როლი შესთავაზეს, რომელიც 50 წლის მამაკაცს აცდუნებს. ყოველთვის, როცა მას სასიყვარულო სცენაში კოცნის თამაში უწევდა, შიშისა და ზიზღისგან გული ერეოდა. ხოლო როცა გელარი „ემის“ სატელევიზიო პრემიაზე წარადგინეს, ტელესერიალში მისი დედის როლის შემსრულებელმა, სიუზენ ლუჩიმ აბუჩადაც კი აიგდო (ლუჩი 15-ჯერ იყო აღნიშნულ პრემიაზე უშედეგოდ წარდგენილი).

იმ დღეს, როცა გელარმა „ემი“ მიიღო, პროდიუსერებს განუცხადა, რომ ის შოუდან მიდის. ყველა შოკში ჩავარდა. ტელეკომპანია ABC-ის ხელმძღვანელმა, რომელიც ამ ფილმს აწარმოებდა, იმაზე იზრუნა, რომ გელარს ფეხი ვეღარ შეეღვა ტელევიზიაში.



ლოს-ანჯელესში დასახლებულმა სარამ ორი წლის განმავლობაში ვერ იშოვა სამსახური. ტელევიზიაში მას უარს ეუბნებოდნენ, ცუდი რეპუტაციის გამო, კინოპროდიუსერები არწმუნებდნენ, რომ მისი გარეგნობა კინოსთვის კი არა, ტელევიზიისთვის უფრო შესაფერისიაო. გელარი რომ ნაკლებად ჯიუტი ყოფილიყო, აუცილებლად ჩაიქნეოდა ხელს. საბედნიეროდ, ის საკუთარი გმირივით (ბაფი) მტკიცე ნებისყოფის ადამიანი აღმოჩნდა. იმ საკაბელო ტელეფარხის ხელმძღვანელებს კი, რომელზეც იღებენ „ბაფის“, ნაციონალური მასშტაბის ტელეჟსელების ინტრიგები არ აინტერესებდათ.

როცა სცენარისტი ჯოს უილონი „ბაფის“ მთავარი როლის შემსრულებელს ეძებდა, მას წარმოადგენაც კი არ ჰქონდა, როგორი უნდა ყოფილიყო იგი, მაგრამ როდესაც გელარი ეწვია, უმაღლესი მადლობა – აი, ისიც! მას თვალში ეცა გოგონას უტიფარი მხერა და გააფიქრა – ნეტავი თამაშიც შეეძლოს,



ანდა, აღმოსავლური ორთაბრძოლის ილეთები იცოდესო.

აღმოჩნდა, რომ სარა მიშელ გელარი ოთხი წლიდან მუშაობდა შოუბიზნესში და ერთი შექმლო და მეორეც.

1981 წელს მომხიბლავი პატარა გოგონა მაშინ შეამჩნია სამსახიობო აგენტმა, როცა ის დედასთან ერთად რესტორანში იჯდა. ერთი კვირის თავზე სარას უკვე პირველ ტელეფილმში იღებდნენ. მას ისე მოეწონა გადაღებები, რომ დედა დაიყოლია და თავი საბავშვო სამსახიობო სკოლაში მიაყვანინა. დედამისი ამას გამოუვალი მდგომარეობის გამო დასთანხმდა: ქმარს გაცილებული, მასწავლებლად მუშაობდა, სკოლაში გვიანობამდე უწევდა დარჩენა და არ იცოდა, ვისთვის მიეპარებინა ამ დროს ბავშვი.

„ჯერ კიდევ მაშინ მივხვდი, რომ შოუბიზნესი – ეს ნამდვილი ჯუნგლებია“ – იხსენებდა სარა მოგვიანებით.

სკოლის ჯუნგლები უარესი აღმოჩნდა. თანაკლასელებმა მასწავლებლის შვილი, ვუნდერკინდი გოგონა, თავიდანვე აითვალწუნეს. „ბაფის“ ჩვენების პირველსავე სეზონისას გელარი ირწმუნებოდა, რომ ნამდვილი სკოლა უფრო საშინელია, ვიდრე ის, რომელსაც ტელესერიალში უჩვენებდნენ. 12 წლის ასაკში დედამისმა შეისმინა მისი ცრემლნარევი ზვეწა-მუდარა და ჩვეულებრივ, მუშათა ბავშვების სკოლაში გადაიყვანა, მაგრამ ვერც იქ აეწყო თანატოლებთან ურთიერთობა – ის გაცილებით გონიერი და ბეჯითი იყო. სკოლის პერიოდის ერთადერთი მისი მეგობარი, ახალგაზრდა მსახიობი ჯე რი ოკონელი იყო.

ათი წლის შემდეგ ისინი ფილმ

გელარი და ფრედი პრინზ-უმეროსი



„მახილი-2“-ის გადაღებისას შეხვდნენ ერთმანეთს. ოკონელმა სარა ვახშამზე დაპატიჟა. გელარიც სიამოვნებით დასთანხმდა, სუფრას მისხდომოდნენ და სკოლაში გატარებული წლები გაეხსენებინათ. მეორე დღეს კი, მიუხედავად იმისა, რომ ოკონელს საცოლე ჰყავდა, ისინი საყვარლებად შერაცხეს. მას შემდეგ გელარმა ბოიკოტი გამოუცხადა „ყვითელ“ გამოცემებს და დაიფიცა, რომ არასოდეს ისაუბრებს პრესაში პირად ცხოვრებაზე და არასოდეს მიიწვევს ჟურნალისტებს თავის სახლში. ბოლო დროს მას ხშირად ხედავენ მსახიობ ფრედი პრინზ-უმცროსთან, მაგრამ კითხვებზე როგორი ურთიერთობა აქვთ, ორივე მოკლედ პასუხობს: „უკომენტაროდ!“

ასეთსავე დამოკიდებულებას იჩენს გელარი იმ ჭორების მიმართ, რომლის თანახმად, მას ნარკომანად აცხადებენ, ან ამბობენ, რომ ის ანორექსიით არის დაავადებული და სწორედ ამ მიზეზით ვერ მატულობს წონაში.

„რაც უნდათ, ის ილაპარაკონ, – ამბობს გელარი, – ყველა ჩემმა მეგობარმა იცის, სცენაზე 12 საათიანი სამუშაოს შემდეგ, როცა ასჯერ მაინც მიწევს ახტომა, ვერხვის მარგილის ქევა და ტანადი ბიჭების ვითომდა აქეთ-იქით სროლა, რამდენს ვჭამ! მე არ მალელებს ჭორები, როგორც 20 წლის მსახიობები განიცდიან ამას, რადგან ეს ყოველივე 10 წლის წინ გადავიტანე. ვიცი, რომ ცხოვრებაში არასოდეს გამისინჯავს და არც გავსინჯავ ნარკოტიკს, არასოდეს გავყიდი მეგობარს და არასოდეს გავწირავ საკუთარ თავსა და ბაფის“.

ტესტი ერუდიციისაზე

1. მთა, რომელთანაც გაჩირდა ნოეს კიდობანი:



- ა) არარატი;
- ბ) ვომოლუნგმა;
- გ) უშბა.

2. გუდიზმის ფუქიმდეპალი პრინციის სახელია:



- ა) გაუტამა;
- ბ) ბულა;
- გ) ტატანტრა.

3. რა შეარქვეს სპორტის სასახლის წინ მდგარ მზაშა-გუქს (ქანდაკება) თაბი-ლინაილეგმა?




- ა) „კანადელი“;
- ბ) „ფოთოლა“;
- გ) „არ იდარლო“.

4. სადაურია გიმორგი სააკაძის ჩვენამდე შემორჩენილი ერთადერთი პორტრეტის ავტორი?



- ა) ქართველი;
- ბ) იტალიელი;
- გ) თურქი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



1994

1990

1995

1993

holivudის იმჟსი საიღუალო

26 მარტს ლოს-ანჯელესში „ოსკარების“ გადაცემის ტრადიციული ცერემონია გაიმართა. არაგისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოს, რომ მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული კინემატოგრაფიული ჯილდო არა იმდენად ამერიკის კინოაკადემიის წევრებს აინტერესებთ, რომლებიც ხმის მისაცემ ბიულეტენებს ავსებენ, არამედ, უფრო მეტად, უმსხვილესი პოლიფუნქციური სტუდიების პროდიუსერებს, ვისთვისაც აკადემიკოსების მიერ მინიჭებული პრიზები, მათი ფილმების სარეკლამო კამპანიაში სოლიდური შენატანია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ოსკარის“ მიღება არც ისე ძნელია — რასაკვირველია, მათთვის, ვინც კარგად იცის დიდი პოლიფუნქციური რეცეპტები. წინამდებარე წერილიც ამ რეცეპტებს ხსნის.

გარკვეული პირობითობის გათვალისწინებით, ამერიკული კინოპროდუქცია 4 კატეგორიულ იყოფა: მეორეხარისხოვანი ტრეში (TRASH - ცუდი ლიტერატურული ან მხატვრული ნამუშევარი, „ხალტურა“, უაზრობა, მაკულატურა), მცირებიუჯეტური „დამოუკიდებელი კინო“, მეგა-ბიუჯეტური ბლოკბასტერები და, ბოლოს, ე.წ. AMERICAN BIG STYLE („დიდი სტილის“ კინემატოგრაფი).

„ოსკარისეული“ ფილმი, როგორც წესი, უკანასკნელ კატეგორიას მიეკუთვნება. მას შეიძლება არც ჰქონდეს დიდი ბიუჯეტი (თუმცა, ეს სასურველია), მაგრამ აუცილებლად უნდა ეხებოდეს ზნეობრივ პრობლემებს და ოპტიმიზმის იდეას ამკვიდრებდეს. ზშირად ეს მეტისმეტად სწორხაზოვანი, ზოგჯერ კი, ექსპერტთა აზრით, „მოჩლუნგო“ ფილმების დაჯილდოებით მთავრდება ხოლმე.

თუმცა, გამონაკლისიც ხდება, როდესაც ზნეობრივ-ფილოსოფიური საბურველის მიღმა, ფილმის ავტორები თავიანთ ქმნილებაში რაღაც ირონიის, სკეპსის, გარე სამყაროსა და ადამიანისადმი პესიმისტური დამოკიდებულების ელემენტებს აქსოვენ. მაგალითად, ეს გამოუვიდათ „კრავთა ლუმილის“ შექმნელებს, რომლებმაც 1991 წელს 5 ძირითადი „ოსკარი“ მიიღეს, იგივე ითქმის შარ-

შანდელ ლაურეატზე — „მშენებელი ამერიკულად“, თუმცა, იმ იშვიათ შემთხვევებშიც, როცა „ოსკარისები“ არ აღიზიანებენ ინტელექტუალებს მიაძიებით, ამ ფილმებში ჩამალული „სიმწრის მარცვალი“ იმგვარად არის „შეფუთული“, რომ მასობრივი მაყურებელი განუწყვეტლივ მიეღიება კინოთეატრებში.

ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოების პროგნოზირება კინოკრიტიკოსთათვის ისეთ სასიამოვნო საქმედ იქცა, როგორც ილბიანი ლატარიის თამაშია. ეს პროგნოზები, მთავარ ნომინაციებთან მიმართებაში მაინც, როგორც წესი, მართლდება. მაგალითად, არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ 1990 წელს „ოსკარი“ კევინ კოსტნერის ფილმს — „ცეკვები მგლებთან ერთად“ მიენიჭებოდა, 1993-ში — სტივენ სპილბერგის „მინდლერის სიას“, 1994-ში კი — რობერტ ზემეკისის „ფორესტ გამპს“.

ექვსი ათასი ხმის მიმცემი აკადემიკოსი, მიიღეს თუ არა „სოსკარო“ ბიულეტენს, უმაღ იფიწყებს თავის ინდივიდუალურ მისწრაფებებს და ისე უყრის კენჭს, როგორც საჭიროა — ე.ი. იმ საერთო საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, რასაც მათთვის კინობიზნესი წარმოადგენს, მაგრამ ამგვარი ქმედება კინოაკადემიის წევრთა შეზღუდულობისა თუ შეგნებული პირფერობის

გამოსატყულება როდია – ეს ჰოლივუდური მექანიზმის დახვეწილობის შედეგი უფროა.

„ოსკარის“ 73 წლოვანი ისტორიის მანძილზე „დიდი ამერიკული ფილმის“ მკაცრი კანონები შემუშავდა. ამ კანონთა რაოდენობა ექვსს აღწევს. „ოსკარული“ კინო უნდა იყოს: ემოციური, პათოსური, ქდაგებდეს მარადიულ ღირებულებებს, ჰქონდეს დიდი ბიუჯეტი და მასზე რამდენჯერმე დიდი შემოსავალი, გამოირჩეოდეს საუკეთესო ხარისხით და ცნობილ პროფესიონალებს ეყრდნობოდეს.

90-იან წლებში გამარჯვებულ ფილმებს შორის სჭარბობდა კინოსურათები: ამერიკელების მიერ ინდიელთა ტერიტორიების ათვისების, ძვბ-ს აგენტი ქალისა და კანიბალის ინტელექტუალური დუელის, ველურ დასავლეთში მოქმედი ქილერის, პოლოკოსტისაგან ებრაელთა გადამრჩენი ბიზნესმენის, თანამედროვე იდიოტის – ფორესტ გამპის, შუა საუკუნეების შოტლანდიური ეროვნული გმირის, საუკუნის დასაწყისის ინგლისელი ოფიცრის, მსოფლიოში ყველაზე დიდი გემის კატასტროფის, სიყვარულის გავლენით უდიდესი ტრაგედიის შემქმნელი გამოჩენილი მწერლის, ამერიკული პროვინციის მკვიდრის ცხოვრების შესახებ.

აკადემიკოსები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ რა ისტორიულ და სოციალურ ფონზე ვითარდება ესა თუ ის სიუჟეტი. მაგრამ აკადემიის ვერსიის ბოლო ათწლეულის ყველა საუკეთესო ფილმი მთლიანად შეესაბამება ზემოთ დასახელებულ იდეურ და საწარმოო კრიტერიუმებს.

დიდი ბიუჯეტი, რომელიც მხოლოდ ჰოლივუდის უმსხვილეს სტუდიებს შეუძლიათ უზრუნველყონ, უმნიშვნელოვანესი

კომპონენტია, რომლის გარეშეც გამოიცხულია, გაიფიქროს შენი მისამართით ნათქვამი, ნებისმიერი კინემატოგრაფისტისთვის სანუკვარი სიტყვები: „ოსკარი“ კი ენიჭება...“ ბოლო ათი წლის მანძილზე გამარჯვებული ფილმების ბიუჯეტები 50-დან 120 მლნ დოლარამდე მერყეობს (გამონაკლისს 200 მილიონიანი „ტიტანიკი“ წარმოადგენს), რაც იმას ნიშნავს, რომ „ოსკაროსანი“ ფილმი, იდეალურად გათვლილი სტუდიური პროექტი უფროა, ვიდრე ხელოვანის თვითღამკვიდრების აქტი. ამის დამადასტურებელი კიდევ ერთი ფაქტორი ის არის, რომ საუკეთესო ფილმის პრიზს პროდიუსერებს გადასცემენ და არა რეჟისორებს.

ამა თუ იმ სცენარის მიხედვით დადგმული ფილმის მომავალი დივიდენდების განჭვრეტა იმთავითვე შესაძლებელია. „საოსკარო“ სცენარი სხვა დანარჩენისგან იმდენად გამოირჩევა, რამდენადაც ბოვეიკის სცენარი – მელოდრამის სცენარისაგან. ზემოთ ხსენებული მითხვენების დაკმაყოფილების მქონე ტექსტის სასტუდიო ხელმძღვანელობის ხელში გადასვლისთანავე, ათამდე სასტუდიო რირაიტერი („გადამწერი“) რამდენჯერმე გადაწერს მას – იმ მიზნით, რათა ჩარჩოებში მოაქციოს პოლიტიკური კორექტულობის თვალსაზრისით, დახვეწოს დიალოგები და სახუმარო დეტალები გაამრავალოფეროვნოს. ეს სტანდარტული პროცედურაა, რომელსაც ნებისმიერი სცენარი გადის და სწორედ ამიტომ ჰოლივუდის ფილმები ბევრი რამით ჰგავს ერთი-მეორეს.

ძალიან კარგ ფილმსაც კი, თუ ის დასახელებულ კრიტერიუმს არ უპასუხებს, „საოსკარო“ მართონში დიდი გამარჯვების მიღწევის ძალიან მცირე შანსი აქვს. მაგალითად, მხოლოდ სცენარისტისთვის

დავილოვდა „ოსკარით“ ისეთი სახელგანთქმული ფილმები, როგორცაა ქვეთინ ტარანტინოს „კრიმინალური საკითხავი“ (კანის ფესტივალის გრან-პრის მფლობელი) და მძები კონენების „ფარგო“, რომლებიც დიდი პრიზებისთვის პაექრობაში, შესაბამისად, მხოლოდ „ფორესტ გამპსა“ და „ინგლისელ პაციენტს“ ჩამორჩნენ. კიდევ უფრო მეტყველი ფაქტია ის, რომ სანუკვარი ჯილდო არც ერთხელ არ მიუღიათ (თუ არ ჩავთვლით „ოსკარის“ კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის) ისეთ გამოჩენილ რეჟისორებს, როგორებიც არიან ალფრედ ჰიჩკოკი და მარტინ სკორსეზე.


„ოსკარის“ მისაღებად მხოლოდ კარგი ფილმის გადაღება როდია საკმარისი – საჭიროა, გადაიღო ფართო მასისთვის მისაღები სურათი, რომლის სანახავად ადამიანი 5-დან 10 დოლარამდე იმ იმედით გადაიხდის, რომ თავისი წილი სიამოვნება მიიღოს.

„ოსკარზე“ პრეტენზიის მქონე ფილმების ბიზნესგეგმაში, როგორც წესი, სარეკლამო კამპანიას სამ ეტაპად ადგენენ. მათგან ორი ძირითადია და ერთი – დამატებითი. პირველი ხორციელდება ეკრანზე გამოსვლამდე (მაყურებელთათვის), მეორე – კენჭისყრამდე რამდენიმე კვირით ადრე (აკადემიკოსთათვის), მესამე – დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ. გამარჯვების შემთხვევაში, ფილმმა უკვე მიღებული შემოსავლის კიდევ 50%-მდე შეიძლება დააგროვოს. სწორედ ეს ამონაგება ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი „ოსკარის“ არსებობისა, რომელიც უპირველესად, წამყვანი სტუდიებისთვის გამოიგონეს.

XX საუკუნის 90-იანი წლების ათეული:

- 1990 — „ცეკვები მგლებთან ერთად“
- 1991 — „კრავთა დუმილი“
- 1992 — „უპატიებელი“
- 1993 — „შინდლერის სია“
- 1994 — „ფორესტ გამპი“
- 1995 — „გულადი“ („მამაცი გული“)
- 1996 — „ინგლისელი პაციენტი“
- 1997 — „ტიტანიკი“
- 1998 — „შეყვარებული შექსპირი“
- 1999 — „მშვენიერება ამერიკულად“

38 №14 5.04.2001 **57**



დისნეილენდი

ახდენილი ოცნება

ბილეთი დისნეის სამყაროში

დისნეილენდს მთელ მსოფლიოში იცნობენ. წარმოუდგენელია ამერიკაში, სამხრეთ კალიფორნიაში, უფრო ზუსტად კი ლოს-ანჯელესში ჩახვიდე და ამ ფენომენალურ პარკს გვერდი აუარო.

მართალია, როცა ადგილზე მიხვალ, შეიძლება ვერც კი წარმოიდგინო, რომ შენ წინ სწორედ ის ზღაპრული დისნეილენდია, რომელზეც ადენი გსმენია და რომელში მოხვედრაზეც, შეიძლება მთელი ცხოვრება ოცნებობდი. მანქანების უზარმაზარი სადგომი ცენტრალური შესასვლელის წინ, ულიმ-დამო სალაროები და ტურნიკეტები, კონტროლიორის ვიზუალები, ყოველივე ამის თავზე კი – მონოლიანდაგებიანი რკინიგზა – მოკლე, განსაკუთრებული არაფერი. დღეს ბევრი დიდი ზოოპარკის შესასვლელიც კი უფრო შთაბეჭდავად გამოიყურება.

პირველი შთაბეჭდილება, როგორც ხშირად ხდება ზოლმე, მცდარია. მოგვიანებით, როცა დისნეის საოცრებათა სამყაროში შეხვალ, მიხვდები, რა უზარმაზარია ის და რაოდენ შეუძლებელი იქნებოდა, შესასვლელშივე მისი ღიღებულების აღქმა. თუმცა, უოლტ დისნეის ხორცშესხმული იდეის ჭეშმარიტ სიდიდეზე წარმოდგენა მხოლოდ მაშინ შეეძლებათ, როცა ზეცაში მოფარფატე ჰელიკოპტერის ბორტზე მოხვდებით (ასეთი ატრაქციონიც არსებობს).

ყველაზე გავრცელებული მითი დისნეილენდზე იმაში მდგომარეობს, თითქოს ეს ბავშვთა სამეფოა და უპირველეს ყოვლისა, მათთვის არის შექმნილი. მეორე მტკიცებას, შესაძლოა, ნაწილობრივ დავეთანხმებით, მაგრამ რაც შეეხება პირველს...

ბავშვები, რა თქმა უნდა, პარკში მრავლად არიან, მაგრამ აქ უფროსების გასართობიც ძალზე ბევრია. შუადღისთვის უფრო ხშირად შეხვდებით გადაღლილ და ეტლებში

მიძინებულ პატარებს, ენერგია მოზღვაგებულ დედები და მამები კი, სწორედ ამ დროისთვის შედიან გართობის ეშხში. ზღაპრული სამეფოს მთავარი საფირმო ნიშანი, რა თქმა უნდა, მიკი მაუსია. მას ყოველწლიურად მილიონობით ამერიკელი ბავშვი ურეკავს... მაგრამ დისნეილენდზე, როგორც იხვი ღონაღლის, მიკი მაუსისა და ფიფქიას სამყაროზე, წარმოდგენა მაშინვე შეგეცვლება, როგორც კი შესასვლელის მიმდებარე ე.წ. „მთავარ ქუჩას“ გასცდებით, გვერდზე გადაუხვევთ და ხვალინდელი დღის სამყაროში შეაბიჯებთ.

მომავლის ატრაქციონები


პარკის ამ ნაწილში მის მცირეწლოვან სტუმრებს პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, დასვენება მოუწევთ – ამ სექტორის ატრაქციონები უფრო მეტად მათი მშობლებისთვის არის საინტერესო!

ატრაქციონი „კაპიტანი იო“ – გახლავთ სუპერთანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კინო. ასეთ კინოს კი აღარ უყურებ – იქ ცხოვრობ და თუკი პატარა თვითმფრინავის კაბინაზე მიმაგრებული კამერა ხიდის ქვეშ გაფრენას აფიქსირებს, მაყურებლები ინსტინქტურად თავს ხრიან – იმდენად დიდია ილუზია, რომ სკაიპის გარეშე დარჩები. ამ ტექნიკის საოცრებას კომპანია „კოდაკი“ აფინანსებს. შოუ კი ვინმე უცნობი რეჟისორებისა არ გვერით – ის თვით ფრენის ფორდ კობოლასა და ჯორჯ ლუკასის მიერ არის დადგმული. ამას ისიც დაუმატოთ, რომ კაპიტანი იოს როლს ასრულებს – არც მეტი, არც ნაკლები – მაიკლ ჯექსონი!

მეორე ატრაქციონი, რომელიც პოპულარობით პირველს არ ჩამოუვარდება, „ვარსკვლავური ომების“ რეჟისორის ჯორჯ ლუკასის უნიკალური ქმნილება გახლავთ.

ამერიკის აღმოჩენა და შეცნობა კოლუმბის ხანიდან რომ დაინცეს, დღემდე ვერა და ვერ გაჩერდნენ. ბუნებრივია, ყველა თავისებურად წარმოგვიდგენს ამერიკას, მის შესახებ არსებულ ძველ მითებს ანგრევს და ახალ-ახალს ქმნის.

ახალი „ამერიკის აღმოჩენისა“ რა მოგახსენოთ, მაგრამ იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რა როლს ასრულებს ამ ქვეყნის ცხოვრებაში კინო, რა გავლენა აქვს მას ამერიკელებზე და რამდენი რამის გაკეთება ძალუძს მას თავისი ამბიციების წყალობით, ერთი დღე — საკმარისია. ერთი დღე — გატარებული დისნეილენდში.



უოლტ დისნეის კომერციული ადლო უტყუარი აღმოჩნდა: გახსნიდან ორ თვეში დისნეილენდმა უკვე მემილიონე დამთვალიერებელს უმასპინძლა, პირველი მეასმილიონე სტუმარი 1971 წლის გამაფხულზე დაფიქსირდა, ხოლო 1988 წელს დამთვალიერებელთა რიცხვმა მილიარდის მეოთხედს გადააჭარბა!

მორიგ საოცრებაში, რომელსაც „ვარსკვლავური მოგზაურობა“ ჰქვია, მაყურებელს არა მარტო ცნობილი კინოსავის ეპიზოდების ხილვა, არამედ მასში მონაწილეობის საშუალება ეძლევა! ამაში მნახველებს ეხმარებიან იმიტატორები, რომლებიც მათ ვარსკვლავმფრენის ბორტზე ყოფნის, გალაქტიკაში ფრენისა და კოსმოსურ ბრძოლებში მონაწილეობის სრულ ილუზიას უქმნიან.

როდესაც ლუკასს ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ჰკითხეს – მართალია თუ არა, რომ თქვენს ფილმებს ამგვარ იმიტატორებზე იღებდითო, რეჟისორს გაეღიმა და უპა-

სუხა: „რას ამბობთ?! „XX საუკუნე-ფოქსი“-ს სტუდიაში რაიმე ამგვარი რომ მქონდა, საოცრებებს შეგქმნიდა...“

ეს უკვე აღარ გახლავთ უნახუნი ფიფქიას საშეფო. ეს არის წარმოდგენილი სპეცეფექტებით გაჯერებული თანამედროვე ამერიკული კინოს გასაოცარი სამყარო, საიდანაც მოზარდი კი არა, ზრდასრული აღამიანიც შოკირებული და გაოგნებული გამოდის.

რაც შეეხება რიგებს, შეიძლება ითქვას, რომ მთელ აშშ-ში, დისნეილენდის სწორედ ამ სექტორშია ყველაზე დიდი რიგები. ამერიკელებს ეს სიტყვა თითქმის დაავიწყდათ (აღარ ესაჭიროებათ) და რამდენიმე საათიან რიგში დგომას ერთგვარ ატრაქციონადაც აღიქვამენ.

სხვათა შორის, რიგებთან დაკავშირებით ყველაფერი იდეალურად არის გათვლილი: სადგომები ისეა მიწყობილი, რომ ხალხს ერთი წუთითაც არ უწევს თაკარა მზის ქვეშ დგომა. დამთვალიერებლებს ყოველთვის ჩრდილი იცავს. დისნეილენდის გამწვანებაზე კი ამერიკელებმა გულმოდგინედ იზრუნეს.

თითქოს ეს ყოველივე წვრილმანია, მაგრამ სწორედ ამგვარი „წვრილმანებისგან“ შედგება „კომფორტული“ ამერიკული ზღაპარი.

თექვსმეტი წლის შემდგომი ასაქისთვის...

კიდევ ერთი სექტორი, რომელიც აშკარად არ არის განკუთვნილი ბავშვებისთვის. ამას, სხვათა შორის, შესასვლელში გამოფენილი პლაკატებიდანაც შეიტყობთ. ბავშვების გარდა, იქ შესვლას არ ურჩევენ გულით ავადმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს.

ეს ახალი ორლეანის, უფრო ზუსტად – მისი ერთ-ერთი ქუჩის იდეალურად შექმნილი ასლია. ამ ქუჩას ამერიკული ჯაზის ყველა ჭეშმარიტი თავყვანისმცემელი იცნობს. ეს გახლავთ ბურბონ-სტრიტი ფრან-

გულ კვარტალში, სადაც საუკუნის დასაწყისში ჯაზი დაიბადა. იქ ყველა გასართობი სპეციფიკურია – ქუჩის ჯაზ-ბენდების (ჯგუფების) გაუთავებელი ბრახუნი, ფრანგული კანკანი რესტორნებში და ორი დიდი ატრაქციონი – „კარიბის ზღვის მეკობრეები“ და „სამინელებათა სახლი“.

მათ აღწერას აქ არ შეუძლებელია, რადგან ეს იგივეა, დეტექტიური ფილმის სენსის დაწყებამდე ვითხრან, თუ ვინ აღმოჩნდება მკვლელი. მაგრამ ტექნიკურ „წვრილმანებზე“ ყურადღების გამახვილება ალბათ მინც ღირს.

ბნელი გამოქვაბულები, ძვირფასულობით გატენილი სკივრები, ძველბურთი კარაველებისა და შხუნების ნახევრად დამპალი ნარჩენები, თავის ქალები და ძელები, რომელთა შორისაც პატარა, კომფორტულ ბარჯებზე მოკლათებული დამთვალიერებლები დაცურავენ. ეს ყველაფერი გასაგებია და საესეებით მოსალოდნელი. მეკობრეების ფიგურებსაც, რომლებიც დაშნებით ჩხუბობენ, რომს სვამენ, ბარბაცებენ, მღერიან და საზარელი გამომეტყველებით კუნძულელ ლამაზმანებს დასდევენ, თანდათანობით ეჩვევი.

მაგრამ რამხელა ფანტაზიაა საჭირო, თუმცა, რა ფანტაზია – როგორი იუმორის გრძნობა უნდა ჰქონოდათ ამ ატრაქციონის შემქმნელებს, რომ მეკობრეების გვერდით ღვინით გამომთვრალი და ლაფში ტკბილად მძინარე გოჭიც არ დაიწვიებოდათ! დამთვალიერებლები თვალებს არ უჯერებენ და გაოგნებულნი შესცქერნიან თვალებმინდელი გოჭუნას, რომელიც ძილში ნერკულად აკანკალებს ჩლიქს: ნუთუ ეს თოჯინაა?

არანაკლები სიურპრიზები ელის დამთვალიერებელს მეზობელ ატრაქციონში – სამინელებათა სახლში. ერთი შეხედვით, ვიქტორიანულ სტილში ნაგები პირქუში, მიტოვებული სახლი არც ისე დიდი ჩანს, მაგრამ რამდენი შემზარავი დერეფანი და აკლდამა გელით მიწის ქვეშ, სადაც კუბოს მსგავს ლიფტს ღრჭიალით ჩაჰყავხართ!

ბოლოს კი, როცა სამინელებათა მოყ-

ვარული გულს იჯერებს მიწისქვეშეთში ვამპირების, მოჩვენებების, ჩონჩხებისა და სხვა სამინელებათა ყურებით, ის ისევე იმ დარბაზში ბრუნდება, საიდანაც მოგზაურობა დაიწყო. დარბაზი კვლავ ნათელია, აქ შეიძლება მოდუნდე, გაიხუმრო, სხვა დამთვალიერებლებს შთაბეჭდილებები გაუზიარო და დამინტრიგებლად ჩაუკრა თვალი ახალ ჯგუფს, რომელსაც ვოკოვხეთში მოგზაურობა ჯერ კიდევ წინ აქვს. მაგრამ, თუკი უნებლიეთ სარკისკენ გაგეცქევა თვალი (რომელსაც, უბრალოდ, გვერდს ვერ აუვლი), თმა ფალცზე დაგიდგება: შენს ზურგს უკან რაღაც საზარელი ურჩხულები ივლანებან!

ილუზიონის მთელი საიდუმლოება და მშვენიერება ის არის, რომ შემხვედრი რიგი ვერავითარ ურჩხულს ვერ ხედავს. ისინი მხოლოდ მოლიმარ დამთვალიერებლებს ხედავენ, რომლებიც კმაყოფილი ტოვებენ სამინელებათა სახლს და მოულოდნელად ნირწამხდარები და შეშინებულები კარისკენ გარბიან...

მთელი ამერიკის ძეგლი

დისნეილენდი ამერიკელმა შექმნა – და ქმნიდა მას, როგორც ერთგვარ ძეგლს ამერიკისთვის. ამაში რომ დარწმუნდეთ, არ არის საჭირო განსაკუთრებული ხედვა, არც ყველასათვის ცნობილი ისტორიული ფაქტების ცოდნა.

„დისნეილენდის ტერიტორიაზე ფეხის შედგმა უნდა ნიშნავდეს ახალ, შეუცნობელ სამყაროში მოგზაურობას – ეს უნდა ჰგავდეს ალისას მოგზაურობას საოცრებათა ქვეყანაში“, ამ სიტყვების დამწერი ამერიკელი უოლტ დისნეი მხოლოდ ნათქვამით არ შემოიფარგლა და თავისი ოცნების რეალურად განხორციელებას შეეცადა.

ჯერ კიდევ 40-იან წლებში მას უყვარდა წყნარად სკამზე ჯდომა და სილაში მოთამაშე თავისი ორი ქალიშვილის ცქერა. ბიოგრაფების მტკიცებით, დიდებულ ფან-

კალიფორნიული დისნეილენდი 32 პა ფართობს იკავებს. პარკი შეიქმნა თემატურ სექტორად – შეიქმნა „სამყაროდ“ არის დაყოფილი: „თავგადასავლის სამყარო“, „ცხოველთა სამყარო“, „ფანტასტიკის სამყარო“, „ფრონტიონის სამყარო“, „მთავარი ქუჩა, აშშ“, „ახალი ორლეანის კუთხე“ და „ხვალინდელი დღის სამყარო“





– დისნეილენდის შტაბში 6-დან 9 ათას კაცამდე მუშაობს (მარტო ელექტრიკოსთა რიცხვი 50-ს აჭარბებს, რომლებსაც სხვა თუ არაფერი, 100.000-მდე ნათურა აქვთ მოსაგლედი) – იმისდა მიხედვით, თუ როგორია გურისგების ნაკადი. განსაკუთრებული მომღვავეება, ბუნებრივია, მაფხულზე – სასკოლო არდადეგების პერიოდზე მოდის. პარკის მუშაკთა სამ მეთხელს სგულენგები შეადგენენ

ტაზიორს სწორედ ამ დროს დაებადა უზარმაზარი პარკის შექმნის იდეა, რომელიც ერთნაირად მიმზიდველი იქნებოდა როგორც პატარებისათვის, ისე უფროსებისათვის. მან მოინდომა ატრაქციონების ქალაქის აგება, რომელშიც თავს შეიქცევდნენ არა მხოლოდ პატარები, არამედ მათი მშობლები და ბებია-ბაბუებიც კი.

იმ წლებში, დისნეი, როგორც რეჟისორი და როგორც პროდიუსერი შემოქმედებით კრიზისს განიცდიდა. უკან დარჩა მიკი მაუსის, ისეი ღონაღლის, ფიფქიასა და ბემბის გრანდიოზული წარმატება (აგრეთვე, ფინანსური კრახი, მულტფილ „ფანტაზიისა“, რომელიც მოგვიანებით დაფასდა). გეგმაში იყო არანაკლებ შედეგანი „რობინ ჰუდი“, „მერი პოპინსი“ და „პოლიანა“. მაგრამ 1940-იანი წლების ბოლოს მათი შემქმნელი „ვაიფინა“ დიდებული ფანტაზიორის და გამოძვონების სული, რაღაც ახლებურისა და არნახულის შექმნას მოითხოვდა.

კრიზისი ადამიანებზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს: ზოგი დეპრესიაში ვარდება და ბედს ეგუება. ისეთი ადამიანისთვის კი, როგორც უოლტ დისნეი გახლდათ, კრიზისი უძლიერესი სტიმულატორის როლს ასრულებს და ფანტაზიას უცხოველებს.

უოლტ დისნეი სერიოზულად შეუდგა თავისი ოცნების განხორციელებას – ისეთი სამყაროს შექმნას, რომელიც მორიგი ფილმისგან განსხვავებით, მუდამ მის გვერდით იქნებოდა და ენაწარე კინოკრიტიკოსების განსჯის საგნად ვერ იქცეოდა. გარდა ამისა, ყოველთვის შესაძლებელი იქნებოდა ამ ზღაპრული, მაგრამ სავესებით მატერიალური ქვეყნის განახლება და დახვეწა – რაც, საუბედუროდ, კინემატოგრაფში შეუძლებელია.

თავიდან მისი ჩანაფიქრი საკმაოდ უბრა-

ლო იყო: სათამაშო მოედანი სულ რაღაც ერთ ჰექტარ მიწაზე (ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ გარეუბანში – ბიორბანკში, დისნეის სტუდიის გვერდით); ოცნება მომდერალ შადრევნებზე, ფიფქიას სასახლეა და მეკობრეების ხომალდზე... და, რა თქმა უნდა, მიკისა და მის მიერ შექმნილი სხვა პერსონაჟების ქანდაკებებზე, რომელთა გვერდით ფოტოსურათის გადაღებაზე ვერც ერთი დამთვალიერებელი ვერ იტყოდა უარს.

დისნეიმ პროექტი თავის ძმას – როის გააცნო, მაგრამ როი, იმ ბანკირების მსგავსად, რომელთა „შემასაც“ უოლტი დისნეილენდის იდეით ცდილობდა, მრავალმნიშვნელოვნად ჩაფიქრდა და ძმის აღტკინება არ გაიზიარა.

შესაძლოა, სწორედ ამ გულგრილობამ გადაწყვიტა საქმის ბედი: ზღაპრული სამეფოს შემქმნელი იმ ადამიანთა რიგს მიეკუთვნებოდა, რომელთათვისაც წინააღმდეგობა შემაფერხებელი ფაქტორი არ არის, მეტიც – ყოველგვარი დაბრკოლება მისი ძალების მობილიზებას უწყობდა ხელს.

მას იმ დროისათვის საკმაოდ სოლიდური თანხა – რამდენიმე ათასი დოლარი ჰქონდა დანაზოგი, მაგრამ ამ ფულით ზღაპრული ქვეყნის კი არა, პატარა კინოსტუდიის აშენებაც კი შეუძლებელი იყო. პალმ-სპრინგსში აგარაკის გაყიდვითა და სადაზღვევო პოლისის დაგირავებით დისნეიმ კიდევ 100.000 დოლარი შეაგროვა. ამ ფულით კი უკვე შეიძლებოდა საქმის წამოწყება.

თუმცა, რა თქმა უნდა, კიდევ დიდი დრო დასჭირდა იმას, რომ მსხვილი ინვესტორები სერიოზულად დაინტერესებულნიყვნენ უოლტ დისნეის იდეით და მის განსახორციელებლად 17 მილიონი დოლარი გაელოთ (სწორედ ამ თანხას ითხოვდა დისნეი თავისი ოცნების ზორცმესასხმელად).

და მხოლოდ მაშინ, როცა უკვე აშენებული დისნეილენდისკენ მილიონობით ტურისტები დაიძრა და გასართობმა პარკმა უკანა პლანზე ჩამოიტოვა ისეთი ღირსშესანიშნაობები, როგორიცაა ნიაგარას ჩანჩქერი და თავისუფლების ქანდაკება, პროექტის დაფინანსებას შეუერთდნენ ჰოლივუდის წამყვანი კინოსტუდიები – „პარამაუნტ ფიქჩრისი“, „XX საუკუნე-ფოქსი“, „მეტრო-გოლდვინ-მაიერი“.

ფულის ხე საოცრებათა მდელიოზე

დისნეილენდის საპატიო სტუმრებს შორის ირიცხება ამერიკის ყველა ბოლო-დროინდელი პრეზიდენტი – ტრუმენიდან ბუშამდე, მრავალი სახელმწიფოს მეთაური და ბევრი გვირგვინოსანი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ზღაპრული სამყაროს ფინანსური სიძლიერე არა მათ, არამედ მილიონობით ჩვეულებრივ დამთვალიერებელს ეყრდნობა.

შესასვლელი ბილეთები ადგილობრივი საზომით საკმაოდ იაფი ღირს: 30 დოლარი მოზრდილებისთვის და 20 – ბავშვებისათვის. ამ ფასში შედის ყველა ატრაქციონით სარგებლობა. აგრეთვე, არის შედარებით პენსიონერებისთვის, ომის ვეტერანებისთვის, მრავალჯერადი მოხმარების აბონემენტები ხელსაყრელი ფასში და ა.შ. მოკლედ, ყველაფერი, რაც ხალხის მიზიდვას ემსახურება.

მენეჯერების მთავარი ამოცანა ხომ დამთვალიერებლის პარკში შეტყუებაა. როგორც კი შესასვლელ ტურნიკეტს გაცდებით, შეგიძლიათ წინასწარ გამოემშვიდობოთ რამდენიმე ათეულ დოლარს, რადგან წარმოუდგენელია გულგრილად ჩაუარო სუვენირების ჯიხურებს, მოძრავ ფოტოსტენდებსა და იქაურ საზღვების ობიექტებს, რომლებიც მთელ ტერიტორიაზე მიმოფანტული. მათ კლანჭებში მოხვედრილი დამთვალიერებელი მაშინვე ხვდება, რომ შესასვლელი ბილეთი უბრალო სატყუარა იყო. იცით, სად იყიდება ყველაზე ძვირად ღირებული ბიგ-მაკები და ჰოთ-დოგები? სად და – დისნეილენდის ტერიტორიაზე, სხვათა შორის, დისნეილენდის დამთვალიერებლები წელიწადში 4 მილიონ ცალ 4,5 დოლარად ღირებულ ჰამბურგერს მიირთმევენ და ეს მაშინ, როცა სხვაგან ამგვარი ბუტერბროლის ფასი 2,5 დოლარს არ აღემატება.

მაგრამ ისე ნუ წარმოიდგენთ, თითქოს დისნეილენდში შეგიტყუებენ, გაგვცქენიან და ისე გაგიშვებენ. ჯერ არც ერთი დამთვალიერებელი ამ ზღაპრული სამყაროდან უკმაყოფილო და იმედგაცრუებული არ წამოსულა: თქვენ მოგემსახურებიან უნაკლოდ, ყოველგვარი „ხალტურის“ გარეშე. გადახდილი ფულის საზღაურად ნამდვილ ზღაპარს მიიღებთ. თუნდაც ერთი დღით, ან ერთი კვირით, დაივიწყებთ ამ ქვეყნიურ პრობლემებს, მოსწყდებით რეალობას და საოცრებათა სამყაროში გადაინაცვლებთ.

სწორედ ამაზე ოცნებობდა უოლტ დისნეი. ხოლო ის, რომ ოცნებისთვისაც ფულის გადახდა საჭირო (ზღაპრულიისთვის კი ორმაგი საფასურისაც) დიდებული ამერიკულ ლეგენდალ ქვეულმა ადამიანმა კარგად უწყობდა...



სასხასა მწვანე მინერალი	პერიოდულ ცვლადი მიმართულ. ქარი	1/100 მეტრი	იაპონიის სიდიდით მორე ქალაქი		
	„ოტელი“ (პერსონაჟი)		ფეხილი		

იტალიელი ფერმწერი რაფელ ...	„ტრინი-ტრონის“ შემქმნელი ფირმა				
			გულიანი სიცილი	ქალის არამეირ-ფასი სამკაული	
	გფრ-ის დედაქა-ლაქი		„ლაშაზი მეგობარი“ (ფრანგი მწერალი)		
გარეული ღორი	სტალინის პარტიუ-ლობა		გულგა-ტეხილობა, სეკლია-ნობა	ბერძნული ცეკვა	


	სასახლე (ძვ.)	გავლენა, ავტორი-ტეტი			
					ნავთობ-პროდუქ-ტი, „მიმე ბენზინი“
					იტალიელი ვირტუოზი, მწილობე კომპოზიტ.
					გერმანელი ფიზიკოსი

წყლის ზედაპირზე მოსრიალე ნაეი					
სამთო კურორტი საქართვე-ლოში		მოგრძოდ წამოზი-ღული გორა	რომანის დასკვნითი ნაწილი		
ებრაელის ძველი ბიბლიური სახელწოდ.		ლეიბი და საბანი ბალიში-თურთ		სახელმწიფო აზიში, ყოფილი სიამი	
		რუსი მწერალი (1868-1936)			
				ბაირონის პოემა	
		ძილის მომგვრელი საშუალება (ძველად)			
				შაადგინა რამაზ ალანია	

მე-10 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-გ; 3-ბ.
 55-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ბ; 4-ბ.

კვირის (9 - 15 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი

პირი - 21/III-20/IV



მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დატვირთული დღეები გელით, საერთო ჯამში, ეს კვირა თქვენთვის სასიკეთოდ ჩაივლის. ძალზედ ენერგიული იქნებით, ძალზედ მოულოდნელ და კეთილგონიერულ გადაწყვეტილებებს მიიღებთ. ყველაფერი, რასაც ხელს მოჰკიდებთ, არაჩვეულებრივად გამოვივათ.

კურო - 21/IV-21/V



ამ კვირაში, ყველაზე ნაკლებად, მუშაობის პერსპექტივა გზიბლავთ. იმდენად დიდია დასვენების, მეგობრებთან ურთიერთობის, თეატრსა თუ კლუბში წასვლის სურვილი, რომ სამსახურის გახსენებაც კი გზარავთ, მაგრამ გამაგრდით. თავი იმით დაიმშვიდეთ, რომ ოთხშაბათს ან ხუთშაბათს, შესაძლოა, ხელმძღვანელობამ მეტად მიმზიდველი და მომგებიანი წინადადება შემოგთავაზოთ.

მარცხედი - 22/V-21/VI




კვირის დასაწყისში ძალიან მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო დავალებას მოგცემენ. გაფრთხილდით: როცა ამ სამუშაოს გაუმკლავდებით, თავში ნუ ავივარდებთ - ამის გამო დამსახურებული ქების ნაცვლად, თქვენდამი ძალზედ ირონიულ დამოკიდებულებას გამოიჩენენ.

მირი - 22/VI-22/VII



საკმაოდ დატვირთული კვირა გექნებათ. დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ ახლობელ ადამიანზე ზრუნვა (შესაძლოა, ეს ბავშვი იყოს), მაგრამ, ეცადეთ, სამსახურში ყურადღება არ მოაღუნოთ, თორემ უმნიშვნელო უზუსტობაც კი ძვირად დაგიჯდებათ.

ლომი - 23/VII-23/VIII



საკმაოდ პოზიტიური და კონსტრუქციული კვირაა. თქვენი ცხოვრების საღად შეფასებას შეძლებთ. ზუსტად განსაზღვრავთ პრიორიტეტებს და ხელის შემშლელი ფაქტორების დაძლევისაკ მოახერხებთ. ამასთან, ორშაბათს და სამშაბათს ფინანსური წარმატებაც გელით. ოღონდ, მხოლოდ და მხოლოდ საქმეში - კაზინოსკენ გახედვაც არ გაბელოთ!

ქალწული - 24/VIII-23/IX



ძალიან მოსაწყენი და გამაღიზიანებელი იქნებით ირგვლივმოფთავის. ამის მიზეზი ზედმეტად დაძაბული სამუშაო კვირაა. მაგრამ, თუკი თქვენს თავს დაუკვირდებით, მიხვდებით, რომ ამ დაძაბულობას თავადვე ქმნით და გადაჭარბებული ემოციურობით ეკიდებით ყოველ წვრილმანს.

სასწორი - 24/IX-23/X



ერთი მხრივ, თვითდამკვიდრების სურვილი გაგიძლიერდებათ და მოგინდებათ, რომ გარშემომყოფები პატივისცემით გექცეოდნენ; მეორე მხრივ - სწორედ ეს გარემოცვა გაღიზიანებთ თავისი შეუვნებლობითა და თქვენ მიმართ უნდობლობით. ისლა დაგრჩენიათ, გაერკვეთ, როგორ შეათანხმოთ ეს ორი ტენდენცია...

ღიანკალი - 24/X-22/XI



ძალიან იბლიანი კვირა იქნება ნებისმიერი საოჯახო საქმისათვის და საკმაოდ ნეიტრალური - საზოგადოებრივი საქმიანობისთვის. მოერიდეთ ყოველგვარ მექანიზმს, ფეთქებად ნივთიერებასა და ძალიან ძაბვის ბოძებს. თუკი რომელიმე მათგანთან მუშაობა გიწევთ, სჯობს, შევბუღება აიღოთ.

მშვილდოსანი - 23/XI-21/XII



ამ კვირაში ძალზედ პრაქტიკული იქნებით და ნებისმიერი საკითხის თქვენს სასარგებლოდ გადაჭრას მოახერხებთ. ამასთან, ძალიან ადვილად მოიპოვებთ სხვების ნდობას, ფინანსურ წარმატებას, შეიძენთ ახალ მეგობრებს და ახალ რომანსაც კი გააჩაღებთ. ეცადეთ, წარმატებამ თავებრუ არ დაგახვიოთ.

თხის რქა - 22/XII-20/I



კვირის დასაწყისში არანახულ შევებას იგრძნობთ. რაღაც ძველი და მეტისმეტად რთული პრობლემა თავისთავად და თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება. მეტიც, კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში ასევე ადვილად მოგვარდება ყველა საკითხი, რომელიც თქვენს კეთილდღეობას ეხება.

მარცხედი - 21/I-19/II



მთელი თქვენი დიპლომატიური ნიჭის გამოვლენა მოგიწევთ, რადგან ამ კვირაში მრავალ ადამიანს შეხვდებით - მათ შორის ისეთებსაც, რომლებსაც მაინცდამაინც გულზე არ ეხატებით. თუკი სწორტაქტიკას აირჩევთ, ყველა გაუგებრობიდან გამარჯვებული გამოხვალთ.

თევზები - 20/II-20/III



მშვიდი და წყნარი დღეები საშუალებას მოგცემთ, ახლო მომავლის გეგმები დასახოთ. შესაძლოა, გამოიჩინდეთ შევბუღებაში გასვლის ან საინტერესო მივლინებაში გამგზავრების შესაძლებლობა. შაბათ-კვირას ელიტურ წვეულებაზე მივიპატიჟებენ, წასვლაზე უარს ნუ იტყვით, რადგან იქ მეტისმეტად საჭირო ხალხს გაიცნობთ.

მხოლოდ ქალებისთვის

თქვენც მისწრაფების სფერო

რა არის თქვენი ნამდვილი მისწრაფება? იქნებ არასწორად გაქვთ შერჩეული საქმიანობის სფერო? აღიზნული ტესტი ამის გარკვევაში დაგეხმარებათ.

1) უცნობი ადამიანების მიმართ განწყობილი ხართ:
ა) სიმპათიით - 3;
ბ) გულგრილად - 5;
გ) სიძულვილის გრძნობით - 0.

ა) იქცევით საკუთარი შეხედულებისამებრ - 2;
ბ) იღებთ რჩევას მეგობრებისა და ახლობლებისგან - 5;
გ) საბოლოო არჩევანს მეგობრებს და ახლობლებს ანდობთ - 0.

2) თუ დანიშნული გაქვთ საქმიანი შეხვედრა და ამ დროს ბავშვი ავად გაგიხდათ:
ა) გადაღებთ შეხვედრას - 1;
ბ) ღრობით დაიქირავებთ ძიძას - 5;
გ) ცოტა ხნით დატოვებთ ბავშვს მარტო - 3.

5) უპირატესობას ანიჭებთ სამუშაოს, რომელიც:
ა) არ ითხოვს ბევრ ფიქრს - 1;
ბ) არ არის სავსე მოულოდნელობებით - 4;
გ) შემოქმედებითია და ითხოვს გამოზომილ მოქმედებას - 4.

3) მსხვილი თანხის გამოყენების საუკეთესო საშუალებაა:
ა) ლამაზი ნივთების შეძენა - 2;
ბ) ბანკში შენახვა - 4;
გ) აქციების შეძენა - 0.

6) როცა გიფვირთან, თქვენ უმეტესად:
ა) პასუხობთ იმავეთი - 0;
ბ) თავს იკავებთ - 5;
გ) რჩებით აუღელვებელი - 3.

4) არჩევანის შემთხვევაში, უმეტესად:

7) შესაბამისი პირობების არსებობისას,



გირჩევნიათ:
ა) სახლში ყოფნა და ოჯახის მიხედვა - 2;
ბ) საზოგადოებრივი მოღვაწეობა - 0;
გ) აქტიური ორგანიზატორული საქმე - 5.

9) როცა არ იცით, როგორ მოიქცეთ, მაშინ:
ა) ეძებთ რჩევას შესაბამის ლიტერატურაში - 5;
ბ) სთხოვთ რჩევას მეგობრებსა და ახლობლებს - 1;
გ) მოქმედებთ განწყობის მიხედვით - 2.

8) საინტერესო და შემოსავლიან სამუშაოებს შორის ირჩევთ:
ა) საინტერესო საქმეს - 2;
ბ) შემოსავლიან საქმეს - 0;
გ) ეცდებით, იპოვოთ ინტერესი შემოსავალში - 4.

10) თვლით, რომ გადაუჭრელი სიტუაცია:
ა) არ არსებობს - 0;
ბ) არ არის საშიში - 1;
გ) საკმარისია, დაფიქრდეთ და გამოსავალი ყველა სიტუაციიდან მოიძებნება - 5.

შეაჯამეთ ქულები

3-18 ქულა: თუ გადაწყვიტეთ, თავი ოჯახს და ბავშვების აღზრდას მიუძღვნათ, არ შემცდარხართ. თქვენ ნამდვილი მეოჯახე ქალი ხართ. ეს, ჩვენი დროისთვის ძალიან დასაფასებელი საქმიანობა - ის სფეროა, სადაც თავს ყველაზე კომფორტულად გრძნობთ.
19-34 ქულა: ვერაფრით მოგიხერხებიათ საკუთარი მისწრაფების პოვნა, ვერ ერგებით ერთ რომელიმე კონკრეტულ საქმეს! სცადეთ თქვენი ძალა

ბიზნესში, თქვენი ხასიათის თავისებურებები საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ წარმოების მოწყობის ან ბიზნესის ორგანიზების საქმეში წარმატებას მიაღწევთ.
35-47 ქულა: მეწარმეობა, საქმის კარგად ორგანიზება, მოლაპარაკებების წარმოება, საქმიანი პარტნიორების ძიება - ეს ყველაფერი თქვენი სტიქიაა. ამ საქმიანობით თქვენ ყველაზე მეტად დარჩებით კმაყოფილი საკუთარი შრომის შედეგით.



საგზაო ნესების მცოდნე ძაღლები

დასავლეთ ლანკაშირის სკოლის მოსწავლეები აღფრთოვანებას ვერ მალავენ ქუჩაში სკეიტბორდზე მოსეირნე ძაღლის ცქერისას. სამი წლის გრემლინი უკვე სუპერ-ვარსკვლავი და ამ საქმის ნამდვილი ოსტატია, მისი ახალგაზრდა კომპანიონი – ერთი წლის ლეკვი ფროსტი კი, ჯერჯერობით მასავით მოხერხებულად ვერ დაქრის სკეიტბორდით, მაგრამ საკმაოდ პოპულარულია. ქალაქის თავებმა და ცხოველების დაცვის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ორმაგი მიზანი დაისახეს: ძაღლების შემყურე ბავშვები, ოთხფეხა მეგობრებისადმი უფრო ყურადღებებიანები ხდებიან და ამასთან, უკეთ იმას-სოვრებენ საგზაო მოძრაობის წესებს, რომლებსაც მკაცრად იცავენ. ამას წინათ გრემლინმა და მისმა მეპატრონემ კატებერტ ჯექსონმა ნაციონალური პრემია მიიღეს. ამის შემდეგ მოზარდთა აღზრდის ორიგინალური ლანკაშირული გამოცდილება დიდი ბრიტანეთის სხვა პატარა ქალაქებმაც გადაიღეს.




ნადირობა ჩემოდნებზე

მსოფლიოში ყოველწლიურად 3.000.000-მდე ჩანთა იკარგება, მაგრამ ამას ვერ იტყვი ამერიკული კომპანია TUMI-ს მოდურ ჩემოდნებზე: TUMI-ს ნაწარმზე მიმაგრებულია ფირფიტა, რომელზეც აღნიშნულია საიდენტიფიკაციო ნომერი და მწარმოებელი ქარხნის კოორდინატები. თუ ვინმე იპოვა ჩემოდანი, რომელიც დამზადებულია ტყვიავაუმტარი ყილეტებისთვის შექმნილი ნეილონისგან და დამაგრებულია კოსმოსური მინაბოჭკოს ჩარჩოზე, და დაურეკა ამ ტექნოლოგიური საოცრების მწარმოებელ კომპანიას – ის, დედამიწის ნებისმიერ კუთხე-კუნჭულშიც კი უმაღლეს მთებს მეპატრონეს, დედამიწის რა მიდებულ კუთხეშიც უნდა იყოს. ამიტომაც არის, რომ TUMI-ს ენდობიან მაიკლ ჯორდანი, კამერონ დიასი, კიანუ რივიზი, ბრიუს უილისი, დენი დე ვიტო და უამრავი სხვა სახელგანთქმული ადამიანი.

ახ დაბავინყდეთ ელემენტების გამოცვლა!

ამერიკული სათამაშოების ნიუ-იორკის ბაზრობაზე ამ ცოტა ხნის წინ ელექტრონული სათამაშოების ახალი თაობა წარმოადგინეს. ელექტრონული კნუტი ნამდვილზე უკეთ ენავის, გრაციოზულად დადის და ძღერის კიდევ-თუთიყუში კი ფრთებს აფართხუნებს, თავს ატრიალებს, თვალსაც ჩაგიკრავთ ხოლმე და გივალობთ კიდევ. დაბოლოს – ROBO-BABY, რომელიც დალოჯეს, დილინებს, ცელქობს და ტირის, მაგრამ თუ ხელში აიყვანთ და დაარწევთ, მცირე ხნით შეიძლება ჩაეძინოს კიდევ. „ეს ახალი ტექნოლოგიების გამოყენების გზაზე გაკეთებული კიდევ ერთი გარღვევა“ – ამბობს ჯეი სერიო, ფსიქოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი, რომელიც სათამაშოების ინდუსტრიაში არსებულ ახალ მიმართულებებს იკვლევს. თითოეული სათამაშო დამოუკიდებლად ფუნქციონირებს და აქტიურად „ცხოვრობს“ საკუთარი ცხოვრებით – პატრონის ნება-სურვილისდა მიუხედავად. ერთადერთი, რაც მას მოეთხოვება – დროულად უნდა გამოუცვალოს კვების ელემენტები.



ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა კახა თარგამაძემ და კობა დავითაშვილმა ვულოცავთ ბატონ კახას და ბატონ კობას და ვუსურვებთ წარმატებებს!

სოფლის შენებას რა უნდა?!

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დაავროვებს. ვთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (10 აპრილის) 13 საათამდე.

„ფანტაზია“

სოფლის
შენახას
რა უნდა?!



„ფანტაზიორობს“ გკითხველი



მესამე ხელი არ გამოგაყოფინოთ!

შერინგი (გერმანია)


618/13

SCHERING

უდსრუპროქტი

(მალაქო და სანთლები)

ბუასილის ეფექტური მკურნალობა



უკან მორჩენილი ჰროზლეუები

